

644
1969/4

1969
1969

המכתב

1

1969



1969

გოდონათ სხად წეხს!

სესია

140

გამოცემის მესამემა წელი

11281



იანვარი

1969

ბილისი



ლიტერატურულ-მეცნიერული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

შინაარსი



პ რ ო ზ ა

- 3. ჯამალ ქარჩხაძე. მარინა
- 16. ლევან ჩანტლაძე. პავლე გური
- 28. როდამ ჩაჩანიძე. ირლანდიელი ლედი. კალაპარი
- 48. კარლო კოხავიძე. დანაშაული და სასჯელი
- 59. არსენ გაბაღაშვილი. ორი კაცი

კ ო ე ზ ი ა

- 13. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ლექსები
- 23. შოთა ნიჟინიძე. ახალი წიგნიდან. ლექსები
- 44. გიგინა ვინდაძე. ლექსები
- 46. ოთარ უაღაშვილი. ლექსები
- 47. ოთარ კუპრაძე. ლექსები
- 57. ნოდარ აღიშვილი. ლექსები
- 58. ელდარ კერძავაძე. ლენინგრადის ღამე. ლექსა

კ ო ე ზ ი ი ს მ ი რ ი დ ი ა ნ ე ბ ი

- 71. ძველი ეპიკოსური ლირიკა. თარგმნა მ. ლებანიძემ
- 76. ჯამის ჯონის. ჯამაღმენელი ნაწილები. ინგლისურ-რიდან თარგმნა ჭულიეტა მჭედლიშვილმა

ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ნ ი

- 81. როლანდ ბასილაშვილი. დანაშაულისგან მშხები
- 85. მოგონებები. ურბნის მემორუარი

ლ ე ნ ი ნ ი ა ნ ა

- 87. ფილიპე მახარაძე. ლენინური სიტყვა
- 95. ნ. ნატროშვილი. სიტყვის გამომყენილი ოსტატი

ს ი ძ ვ ა რ უ ლ ი გ ჯ ა დ დ ა ს ი დ ა დ

- 99. გიორგი ავალიანი. ლექსები საბრძოლო თანამებრძობაზე

წ ე რ ი ლ ე ბ ი

- 106. ნათალია ორლოვსკაია. კიდევ ერთი ცნობა საბრძოლო
- 109. ნოდარ კაკაბაძე. თომას მანი და ფრანც კაფკა
- 115. იაკობ ბალახაშვილი. ნოვოროსიის ბრძოლის მივიწყებული ლექსი

ა ხ ა ლ გ ა ჯ რ დ ა მ ე ც ნ ი ა რ ე ბ ი „ც ი ს კ ა რ უ ბ ი“

- 116. ინა ლორთქიფანიძე. ნაბახტავის ძველის დათარიღებისათვის

ი მ, ს ა დ ა ც კ ა კ ი ტ ა ლ ი ბ ა ტ ო ნ ო ვ ს

- 122. თომას ჯადისი. ალკატრაჟელი პატიმარი

წ ი გ ნ ე ბ ი ს ა მ უ რ ო ვ ი

- 131. თამაზ ჩხეიძე. სვანეთის მისიური მითოსი
- 137. თამაზ ავაშვილი. „ეპისტოლეთა წიგნი“
- 143. ლევან ნათაძე, გივი პავიძე. ერთი სახელმძღვანელო თარგმანის გამო

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ლ ი მ ი ლ ი

- 150. ულტრანინტიმური ინტერვიუ. ჩაიწერა ბათუ მელიაძე
- 153. რეზა ნიჟინიძე. მინერალური რეზინის ცნობები
- 158. „ცისკარის“ პერიოდიკი
- 159. ურბნის მემორუარი

მთავარი რედაქტორი
ჯ ა ნ ს უ ლ ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- აკაკი ბაქრაძე,
- გივი გიგინაძე,
- გურამ გვირგვინი,
- მერაბ ელიაშვილი,
- კარლო ქალაძე,
- კონსტანტინე ლორთქიფანიძე,
- ოთარ უაღაშვილი,
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ წერეთელი,
- ნოდარ ულუისკირი,
- ბარბაქე მანუჩიანი,
- სერგი მელიანი,
- თამაზ ვილხაძე,
- ლევან ჯანაშია.



გაჩიანა

სოფლის გოგო-ბიჭები გზის პირას იდგნენ, გვერდით ატმითა და გულაბი მსხლით სავეე კალათები ეღვათ.

მანქანები უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა და მოედინებოდა.

ზოგი ჩერდებოდა, ზოგი არა.

ყველაზე ადრე აჩა და ლადო იცლიდნენ ხელს.

აჩა და ლადო დანარჩენებზე ორისამი წლით უფროსები იყვნენ, გამოცდილებაც მეტი ჰქონდათ და მოხერხებაც.

გაჩერებას არ აცლიდნენ მანქანას; მიცვივდებოდნენ, დაურიღებლად გამოალებდნენ კარებს და მანამ აქებდნენ

თავიანთ საქონელს, სანამ თითო ჯამს მაინც არ გაყიდდნენ.

გუცას რომ თავისი ატამი შეეჭო, ჭარხალივით გაწითლდებოდა.

ამიტომ იყო, რომ ბევრს ვერაფერს ჰყიდა. თუ იღბლიანი დღე არ დაუდგებოდა, ნახევარი კალათი ატამი უკანვე მიჰქონდა და კინოს ფულის მაგივრად გასამრჯელოდ დედის ლანძღვა-გინებას იღებდა.

აჩა და ლადო შუადღემდე ითავებდნენ საქმეს, ცარიელ კალათებსა და ფულს შინ აარბენინებდნენ და მერე მთელ დღეს მდინარეზე აღამებდნენ.

მათ ადგილას რომ გუცა ყოფილიყო,

საბანაოდ არ წავიდოდა. სახლში „კაცი, რომელიც იცინის“ ეგულებოდა. მერე და, რა საინტერესო ადგილას იყო გაჩერებული!

ბედი უნდა ყველაფერს, თორემ რითი ჯობდა გუცას ატამს ლადოს ატამი!

...აი, მანქანა გაჩერდა. აჩა და ლადო მიცივიდნენ, კარი გამოაღეს, აქაქანდნენ. უცებ გუცა მათ შუა გაჩნდა და ატმით სავსე ჯამი ზედ ცხვირთან მიუტანა მგზავრს. მგზავრმა ცალი ხელით აჩას ჯამი მოიშორა, მეორეთი — ლადოსი, გუცას ჯამი კი ჩანთაში ჩაცალა და, კიდევ თუ გაქვსო, ჰკითხა. ორი ჯამი ატამი იყიდა და წავიდა. სახტად დარჩენილი ბავშვები გუცას მიაჩერდნენ. ამ დროს მეორე მანქანა გაჩერდა. გუცამ კიდევ გააჰყიდა ორი ჯამი ატამი. მესამე მანქანა, მეოთხე, მეხუთე... გუცას კალათი გაიკალა. განცვიფრებული ბავშვები პირდაღებული შეჰყურებდნენ გუცას. გუცამ ცარიელი კალათი მხარზე წამოიკიდა, შურით გაბერილ აჩასა და ლადოს შუაში ჩაუარა, ერთი დაცინვით ჩაიღიმა და ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას შინისაკენ.

დაბნეული, გაკვირვებული და აღფრთოვანებული ბავშვები თვალს ვერ აშორებდნენ შინისაკენ მიმავალ გუცას.

რა ყოჩალი გოგოა გუცა!

რა მოხერხებული გოგოა გუცა!

რა ბედნიერია გუცა!

„რატომ დაბრუნდი?“ — კოპები შეიკრა დედამ.

„გავყიდე“, — დაუდევრად მიუგო გუცამ.

დედამ არ დაიჯერა.

ცარიელ კალათს რომ დაინახავს, მაშინ ხომ დაიჯერებს.

დედამ ცარიელი კალათი დაინახა.

„მართლა გაყიდე?“

გუცამ უხმოდ ლადო ფული მაგიდაზე და, ვითომც აქ არაფერიო, თაროდან „კაცი, რომელიც იცინის“ გადმოიღო.

— გუცა!

გუცას ყრუდ ჩაესმა თავისი სახელი, მაგრამ ვერ მიხვდა, ვინ ეძახდა. ამ დროს გვერდში მუჯლუგუნი ჰკრეს და

მამინდა მოიხედა. გზის პირას მანქანა იდგა და თათია იქითკენ გარბოდა.

სანამ გუცა საბოლოოდ გამოეჩვენებოდა, მანქანა დაიძრა კიდევ.

ერთი ჯამი მსხალი აჩამ გაყიდა, ერთი ჯამი ატამი — ლადომ. აღებული მანეთიანები ორად გაყვეს, თფუ, თფუ, სიფთა—ბარაქაო, თქვეს და ამაყად მოავლეს თვალი დამარცხებულ წვრილფეხობას.

— გუცა ჯერ ტკბილ სიხმრებშია! — დაიძახა ვიღაცამ.

ყველამ გაიცინა.

გუცა აიმრიზა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

რას იზამ, ასეთ ვარსკვლავზეა გაჩენილი!

— რამ გამოგაშტერა? — უსაყვედურა თათიამ და სავსე კალათი ისევ ძველ ადგილას დადგა.

— სულ ერთია, აჩას და ლადოს ვინ მოასწრებს; თავით გადადიან მანქანაში.

— მოინდომე და მოასწრებ. კინოში წამოხვალ ამ საღამოს?

— ეს თუ არ გავყიდე, — კალათს ფეხი ვაჰკრა გუცამ, — კინოს ფულს არ მომცემს დედაჩემი.

— მაინც წამოდი. მე მაქვს ფული.

— თუ არ გავყიდე, არ გამომიშვებს.

მოსახვევში მანქანა გამოჩნდა. ბავშვებმა ჯამებს ხელი დაავლეს და მოემზადნენ.

მანქანა სწორედ იმ ადგილას გაჩერდა, სადაც აჩა და ლადო იდგნენ.

გუცამ მძღოლს მოჰკრა თვალი. მძღოლს ოთხკუთხა თავი და სქელი, გადაბმული წარბები ჰქონდა. მგზავრები არ დაუნახავს: აჩა და ლადო რას დანახებენ?! ბავშვები ჯგროდ ეხვივნენ მანქანას. აჩა და ლადო ენის გაუჩერებლად რატრატებდნენ.

უცებ მთელმა ჯგუფმა ოდნავ უკან დაიხია: მანქანიდან მგზავრი გადმოვიდა, სათვალე მოიხსნა და ღიმილით მოავლო თვალი აყაყანებულ ბავშვებს. მერე მანქანისკენ შებრუნდა.

— გადმოდი, დიანა, ცოტა მუხლი გავმართოთ.

დიანა!

დიანა მოხდენილი ქალი იყო, ყელ-
მოღერებული, მკერდმაღალი და წერ-
წეტა. ვადმოვიდა თუ არა მანქანიდან,
მაშინვე ბავშვებს დაუტატანა:

— გაჩუმდით, ნუ წაიღეთ ყურები!
ბავშვები გაისუსნენ. შუა არდადე-
გებში უეცრად არემარეს მასწავლებ-
ლის მრისხანე აჩრდილი გადაეფარა.

დიანას ქმარმა გაიცინა:

— დაანებე თავი, აღებ-მიცემობა
ეკონომიური პოლიტიკის ნაწილია.

ოთხკუთხათავიანი მძლოლიც ვადმო-
ვიდა მანქანიდან.

— ვიყიდოთ ხილი, ლევან ალექსან-
დროვიჩ?

— უნდა ვიყიდოთ, — მიუგო მგზავ-
რმა, — თუ საკუთარი ღირსების გრძნო-
ბა გვაქვს.

— აი, ეს კარგი ატამი ჩანს, — ლა-
დოს ჯამზე მიუთითა დიანამ.

ლადოს გული მოეცა და დაიქოქა,
მაგრამ დიანას მკაცრ მზერას წააწყდა
და მაშინვე გაჩუმდა.

— აბა, მაჩვენე, ბიჭოკო, — მძლოლმა
ჯამი გამოართვა ლადოს და ატამს და-
ხედა, — მართალია, არ არის ურიგო.

სათვლიანმა მგზავრმა გაიღიმა და
ისევ ბავშვებს მოავლო თვალი. წამით
გუცაზე შეაჩერა მზერა. გუცა გაწითლ-
და და თავი ჩაღუნა.

მგზავრმა ლადოს ჯამიდან ატამი აი-
ღო, ხელში შეატრიალა, დაყნოსა და
ისევ თავის ადგილას დადო.

— აი, იმ გოგონასა აქვს კარგი ატა-
მი, — თქვა უცებ და თითი გუცასკენ
გაიშვირა.

გუცა კიდევ უფრო გაწითლდა.

— რა იცი? — გაიკვირვა დიანამ.

— მითხარი, როგორი პატრონი გყავს
და გეტყვი, როგორი ატამი ხარ, —
თქვა დიანას ქმარმა, — შეხედე, რა
მშვენიერი ბავშვაა.

— ბავშვს რა ჰქუა აქვს, ლევან ალ-
ქსანდროვიჩ, ჩვენ ატამი უნდა ვჭამოთ,
— შენიშნა მძლოლმა.

— თქვენ ვაჭრობის ესთეტიკური
მხარე არ გესმით.

სათვლიანმა მგზავრმა თითით მონი-
შო გუცა.

გუცა მიუახლოვდა.

სათვლიანმა მგზავრმა რამდენიმე
ატამი ამოიღო კალათიდან.

— ნახეთ, რა ატამია!

— რა არის ასეთი? — იკითხა დია-
ნამ და ატამებს ხელით დაუწყო სინჯვა.

— ლამაზია, — განუმარტა მგზავრმა
და გუცას მიუბრუნდა, — სწორს არ
ვამბობ, ქალბატონო გამყიდველო?

გუცამ ოდნავ ასწია თავი და გაიღიმა.

— ვყიდულობთ, ლევან ალექსანდ-
როვიჩ? — იკითხა მძლოლმა

— რა თქმა უნდა!

— რამდენი ავიღო?

— სულ აიღე... ოღონდ რაში ჩავეყა-
როთ?

— პარკების მეტი რა მაქვს!

— რად გინდა ამდენი ატამი?! — შე-
იცხადა დიანამ.

— რა ვიცი...

— სულ შენ შეგაკმევე!

— მე ხვალ უკან ვარ დასაბრუნებ-
ლი და შემძლია კიდევ ვიყიდო. ხვა-
ლაც ხომ გექნებათ, ქალბატონო გამყი-
დველო?

— დიას...

მძლოლი ამსობაში დარდიმანდუ-
ლად დაფაცურდა. საიდანღაც ქალა-
ლის პარკები გამოაძვრინა, ატმით დატე-
ნა და ცარიელი კალათი ორივე ხელით
გაუგორა გუცას.

— რა ღირს? — იკითხა დიანამ.

— ჯამი მანეთი.

— რა ამბავია, ჯამი მანეთი?

გუცა გაწითლდა.

— დიანა! — ღიმილითა და საყვედუ-
რით უთხრა ქმარმა.

დიანამ მხრები ლამაზად აიჩეჩა.

— უცნაური ხალხი ხართ ეს მამაკა-
ცები: თვითონ არ იციან ვაჭრობა და
არც სხვას აცლით, — მერე გუცას მი-
უბრუნდა, — სულ რამდენი ჯამია?

ჯემალ ქარჩხაძე
მ ა რ ი ა ნ ა

— ათი, — თავი არ აუწევია, ისე მიუგო გუცამ.

დიანას ქმარმა ფული გადაიხადა, მერე ცოლთან მივიდა, ხელი მხარზე მოხვია და უთხრა:

— უცნაური ხალხი ხართ ეს დედაკაცები: არც სილამაზე გაკლიათ და არც სიკაპასე.

დიანა ისე გაინაბა, როგორც მოთვინიერებული ნადირი, რომელსაც გული ისევ ტყისკენ მიუწევს, მაგრამ იცის, რომ პატრონის მომწუსხველ ძალას ვეღარსად გაექცევა.

— პირველყოფილ სილამაზეს ახლა იშვიათად შეხვდები კაცი, — ისეთი ღიმილით თქვა მგზავრმა, თითქოს სჯერა კიდევ თავისი ნათქვამის და არცა სჯერათ, — შეხედე რა ნაკვთები აქვს, რა თმა, რა თვალები! ერთ დროს ჩვეუკ ასეთი ლამაზი და ასეთი პირველყოფილები ვიყავით.

— შენ ჯერ კიდევ პირველყოფილი ხარ, — უთხრა დიანამ.

ქმარმა გაიცინა. მერე გუცას მიუბრუნდა და კომიკური სერიოზულობით უთხრა:

— შეხვედრის ოფიციალური ნაწილი დამთავრებულია. ერთმანეთი როდისღა გავიცნობთ? — ამ სიტყვებით ხელი გაუწოდა და დაუმატა, — მე გახლავართ ლევან ქართველიშვილი.

გუცამაც გაუწოდა ხელი. ასეთ სიტუაციაში არასოდეს მოხვედრილა, მაგრამ რახან ხელს გიწვდიან, ალბათ, უნდა ჩამოართვა.

— შენ რაღა გქვია? — ჰკითხა ლევან ქართველიშვილმა.

აქ მოხდა ისეთი რამ, რასაც არავითარი ლოგიკური განვითარება, ყოველ შემთხვევაში, არავითარი თვალსაჩინო ლოგიკური განვითარება წინ არ უძლოდა: სრულიად მოულოდნელად, რაღაც უცნობი, ამოუხსნელი იმბულისის წყალობით, გუცამ თავი ასწია, ბრიალა თვალელები პირდაპირ სახეში შეანათა ლევან ქართველიშვილს და უთხრა:

— მარიანა.

ლევან ქართველიშვილი ისე დააც

ქერდა გუცას, თითქოს სიცილს ძლიერ ეიკავებსო. ერთხანს ასე უწყურადმერე ცოლს გაუღიმა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მარიანა... მდა... — ბოლოს ისევ გუცასკენ მიტრიალდა და უთხრა, — ქალბატონო მარიანა, ერთი სურათი რომ გადაგიღო სამახსოვროდ, ხომ არ გამიწყურებინ? — და პასუხისთვის არ დაუცდია, ისე გასძახა მძღოლს: — სერგო, თუ ძმა ხარ, კინოაპარატი მოიტა.

სერგომ მოუტანა.

დიანამ წარბები აზიდა და ამ პოზამ თითქოს უფრო მკაფიოდ გამოაჩინა მისი სილამაზე.

გუცა თავდახრილი იდგა.

ლევან ქართველიშვილმა აპარატი დაუნიშნა და ჩართო.

გუცამ ხელა ასწია თავი. ლევან ქართველიშვილს თბა ოდნავ ნეჭლარავებული ჰქონდა.

აპარატი გაჩუმდა.

— გმადლობთ, — გაიღიმა ლევან ქართველიშვილმა, — ახლა კი, მგონი გამოთხოვების უამიცი დადგა. აბა, ნახვამდის, მარიანა, — ამ სიტყვებით მანქანას მიაშურა. ჯერ ცოლი შეუშვა, მერე თვითონ ჩაჯდა.

გუცა იმავე ადგილას იდგა.

მანქანა დაიძრა. ლევან ქართველიშვილმა მოიხედა და ღიმილით დაუქინა ხელი. გუცას რაღაც უცნაურმა ძალამ სხეულში ელექტრონივით დაუარა, ერთი მძლავრად შეატოკა ადგილზე და გაქრა.

გუცას საპასუხოდა ხელი არ დაუქნევია.

მანქანა თვალს მიეფარა.

გუცამ ახლად იგრძნო, რომ ქვედა ტუჩი კბილებშუა ჰქონდა მოქცეული. უცებ ზურგიდან ხმა მოისმა.

აჩას ხმა იყო.

აჩამ კომიკური თეატრულობით შესძახა:

— ო, მარიანა!

გუცა სწრაფად შემოტრიალდა. სწორედ ამ დროს ბავშვებმა ერთხმად დააგუგუნეს:

— ო, მარიანა!

ბავშვებს სერიოზული სახეები ჰქონდათ.

გუცას ქვედა ტუჩი ისევ კბილებშუა მოექცა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე აჩა ბავშვებს გამოეყო, რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგა, მარჯვენა ხელი მკერდთან მიიტანა, თავი მიძიმედ დაუკრა გუცას და კვლავ წელანდელი ხმით უთხრა:

— ო, მარიანა!

— ო, მარიანა, — გაიმეორა ბავშვების გუნდმა.

გუცამ კალათს ხელი დაავლო და წავიდა. ცდილობდა, რაც შეიძლება, დაუღვევარი გამოემეტყველება მიელო და, რაც შეიძლება, მშვიდად ევლო. ბავშვებს რომ გაუსწორდა, აჩამ ამოიკვნესა:

— ო, მარიანა!

ბავშვებმა სიცილ-ხარხარი ატეხეს.

გუცამ გზა გადაჭრა და სახლისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

ბავშვების სიცილი კიდევ კარგახანს ისმოდა.

გუცას ცრემლები ყელში ებჯინებოდა, მაგრამ ამის მიზეზი ბავშვების „ო, მარიანა!“ არ ყოფილა, სხვა რაღაც იყო: რაღაც უცნაური და გაუგებარი უმწეობა, რაღაც უცნაური და გაუგებარი ძალის წინაშე.

„ციდან ეშვებოდა წვიმის წვეთები“ — გაიფიქრა გუცამ.

წყნარი, მზიანი დილა იყო. გუცას გაუტკირდა. წვიმის წვეთები რა შუაშიაო და ისევ გაიფიქრა: „ციდან ეშვებოდა წვიმის წვეთები“.

მერე რამდენჯერმე ეცადა თავიდან ამოეგლო ეს სულელური, უადგილო ფრაზა, მაგრამ რამდენჯერაც სხვა რამეზე დაიწყო ფიქრი, ცნობიერებაში იმდენჯერ მკაფიოდ ამოტივტივდა: „ციდან ეშვებოდა წვიმის წვეთები“. ამა-სობაში სახლსაც მიაღწია. კარები შეადლო, კალათი კუთხეში მიაგდო და გაიფიქრა: „ციდან ეშვებოდა წვიმის წვეთები“.

მერე ოთახიდან დედის ხმა გაისმა:

— შენა ხარ, გოგო?

— მე ვარ.

— რატომ დაბრუნდი? — ხმას აუწყობდა დედა.

— გავციდი.

დედა, ეტყობა, ასეთ პასუხს არ მოელოდა. უხმოდ შემოვიდა და კუთხეში მიგდებული კალათი რომ დაინახა, გავიკრებული მოუბრუნდა გუცას:

— მართლა გავციდი?

გუცამ ფული მაგიდაზე დადო.

— რამდენად გავციდი? — დაეჭვებით ჰკითხა დედა და ფულს თვლა დაუწყო.

— თითო მანეთად.

დედას გულზე მოეშვა.

— ასე არ სჯობია სხვის კუდში ჩანჩალს? შენ ისეთი დედ-მამის შვილი ხარ, ერთი ბავშვი ვერ უნდა გიტოვდებოდეს მთელ სოფელში. მამაშენს ქვა რომ გამოაბა კისერზე და წყალში გადაავლო, ფულს ამოიტანს. მე ვარ და მეზობლის ქალებს სულ ჩემი სიმარჯვე და მოხერხება აქვთ სალაპარაკოდ. შენ ვის გამოემსგავსე ასეთი უნიათო? ძალით თუ არ წამოგავდო კაცმა ლოგინიდან, სალამომდე იძინებ, — დედა ეშვებში შევიდა და გაუტია. გაყიდული ატამი სულ გადაავიწყდა, — შენხელა გოგო ცოტა უნდა მიდგე და მოდგე, ცხოვრებას აზრი გაუგო და პატარა ოჯახსაც წაადგე, — გუცას მოზებრდა ამდენი ჰკუთის სწავლება და თავის ოთახში გავიდა, — გაძრომაც უნდა იცოდე ახლა შენ და გამოძრომაც, თუ არ გინდა, რომ შენს გამოსაჩინეს სხვა გამორჩეს. აბა ისე რის მაქნისი ხარ!..*

მერე კარმა გაიჭრა. დედა ეზოში გავიდა. გუცამ წიგნი გადმოიღო თაროდან და, წინა ღამეს რომ შეწყვიტა კითხვა, იმ ადგილას გადაშალა, მაგრამ გული ვერაფრით ვერ დაუღო: თითო წინადადებას ათჯერ კითხულობდა და ბოლოს მიინც ის აზრი გამოჰქონდა, რომ „ციდან ეშვებოდა წვიმის წვეთები“.

ჯამალ მარჩხაძე

მ ა რ ი ა ნ ა

ბი“. მაშინ წიგნი მაგიდაზე მიაგლო,
ტახტზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამო-
იღო და ჭერს მიაჩერდა.

„ციდან ეშვებოდა წვიმის წვეთები“.
წვიმის წვეთები...

სოფელი შემოდგომის სქელ ნისლში
გაეხვია.

ცრის და ცრის.

ეზოს კუთხეში ობლად დარჩენილ
ალვის ხეებს წვიმის წვეთები ჩამოსდით
და გული ეკუმშებათ.

გული ეკუმშებათ.

გული ეკუმშებათ...

გუცამ საშინელი მარტოობა იგრძნო;
უცნაური სევდა შემოაწვა.

მერე ლეიბქვეშ შეაცურა ხელი და
სქელი რვეული გამოიღო. ეს რვეული
გუცას ერთადერთი მესაიდუმლე იყო.
შიგ დღიურები ეწერა, საკუთარი ლექ-
სები და, საერთოდ, ყველაფერი, რისი
გამხელაც არავისთან არ შეიძლებოდა,
არც დედასთან, არც თათიასთან და, მით
უმეტეს, არც სხვა ვინმესთან.

გუცამ რვეულს დახედა და გაუკვირ-
და. ვერ მიხვდა, რისთვის გამოიღო.

რვეული გულზე დაიდო და კვლავ
ჭერს მიაჩერდა.

უცებ ზეზე წამოვარდა.

ტანში რაღაც უცნაურმა ქრუანტელ-
მა დაურა და გულს ზღვა სიხარული
შემოაწვა. ეს სიხარული ისევე მოუ-
ლოდნელად გაჩნდა, როგორც წელანდე-
ლი სევდა. და წელანდელ სევდასავით
ტკბილი, გამოუცნობი და ყოვლისმომ-
ცველი იყო.

უჩვეულო განცდამ წამით გაანათა
გუცას სული და მყისვე ელვასავით ჩა-
ქრა. თითქოს შორეული მოგონება
ეწვია და აღქმა ვერ მოასწრო.

ნამდვილი და ეჭვშეუტანელი დარჩა
გაოცება.

გუცამ რვეული ისევ აიღო, საწერ
მაგიდას მიუჯდა, თვალები დახუჭა და
გაიჩინდა.

ქვეყნიერება შემოდგომის ცივ ნისლ-
ში გაეხვია.

წვიმს და წვიმს.

დედამიწა დაცარიელდა.

ობლად დარჩენილ ალვის ხეებს წვი-
მის წვეთები დაბალუბით ჩამოსდით.
გაძარცვულები დგანან და პირქუშად
გაპყურებენ ცივ უსასრულობას.

და გული ეკუმშებათ.

გული ეკუმშებათ.

გული ეკუმშებათ.

ნისლში გახვეული უფერული გზები
ყოველმხრივ მიდიან და უკან აღარ
ბრუნდებიან.

გადაუღებლად წვიმს.

წვიმს.

წვიმს.

გუცამ კალმისტარი გვერდზე მიაგ-
ლო და წამოდგა. ახლა იცოდა, რის-
თვის გამოიღო რვეული. ლექსი ან
დღიური უნდა დაეწერა. როცა მნიშე-
ნელოვანი რამ შეემთხვეოდა, ყოველ-
თვის ლექსებსა და დღიურებს წერდა,
მაგრამ ახლა ისიც იცოდა, რომ დღეს
არც ლექსი დაიწერებოდა და არც
დღიური.

ერთხანს ბოლთას სცემდა. მერე რამ-
დენჯერმე კიდევ მიუჯდა მაგიდას. ცდი-
ლობდა გაერკვია, რა ხდებოდა მის
თავს.

ყველაფერი ამო იყო.

ბოლოს გაბრაზდა, რვეული სწრაფად
დახურა და ლეიბქვეშ შეინახა. თვითონ
ერთხანს იბორიალა, მერე გულადმა
დაწვა, წელანდელივით თავქვეშ ამოი-
ღო ხელები და წელანდელივით მიაჩერ-
და ჭერს.

ვერ იქნა და ვერ მოიშორა უცნაური
უგუნებობა. თუმცა უგუნებობა არც
ეთქმოდა იმას, რასაც გუცა განიცდიდა.
არც სხვა რამე ეთქმოდა. ყოველ შემ-
თხვევაში, გუცას ვერაფერი სიტყვა
ვერ მოეგონებინა ამ უჩვეულო ბურუ-
სის გამოსახატავად. გარკვევით მხოლოდ
ერთი რამ იცოდა: ძალიან ეშინოდა დე-
და არ შემოსულიყო და არ გამოლაპა-
რაკებოდა.

სხვა ყველაფერი გაურკვეველი იყო.

ხანდახან გუცას უნდოდა ყოფილიყო
სადმე შორს, ძალიან შორს, სადაც არა-
ფერი არ არის, სადაც ვერავინ მოგ-
წვდება და ვერავინ დაგინახავს. მეორე



წუთს ტოლ-ამხანაგებში ყოფნა, მათ-
თან თამაში და მხიარულება მოენატრე-
ბოდა.

მოენატრებოდა?
იქნებ ნატვრა ერქვა სულის ამ გაუ-
გებარ მოძრაობას?

მაგრამ რისი ნატვრა?
გუცამ არ იცოდა.

მერე ეს ორი სურვილი, სურვილი
შორეული მარტობისა და თანატო-
ლებში ყოფნისა, ერთმანეთს შეეხო სა-
დაც, რომელიდაც წერტილში, რომე-
ლიც არც შორს იყო და არც ახლო,
ერთმანეთში შეზავდა, უცნაურ, არარ-
სებულ ფერად იქცა და თეთრად შეღე-
ბილ ჭერს შევიდა...

გზასა და მდინარეს შუა, მწუხარე
ყვავილებით მოფენილ მინდორზე, აჩა
გამოჩნდა.

— ო, მარიანა! — საყვედურით გადა-
აქნია თავი აჩამ, წარბები აზიდა და თი-
თქოს უფრო მკაფიოდ გამოაჩინა დია-
ნას სილამაზე.

დიანა დონჯშემოყრილი, პერანგის-
ამარა იდგა ბრწყინვალე ჭაღებით გა-
ჩახჩახებულ დარბაზში და მტრულად
უყურებდა მარიანას.

— რა ღირს შენი თვალები?

ღობის უკან წარბებგადაბმულმა
მძლოლმა ამოჰყო ოთხკუთხა თავი და
დაიწრიპინა:

— ალებმიცემობა ეკონომიური პო-
ლიტიკის ნაწილია.

მერე ვეება პირი გააღო, უხმოდ გა-
დაიხარხარა და ისევ ღობის ძირას ჩაი-
მალა.

— რა ამბავია თითო მანეთი?

დიანა ძალიან ლამაზი იყო და გრძე-
ლი ფრჩხილები ჰქონდა.

წვიმა წამოვიდა და დამჭენარი ყვავი-
ლები გამოაცოცხლა.

დიანას ქმარმა სადავე მოსწია. თეთ-
რი ცხენი ყალყზე შედგა და გაჩერდა.

დიანას ქმარს ლურჯი ქულაჯა ეცვა,
მხარზე მშვილდი ჰქონდა გადაკიდებუ-
ლი და თავზე ფეტრის შლაპა ეხურა.

— სად არის შენი დედინაცვალი?

— მე მარიანა ვარ. არ გახსოვთ,

ატაძი რომ იყიდეთ? — მარიანას ცრემ-
ლი ყელში მოებჯინა, — აი, დიანას
ახსოვს.

მარიანა მოტრიალდა. დიანა გამქრა-
ლიყო.

დიანას ქმარმა გაიცინა და სადავე,
რომელიც საჭე იყო, მარცხნივ მიატრი-
ალა. ცხენი გრიალით დაიძრა და თვალს
მიეფარა.

„ვერ მიცნო“, — გაიფიქრა მარიანამ
და ცრემლები წასკდა.

— ო, მარიანა! — განწირული ხმით
თქვა აჩამ და ცარიელი კალათებით
ქონგლიობობა დაიწყო.

მარიანამ ხელი პირზე მიაფარა აჩას.

— სსუუ...
იმ მხრიდან, სადაც დიანას ქმარი გა-
უჩინარდა, შორეული ხმა მოისმა:

— მარიანაა!

— მე მეძახიან, აჩა, გეჰმის?

— გეძახიან არა!

— მარიანაა!

ძახილს ეხოთა მთელი გუნდი გამოე-
პასუხა:

— მარიანაა!

გუცამ თვალები გაახილა.

ფანჯრის ძირში, სადაც გზა გადიოდა,
ბავშვები ხმაურობდნენ.

— ეტყობა, არაა სახლში.

ეს ლაღოს ხმა იყო.

— იმალება, — თქვა აჩამ.

ბავშვების ხმა თანდათან მიწყდა.

მერე კარი გაიღო და თათია შემო-
ვიდა.

— შენ მაგაზე ნუ, გაბრაზდები, ---
უთხრა თათიამ.

— რაზე?

— გაბრაზება თუ შეგატყვევს, უარესს
გიზამენ.

— მეძინა.

— კინოში წამოხვალ ამ საღამოს?

— არ მინდა.

— მაგათ ყურადღება არ უნდა მიაქ-
ციო.

— არც ვაქცევ.

ჯამალ ქარჩაძე
მარინა

— აბა, კინოში რატომ არ მოდიხარ?
— მეზარება.
— ნუ ხარ რა, გუცა, ასეთი შეწუ-
ბებული.

— შეწუხებული ვარ? — გუცამ ვა-
დიმება სცადა.

— აბა რა ხარ!

— თუ გინდა საბანაოდ წავიდეთ, —
გუცამ თვითონაც არ იცოდა, მართლა
უნდოდა საბანაოდ წასვლა თუ ეს ისე
თქვა, თათიასთვის რომ უგუხუნებობა არ
შეემჩნევიანებია.

— წავიდეთ.

მდინარე კრიალა იყო. ფსკერი ისე
ჩინდა, როგორც ზედაპირი.

გოგონებმა გახდა დაიწყეს.

გუცა სულმოთლად გაშიშვლდა.

უკვე ორი-სამი წელი იყო, რაც გო-
გონებს ერთმანეთის თანდასწრებით
გაშიშვლება ერცხვინებოდათ, მაგრამ
გუცა რაღაც უცნაურ, დაუძლეველ
სურვილს დამორჩილა და გაშიშვლდა.
მერე უცებ მოეჩვენა, რომ მდინარეზე
წამოსვლაც მხოლოდ ამიტომ მოიწადი-
ნა.

„რა სისულელეები არ ემართება ალა-
მიანს!“ — გაიფიქრა გუცამ და გაიზ-
მორა.

— რა ლამაზი ტანი გაქვს, გუცა! —
უთხრა თათიამ.

გუცა ფრთხილად წავიდა წყლისკენ.

— თეძობებიც როგორ წამოგზრდია!

— შეთქმული ხმით დაატანა მერე და
კრიტიკულად შეათვალიერა საკუთარი
თეძობები.

გუცას მალე მობეზრდა ბანაობა, ნა-
პირზე გამოვიდა, გულალმა გაწვა ბა-
ლახში.

ცაზე ღრუბლის ნაფლეთები დაცუ-
რავდნენ.

ღრუბლები გაცივდება და წვიმის
წვეთებად იქცევა. წვიმის წვეთები მდი-
ნარეს შეუერთდება. მზე რომ დააქერს,
აორთქლდება და ისევ ღრუბლებად
აეკრობა ცას. მერე ყველაფერი თავი-
დან დაიწყება. ყოველთვის ასე იქნება.
ასე იქნება ათასი წლის შემდეგაც. მა-

შინ გუცას მაგივრად სხვა ჭინმე გაწვე-
ბა გულალმა ბალახში.

მაგრამ გუცამ ვერ წარმოიდგინა,
როგორ უნდა დაცურავდნენ ღრუბლე-
ბი ცაში, როგორ უნდა იყოს მდინარე
კამკამა და როგორ უნდა იწვევს ბალახ-
ში სხვა ვინმე, როცა გუცა აღარ იქნება.

უცებ თათიას ხმამ გამოარკვია.

თათიამ თქვა:

— ხვალ დაბრუნდება.

გუცა მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი.
ამიტომ გაკვირვებული სახე მიიღო.

— ვერ გავიგე, რას ამბობ.

— კი გაიგე, მაგრამ არ ამხელ, —
თქვა თათიამ, თვითონვე გაწითლდა და
დაუმატა, — რა ლამაზი ქალი იყო არა,
ლიანა?

— ძალიან!

— შენ უფრო ლამაზი ხარ.

— კარგი ერთი!

— აღარ ვიბანაოთ?

— ვიბანაოთ, თუ გინდა.

ვერც ბანაობამ მოძგვარა შვება გუ-
ცას. მთელი საღამო ერთ ადგილას ვერ
ისვენებდა. ძილის დრო რომ მოვიდა,
დედა გაუჯავრდა: რას დაბორილობ
წალმა-უკულმა, დაწეკი და დაიძინეო.
დაწოლით კი დაწვა, მაგრამ ძილი დიდ-
ხანს არ მიკარებია. სხეულზე ცეცხლი
ეკიდა. თითქმის მთელი ღამე ტრიალებ-
და ლოგინში. თან იმისი ეშინოდა, დე-
დამ არ გაიგოს, რომ არ მძინავსო.

ღილით დედა სადღაც წავიდა და გუ-
ცამ თავისი საყვარელი წითელი კაბა
ჩაიცვა. დედა რომ გაიგებდა, ეჭვი არაა,
შავ დღეს დააყრიდა, მაგრამ სანამ ვაი-
გებდა, მანამ ხომ ეცემებოდა და მერე
რაც გინდა მომხდარიყო, ეგ აღარ
აღარდებდა.

კაბა ცოტა დამოკლებულიყო. ესე
იგი, ამ ორ თვეში კიდევ მოუმატია სა-
მალღემი.

გუცა ისედაც ყველაზე მაღალი იყო
თავის ტოლებში.

მერე დიდხანს იტრიალა სარკესთან.

თათიას ნათქვამი: შენ უფრო ლამა-
ზი ხარო, რა თქმა უნდა, არ დაუჯერე-

ზია, მაგრამ მინც დაკვირვებით შეათვალიერა საყუთარი თავი.

სწორი, მოგრძო სახე, შავი თვალწარბი, გრძელი წამწამები, ოქროსფერი თმა... ტანი მართლა არ ჰქონდა ცუდი; არც ფეხები...

გუცამ თმა ლამაზად დაივარცხნა და ატმით სავსე კალათი აიღო, რომელიც დედას, როგორც ყოველთვის, დილაადრიან გაემზადებია.

ბავშვები უკვე გზისპირას ჩამწკრივებულნი იყვნენ.

— ო, დედოფალო!—თვალეები დააჭყიტა აჩამ.

გუცა დღეს უკეთეს გუნებაზე იყო და აჩას იდაყვი მოუღერა.

მანქანები მიდიოდნენ და მოდიოდნენ. ზოგი ჩერდებოდა, ზოგი არა.

გუცა ერთთავად მარცხნივ იყურებოდა, საიდანაც ის მანქანა უნდა გამოჩენილიყო.

ამიტომ ბევრი არაფერი გაუყიდა. შუადღის ხანს აჩამ და ლადომ ვაჭრობა მოათავეს.

აჩა გუცას მიუახლოვდა.

— თუ გინდა, მოგეხმარები.

აჩას ხმაში თითქოს სერიოზული კილო ჰქარბობდა, მაგრამ გუცამ მინც შეუბღვირა.

— უშენოდაც გავყიდი.

გუცა მოელოდა, რომ „ო, მარიანას“ ან „ო, დედოფალოს“ გაიგონებდა. აჩამ კი მხრები აიჩეჩა.

— როგორც გინდა, — და ლადოს მიუბრუნდა, — წავიდეთ, ლადო, გვეცალათ ამ ამბარტავან საზოგადოებას.

— და მდინარეში დავიხრჩოთ თავი, — დაუმატა ლადომ.

აჩა და ლადო წავიდნენ.

გუცა იყურებოდა და იყურებოდა მარცხნივ, საიდანაც თბილისისკენ მიმავალი მანქანები უნდა გამოჩენილიყო.

რა იქნებოდა, იმ მანქანას რომ ჩამოველო და გუცა აქ არ დახვედროდა.

...მანქანა გზისპირას გაჩერდა. ბავშვები მაშინვე შემოეხვივნენ. მანქანიდან ახოვანი, მოხდენილი კაცი, ლევან ქარ-

თველიშვილი, გადმოვიდა, ბავშვები დაკვირვებით მოათვალიერა და იცინებდა თხა:

„მარიანა სადაა?“

„მარიანა ავადა“, — ნაღვლიანი ხმით მიუგეს ბავშვებმა.

„რა დემართა?“

„არ ვიციო. ექიმმა ვერაფერი გაუგო.“

„ჩქარა წამიყვანეთ! — აღელვებული კილოთი თქვა ლევან ქართველიშვილმა და მძღოლს მიუბრუნდა, — აქ დამელოდე, სერგო.“

გუცა სიციხით გათანგული იწვა. თვალეებზე ბინდი გადაჰქროდა. ყველაფერი ბურუსში გახვეულიყო. მხოლოდ ულმობელი სიკვდილი მოჩანდა ჰორიზონტზე. სიკვდილი ფეხაკრეფით უახლოვდებოდა და თანდათან იზრდებოდა. ამ დროს კარი გაიღო. ლევან ქართველიშვილს გუცას დანახვაზე თვალეებში სიხარულის შუქი ჩაუდგა.

„რა დავემართა, მარიანა?“

გუცამ სუსტი ღიმილით გაიღიმა.

„არ ვიცი“.

ბურუსი გაიფანტა. სიკვდილი უკან უკან წავიდა.

ლევან ქართველიშვილი დაიხარა, გახურებულ შუბლზე აკოცა გუცას. მერე მაჯა გაუსინჯა.

„ექიმი სად არის?“

ექიმი შემოვიდა და თქვა:

„გაციებულნი არ არის, ანგინა არა აქვს, ხიხინი არა აქვს, ფილტვების ანთება არა აქვს, დიფტერია არა აქვს“...

— „თქვენ ის მითხარით, რა აქვს — შეაწყვეტინა ლევან ქართველიშვილმა, — მერე მე თვითონ მივხედები, რა არა აქვს“.

ექიმმა ხელები უმწეოდ გაშალა და ქვედა ტუჩი ნიჩაბივით გამოიშვირა.

„სასწრაფოდ თბილისში უნდა წავიყვანოთ“, — თქვა ლევან ქართველიშვილმა.

მერე გუცა ლევან ქართველიშვილის

გვერდით იჯდა მანქანაში და მძღოლი, რომელსაც ოთხკუთხა თავი და გადაბმული წარბები ჰქონდა, ქარივით მიაქროლებდა მანქანას.

საავადმყოფოში ლევან ქართველიშვილი წუთით არ მოშორებია გუცას, დღე და ღამე თავს ადგა.

როცა რომელიმე მანქანა გაჩერდებოდა, ოცნების ფერად ღრუბლებს თათიას მუჯღუგუნნი ფანტავდა.

თათიამ კიდევ ერთხელ ჰკრა მუჯღუგუნნი, ამჯერად ცოტა უფრო მაგრად, და ადევლებული ხმით შესძახა:

— მოდის!

ის მანქანა გამოჩნდა. გუცამ მაშინვე იცნო მძღოლის ოთხკუთხა თავი.

გულმა ბაგაბუვი დაუწყო.

სირბილით გადავიდა გზაზე. ხელში ატმით სავსე ჯამი ეჭირა...

მძღოლმა ბოლო წამს მოასწრო, საჭე მარცხნივ შეატრიალა. მანქანა კივილით გაჩერდა.

— რას შვრები, შენი!

საზურგეზე გადაწოლილმა კაცმა, რომელიც გუშინ ლევან ქართველიშვილი იყო, თვალები გაახილა, დაბნეუ-

ლად მიმოიხედა, დაფანტული ^{შეხრა} წამით გუცაზე შეაჩერა და ნამძინარევი ხმით ჰკითხა მძღოლს:

— რა მოხდა, სერგო?

— არაფერი, — ძლივს ამოდერდა სიბრაზისა და შიშისაგან ფერდაკარგულმა მძღოლმა და გადმოქაჩული თვალები გუცას მიაპყრო, — ეს დამთხვეული ღლაპი!..

ლევან ქართველიშვილმა აზრგამოცლილი მხერა კიდევ ერთხელ მოავლო გუცას და თქვა:

— ააა!

ეს „ააა!“ ბოლოს მთქნარებაში გადაუვიდა, თვალები დახუჭა და საზურგეს მიესვენა...

მანქანა წავიდა...

...შუა გზაში მარტოდმარტო იდგა გუცა, მარიანა, წვივმაღალი, შოლტკით გოგო; წითელი კაბა ეცვა, ოქროსფერი თმა გამხდარ მხრებზე ეფინა.

იდგა და უძრავი სახით გაპყურებდა გზას, რომელიც სადღაც შორს, უსასრულობაში მიდიოდა, რათა აღარასოდეს დაბრუნებულიყო.

ფეხებთან ჯამის ნამსხვრევები ეყარა.



ჩვენი თაობის პოეტებს წილად ხვდათ ბედნიერება ახლოს აცნობდნენ გამოჩენილ ქართველ მწერალს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს — იგი წლების მანძილზე „ცისკრის“ რედაქტორი და ჩვენი დაუზარებელი მოძღვარი იყო. კ. ლორთქიფანიძე არც დღეს უფროსის უფროსი მეგობრისა და მზრუნველის ტვირთს, და ახალგაზრდებს მხოლოდ გაცემა შეუძლიათ იმ დაუსრულებელი ჭაბუკური ენერჯისა და ჩაუქრობელი პოეტური ცეცხლის გამო, რითაც ამ უცნაური კაცის ჭეშმარიტად რთული შინაგანი სამყაროა გამოთბარი. ამიტომაც მოგვანიჭა ასე დიდი სიხარული იმის გაგებამ, რომ ათეულ წლობით დველფწყაყრილმა ამ ცეცხლმა ისევ გამოანათა, და გამოანათა მთელი თავისი ელვარებით — კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი ლექსები კარგი საახალწლო ნობათია მისი მაღალი შემოქმედების თავგანისმცემელი მკითხველებისათვის.

მ ე რ ი ს

წუთისოფელი რასაც მოგვცემდა,
ჩვენ გავიყოფდით თანაბრად მუდამ,
სიხარულს, ნაღველს, ლამაზ ოცნებას,
შვილის სიყვარულს და თოვლის გუნდას.

სადმე ჭალაში გაგონილ „აუ“-ს,
მთვარეს, თხილის გულს, მოწამლულ ისრებს,
და როცა ჩემზე გეტყოდნენ აუგს,
მოიღვრებდი ამაყად კისერს.

ახლა მასწავლე, როგორ გავიყო
შენი ტკივილი და სნეულება!
როგორ გავიყო! შენი თვალები
რატომ არაფერს არ მეუბნება.

შენ არ გივლია არასდროს კენტად
და თუ გოლგოთა საწოლზე დაგცემს —
იმ ყაჩაღივით ვიქნები შენთან,
იესოს გვერდით ჯვარზე რომ აცვეს.





როცა მეგონა, რომ გზა დასრულდა
და მხოლოდ დამრჩა ერთი დაღმართი,
როცა დამარქვი ლანდი წარსულთა
და ყველაფერი უკვე წამართვი,

როცა ჩემი ხმა აღარ გწიოდა
და არ გაქონდა სიტყვას კაშკაში,
მტერს უკვე ჩემი არ ვშინოდა
ვით ცარიელი ძველი ქარქაშის,

სიყვარულს უკვე არ ვუმღეროდი
როგორც ოდესმე გელათის კართან,
უკვე არავის აღარ ველოდი
იმ ცელიანი უცნობის გარდა,

როცა მეგონა, გზა რომ დასრულდა
და ვერაფერმა ვეღარ დამსეტყვოს...
როცა არ მსურდა, მართლა არ მსურდა,
რამ შემახვედრა შენთან ასეთ დროს!

ახლა დავრბივარ სულელ ხბოსავით
და ჩუმად ვლოცავ ბედნიერ წამებს,
კიდევ შორს არის, კიდევ შორს არის
არგათენების ის ერთი ღამე.

რამ შემახვედრა! სიტყვა მერვეა
და ვატყობ, რითმას ვეღარ ვიპოვნი,
კვდები უშენოდ — დიდი საქმეა
ურითმოდ მოკვდეს ერთი სტრიქონი!

შენ დამიბრუნე საუნჯე ბევრი,
ცაცხვების ქუჩა, ჩქარი რიონი...
ბაგრატის მთაზე მეორე მერი
(პირველს უმღერდა გალაკტიონი).

შენ დამიბრუნე ძირი და ფესვი
და ჩემი ლექსი მუდამ გიწამებს,
ამოვა ზთვარე და ისევ მესმის
ვვამ რა უთხრა ადამს იმ ღამეს...

იქნებ ეს შენთვის მძიმე ტვირთია
და არაფერი დაგრჩა სათქმელი...
მაშინ ჩააქრე წინ რომ გინთია
უკანასკნელი ჩემი სანთელი.




გზა მიეცით, აგერ მოდის ჭალადიდის დედოფალი,
 ჩიხტიკოპის მაგიერად შუბლზე ადევს თეთრი ფხალი.
 ღარიბ ქოხში მოგიყვანეს, ღარიბული გელის ლხინი,
 სეფას ყანწი არ დაუვლის უღვაშივით დაგრეხილი.
 შენს ქორწილში არ გასცვეთენ ნიავივით მსუბუქ მესტებს,
 არ დაგახლის ტოლუმბაში ქარაგმებით სავსე ლექსებს.
 არ ატყდება თოფის სროლა, არ გატყდება ერთი თეფშიც,
 არ შეხვდები მზის ამოსვლას მაყრიონის სიმღერებში.

რიონის პირს მისდგომია შენი ქოხი წაფერდილი,
 იქ რა დადის ნალიასთან, კამეჩი თუ ღრუბლის ჩრდილი?
 მკვდრის მზეა და გვალვის მთვარე, ვერ იხარებს შენი ყანა,
 ყური უგდებ, როგორ უჭირს ხეებს კვირტის გამოტანა.
 ან აკვანში როგორ ბორგავს დახამული შენი ბავშვი,
 ასე ბორგავს აქ მარცვალი უნაყოფო ნიადაგში.

არა თაფლი და შარბათი, აქ ნაყოფში შხამი დგება,
 ვარდი ფუტკარს არ იზიდავს, ხეს ცეცხლი არ ეკიდება...
 წყალში ხნავდი, წყალში თესდი, წყალს მიჰქონდა შენი რთველი,
 სანამ ოდას გადახურავ, უკვე ლპება საძირკველი.
 და ჭაობში ჩაკარგულა ნახევარი შენი ტანის,
 თითქოს ქრისტეს ეჭიდება მოქანცული ამირანი.

ხან მთელი დღე დაზაფრული ეზო-ეზო დასდევს ბავშვებს,
 რა სიზმარი ნახა წუხელ, ცალი წარბი უთამაშებს!
 თავსაფრის ყურს მოიჩრდილებს და ჭიშკართან ჩუმად ოხრავს:
 „წითელწვერამ ჩაგვიარა, არ გათვალოს მაკე ძროხა!“
 ამღერდება გობ-საცერი და ხელახლა მესმის თითქოს,
 შუაკარში ნუ დაჯდები, მეველემ არ მოგვაკითხოს!
 ჭალადიდის დედოფალო, ღარიბ ქოხში მოგიყვანეს,
 რად სჭიროდა ქალის ცრემლი, განა წყალი აკლდა ყანებს...





პაპულ გურია

კუბე ლურჯად იყო განათებული. საწოლ თაროებსა და საზურგეებს თეთრი შალითა ჰქონდა გადაკრული. შესვლისთანავე სასიამოვნო სიმყუდროვე ვიგრძენი. ფანჯრიდან ხელმარცხნივ ისხდნენ ორნი და ჩუმად მათვლიერებდნენ.

მე სალამი ვთქვი, ჩემოდანი თავისუფალ თაროზე დავდგი და მალულად შევავლე თვალი ჩემს თანამგზავრებს. ვინ იცის, რა ხალხთან მოგიწევს ორი დღე-ღამე მგზავრობა.

პალტო ჩამოვიკიდე და გადამრთველს თითი დავაჭირე. კუბე თეთრად განათდა.

— აქ საცოლეს უფრო ადვილად იპოვი, ვიდრე პიჯაკის ჩამოსაკიდს, — დრო-

ულად გამაფრთხილა კეპიანმა მგზავრმა და ბებრულად გაიცინა.

სამთავემ გავიცინეთ და უცებ გავშინაურდით.

— საზიზლარი ვაგონია, — თქვჭ კეპიანმა.

— საზიზლარი, — დავეთანხმე.

— ძველი ვაგონია, ადამპაპის...

— მე მგონი, არც ისე ძველია. მე, მაგალითად...

— შენ მაგას ნუ ასწავლი, — შემაწყვეტინა შლაპიანმა, აქამდე ჩუმად რომ იჯდა, — ეგ ძველი რკინიგზელია, ვაგონში აქვს ჭიბი მიჭრილი.

— ოცდათვრამეტი წელი ვიმსახურე,

— წყენით თქვა კეპიანმა, — ოცდა-
თვრამეტი. სად არ ვყოფილვარ.

— გნებდებით, — ვთქვი მე, პიჯაკი
მოგკეცე და ბაღიან პატარა რკინის თა-
როზე ჩამოვდე.

— ახლა პენსიონერი ვარ, საპატიო
რკინიგზელი, — მან კეპი მოიხადა და
პატარა ბიჭივით გადაისვა ხელი თეთრ
ქაჩორზე.

მერე გულის ჯიბიდან ყავისფერი წიგ-
ნაკი ამოიღო და გამომიწოდა.

— ვასილ ნიკოლაიჩ ორენიკოვი, სა-
პატიო რკინიგზელი. ეს სურათი როდინ-
დელი გადაღებულია?

— ოცი წლის წინანდელი.

— სულ არ შეცვლილხარ! — გულ-
წრფელად ვუთხარი. სურათიდან ყო-
ჩაღად იმზირებოდა თეთრქაჩორა მოხუ-
ცი, ლავაშივით დაკიდული ლაწვებით.

— სულ არ შეცვლილხარო.

— ეეჰ, — ცხვირწინ ხელი ამიქნია
ვასილ ნიკოლაიჩ ორენიკოვმა, წიგნა-
კი გამომგლიჯა და ღრმად ჩაიჩურ-
ა პიჯაკის შიგნითა ჯიბეში.

— მე ძმისშვილი ვარ, — ნიშნისმო-
ყებით მითხრა შლაპიანმა, — თბილისში
ვაცილებ ძმასთან, ოღონდ მამაჩემთან
კი არა, მეორე ძმასთან... თქვენც თბი-
ლისში მიდიხარო?

— კი, თბილისში...

ჯერჯერობით თანამგზავრებს კარგი
პირი უჩანდათ, მაგრამ ერთი ხომ მო-
სასვლელი იყო... ათი წუთის წინ, ბა-
ქანზე რომ გამოვედი, დავინახე კაცი,
რომელსაც ნახერხით უხეიროდ დატე-
ნილ თოჯინასავით ეკეცებოდა მუხლები,
შლაპა ნიკაპამდე ჰქონდა ჩამოფხა-
ტული და ნარკოზმიღებულივით იყო გა-
ყუჩებული. ამხანაგი მონდომებით ექა-
ჩებოდა ჩვარივით დაკიდულ მკლავზე,
მაგრამ არაფერი გამოსდიოდა...

მე ვუყურებდი კაცს, რომელიც არ
გავდა კაცს და შიში მკლავდა: ხომ შეი-
ძლება იგი იყოს მგზავრი და აღმოჩნდეს
იმავე კუბეში, რომელშიც მე...

— საშინელი ვაგონია, ძველისძვე-
ლი. — რბილი კი ჰქვია! — საზეიმოდ გა-

მოაცხადა მოხუცმა, — ასე რომ მგონე-
ბოდა, კუპირებულს ვეიღებდი. ემს...
მხოლოდ ზამბარების გულისთვის ჰქვია
რბილი. კუპირებულში ლეიბს დაიგებ
და რბილი გახდება. იქნებ ახალგაზრდო-
ბა სხვა აზრისაა?

— სრული სიმართლეა, — ვთქვი მე,
— ხუთ წუთში გავალთ...

შლაპიანი შეშფოთდა, წამოდგა:

— ღვითი!...

— წადი, კოლკა, წადი!
კოლკამ ტუჩებში აკოცა მოხუცს. რომ
კოცნიდა, მე მიყურებდა. ჩემოდნიდან
ნივთების ამოლაგებას შევეუდექი.

— მშვიდობით! — მითხრა კოლკამ
და ხელი გამომიწოდა. იგი ორმოც
წელს მიღწეული კაცი იყო.

ხელი ჩამოვართვი:

— მშვიდობით!

— აგრონომია! — მითხრა მოხუცმა,
როცა მისი ძმისშვილი დაბლიდან მო-
ადგა ფანჯარას.

— თქვენ?

— მე საპატიო რკინიგზელი ვარ. წა-
დი, კოლკა!

კოლკა ბიძამის რაღაცას ანიშნებდა
და მე მიყურებდა. უნებლიეთ გამეცი-
ნა: ახალა მივხვდი, რომ მოხუცის
ძმისშვილი ელამი იყო.

— რა გაციენებს? — მომიბრუნდა მო-
ხუცი.

— ისე... — ვთქვი მე და გავწითლდი.


— ისე სულელები იცინიან, — გული
მოუვიდა მოხუცს, — წადი, ნიკოლაი!
ნიკოლაი ფინიასავით აწრიალდა. ბედ-
ზე მატარებელიც დაიძრა. ნიკოლაი
კარგახანს მოსდევდა ფანჯარას და შლა-
პას იქნევდა.

მატარებელი რომ დაიძრა, შვება ვიგ-
რძენი. წიგნები ამოვალაგე და საზურ-
გეს მივეყრდენი. თანამგზავრი თუ არ
გაგიმართლებს, წიგნი ხომ ნაღია.

— სწავლობ, თუ მუშაობ?

— მე შიშით ვუყურებდი, როგორ იხდი-

ლევან ჩანტლაძე
პავლე ბურბა



და მოხუცი მკვიდრად ნაკერ მიძიმე ფეხ-საცმელებს.

— ვმუშაობ...

მოხუცმა ფეხსაცმელებზე ზონრები მოაწესრიგა, კუთხეში ფრთხილად დააწყო და მსუბუქ ჩუსტებში შეუყარა ფეხები.

ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა: მოხუცი ახალდაბნაილივით სუფთა იყო.

— ვმუშაობ, — ხალისით გავიმეორე,

— ყურნალისტი ვარ...

მოხუცმა ეჭვით შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

კუბეში ორნი ვართ. ორი თარო ცარიელია. ახლა შეიძლება მშვიდად წამოწვე. თუ გინდა იკითხე, თუ გინდა — იძინე. ალბათ ხვალამდე ვერ გავიგებ, ვინ იქნება მესამე და მეოთხე მგზავრი.

— მოიწი აქეთ, რა გაჩვენო, — მოხუცმა შარვლის პატარა ჯიბიდან ძეწკვზე მობმული ძველებური საათი ამოათარია. ხუფზე ღვლარქნილი ხაზები იყო ამოტვიფრული, ალბათ, ვიღაცის ინიციალები.

— ნაჩუქარია? — ვკითხე.

მოხუცმა თავი გააქნია და პაწაწინა დილაკს თითი დააჭირა. ხუფი აიხადა. ჩვეულებრივი ჯიბის საათია, რომაული ციფრებით და ორი ისრით.

— უკრავს?

— მუსიკა თუ გინდა, რადიო ჩართე. დანა გაქვს?

ჯაყვა ამოვიღე და გავუწოდე.

— მოკიდე ხელი და უკანა ხუფი ახადე.

მე მოვკიდე ხელი და ავხადე.

— წაიკითხე.

„პაველ ბურე — მისი უდიდებულესობის კარის მესაათე“, — ეწერა საათის კორპუსზე. ძნელი იყო ალტაცების დაფარვა. მოხუცი ზეიმობდა.

— ღმერთივით მუშაობს. დილით მობართავ, დადებ და მეორე დილამდე წიკწიკებს. რომ იცოდე, ამან რა სამსახური გამიწია, რამდენი რევოლუცია და ომი გადავიტანეთ ერთად. მხოლოდ შარშანწინ გაუწყდა ზამბარა. ძლივს ვი-

პოვე ოსტატი და გავაკეთებინე. შენ კი უკრავსო? ეეჰ, ახალგაზრდობაც...

მოხუცმა მაგიდის ნათურის ქვეშ ფრთხილად დადო თავახილი საათი და კიდევ ერთხელ დახედა ისრებს:

— ათის ექვსი წუთია. ახლა პატარას წავიხემსებთ და ჰაიდა, ძილის ქვეყანაში.

მე წიგნი გადავშალე და კითხვა ვცადე. სტრიქონები მთვრალეებივით ბარბაცებდნენ.

— ფუ, ეს თუ ვაგონია... — მოხუცს დანა გაუვარდა ხელიდან. — აბა, შენ თვითონ მითხარი, აქ ცხოვრება შეიძლება? ასე რომ მგონებოდა, კუბირეზულს ავიღებდი. მაინც უფასო მაქვს ბილეთი...

— ფურგონივით ჯაყყაყებს, — ვთქვი მე, — კითხვა შეუძლებელია...

— სამაგიეროდ, პირის მოძებნა შეიძლება. დამეწვიე, ხომ ხედავ, რამდენი სანოვავით დამტვირთეს, ვასილ ნიკოლაიჩი შიმშილით რომ არ მოკვდეს...

— არა მშაია...

— მოხარული ქათამი არ გინდა? ყურძენი მაინც ჭამე...

— მადლობელი ვარ, არ მინდა...

ძნელია, ჩუმად იჯდე და უყურო როგორ ჭამს კაცი, ისიც ღრმად მოხუცებული.

ავდექი და ვაგონ-რესტორანში გავედი. ტყუილად ჯდომა მეუხერხულებოდა, ჩაი მოვითხოვე. მერე მეორეც დავლიე...

კუბეში რომ დავბრუნდი, მოხუცს პირდაღებულს ეძინა. თვალეებზე ხელისგული ჰქონდა დაფარებული, შუბლი პირსახოცით შეეხვია.

პაველ ბურე თერთმეტის ნახევარს უჩვენებდა და მხნედ ებრძოდა დროს...

მოხუცი ისე მშვიდად იწვა, რომ შევფიქრიანდი და ყური პირთან მივუტანე: ბავშვივით უხმოდ სუნთქავდა...

იმდენი იხმაურა, იფუსფუსა და ასე უჩუმრად ძინავს...

საოცრად უმწეო მომეჩვენა მოხუცი და მივხვდი, რატომ მოსდევდა დიდხანს ვაგონის ფანჯარას მისი ძმისშვილი.

კარები ჩაკვეტე, დაწევი და თავქვეშ ხელები ამოვიწყე.

გარკვევით ფიქრი ვერაფერზე შევძელი. ერთმანეთში აირია ის, რაც იყო ამ მგზავრობამდე და ის, რაც მის შემდეგ იქნებოდა... მერე წიგნი ავიღე და თავი ვაიძულე, წამეკითხა. ვაგონი განგებ მიშლიდა ხელს და ალბათ მესამე გვერდზე ჩამეძინა.

ზარის რეკვამ გამომაღვიძა.

ფანჯრიდან მზე შემოდიოდა და კუბეში ხალისიან შუქს აფრქვევდა.

პირდაპირი და თმადავარცხნილი ვასილ ნიკოლაიჩი ხმაურით ურევდა კოფებს ჩაით საესე ჭიქაში.

— ინებეთ გამოღვიძება, თქვენო უდიდებულესობავ, — მკაცრად მითხრა მოხუცმა, — აღრე შენისთანა ძილისგულებს ხელფასს არ ვაძლევდით.

მე გავუცინე და გადაბრუნება ვცადე. მოხუცი მხარში მომეჭიდა:

— რა ახალგაზრდობა გეყავს?! ჯერ იმაზე მიპასუხე, წუხელ სად დაიკარგე? სასეირნოდ წახვედი და მე აქ დამტოვე. საყვედური ბრძანებით!

ამ მოკლე მონოლოგის შემდეგ ძილი უსინდისობად მომეჩვენა და წამოვჯექი.

— სხვა დროს უფრო მკაცრი ზომები იქნება მიღებული, — გამაფრთხილა მოხუცმა და ჭიქა ჩემკენ გადმოდგა — შიმშილით სიკვდილი ძილშიც შეიძლება: ეს ჩაი შენი საკუთრებაა, ჩაი ლიმონით.

— რა დროს ჩაია, ვასილი ნიკოლაიჩ, ჯერ პირი არ დამიბანია.

— ახლავე მოგიბენინებთ პირსახანს, ბატონიშვილო, — დაფაცურდა მოხუცი და ყასიდად დაიხარა ჩუსტების მოსაძებნად.

მოხუცმა საბოლოოდ მომინადირა. უცებ გავმხიარულდი და საბანი გადავაგდე. მან ჩაის ხვრება შეწყვიტა და გაოცებით მომაჩერდა:

— უუურე შენ, რა მოკლე აცვია. მთელი ჩემი ახალგაზრდობა კოჭებამდე საცვლებში გავატარე. არა, ძამო, თქვენი ცხოვრება...

— რამდენი წლისა ხართ, ვასილი ნიკოლაიჩ? — კვითხე და პირსახოცი ავეცილე.

— რამდენის ვიქნები? — ქალიშვილივით შემომბრუნა კითხვა მოხუცმა.

— მმ... სამოცდახუთის... სამოცდაათის...

— სამოცდაცხრამეტის!

მოხუცმა ლაზათიანი ყლუბი გააკეთა და ფანჯარაში გაიხედა.

— გულახდილად თქვი, — მითხრა მოხუცმა, პირისბანას რომ მოვრჩი და კუბეში დავბრუნდი, — მასიამოვნე თუ...

— ვფიცავ! — საზეიმოდ ვთქვი მე და ორცხობილა ჩაიში ჩავალბე.

— შენ სამოცდაცხრამეტი ხუმრობა ნუ გგონია, — მოულოდნელად შემომიტია ვასილი ნიკოლაიჩმა — ოთხმოცს ერთი წელი აკლია. თუმცა შეიძლება სამუდამოდ ასე დავრჩე, იმ წელნაკლული. უკვე ჩამოწერილი ვარ, შეიძლება ერთ წელიწადში ჩავაბარო ანგარიში მამაზეციერს, შეიძლება რამდენიმე თვეში. ძმასთანაც იმიტომ მივემგზავრები.

მოხუცმა ეს თქვა ისე, როგორც იტყვიან: ორ-სამ თვეში შევბუღებას ავიღებ და ცოტას წავიმოგზაურებო.

ჩემი ღრმა რწმენით, კაცი გზაში გულწრფელია. ლაპარაკობს მხოლოდ იმაზე, რაც მას აინტერესებს, რაზეც ფიქრობს.

— რკინიგზაზე რას აკეთებდით?

— რას ვაკეთებდი? რას და მემანქანე ვიყავი ორთქლმავალზე. ისე კი არა, ახლა რომ ელმავალზე თეთრ პერანგში და ზინია ყელსახვევებში არიან გამოპრანქულები. ოფლით ვაზინთული ხალათი მეცვა და ბუხრის მწმენდავივით ვიყავი გამურული. ხელისგულებზე ისეთი სქელი კანი მქონდა, ტყვია რომ მომხვედროდა, არ გაატანდა.

— ხელისგულებზე რატომ?

— რატომ, რატომ! — გაცხარდა მოხუცი, — ნიჩბის ხმარებისაგან. როცა

ლევან ჩანტალიაძე
პამელ გური

ნაშუალამევს წვინტილიან თანაშემწეს ჩაეძინებოდა, მე თვითონ ვყრიდი ქვანახშირს ღუმელში... ერთი და ორი, ერთი და ორი...

მოსუცი წამოხტა და იქვე წარმოიშინა, როგორ ყრიდა ქვანახშირს ღუმელში. პიჯაკის სახელოები დაიკაპიწა, ოდნავ მოხრილი მკლავებით რიტმულად მოძრაობდა მარჯვნიდან მარცხნივ, მარჯვნიდან მარცხნივ. მერე უცებ დაწყნარდა და დაჯდა...

— ეჰ! რამდენი დოცლაპია თანაშემწე გავზარდე მემანქანედ და კაცი გავზადე. ვწვალობდი, ვასწავლიდი და ცოტა აზრზე რომ მოვიყვანდი, წაიყვანდნენ; ბოდიშს მომიხდიდნენ და წამართმევდნენ. მახსოვს, ვანია კრუგლოვმა თავი მოიკლა და არ წავიდა. ორთქლმავალს აძლევდნენ და არ წავიდა. მთელი სამოქალაქო ომის მანძილზე ერთად დავდიოდით. პატარა ბიჭი იყო, მაგრამ ყოჩაღი და დინჯი. ზოგიერთივეთ არალ-თარალე კი არ იყო. ერთხელ სორმოვოში გამოგვიძახეს...

ვასილი ნიკოლაიჩ ორეშნიკოვი თავის სტიქიაში იყო:

— სალამოს ჩავედით. კადიეკადან ქვანახშირი უნდა ჩამოზიდოთო, გვითხრეს. აგერ ორქლმავალი, თავის ვაგონ-პლატფორმებით, თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამო. ოთხმოცდამეჩვიდმეტე კილომეტრზე ძველი ხილია და ხუთი კილომეტრის სიჩქარით უნდა გაიაროთ. ფხიზლად იყავითო. მეგზურად ვის მაყოლებთ-მეთქი, ვკითხე. ვერვისო, — მიპასუხეს, როგორმე უმეგზუროდ გადით იოლად, ხომ იცით, რანაირ პირობებში გვიხდება მუშაობაო. ეე, ნურას უკაცრავად, უმეგზუროდ ბიჯსაც არ გადავდგამ-მეთქი. ამხანაგო, იყავით შეგნებულო, — მითხრეს. „ვარ შეგნებულო და სწორედ ამიტომ არ წავალ უმეგზუროდ ღამით. უცნობი ტრასაა, გზის პროფილზე შორეული წარმოდგენაც არა მაქვს, მერე ეშმაკმა იცის, სადაა ეგ ძველი ხილი“...

„ოთხმოცდამეჩვიდმეტე კილომეტრზე“...

„მერედა, ეგ ოთხმოცდამეჩვიდმეტე სადღაა?“ (მე შენ გეტყვი და, კილომეტრების აღმნიშვნელი ბოძები უკლებლივია ჩასმული თავ-თავის ადგილზე).

ერთი სიტყვით, სახედარივით ვავჯიუტდი. ბოლოს გამოხტა სადგურის ერთი ცხვირმოუხოცელი თანამშრომელი: მე წაყვები, კარგად ვიცი გზის პროფილიო. კარგად-მეთქი? — ჩავეკითხე.

„იცი, ხილი რა ადგილზეა?“

„როგორ არა!“

წავედით. ისეთი ღამეა, ვაშლი რომ ჩაკბირო, შეიძლება თითიც შეატანო. ახლა რა უჭირთ, ყოველ ნაბიჯზე ათასნაირი ნათურები და ნიშნებია. მაშინ თუ ტრასა ზეპირად არ იცოდი, ცუდ დღეში ჩავარდებოდი. ბრმა უფრო უხიფათოდ ივლის შუა ქალაქში, ვიდრე მემანქანე უცნობ პროფილზე...

ჰოდა, მივდივარ სამოცი კილომეტრის სიჩქარით. თავი გარეთ მაქვს გაყოფილი, მაგრამ რელსებისა და შპალეების პატარა მონაკვეთის გარდა, ვერაფერს ვხედავ. მეგზური ვანია კრუგლოვს ეღლაბუცება, ნიჩაბი უნდა წაართვას და თვითონ შეყაროს ქვანახშირი ღუმელში. ვანია არ ანებებს, თან უმტკიცებს, რომ ყველა ვერ შეძლებს წესბერად შეყაროს ქვანახშირი...

— თავი დაანებე ნიჩაბს-მეთქი, — გუყვირე, — ის გირჩევნია, გვერდში დამიდგე და მითხრა, ხილი როდის იქნება.

— ჯერ რა დროს ხილია... ახლა პატარა მოსახვევი იქნება, მერე გრძელი აღმართი, ის აღმართი რომ გათავდება, ხილიც მაშინ გამოჩნდება...

საათი ამოვიღე და დავხედე (სწორედ ეს, აგერ რომ დევს). მთელი საათია მივდივართ. გარშემო უკუწნეთია. მე რაღაც არასასიკეთოს ვგრძნობდი და მალე ვიძლეოდი გამაფრთხილებელ საყვირებს.

უცებ ვიგრძენი, რომ ორთქლმავალმა მკვეთრად მოუმატა სიჩქარეს: დაიწყო დაღმართი. ერთბაშად დამუხროუქება არ შეიძლება. ორთქლის მიწოდება საერთოდ შევწყვიტე, მაგრამ მაინც მთელი

სისწრაფით მივდიოდი. ვიღრე რაიმე ღონეს ვიხმარდი, უკვე ხიღზე მივრბინებდი. ხიღთან ჯიხურს რომ ჩავუქროლე, ყვირილით გამოვარდა თოფიანი გუშაგი და ერთი-ორი კიდეც მოგვაცოლს უკან. მივქროდი ხიღზე და ჭირის ოფლში ვიწურებოდი. გული ამოვარდნაზე მქონდა: მეჩვენებოდა, რომ ხიდი ზანზარებს და სადაცაა ჩაინგრევა. ჩაინგრევა და არკვევ მერე შენ, მემანქანე ვასილი ორეშნიკოვი იყო დამნაშავე, თუ ვიღაც ცხვირმოუხოცელი ლაწირაკი. ასეთ გრძელ ხიღზე ჩემს ცხოვრებაში არ გადამივიღია.

— გადავრჩიით!..

შუაზე უნდა ვაგლიჯო ეს შეცდომით გაჩენილი. მოვტრიალდი, საყელოში ეტაცე ხელი. სახეზე რომ შევხედე, ცოტათი გამინელდა სიბრაზე. ფერი მთლად დაკვარგოდა და შიმისაგან კანკალებდა. ვანია კრუგლოვი ხელებში მეცა:

— ვასილი ნიკოლაიჩ!

— ფუ, შენ კაცობას-მეთქი, — შევიგინე და ხელი გავუშვი. ორთქლმავალი თანდათან კარგავდა ინერციას. ბოლოს ერთი ამოიქმინა და გაჩერდა.

— ჩადი! — ვუბრძანე.

მეგზური უსიტყვოდ დამემორჩილა, კარებთან მივიდა, შემობრუნდა და ფეხი ჩადგა კიბეზე. გამიკვირდა: ერთი ამ ღლაპს უყურე, მართლა ჩადის!..

— ვასილი ნიკოლაიჩ!.. — შემევედრა ვანია კრუგლოვი.

— ვასილი ნიკოლაიჩ, ვასილი ნიკოლაიჩ... სხვა არაფერი იცი? ამოეთრე ხევით, შე ლაწირაკო! — ვიყვირე და ბერკეტს დავაწეკი. ორთქლმავალი ნელა დაიძრა. ახლა ორმოცზე მეტს ვეღარ გავხედავ.

მივდიოდი და გვერდზე ვახედვა არ მინდოდა. გული მტკიოდა: ადამიანები ნახევრადმშვივრები, ნახევრადმშვივლები იბრძოდნენ, შრომობდნენ, ახალ ცხოვრებას საძირკველს უყრიდნენ; საიდან გამოტყვრა ასეთი ნამუსგარეცხილი და ქარაფშუტა.

— რატომ მოგატყუათ? — ვკითხე მოხუცს.

— ეეჰ, — ხელი ჩაიქნია მოხუცმა, მერე გულიანად გაიცინა: — თავქარიანები ხართ ახალგაზრდები, სულ გულგონობით უნდა გირტყათ. კაცმა რბილ ადგილებზე... აუ! სადილობის დროც მოსულა. წამოდი, ვისადილოთ და მერე ვიამბობ, როგორ დავეჯახე სანიტარულ მატარებელს...

მოხუცი დიდხანს ჩაჰკირკიტებდა მენიუს, ბოლოს თითით მოიხმო ოფიციალტი:

— გოგონა, აბა ერთი მომიახლოვდი!

„გოგონა“, შუახანს გადაცილებული სათვალაიანი ქალი, მოგვიახლოვდა და ღიმილით დაადგა თავზე მოხუცს:

— რას მიირთმევთ, პაპაჩემო!

— ჰმ! პაპაჩემო. ერთი ბეწო მორიდება არა აქვთ. იცი, რას გეტყვი. მოხარშული ქათამი მომიტანე, სმეტანა მომიტანე, ხიზილალა... ლიმონათი... სალათა... ჰო, მოიტა, პირი ნუ დაგიღია.

ქალმა მხრები აიჩეჩა და წავიდა. ვასილი ნიკოლაიჩი საზურგეზე გადაწვა და კმაყოფილებით გაიცინა:

— გაუკვირდა, ამდენი რად უნდა ამ ბებერსო, ეეჰ! წნევა არ მქონდეს, მე ვიცი. ჭამაში ფული რატომ უნდა დავინანო. საბატოო რკინიგზელი ვარ, ასოცი მანეთი პენსია მაქვს, ბინა, ელექტრონი და გაზი უფასო. რაც მომიხდება, უნდა გჭამო. ვინ იცის, კიდეც რამდენ ხანს შევძლებ ყუბების ამოძრავებას: შეიძლება ერთ წელიწადს, შეიძლება რამდენიმე თვეს...

მე მოულოდნელად დავასკვენი, რომ ამ კაცს არ ჰქონდა აწმყო. მისი აწმყო ვიყავი მე, მასზე სამჯერ უფრო ახალგაზრდა; მისი ძმისშვილი, შლაპის ქნევით რომ მოსდევდა ვაგონის ფანჯარას. ამ კაცმა მოათავა თავისი საქმე და ახლა არსებობას აგრძელებს. მისი აწმყო არის ჩემი აწმყო.

მე უცებ მისგან დავალეხულად ვიგრძენი თავი და მივხვდი, რატომ იყო ცა-

ლი ფეხით სამარეში მდგარი მოხუცი
დღენიადავ მხიარული...

ჩვენ ვისადილეთ. მან ნასადილევს
მიამბო, როგორ დაეჯახა სორმოვოსკენ
მიმავალ ჩიხში ჩამდგარ სანიტარულ მა-
ტარებელს, როგორ უპირებდნენ დახვ-
რეტას და როგორ გამართლდა...

— Жизнь прожить—это не поле пе-
рейти! — თქვა ვასილი ნიკოლაიჩ ორე-
შნიკოვმა, საპატიო რკინიგზელმა.

მან ცხოვრება განვლო, მე კი წინ მი-
დევს. ყველაფერი ისე უბრალო მომეჩ-
ვენა, როგორც დაწყებული წიგნის დამ-
თავრება. მან კარგა ხანია უკანასკნელი

გვერდი ჩაიკითხა და წაკითხულზე ფიქ-
რობს, მე კი აწი ვაპირებ წაკითხვას.

კუბე იყო ლურჯი...

ზემო ორი თარო კვლავინდებურად
ცარიელი იყო და ამოდ ელოდა მესა-
მე და მეოთხე მგზავრს. მე გული დამწ-
ყდა, თითქოს ვიდაც უნდა მოსულიყო
და არ მოვიდა.

მოხუცს თვალეზე ზელისგული დაე-
ფარებინა და პირდაღებულს ბავშვივით
უხმოდ ეძინა.

ვაგონი საზიზღრად ჯაყჯაყებდა, მაგ-
რამ ვგრძნობდი, დროსთან ჭიდილში
როგორ აგრძელებდა არსებობას პაველ
ბურე — მისი უდიდებულესობის კარის
მესაათე.



ახალი ნიბნილან

გიხაროდეს „კაფე-თესე“, ხმები ჩიტთა მგალობელთა,
 გიხაროდეს!
 ცამ ლაჟვარდი ჩამობარდნა, მიწამ ოქრო ამობელტა!
 გიხაროდეს!
 გიხაროდეს—მზით შელესვა ნაბზარის და ნაფრესკალის,
 გიხაროდეს!
 გიხაროდეს, კამარებში კრთის ქართული ნაპერწკალი,
 გიხაროდეს!
 გიხაროდეს ოფლის წვეთი ხეზე კვირტად გამოსხმული,
 გიხაროდეს!
 ჭიანჭველას შშვიდი გარჯა და რაკეტა ჩქაროსნული,
 გიხაროდეს!
 გიხაროდეს საქმე შენი — ნაფუნჯარი, ნაყალმარი,
 გიხაროდეს!
 გიხაროდეს ქორწინება ამირანის და ყამარის,
 გიხაროდეს!
 გიხაროდეს—ფეხი შენი ბედნიერად დაიბწენი —
 გიხაროდეს!
 დაებედა ქართულ სიტყვას ვაზის ფესვი, ვაზის წვენი—
 გიხაროდეს!
 გიხაროდეს — დროშა შენი მწეობს ომის მეხამრიდად,
 გიხაროდეს, გიხაროდეს,
 გიხაროდეს, ჭეშმარიტად!

შენ ხარ ვენახი

შენ ხარ ვენახი,
 მზის ფსალმუნიდან
 და ლეგენდიდან ლერწმენაყარი,
 ბიბლიას ყავლი თუ გაუვიდა,
 შენ — ახალ რწმენას თავზე დაგხარით.

შენ ხარ ვენახი, შენ ხარ ნუგეში,
 ვაზის ვენახი და ქვის ვენახი.
 მადლი შენს ძირებს,
 სათოფურებში
 და სიმღერებში რომ შეგვენახე.

შენ ხარ ვენახი, მტრის დარბეული,
 წიგნის ვენახი და ხმლის ვენახი,
 მადლობა შენდა, შე კურთხეულო,
 ასე ჯანმრთელად რომ შეგვენახე.

შენ ხარ ვენახი, ამოხეთქილი
 ჩვენი სულიდან,
 ძვლიდან,
 ხორციდან,
 დაგბედებია ჟამი კეთილი,
 ქართული ჯიში რომ აღორძინდა.

ბედი შექმნილი ჩალისფერ დროშით
და ნინოს თმებით შეკრულ ვაზიდან
ხალხის მარჯვენამ ახლანდელ დროში
უფრო და უფრო მალდა აზიდა.

მხარში ვუდგევართ შენს ძლიერებას
საქმით,

ოცნებით
და სტრიქონებით...

რად გვინდა მეტი ბედნიერება —
შენ ხარ ვენახი,
ჩვენ — ჭიგოები....



ჩემო საყვარელო ადგილებო, ჩემო მოჭიხვინე რიონო,
როცა დავბერდები, — სიბერესთან უნდა შენებურად ვიომო,
შენა ხარ ბავშვური სიხარულის ჯერაც აუხსნელი იგავი,
შენთან ბედნიერი (უფრო მეტიც!) შენთან უდარდელი ვიყავი...
სიჭაბუკის ჭალა გაიჩეხა, დარჩა მხოლოდ და ნაფოტი,
ბავშვობის შიშო და სიხარულო, მუხის ფულუროდან გამოლი.

...ჭინკებმა გამტყვრალი მეწისქვილე დაიჭირეს და გაპარეს,
მისი წისქვილი და ყაბალახი ცხენებს გამოთაბეს ფაფარზე.

ნიკორა ბოსტნიდან მომაბღავლებს — ჩემი წარღვნამდელი ღვთაება
გუთანს ეწევა და მიბუღრაოას დევების წარნოთქმულ ტაეპად.
მისი გუშინდელი გუთნისდედა, მისი გუშინდელი მეხრე ვარ
და ჩემი ბავშვობის ბილიკები რქებზე ბაწარივით ეხვევა.
ქანაობს პატარა სამწყესური ნიკორას რქებზე და თხის კუდზე,
ალი ნაწნავებით აბრიალებს წყალში მოჭყუმალე ხის კუნძებს.
არღნიდან ჭირვეულ მაყარივით გადმოზარბაცდება სიმღერა,
გზაზე შემხვდება და გადამკოცნის, სიყვარული იცის იმხელა.
ადგილის დედაო, შემიფარე... მომე ბედნიერი სიბერე,
ამ მხარეს წყალობას ნუ მოაკლებ, ნურცა მშვიდობას და სიმღერებს.
ადგილის დედაო, დამიფარე, გული დამიყენე საგულეს,
შენი ჭირნახული მიწილადე, შენი მყუდროება მარგუნე.
ჩემო საყვარელო ადგილებო, ჩემო მოჭიხვინე რიონო,
როცა დავბერდები — სიბერესთან უნდა შენებურად ვიომო...

გ ა მ ე ლ უ კ ე ბ ი

ავიღებ მეგრულ შეცხადებას
და ანძის ჭრიალს...

ბორკილის ჩხარუნს,
ყრუ ბაიათს
და ბაზრის ყაყანს...

ბოროლა ბიჭთან დავაყენებ საჭურისს ჩიას,
დაეხატავ ოქროსბეჭდებიან ჩალმიან აღას;
ავიღებ ისარს, ცხენთა თქარუნს, ხმლების კაფიას
და ასე დავწერ მამელუკთა ბიოგრაფიას.

სროლა... ჯირითი... მშვილდისარი, ცხენი და ხმალი
არის მიზანი და იმედი დღეის და ხვალის!



მათ ჯიშისანი არაბული ბედაურივით
გახედნეს თითონ არაბეთის მზე.
სიკვდილი იყო ბედაური დაუურველი,
შიფათი იყო მარად ბედის მძლე.

ცხენზე შემჯდარი იმპერია ტორავს აზიას,
ჟამი ფლოქვებით იჯგენება,
ხმლით იკვეთება,
დიდების დროშებს მამელუკთა სისხლი აცხია
და მოხრჩოლავენ ყვაე-ყორნები და ლეგენდები...

აჰა, გრიგალი მოგვლაობს ცხენზე შემჯდარი,
სამეფოები ეცემიან,

უკან იხევენ...

შორს კი პატარა საქართველოს აკლია ჯარი
და მტერი არბევს ქართულ ციხეებს...

მათი ცხენების ძუა-ფაფარს, უნაგირს, აღვირს,
მათ ფიქრებს,
ხსოვნას,
მოგონებებს ცხენივით დაღლილთ,
ისე ეკიდათ „იავნანის“ ნაფლეთები,
ცხელი სიზმრები,
როგორც ბრძოლიდან გამოსულებს ბლუჯა ისრების.

და მიჰქრის ჟამი სიკვდილივით დაუურველი,
ქვიშაში ყრია ლეგენდები და სულს ლაფავენ,
მზე კი ტორებს სცემს არაბული ბედაურივით
მამელუკების დაუტირალ უცხო საფლავებს...

ა კ რ ი ლ ი

ცურის კერტივით დამსკდარა კვირტი,
შევხარი ვაშლის და ბიის ბრიალს.
აპრილი ცელქი ხბოსავით მიხტის
და ჭალა მიაქვს სულ რია-რია.

მაძალეებს ბელტი მზით მოთესილი
ირმის ცურივით გაჭეჟილ სიტყვას
და გაზაფხულის ფიცხი ლექსივით
ალქაჯი წვიმა სახეში მირტყამს.

ატმის ხეებო, ეს რა ბოლია
ან რა ფერების ჭრელი იგავი?!
ყველას ჭკვიანი კაცი ვგონივარ
და, ალქაჯებო, ეს რა მიყავით!

მთაზე ციხეა — წარსულის კლიტე,
ლეგენდისა და აწმყოს ნაპირი,
ძირს კი კერტივით დახეთქილ კვირტებს
ხბოსავით ვლექავთ მე და აპრილი.



გარბის აპრილი — თეთრი ბოროლა
და საბელივით მიმათრევს გზებზე,
ფეხდაფეხ მომდევს ფოთლის ჩოჩქოლი,
მეხის ხარხარი და „კაფე-თესე“.

ხარად იქცევა ანუ სექტემბრად
რქებდაყურსული ვაზის ლერწებით.
მაგრამ ქალაქში ხარს ვინ შეუშვებს,
ვინ მისცემს საწყალს ჩალას და მარილს?

მისდევ ბოროლას — ამ თეთრფერდებას
და თბილისამდე თუ დავეწვიე,—

და ძილს დაუფრთხობს თბილისის ქუჩებს
ქალაქგარედან ბღავილი ხარის.



ის დაიბადა მკვდარი ჩიტიდან
და გაიფოთლა მგალობელ ლერწმად,
მასში სიცოცხლე ამოზიბინდა
და ცა და მიწამ მოასწრო შერწყმა.

თითქო ლერწამი წარსულს იხსენებს, —
როცა ქარია ჩიტივით უსტვენს
და ჩიტუნებიც შიშით უსმენენ
რალაც მშობლიურს და გამოუთქმელს...



კაცი თავისთავს რომ ვერ პოულობს,
ასე მგონია, სხვის ადგილს იჭერს.
მოგვიანებით ანდა დროულად
ჩვენს შორის იწვევს ღიმილს და იჭვებს.
ის ეთვისება თამაშს და ნიღაბს,
ათას სიყალბეს, ათას სიჭრელეს,
დააბრალებენ რაღაცას იღბლად

და სხვა რა გზა აქვს, ისიც იჯერებს.
სხვის ხვედრს იჩემებს,
სხვის მოწოდებას,
სინდისისა და ტანჯვის გარეშე
და რომ მოკვდება, ღმერთო შეგცოდე,
მგონია, წვება სხვის სამარეში...

ბ ა ბ უ ა

შეგხვდი და გული გადამიქანდა,
ნუთუ შენა ხარ? საიდან... როგორ!..
ამ ტყეში მუხად რამ მოგიყვანა,
ბოროლას ეძებ თუ ქამა-სოკოს?

მათ ნება-სურვილს ემორჩილები,
ხან მზეს უჩრდილებ, ხან ბუდეს ურწევ.

და როგორც ერთ დროს შვილიშვილები
ასლა ჩიტები შეგისვამს ზურგზე,

ბაბუ, ჩიტებში რატომ გავცვალე,
ტყეში რა გზით და როგორ მოხვედი.
ნუთუ ტყე არი შენი საძვალე —
მუხადქცეული, სულო კოლხეთის...

უნაპირობა

„ნუ დაიღლები, შვილო, ოღონდაც...“ —
ამბობ დედური შიშით და თრთოლვით —
ჩვენს შორის მოხტის ჩვენი გოგონა,
როგორც ბინული ნაპირებს შორის.

ჩვენც ბინულები ვიყავით ერთ დროს,
როცა გვიდუღდა ტანში აპრილი...
შენ გამიზარდე ეს გოგო, ღმერთო,
აღირსე, ისიც გასდეს ნაპირი.

მაფშალია მომკვდარა.. მგალობელი მაფშალია...
ცხრავე მუზა ტირის, ანგელოსი გამშრალია.
მარტო ერთი ჯაბნიდა ბულბულების ქორსო,
მე კი მასთან სულ უბრალო შაში ვიყავე მხოლოდ.
მაგონდება თუკი რამე ვაწყენინე როსმე,
მაგრამ გულით რომ მიყვარდა, თითონ ცაა მოწმე.
მე ვარ მისი ერთადერთი და უღირსი მეგობარი—
ვაი, მე ვარ დამნაშავე, ვაი, იგი მე მოკვალი.
მაფშალია მომკვდარა... მგალობელი მაფშალია...
ცხრავე მუზა ტირის, ანგელოსი გამშრალია.

რა ჯიშია, რა ჯური, რა მოდგმაა კაცთა,
ცა და მიწას ედება პოეტების კასტა.
გული უფართქალებთ, როგორც საშოშივე,
გაზაფხულებს გრძნობენ უკვე საშოშივე.
კალენდრიდან სწყვეტენ, როგორც სათბურში,
შეთვალბულ თარიღებს — წითლად გაფურჩქნილთ
ლექსია თუ ქუდი
უჩინაჩინის?!

რაც უტულოდ უთქვამთ,
ქრება მაშინვე.
საკუთარი ლექსი
აუჩინარებთ
და ერთვიან ლეთის
წყალს და ჩრდილნარებს.
შენ კი სიღრმე ეძიე, სულო მართალო,
სიმაღლეებს არ აპყვე სურო-ფათალოდ;
თითონ იყავე სიმაღლე, არა—სამარე
და ნამუსის ქუდივით ლექსი ატარე!
სიტყვას ბანქოს ქალღღივით ნუ დაარბიებ,
ღირსეულად უმღერე წმიდა თარიღებს.
...თაროებზე ყვინთავენ მტვერით გაფუყულები
მგალობელი წიგნები — ბულბულის ფიტულები.
განა პოეზია არის ეკლის გვირგვინი,
ოლიმპოს წილ გოლგოთა, დიდების წილ — ქირქილი?

წყნეთელები გაზაფხულს კონა-კონად ჰყიდიან,
მკერდზე იბნევენ სიხარულს ბავშვია თუ დიდიან.
მათ კი გაზაფხულები აიკიდეს სურჯინად,
ხელში ყვავილებივით თარიღები უჭირავთ...

ღმერთო, შენ დაიფარე სნეულება კაცთა —
მოხალისე მგოსნები — წამებულთა კასტა...



იკლანდელი ლედი

მწერალი როდამ ჩაჩანიძე სამი წელი იმყოფებოდა თევზსაჭერ ტრავლურ „შოთა რუსთაველსა“ და „მცხეთაზე“ კაბიტნის პირველ თანაშემწედ. მოიარა სამხრეთ ამერიკის, აფრიკის და ევროპის ქვეყნები. ვებუდავთ ორ მოთხრობას მისი ახალი წიგნიდან „ირლანდიელი ლედი“.

ლა ლუსის პლაჟის პატარა ბარში ვისხედით. შუაგული შემოდგომა იყო, მაგრამ მაინც ცხელოდა. ბარის ფართო ფანჯრებიდან ჩანდა პლაჟის ფერადი ქოლგები, ქოლგებს შორის ცხელ სილაზე დაყრილი მოთენთილი ადამიანები. უფრო იქით—გრან კანარიას კლდოვანი სანაპირო, რომელსაც ატლანტის ოკეანის ტალღები ზათქით ასკდებოდნენ.

ფრანცისკო სუფთა ესპანურითა და საყველბურო ფრანგულით რაღაც გაუთავებელ ამბავს ყვებოდა. მე მხოლოდ მივჩერებოდი. ისე კი, ფიქრებით სულ სხვაგან ვიყავი.

ჩვენ ყინულზე დაყენებულ „ნეგრიტას“ ვწრუპავდით და ცივ ხის ნესეს ვაყოლებდით. „ნეგრიტა“ ყინულს შეერბილებინა და ყელს აღარ მწვავდა.

ბარში ვიღაც ლამაზი ქალიშვილი შე-

მოვიდა. ფრანცისკომ ლაყბობა შეწყვიტა და თვალი ჩამიკრა. ქალიშვილმა შეგვაძინა და თვითონაც ჩაგვიკრა თვალი. სამთავეს გაგვეცინა.

ფრანცისკომ ტუჩები ყურთან მომიტანა.

— საღამოთი გამოვივლი, სასტუმრო „სანტა კატალინაში“ წავიდეთ. სარიტა იმღერებს.

მე თავი დავუქნიე.

— როგორ მღერის, პირდაპირ ურუხანტელი დაგივლის. ახლა მთლად დაანება თავი ესტრადას. მადრიდში მთელი სასახლე აქვს. შემოდგომასა და ზამთარს ყოველთვის კანარის კუნძულებზე ატარებს.

— ხომ არ წავიდეთ? — ვთქვი მე და ჭიქა გამოვცალე.

— როგორც გინდათ, — ფრანცისკომ ჭიქა დაცალა და მრგვალ მაგიდაზე დადგა. მე რე ანგარიში გავასწორეთ, ლამაზმა გოგომ სულ ბოლოს რომ შემოვიდა, თვალი გამოგვაყოლა, მაგრამ ჩვენ ზედაც აღარ შეგვიხედავს. მისი ბრაღია, რას მოგვაჩერდა ასე აშკარად.

გარეთ „შევრალეტი“ გველოდებოდა. საჭესთან მე დავუქეცი. მანქანა სენტ-ეტიენის ქუჩისაკენ გავაქროლე.

ბაზრის ქუჩასა და სენტ-ეტიენის კუთხეში ფრანცისკო სანტანა რივერას შიშვანდღერი აქვს გახსნილი. აქ ადრე დილიდან ათასნაირი რეკლამით აჭრელებულ მანქანებს უამრავი პროდუქტი მოაქვთ. ყველა ეს პროდუქტი ფრანცისკოს მარიფათით თავის მისამართს ლას პალმასის პორტში შემოსულ გემებზე პოულობს.

ფრანცისკომ ამ რამდენიმე წლის წინათ სახელი, მამის სახელი და გვარი შეაერთა და ფსევდონიმად ფრანსარი დაირქვა. ამ უცნაური ფსევდონიმის გამო ზოგს ფრანგი ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში ნამდვილი ესპანელი-კანარელი გახლავთ. საშუალო სიმაღლის ჩამრგვალებული კაცია, ლოყები ბალიშებივით ჰკიდია. სახეზე სულ ერთთავად ღიმილი აქვს აკრული.

ბაზრის ქუჩის კუთხეში, სწორედ ფრანცისკოს სახლის პირდაპირ, უკუგვიწვიან ნირების პატარა მაღაზია. ვიტრინებში გამოფენილია ათასნაირი ზომისა და ჯიშის მაიმუნების და ნიანგების, მახრჩობელა გველების ფიტულები, სომბრეროები, თასები, კორიდიდან წამოღებული ხარის რქები და კიდევ ათი ათასი სისულელე, რომლისთვისაც მოცლილ კაცს სუვენირები უწოდებია.

აქ ერთი ლამაზი ირლანდიელი ლედი ვაჭრობს. ჯენს ეძახიან. მღალა, გამხდარი ქალია, დიდრონი, ზღვისფერი თვალები და ვანიერი ირლანდიური ტუჩები აქვს. როცა ამ ტუჩებზე ღიმილი გაექცევა ხოლმე, პირდაპირ მოგზიბლავს. მე იქ არასოდეს არ მივაჭრია. ისე, მაღაზიაში შესვლა კი მიყვარს. გულწრფელად რომ ვითხრათ, მხოლოდ და მხოლოდ ირლანდიელი ლედის ხატით.

— რას ინებებთ, სენიორ? — მესმის ლამაზი ლედის ძალიან ცივი, საქმიანი ხმა და არ მინდა დავიჯერო, რომ ეს შშრალი სიტყვები მისი მომხიბლავი ყელიდან ამოდის.

— ამაზონური ნიანგის ფიტული მინდოდა. რამდენი ხანია დავეძებ.

— თქვენ ერკვევით ნიანგების ჯიშში?

— სამი წელია, ტროპიკებში ვცხოვრობ.

— ამაზონური არა გვაქვს, სულ კონგოსია.

— იქნებ მახრჩობელა მაინც გქონდეთ?

— ისიც კონგოსია და, საერთოდ, აქ რაც ჯიშისა და უჯიშო ცხოველია, ყველა აფრიკიდან გვაქვს მიღებული.

— თქვენ ხართ მხოლოდ ირლანდიელი.

— დიახ, ასეა, სენიორ.

ვიტარასავით გამოყვანილი წვრილი წელის რხევით მიდის და ნიანგებთან ჩერდება. კიდევ კარგი, რომ ეს ნიანგე-

როლანო ჩაჩანიძე
მ ო თ ხ რ ო ბ ა ე ი

ბი მხოლოდ ფიტულებია, თორემ უეკველად მთელ ხროვას მომასევდა.

— ნახვამდის, — ეუბნები — ისე, თუ ჩავივარდეთ, შემიწახეთ, ძალიან დამავალბთ.

— გასაგებია, სენიორ.

ფრანცისკო შიპშანდლერში მივიყვანე.

— მანქანა წაიყვანეთ, ჩემს ნავთან დააყენეთ, საღამოთი დამჭირდება.

ფრანცისკო ჩადის და „შევრალეტის“ კარი უხმაუროდ იხურება.

ირლანდიელი ლედის მალაზიში არავინაა, თვითონაც გარეთ გამოსულა და კართან დგას.

მანქანა შევაჩერე.

— სენიორა, იქნებ მითხრათ, ამაზონური ნიანგისა არაფერი ისმის?

ცივად შემომხედა.

— არა, სენიორ, ჯერ არ მიგვიღია.

— ძალიან კი მინდოდა და...

პედალს ავუშვი და ნელა გავიარე. მან ცოტაზე გამომაყოლა თვალი.

— იქნებ არ დაგზარებოდით და თვითონვე წასულიყავით ბრაზილიაში.

არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ ხელი დავუქნიე.

საღამოთი მე და ფრანცისკო „სანტა კატალინას“ ოცდამეორე სართულის ვერანდაზე ვიჯექით. კუთხის მაგიდა ავირჩიეთ — მე ისე მოვთავსდი, რომ ოკეანის მოქცევისათვის მედევნებინა თვალი. ძალიან მიყვარს ეს სურათი, მეტადრე საღამოთი. ნელა იხევდნენ აქორილი ტალღები, დინჯად გადიოდნენ სანტა კატალინას ყურედან და ჩამავალი მზის შუქზე ოქროსფერი ქალწულებივით კვდებოდნენ. მათ უკან ერთმანეთის მიყოლებით სილის ფართო პირამიდები იბადებოდნენ.

ძალიან ლამაზი სურათი იყო და მე სულ სანტა კატალინას ყურეს გავყურებდი. როცა მზე მთლად ჩაიძირა ოკეანის იქით, ტალღებიც გაქრნენ, დარჩა მხოლოდ შავი, მოწყენილი ფონი.

— უსასრულობა, — თქვა ფრანცისკომ და მე შემომხედა.

— დიახ, სადაც სივრცია, იქ უსასრულობაა.

ფილოსოფიისათვის არც ერთს არ გვეცალა და ჩვენი საუბარი სივრცის შესახებ ამით დამთავრდა. სანამ აყლაცულა ოფიციანტს ფრანცისკო მეტად გულუხვ შეაკვეთას აძლევდა, „ფილიპ-მორისი“ გავაბოლე. ბოლო დროს მაგარ თამბაქოს ვერიდები, ენის კანის გაღიზიანება მაქვს. ექიმები ხან რას მეუბნებიან და ხან კიდევ რას. მე კი ტროპიკებში ხანგრძლივ ცხოვრებას ვაბრალე. ასეა თუ ისე, ენის კანი მაქვს გაღიზიანებული და ბოლო დროს რბილ თამბაქოს ვარჩევ. ადრე კი ძალიან მაგარი თამბაქო მიყვარდა.

— დღეს კოლუმბის მუზეუმში ვიყავი, — ვთქვი. ისე ვთქვი, თორემ კარგად ვიცი ფრანცისკოს კოლუმბი და მაგელანი ისე აინტერესებს, როგორც მე ის, თუ რას მიერთმევეს სადილად ლას პალმასის კარდინალი ან მისი ძმისწული.

— ჰო! — თქვა ფრანცისკომ იმ სახით, თითქოსდა საუბარი კონგოს ნიანგების ფიტულებს შეეხებოდა, ლამაზი ირლანდიელი ლედი რომ ჰყიდის მისი სახლის წინ, ბაზრისა და სენტ-ეტიენის ქუჩების შესაყარზე.

— ხვალ მინდა სანტა მარიას ეკლესია დავათვალიერო.

ფრანცისკო კარგად არც კი მიგდებდა ყურს. რადგან ეკლესია ვახსენე, იფიქრა, ლოცვას ვაპირებდი, სერიოზულად შემომხედა.

— სანთლის ანთება არ დაგავიწყდეთ. მე ლოცვისათვის ვერ ვიცლი, კომერცია დიდ დროს მართმევს, ჩემი ცოლი კვირაში ერთხელ მიდის სანტა მარიას ეკლესიაში და ხუთასი პესიტოს სანთელს ანთებს. ის დალოცვილი ღმერთი თუ დიდი ღორმუცელა არ ბრძანდება, მგონი უნდა დაგვჯერდეს, ხუთასი პესიტო არც ისე ცოტაა.

— ადამიანებისათვის ბევრია. ღმერთისათვის კი ალბათ ცოტაა.

— მაშინ იმ კვირიდან ორმოცდაათი პესიტოთი გავზრდი. გაზეთშიაც გამოვატყავდი ამას.

ღმერთებზე ლაპარაკი ამით დავამთავრეთ. ფრანცისკომ „ქამელი“ ვააბოლა და არომატიან კვამლში თვალები სიამოვნებისაგან მოწყურა.

— კარგია, რომ „სანტა კატალინაში“ მოვედით, „ოტელ პალმასში“ ახლა ალბათ სიცხისაგან იხრუკებიან, — ვთქვი მე.

— ჰო, იქ შესვლა მეზარება. მერე ის დედაკაცები რას გვანან, მომღერლები კი არა, ღმერთმანი, კორიდაზე გამოსყვანი ხარები არიან. რქები აკლიათ, მხოლოდ რქები. სამაგიეროდ, რქები მათ ქმრებს ადგიათ. რას იტყვი, ასე არაა?

მე ლასპალმასელი ქალების შეურაცხყოფას მოვერიდე და თავი ორჭოფულად გავიქინე.

— ნამდვილად ასეა, სენიორ რაულ, მე „ოტელპალმასელი“ კახბებს კარგად ვიცნობ. ღამით პორტშიაც კი დაეხეტებიან, რა არის ვინმე არიფი მეზღვაური გამოიჭირონ.

— საერთოდ, ლასპალმასელი ქალიშვილები მომწონს, თავდაპირველად არიან, — ვთქვი მე.

— ეს გარეგნულად, სენიორ, ხომ ნახეთ, პლაჟზე ყველა მათგანს ჯვარი ჰკიდია მკერდზე. ისე კი, ისე, მკერდქვეშ რამდენ ჭუჭყს ატარებენ, ვინ იცის, თუმცა სამხრეთ ამერიკელებთან შედარებით მაინც ანგელოზები არიან.

— ჰო, მეც სწორედ მაგის თქმა მინდოდა. სამხრეთ ამერიკაში ხომ საშინელებაა, ბარში თუ სადმე შეხვედი, მორჩა, გოგონები ჯგროდ მოვედებიან.

— დიდხანს იყავით იქ?

— შვიდი თვე.

— მე გავლით მოვხვდი მონტევიდეოში და, სიმართლე გითხრათ, არ მინანია.

— დროს გატარება შეიძლება, მაგრამ ბუენოს აირესი სჯობია.

— ბუენოს აირესში კი არ ვყოფილვარ, რამდენჯერმე დავაპირე და... ეს ჩემი კომერცია არსად მიშვებს, ალბათ

ამ ლას პალმასში ჩავლპები, — ნაღვლიანად თქვა ფრანცისკომ.

ერთბაშად ჩემს უკან სკამები განმავრდა. მივხვდი, ვილაკეები დასხდნენ. ვინ იყვნენ ის ვილაკეები, რაში მაინტერესებდა, ვაბოლებდი და ჩემთვის ვიყავი, მაგრამ ერთბაშად რაღაც უხიაგი აზრი ამეკვიტა, უკან მიხედვა და ახალმოსულების დანახვა მომინდა. ამ ცოტუნებას ადვილად ვძლიე, ალბათ ჩვენი აყლყულა ოფიცინატიც დამეხმარა, რომელიც უკვე ალაგებდა მაგიდაზე მაღისაღმძვრელ საქმელებს.

— ერთ საათში სარიტა მოვა, — მითხრა საქმიანად ფრანცისკომ.

— ჰო, ერთ საათში მოვა ალბათ.

ფრანცისკომ შოტლანდიური ვისკი ტიქებში ჩაასხა, სხვა ტიქები სოდიანი წყლით შეავსო.

წრუხვას შევუდექით, მოვწრუხავდით ვისკს და მაშინვე სოდიან წყალს ვაყოლებდით. ცოტათი გავერთეთ და ის სურვილი ისევ თავის უხილავ სოროში შეძგრა. ცოტა ხანს სული მომათქმევიანა და შემდეგ ისევ გამოძგრა.

მთელი ქიმიტ შეგბრუნდი. მაგიდასთან ლამაზი ირლანდიელი ლედი დავინახე, მის გვერდით კიდევ ვიღაც სუფთად გაპარსული სენიორი იჯდა. ორივენი საღდაც, შორს იყურებოდნენ, ისე იყურებოდნენ, თითქოს სხვებს ვერავის ამჩნევდნენ.

სიმართლე რომ ვთქვა, კარგი წყვილი იყო, ერთმანეთს ძალიან უხდებოდნენ. თვალი ვერ მოვაშორე ამ წყვილს და ამიტომ ფრანცისკომ რომ რაღაც მითხრა, ვერ გავიგე. მაგიდის კუთხეში გადავჯექი და ლამაზ ლედის დავაკვირდი.

კონტად შეკერილი შავი კაბა ეცვა, ძალიან კი უხდებოდა. მწყობარში ჩამდგარი ჯარისკაცით გამართული იჯდა. არა მგონია, სხვა ვისმეს მოხდენოდეს ასე ჯდომა. ამ ლედის კი უხდებოდა, ყველაფერი ძალიან ბუნებრივი იყო. მაღალ ყელზე ძვირფასი ყელსაბამი ეკი-

როლანო ჩაჩანიძე
მ (0 7 8 6 0 2 6 2 0)

და. თავი ძალიან ღირსეულად ეჭირა და მომეჩვენა, თითქოს მისი ზღვისფერი თვალებიდან ცოტა დაცინვაც გამო-სწვიოდა.

როცა მდგომარეობას ვიცვლიდი, სკამი ცოტათი გავახმაურე და ირლანდიელმა ლედიმ ცივად გადმომხედა. ფრანცისკომ აგდებული სალაში მისცა. ლედიმ კი ძალზე ღირსეულად დაუჭრა თავი.

— ახლა მთელ საღამოს ჩავვაშხამებს, — თქვა უკმაყოფილოდ ფრანცისკომ.

— ვინ?

— ვინა და ლედი ჯეინი. თუ ფხიზლად დარჩა, ხომ კარგი, თუ არადა, სულ ააქოთებს აქაურობას.

რასაკვირველია, ირლანდიელ ლედის მსგავსი ვერაფერი შევატყვევ და ფრანცისკოს სიტყვებისათვის მნიშვნელობა არ მიმიცია.

ფრანცისკო კი ვერ ისვენებდა.

— ნამდვილი ყაჩაღია. გადასარევი ქმარი ჰყავდა. ნადირობა უყვარდა იმ უბედურს, ხან კენიაში იყო, ხან ამაზონზე, ხანაც კიდევ კონგოში. თვითონ იქ იკლავდა ჟინს, ცოლი კიდევ აქ. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ნიანგებმა შეჰამეს. არა, ძალიან სასაცილო კი არის, კაცი გერქვას, ნამდვილი კაცი და ნიანგს კი შეაუშვეინო თავი: თანაც ისე, რომ შენს ცოლს სახსოვრად საცვლის ნაგლეჯიც არ დაუტოვო: ღმერთო, პირდაპირ საოცარია, აბა რა?

მერე იცი, რა ქნა ამ ყაჩაღმა? დაკეტა თავისი მაღაზია და ნიანგებზე სანადიროდ თვითონ წავიდა. თითქმის ორი წელიწადი ხოცავდა იმ ქოჯოებს. ვინ იცის, ბევრი ალბათ ისეთიც მოჰკლა, მისი ქმარი რომ თვალითაც არ ენახა. სასაცილოა არა, ქმარმა ნიანგებს შეაუშვეინოს თავი, ცოლმა კი მთელი სანიანგეთის გაუღებტა გადაწყვიტოს? ასეთი ხუმტური მხოლოდ მეოცე საუკუნეში შეიძლება მოუვიდეს კაცს თავში.

ჩვენ კიდევ შევსვით, მერე ცოტა შევისვენეთ. ის ირლანდიელი ლედი და მისი კავალერიც სვამდა. ფრანცისკოს ეს აშკარად არ მოსწონდა.

სარიტა ისე მოვიდა, რომ არც კი გავიგია.

ყველა ნათურა ჩააქრეს. მერე უკონტროლო აინთო და მისი შუქი ესტრადას მიწვდა. ესტრადაზე წითელ კოსტუმებში გამოწყობილი დამკვრელები ისხდნენ.

ჯერ გიტარამ დაიწყო, კლარნეტები, ვიოლინოები, საქსაფონებიც აყენენ. სარიტა ისე შემოიჭრა სცენაზე, თითქოს ციდან ჩამოეშვაო.

საშუალო სიმაღლის, ოდნავ ძვალმსხვილი ქალი იყო. სახე ეშხიანი ჰქონდა. ტანი კიდევ უკეთესი. წითელი ნაქსოვი კაბა ეცვა. ღრმა დეკოლტანი, წინ ფართოდ გახსნილი. ხანდახან კაბა გვერდზე მიფრიალებდა და მამინ ჩანდა სარიტას ლამაზი, თეთრი წვივები.

იგი უმღერდა ლამაზ სიყვარულს, სიჭაბუქეს. მომხიბლავად მღეროდა სარიტა.

ფრანცისკოს სულ დაავიწყდა ყველაფერი, რასაკვირველია, ლამაზი ირლანდიელი ლედიც დაავიწყდა. „ქამელს“ მაგრად ეწეოდა და თვალებში უსაზღვრო აღტაცება ჩახატოდა.

სარიტამ შემდეგ „ო, ესპანეთო“ იმღერა. ეს სიმღერა ძალიან უყვართ კანარიელებს. საოცარი კია, როცა ეროვნებას ეკითხები არაფრის დიდებით არ გეტყვიან ესპანელი ვარო, ხაზს უსვამენ თავიანთ კანარიელობას, ამ სიმღერაზე კი პირდაპირ სულს ლევენ.

მუსიკამ ახალი ჰანგი დაიწყო.

— ახლა „ჩემო ბასკონიას“ იმღერებს. როცა სარიტა ამ სიმღერას მღერის, მასში თითქოს ბასკური სისხლი იღვიძებს, — თქვა ფრანცისკომ.

სარიტა ცოტათი წინ წამოვიდა, ახლა კარგად ვხედავდი მის აღზნებულ სახეს და ირლანდიელი ლედი სულ გადაამავიწყდა.

ჩემო ბასკეთო, შენ ყველას
სჯობიხარ,

ჩემო ბასკეთო, შენ ლექსი და
სიმღერა ხარ,

ჩემო ბასკეთო, შენ მათრობ მე...

შენ ყველას სჯობიხარ,

შენ ყველაფერს სჯობიხარ.

სარიტა მღეროდა საოცარი გატაცებით, შუბლი ოდნავ შექმუხნოდა, თვალებში ისეთი ნაღველი ჩადგომოდა, იფიქრებდით, საცაა ცრემლებად დაიღვრებო.

— ნამდვილი ბასკია, — თქვა ფრანცისკომ.

მაშინვე მივხვდი, რატომ იყო სარიტა ნამდვილი ბასკი.

შუქი აინთო. სარიტაცა და მისი დასიც სადღაც გაქრა. გაქრა კი არა, თითქოს ზეცაში ავიდნენ. ისინი ხომ პირდაპირ ციდან დასხდნენ ესტრადაზე.

ლამაზ ირლანდიელ ლედის თვალები ულიცლიცებდა. ზღვისფერი თვალები ზღვასავით ლივლივებდნენ. ვიღაც ყმაწვილი ვადახრილიყო და რაღაცას ეჩურჩულებოდა.

— მეორე განყოფილებას ვეღარ მოვუსმენთ, ეს ყაჩაღი უკვე მიღებული ჰყავს უფალს, — თქვა ფრანცისკომ. არც ცდებოდა.

ჩვენს მაგიდასთან ერთი მოხუცი მოვიდა. ის უბედური საკმაოდ ეთრია ცხოვრებას და ახლა მხოლოდ ცარიელი ჩონჩხიდა იყო.

— თქვენთან ერთ სირჩა ვისკის დავლევ, სენიორ ფრანსარი, — თქვა და ფეხი ფეხზე მიართყა.

— ჯანდაბას. შენი თავი, მგონი მთლად გამოთავებული ხარ და მეტიც აღარ გჭირდება, — ბრაზიანად ჩაილაპარაკა ფრანცისკომ. ხასიათი უკვე გაფუჭებული ჰქონდა.

— არა, ერთ სირჩას კიდევ ჩავცეცხლა, — ტყუნიდა ჩიფჩიფით მოხუცი.

— ჩაცეცხლე.

მოხუცმა სირჩა აიღო, ვადმოიხარა.

— იცით, სამყარო იღუპება. გუშინ ნესამედ გამომეცხადა ქრისტე.

— იქნებ შეგეშალა და შენი მეზობელი ლოთი ბალთაზარი იყო. ხომ გახსოვს ბალთაზარი, დღედაღამ ნავაგუში რომ იქექება, — უთხრა ფრანცისკომ.

— არა, სენიორ ფრანსარი, ნამდვილად იესო ქრისტე იყო, ძე ღვთისა, თუთი მოსასხამი ეშოსა და ნაღვლიანი სახე ჰქონდა. თუ არა ვცდები, ცოტას ახველებდა.

— ნასვამი ხომ არ იყო თუ იცი? ეს დალოცვილი ვისკი ღმერთებსაც ათრობს, — არ ისეუბნებდა ფრანცისკო.

— არა, სენიორ ფრანსარი, ნასვამი არ ყოფილა. ძალიან ნაღვლიანი სახე ჰქონდა და მითხრა, ქვეყანა დაიღუპებაო. თუ გნებავთ, ზუსტად ვაგვიმეორებთ, რაც მითხრა. „ანტონიო, ქვეყანა დაიღუპება, ადამიანები ჩაჩანაყები გახდით. ტეინში მატლი შეგიჯდათ და ყველა ძარღვი ვადაგიჭრათ, ვერაფერს ვეღარ ხედავთ. თქვენ ახლა გახურებულ ტაფაზე სხედხართ და პირდაპირ ჯოჯოხეთისაკენ მიექანებით“.

ფრანცისკო ახლა მე მომიბრუნდა.

— როგორ შევცდით, რატომღაც მგონა „სანტა კატალინას“ ოცდამეორე სართულზე ვიჯექით და არა გახურებულ ტაფაზე. თუმცა ჩვენს შორის რომ დარჩეს, სრულებითაც ვერ ვგრძნობ ტაფის სიმხურვალეს.

— იგრძნობ, ნამდვილად იგრძნობ, დღეს ვერა, მაგრამ ხვალ ის ტაფა შარვალს გამოგწვავს. რკინის შარვალი რომ ჩაიცვა, მაინც გამოგწვავს, სენიორ ფრანსარი...

მოხუცმა, როგორც იყო, დალია.

— ჰეი, ანტონიო, აქეთ მოდექი!

ეს უკვე ირლანდიელი ლედის ხმა იყო და ანტონიო ისე წალასლასდა, მადლობის თქმაც დაავიწყდა.

— კარგი ვინმეა, არა? ეგეთებიც საჭიროა. ხანდახან გაიცინებ მაინც. ეგ უბედური გაკოტრდა და გააფრინა. ისე, ლამაზად კი აფრენს... ალბათ პეტრე მოციქულიც ასე აფრენდა.

ნეტავ ეს პეტრე მოციქული რამ გაახსენა ფრანცისკოს.

როლანო ჩაჩანიძე
მონტროპე

ანტონიო კი ახლა ირლანდიელ ლედის ეუბნებოდა:

— არ დაიჯეროთ, სენიორა ჯეინ, სამყარო მე არ შემეძინია. იმ თქვენი ფერნანდოს სულს ვაფიცებთ, არ დაიჯეროთ. სამყარო მე კი არა, მამა ღმერთმა შექმნა. ის დალოცვილი, ექვსი დღე მოუწნდა ამ ჯოჯოხეთის აშენებას. ღირდა კი ამ იდიოტობისათვის ექვსი დღის დაკარგვა?

— არ ღირდა, — სწრაფად დაეთანხმა ირლანდიელი ლედი. — მე რომ მანახვა ის შენი კრეტინი ღმერთი, ამ სისულელისათვის ორთავე ხელებს მოვკვეთდი.

— მე ვნახე ღმერთი, მაგრამ ხელების მოკვეთა ვერ შევკადრე, — თავი იმართლა ანტონიომ.

ანტონიო კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ორმა მარჯვე ოფიციალტმა მოხერხებულად აიტაცა ეს ჩია კაცი და ჩასასვლელისაკენ გააქანეს.

— ვიგინდარებო, აქოთებულეზო, თქვენ ყველანი დაიწვევით ჯოჯოხეთის კოცონზე!

მაგრამ ეტყობა, კოცონი ჯერ ძალიან შორს იყო. სანამ მისი ენები „სანტა კატალინას“ ოცდამეორე სართულამდე ამოაღწევდნენ, ირლანდიელი ლედი წამოდგა.

— დააბრუნეთ, — ენის ბორძიკით თქვა მან.

— არ დავაბრუნებთ, — უპასუხა ორმა ოფიციალტმა.

— თქვენ ყველანი ღორები ხართ, ნამდვილი ღორები! — ირლანდიელმა ლედიმ ჯერ მხოლოდ პატარა ჭიქა გატეხა, მეგრე — ვისკის ბოთლი. ყმაწვილი ამშვიდებდა, ამიტომ პეპსიკოლას ბოთლი სწორედ მის თავზე გატყდა. რამდენად სამართლიანი იყო ირლანდიელი ლედის ეს განაჩენი, ამას ვერ გეტყვით. ლედი კიდევ რაღაცას გატეხდა ყმაწვილის თავზე, მაგრამ ამ უკანასკნელს საკმარისი ჭკუა აღმოაჩნდა და თავს უშველა.

გააფთრებული ლედი არ ცხრებოდა.

რაც ხელში მოჰყვებოდა, ყველაფერს ამტვრევდა. ერთი მინერალური წყლის ბოთლი ჩვენც მოგვიკითხა. ამ ბოთლში შესანიშნავი ეფექტი მოახდინა, ფრანცისკოს თეფში აფეთქდა და ჩემი მასპინძლის თეთრი პერანგი ათასფრად შეღება. ეს კიდევ არაფერი, სულ ცოტა, ორი მილიმეტრით მარცხნივ რომ წამოსულიყო, დარწმუნებული ვარ, იმ დამით სენტ-ეტენის ქუჩაზე მისვლა აღარ მომიწევდა, ფრანცისკოს პირდაპირ ქალაქის ფასიან საავადმყოფოში გავაქანებდით. მაგრამ ალბათ მისი ცოლის მიერ ანთებულმა ხუთასი პესეტოს სანთლებმა თავისი გაიტანეს და შიშნადღერის თავი დაიცვეს ლამაზი ლედის მიერ ნასროლი ბოთლისაგან.

— წავიდეთ! — იყვირა ფრანცისკომ და ორივემ მოკუტრცხლეთ.

ანგარიში მხოლოდ ლიფტთან გავასწორეთ. აქედან დავინახე ორმა მაგარმა ოფიციალტმა როგორ ასწია „ყაჩაღი“ ლედი და ჩვენცენ გამოაქანეს.

ქვევით ფაციფუცში მანქანა ვედარ დავექოეთ.

— ასე იცის ხოლმე, — ბუზღუნებდა ფრანცისკო.

ბოლოს, როგორც იყო, ავამუშავეთ და მე საჭეს მივუჯექი. „სანტა კატალინას“ პატარა სკვერიდან ფრთხილად გამოვიყვანე მანქანა, სენტ-ეტენის ქუჩისაკენ გავუყვიე.

ფრანცისკო სახლთან ჩამოვიდა. სიცოლისაგან იგუდებოდა.

— კარგი დრო გავგატარებინა, არა, იმ ყაჩაღმა, ჰმ, ნამდვილი ყაჩაღია, ისე, ესეც საჭიროა ხოლმე ხანდახან. თუ გინდათ, ჩამოდი, ნაყინი ვჭამოთ.

— არა, დღეისათვის საკმარისია.

— აბა, მანქანა წაიყვანეთ და ჩემს ნავთან დააყენეთ.

ბაზრის ქუჩისაკენ შემოვბრუნდი თუ არა, უკან საეჭუო ფაჩუნი მომესმა. შუქი ავანთე.

ორი დიდრონი ზღვისფერი თვალი მომიჩერებოდა. ირლანდიელი ლედის

გრძელ ტუჩებს დამცინავი ღიმილი გასწოლოდა.

ტანში გამცრა. იმავე დროს მთვრალი ქალის ცივი ხმაც მომესმა:

— კასტილიის ქუჩა. სანტა მარიას საყდარი ხომ იცი, იმის წინ. — სიტყვა არ დამიძრავს.

ბაზრის ქუჩაზე გამოვედი და სანაპიროსაკენ დავუყუევი, ლას პალმასის ძეგლთან რომ მივედი, ბრაზისაგან სულ ერთთავად ვცახცახებდი. მანქანა გავაჩერე და უკან შევებრუნდი.

— ჯეინ, იქნებ ტაქსი დაგეჰირავებინათ, ეს თქვენთვის უკეთესია. მოვალე არა ვარ, მთვრალი ქალები ვატარო.

ირლანდიელი ლედი ხმას არ იღებდა. შუქი ავანთე. მას თავი საზურგეზე გადაევადო, თვალები დაეხუჭა და მძიმედ სუნთქავდა.

— მოვედით? — იკითხა, როცა თვალი გაახილა.

— ლას პალმასის ძეგლთან მოვედით.

— მე სახლში მინდა, — ჭირვეულად თქვა და ტირილი დაიწყო.

პედალს ფეხი ავუსვი და მაგელანის ქუჩას ავყევი. ქუჩა შორს მიდიოდა. ფერდობებს ასდევდა. მერე აღმართი ავათავეთ და ლას პალმასის კატაკომბებს გავუსწორდით.

ჯეინი ახლა აღარ თვლემდა. ჩემკენ გადმოიხარა.

— კატაკომბებში თუ ყოფილხართ? — მკითხა სერიოზულად.

— არა.

— უეჭველად ნახეთ. აი ყველაზე დიდი შესასვლელი რომაა, ის ნახეთ. მარცხნივ კედელზე ერთი ზანგის ქალია დახატული. ქალის წინ ქმარი წევს და ის ზანგის ქალი ღვედით სცემს.

— საით წავიდე?

— ეკლესიისკენ. ცოტა გამოვფხიზლდი, ბევრი დავლიე, სულ ედმონდოს ბრალია. კიდევ კარგი, თქვენი მანქანა შეენიშნე და შიგ შემოვძვერი. იმ შტერმა, თქვენმა მეგობარმა ფრანსარიმ ვერც კი დამინახა. ას პესიტოიანი რომ ვყო-

ფილიყავი, უეჭველად დამინახავდა. აქ გააჩერეთ.

ყვითლად შეღებილ ჭიშკართან ვიდექით. ირლანდიელი ლედი გადმოვიდა და მაშინვე შებარბაცდა, კინალამ დაეცა.

მე მას მთვარის შუქზე ვხედავდი. კაბა შემოხეოდა, შიშველი ბეჭები უჩანდა. ყელსაბამიც დაეკარგა. გამოლენჩებული იდგა მანქანასთან და სულს ძლივს ითქვამდა.

— სენიორ, იქნებ შინ შესვლა მიშველოთ. მაშინ უეჭველად გიშოვნიოთ ამაზონური ნიანგის ფიტულს. ხომ ძალიან გინდათ?

მანქანიდან გადმოვედი, ირლანდიელი ლედი მხარზე დამეყრდნო, მარჯვენა წელზე შემოვხვებე, და ნელა შევედით ეზოში. შემდეგ კიბეს ავყევით. სადარბაზოს კარი ხნიერმა სენიორამ გავვიღო.

— პეტრა, ორი მაგარი ყავა მოგვიმზადე, ვისკი და მერე სადაც გინდა წადი. თუ გსურს — ეშმაკებთან ჯოჯოხეთში.

— ჯოჯოხეთში წასვლა აღარ მჭირდება, — თქვა მოხუცმა სენიორამ და წავიდა. ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ მოხუც პეტრას იმდენი ჭკუა კი აღმოაჩნდებოდა, ეშმაკებთან არ წასულიყო.

ირლანდიელი ლედი შესანიშნავად მოწყობილ დარბაზში შევიყვანე. დივანზე დავსვი, ცოტა რომ ჩათვლიმა გამოპარვა დავაპირე, ფეხაკრფით წამოვედი კარისაკენ.

— სენიორ იქს, სად მიბრძანდებით? ეს უსინდისობაა. თქვენ • ჯენტლმენი მგონიხართ.

— რა გნებავთ ჩემგან?

— ცოტა ხანს ნუ დამტოვებთ. მართო როცა ვრჩები, მისტიკური შიში მიპყრობს. აგერ აქ დაჯექით, ჩემს ახლოს. კაცებთან ყოფნა მიყვარს.

მოხუცმა ლედიმ ცხელი ყავა და ვისკი შემოიტანა. პატარა მაგიდაზე დააწყო.

როდამ ჩაჩანიძე
მ ი თ ხ რ ო ზ ა ბ ი ე

— დაგვტოვე, პეტრა, — თქვა ირლანდიელმა ლედიმ.

პეტრა იმწამსვე გავიდა. ჯეინი ადგა. ბარბაციტ წავიდა, თან გზადაგზა შავი ქსოვილის კაბას იხდიდა, ბოლოს პერანგისამარა დარჩა. სავარძელზე მიგდებულ ი პენუარი იპოვა და მოისხა.

— დავლიოთ.

ისევ ჩემკენ წამოვიდა. ჰიქებში ვისკი ჩაასხა. სწრაფად მოსვა, მერე გაიღიმა, რაღაც ავადმყოფურად გაიღიმა.

— სისულელეა ყველაფერი, ყველაფერი სისულელეა. ვისაც ფული არა აქვს, ჰგონია ფულშია ყველაფერი. ვისაც ფული აქვს, ჰგონია, ცხოვრებაშია ყველაფერი — სინამდვილეში კი ყველაფერი მხოლოდ ფრაზაა და მეტი არაფერი, იგი არსად არ არსებობს. მხოლოდ ჩვენ მოვიგონეთ — ადამიანებმა.

ოტა მოვსვი და ლედის შევხედე. ზღვისფერი თვალები საოცრად უელავდნენ.

— ის ფერნანდოა, ჩემი ქმარი, ხედავ?

მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილი ბრგე კაცის სურათზე მიმითითა.

— ჩემი ქმარი იყო. ხომ ლამაზი ვაჟკაცია? სხვა ქალები სულს ლევდნენ, მე კი, წარმოიდგინეთ, არასოდეს მყვარებია. ასე მგონია, არც მე ვუყვარდი. მთელი დღე ერთად ვლოთობდით, ღამით თეფშებს ვესროდით ერთმანეთს და ვილანძღებოდით. მასთან ყოფნა არავითარ სიამოვნებას არ მგვრიდა. სხვები მერჩია. ისიც სხვებს დასდევდა. ხალხი კი ამბობდა, ერთმანეთი უყვართო. რის სიყვარული, რა დროს სიყვარული! ახლა სიყვარული გრძნობა კი არა — მიზანია. მიხვალ მიზანთან და ყველაფერი ისე თავდება, როგორც გაქიანურებული ცული ზღაპარი.

კიდევ კარგი, ფერნანდო ნიანგებმა შექამეს, თორემ ამდენ ხანს ერთმანეთს შევქამდით.

თავი ჩაღუნა.

— ყველაფერი მეზიზღება, ყველა-

ფერი უსიამოვნო და საოცრად მოსაწყენია.

მინდოდა რაღაც მეთქვა, ტუჩზე თითი დამადო.

— ყური მიგდე, განა ანტონიო ყველაზე ჰკვიანი არაა?

გამეცინა.

ვისკი ისევ დაისხა.

— საწყალ ფერნანდოს გაუმარჯოს, ნიანგებმა რომ შექამეს კონგოში.

დალია.

— მეც მინდოდა შევექამე ნიანგებს. ავყვევი კონგოს, ზეგრი ვბოცე, მაგრამ გადავრჩი და ისევ აქა ვარ. ხალხი სულელია, ლევდები შექმნეს. თითქოს შურისსაძიებლად წავედი. მეტი საქმე არა მქონდა...

ირლანდიელმა ლედიმ გადაიხარხარა. მერე დივანზე მივედო.

გამოვიპარე. გვიან გაიგო ჩემი წამოსვლა. იქნებ ადრეც შემამჩნია, მაგრამ გული უკვე მოფხანელი ჰქონდა და ჩემთვის არ სცხელოდა. როცა მანქანა დაექოქე, ირლანდიელი ლედი კიბესთან დავიხახე. მთვარის შუქზე თავი ზევით აღმართა და ცას შეჰყურებდა. მიწაზე აღარაფერი დარჩენოდა და ნეტავ ცაში რაღას ეძებდა.

კასტილიის ქუჩას გავყვევი. წინ სანტამარიას საყდარი ჩანდა. საყდართან შევუხვებე, მაგელანის ქუჩას დავადექი.

საცაა რიყრაქი დაიწყებოდა. უთავბოლოდ ხეტიალი მომინდა. კატაკომბებთან მანქანა გზიდან გადავიყვანე. ჯიბის ფარანი ავანთე და მთავარ გვირაბს მივაშუქე. გვირაბში შესვლისთანავე გრილი ჰაერი მეცა და ძლიერ მესიამოვნა. ფარანი მარცხენა კედელს მივანათე. ირლანდიელ ლედის არ მოგუტყუებდითარ. იქ მართლაც ეხატა ზანგი ქალი, რომელიც ვიღაც დაწოლილ კაცს ღვედით სცემდა.

სურათი ალბათ ძალიან დიდი ხნის იყო. ჯერ კიდევ მაშინდელი, როცა ამ კატაკომბებში კანარის მკვიდრი ზანგები ცხოვრობდნენ.

უკან წამოვედი. მანქანაში ჩავჯექი და

ქალაქისაკენ დავეშვი. ტერასის შუა-
გულში მანქანა ისევ შევაჩერე.

მიდამო თხელ თქორში იყო გახვეუ-
ლი. ოკეანეც რძისფერი იყო. შორს,
აღმოსავლეთით, სადღაც მავრიტანიის
ახლოს, ცა წითლად შედგბილიყო.
დიდებული მზე ამოსვლას იწყებდა
ცხელი საპარადან. ლამაზი სურათი
გახლდათ, პირდაპირ ჯადოსნური. ის
მძიმე განწყობა ზანვის ქალმა და მის-
მა მონამ რომ შემეჩვენა, გაქრა.

შუადღე იყო, როცა მანქანა ფრან-
ცისკოს სახლთან დავაყენე. ფეხით წა-
მოვედი, სენტ-ეტენის ქუჩას გამოვ-
ყევი.

სუვენიერების მაღაზიაში მხოლოდ და
მხოლოდ ჯეინი იდგა დახლში.

— გამარჯობათ, სენიორა ჯეინ! —
მივმართე შინაურულად.

მან წარბი შეიკრა, ცივად გადმომხე-
და. ჩვეულებრივად ნიანგებთან მივიდა
და იქ დადგა. ისე მიყურებდა, რომ შეს-
ძლებოდა, ყველა ნიანგს გააცოცხლებ-
და და ჩემს თავს დააფლეთინებდა.

— სენიორ, შემოიარეთ ორ დღეში.

მე უკვე დაუფკვეთე თქვენთვის ამაზო-
ნური ნიანგი, ერთი სიტყვით, მიღწევა
მას.

— მაპატიეთ, თქვენ დაიგვიანეთ,
ძვირფასო ლედი. სწორედ დღეს ვამო-
მიგზავნა ერთმა ძველმა მეგობარმა რიო
დე ქანეიროდან ამაზონური ნიანგი.
რადგანაც გაისარჯეთ, შემიძლია ავინაზ-
ლაურით ზარალი.

იორანდიელმა ლედიმ ნაძალადევად
გაიღიმა.

— არაა საჭირო, მე სხვა მუშტარცა
მყავს.

ერთ წუთს დაკვირვებით შევაგლე
თვალი. უბებები შესივებული ჰქონდა.
გავიფიქრე, თირკმლები აწუხებს-მეთქი,
თავი დაუკარი და გარეთ გამოვედი.
ბაზრის ქუჩას დავუყევი. გზაზე იცით,
რაზე ვფიქრობდი? ხომ ასე უყვარს სა-
რიტას ბასკონია. სარიტას მადრიდში
დიდი სახლი აუშენებია. შემოდგომასა
და ზამთარს კი სარიტა კანარის კუნძუ-
ლებზე ატარებს. რატომ არ ცხოვრობ,
სარიტა, შენს ბასკონიაში, ბილბაოში,
ბილბაო ხომ მთელს ესპანეთს სჯობია.

კალაპკარი

პ რ ო ლ ო ბ ი

მე: დასტურ მითხარ, სამგაუ, მა-
ღალმა სულმა გაუამ შენ გაჩუ-
ქა ანტილოპას თვალები და
ყურები, სირაქლემას მუხლი
და ხვადი ლომის ძალა.

სამგაუ: მე წვრილი თოკით ზეცაში
ავედი მაღალ სულთან, გაუამ
მიწყალობა, რაც კი ვთხოვე.

მე: დასტურ მითხარ, სამგაუ, შენ
გიყვარდა მზის ასული ნუსი,
ხერხემლამდე შეჭამე მთვარე
და მერე ნუსის მიეცი ყელსა-
ბამად.

სამგაუ: ნუსი ციდან მოვიდა ნარონის
მიწაზე. მას ჰქონდა მამბას ტა-

ნი, მაგანიესფერი თვალები,
მისი ხმა ჰგავდა გუეშის ამღე-
რებას. ნუსი მზის ამოსვლას
ხვდებოდა სიმღერით და სალა-
მითი მზესთან ერთად მიიცე-
ლებოდა. დაქროდა ქარი, მაგ-
რამ ვერ შლიდა მისი ფეხის
ნაკვალევს.

მე: დასტურ მითხარ, სამგაუ, შენ
დასწვი თეთრების გემი, რო-
მელსაც ნუსი უნდა წაეყვანა,
მზის დასალიერის ქვეყანაში.

როლოზი ჩაჩანიძე
მ ო მ ხ რ ო ბ ა ბ ი

სამგაუ: დიახ, მე დავწვი თეთრების გემი. ასევე დავწვავდი მთელ სამყაროს, თუ იგი შეეცდებოდა ჩემთვის წაერთმია მზის ასული.

მე: თეთრი კაცი შენი სიკვდილიდან ორასი წლის შემდეგ ვდგავარ ნარონის ტომის მიწაზე. გავყურებ გადახრუჯულ კალაპარს, მესმის ქარის ზუზუნში ჩაქარგული ბუშმენთა ძველისძველი სიმღერები, გიგონებ სამგაუ და შენზე ვწერ სავას, მისმენ, სამგაუ?

სამგაუ: დიახ.

მე: აბა, დავიწყით.

უღაბნოში იხევდნენ ბუშმენები... იდგა გვალვის თვე. დიდი, ცეცხლოვანი ბურთი, რომელიც ოდესღაც ზეცაში შეადგეს ბუშმენმა ბიჭებმა, კეფაზე შედგომოდა სამყაროს და უმოწყალოდ ხრუკავდა.

მზის ჩასვლისას უკანასკნელი ბრძოლა ჰქონდათ. ნარონებმა დაქარგეს მთელი ბარგი, ცოლები და ბავშვები. ვინც გადარჩა, უღაბნოში დაიხია, თეთრებს დარჩათ ბრძოლის ველიცა და ალალიც. ბებერი ტაგა სულ თავში მიდიოდა. ტაგას გრძელი ფეხები და მამბას შხამში ამოვლებული ისრები და ენა ჰქონდა. ტაგას ახლა ენა აღარ ჭირდებოდა, მხოლოდ მის ფეხებს ადგათ ძალა. ტაგა გრძელ ფეხებს მხოლოდ დიუნების თავზე აბიჯებდა. სხვებსაც აიძულებდა, მხოლოდ და მხოლოდ მის ნაკვალევზე ევლოთ.

გრძელფეხა ბებერს უკან მოხუცები, ქალები და ბავშვები მისდევდნენ. მათ უკან კიდევ სამგაუს მეომრები მიაბიჯებდნენ უღაბნოში, დამწვარ ფეხებთან ამრიალებული ქვიშის ხმაური ისმოდა. ეს ხმაური უცბად წყდებოდა, ასევე უცბად შლიდა დიუნების თავზე ჩრდილო-დასავლეთის ქარი ადამიანთა ნაფეხურებს.

წელში მოხრილი სამგაუ სულ ბო-

ლოს მიდიოდა. იგი ახლა გრივალისაგან გადახრილ ხეს ჰგავდა. ზოგჯერ ჩეღღმბოდა, შებრუნდებოდა და ყურადღებით გაჰყურებდა დიუნებს, რომელზედაც ჩრდილო-დასავლეთის ქარი სისინით არწოდა და როგორც სილაზე აგორებული ზღვის ტალღა, ყველაფერს შლიდა.

ამ დროს სამგაუს ნესტოები ებერებოდა, წყვეტდა სუნთქვას და ყველაფერს ციდან დედამიწაზე დაკვირვებით ზეერავდა. ხანდახან მუჭით ქვიშას აიღებდა, ჰაერში აყრიდა, ამოწმებდა, ხომ არ იცვლიდა ქარი მიმართულებას.

დიდი, ცეცხლოვანი ბურთი დასავლეთისაკენ დატურავდა, როცა ნარონის ტომის ჩუმი ადამიანები ბუჩქნარებში შევიდნენ. ისინი ისე მიიპარებოდნენ ბუჩქებს შორის, რომ ეკლიან ტოტებს არც კი ატოკებდნენ.

პატარა ბორცვის ძირში ტაგა შედგა. მხოლოდ ახლა გააწყლაუნა ენა.

— ჩვენ ახლა ჩვენი დიდი პატრონი — მშრალი უღაბნო გვიცავს თეთრი მტრისაგან.

იგი დაჯდა, — მაშინვე ჩათვლიმა, ასევე, მჯდომარემ ჩათვლიმა.

ტაგას ირგვლივ მოხუცები და ბავშვები დაეყარნენ და მათაც ჩათვლიმეს.

სამგაუ თავისი მეომრებით წინ წავიდა. ახლა აღარ ფრთხილობდა, თამამად მიაბიჯებდა. დაღამდა. ბუშმენები მაინც მიდიოდნენ. გათენებისას სამგაუ ბუჩქნართან შეჩერდა. ჩაჯდა და მიწა დაყნოსა მეძებარივით. მერე პირზე მარჯვენა ხელის გული აიფარა და აყეფდა.

ბუჩქნარს იქიდან იმ წუთში მოისმა იგივე ხმა. სამგაუ ადგა, გრძელი ხის შუბი წინ გაიშვირა და ნელა გაჰყვა ბუჩქნარებით დაფარულ უღაბნოს. სამგაუს ახლა შუბლი გახსნილი ჰქონდა. სამგაუს ახლა აღარც ოფლი დიოდა ღვარად.

ბუჩქნარში რაღაც გაშრიალდა. სამგაუმ თვალი მოჰკრა, მამბამ როგორ გამოჰყო შავი თავი ბუჩქნარიდან და შხამით სავსე ნემსურა კბილები გამოაჩინა.



იმავ წუთს მორგევით დახვეული გველი გაიშალა და ჭრელ მუცელზე აღიმართა. მერე სწრაფად მოსწყდა და სანამ სამგაუს კანკს მისწვდებოდა, თავით ბასრ შუბზე წამოეგო. გველი სწრაფად დაეხვია შუბს და თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ რაც უფრო მეტს წვალობდა, მით უფრო ღრმად ეშვებოდა აღმართულ შუბზე. ჯერ კიდევ მთლად არ გაეშალა მომაკვდავს შავი რგოლები. სამგაუ მიწვდა ქვის დანით, შუაზე გადაჭრა, მერე ჩაიმუხლა და მოფართხალე მამბა თოთხმეტ ნაწილად აქნა.

მეომრები მიდიოდნენ აუწყულ გველთან, რომლის კუნთები ჯერ კიდევ ირხეოდნენ. თავიანთ ულუფას იღებდნენ და მაშინვე პირში იტენიდნენ. სამგაუს თავისი წილისათვის ხელი არ უხლია, იგი ისევ შუბზე დარჩა. ბელადი ადგა, ტუჩები მოილოკა და ნარონებს წინ გაუძღვა.

ბუჩქნარს შორის აქა-იქ დიდრონი ლოდები გამოჩნდა. ბუჩქნარს შორის აქა-იქ დაბალი, ეკლებასხმული ხეებიც გამოჩნდა. მერე ლოდებს უკან კოცონებმა გაიღვეს, ეს უკვე ნიშანი იყო იმისა, რომ მალაღმა სულმა გაუამ ვიდაცას სარბენად მისცა ანტილოპას ფეხები და სანადიროდ ბევრი ცხოველი.

ბელადმა ფეხს აუჩქარა, ბუჩქნარს გასცდა და ვეებერთელა ლოდებს შორის მოქცეულ გადახრუკულ, პატარა ველზე შეჩერდა.

მის წინ ნარონის ტომის ხუთი ბუმენი იდგა. ხუთივეს ტანი წითლად ჰქონდა შეღებილი და შუბები სილაში ჩაერჭოთ.

სამგაუ: მახმა, მე მივსდევდი ზუმბუს, მე გაუამ მითხრა, ნუსი კვლავ შენს ქოხში დაიძინებსო. მე დამსაჯა გაუამ და ზუმბუმ დამიხოცა მეომრები. ახლა მშიერი და მწყურვალი ვარ. ჩემი ხალხიც მშიერია. მახმა, შენ უნდა მომცე ხორცი და წყალი. კვლავ უნდა გავეკიდო ზუმბუს.

მოხუცი მახმა ნარონთა შუაში იდგათავი დაეხარა და წირპლიან თვალბმინალველი ჩადგომოდა.

მახმა: სამგაუ, მე შენ მოგცემ ხორცსა და წყალს. შენ აღარ უნდა გავეკიდო ზუმბუს. გაუამ მითხრა, რომ ზუმბუს გავექცე. შენ დაკარგე ნუსი. ნუსი შენს ქოხში აღარ დაიძინებს. ნუსი მზის ასული იყო და მზეს ვაჰყვა.

სამგაუ მიწაზე დაეცა.

იგი მოვიდა დილით. ნარონებს მაშინ ბანტუსთან დიდი ზავი ჰქონდათ შეკრული და ჩრდილოეთში, ყვითელი მდინარის პირას იდგნენ. მდინარეში ბევრი ნინგი და გველი იყო და ნარონებმა თავიანთი სამყოფელი შემოღობეს.

წინა დღით კარგი ნადირობა ჰქონდათ.

მაგრად გაძლნენ და ახლა დაბერილი მუცლები ძლივს ინელებდნენ ცვრიან ხორცს.

იგი მოვიდა დილით.

სამგაუ ქოხის შესასვლელში იწვა და აბოციენებდა.

იგი მზის პირველ სხივებს მოჰყვა.

უკბილო კეჩამ ერთბაშად იგრძნო, რომ თვალბმში შუქი ჩაუდგა, კეჩამ ისიც დაინახა, თუ როგორ ვადმოვიდა შემოღობილზე მზის ასული. მისი ხმაც მოესმა.

ნუსი: კეჩა, შენ მხედავ?

კეჩა: დიახ, ვხედავ მზის ასულს.

ნუსი: მე გამომგზავნა გაუამ, რომ სამგაუს ქოხში დაეძინო.

კეჩა: სამგაუ მზის ჩასვლისას გაძდა და ახლა სძინავს!

ნუსი: მე გავაღვიძებ.

სამგაუმ იგრძნო, რომ თვალბმში მზემ შეანათა, როცა თვალი გაახილა, დაინახა მზის ასული. ნუსი მის მუცელზე იჯდა და მისჩერებოდა.

როდამ ჩაჩანიძე
მ ო თ ხ რ ო ბ ა ბ ი

— მე შენთან მოვედი, სამგაუ.

— ჰო, ვხედავ.

— მზის ჩასვლისას შენთან დავიძინებ და შენ თავს დადებ ჩემს ძუძუებზე.

— ჰო, ეს ყველაფერი სულ ახლახანს მიიხზრა გაუამ.

— შევიდეთ ქოხში, სამგაუ.

● მოხუცი მახმა ისევ თავდახრილი იდგა. სამგაუ წამომჯდარიყო და მიწას ჩაჰყურებდა.

მახმა: შენ გეუბნები, სამგაუ, ნუსი კვლავ მზემ წაიყვანა. შენ მზის ასულს ვეღარ დაიბრუნებ. ზუმბუ დაგლუბავს. ჩაკუტ გაეკიდა ზუმბუს და დაილუბა. შენ მაგარი მუხლები გაქვს, მაგრამ ბევრჯერ არ გინახავს მზის ამოსვლა, მე უნდა დამიჯერო.

სამგაუ დაღვრემილი იჯდა, ერთთავად მიწას დაჰყურებდა.

სამგაუ: მე მინდა მაღალ სულთან ავიდე.

ნარონები სწრაფად გაშორდნენ სამგაუს. კოცონებთან მათ სისხლიანი ხორცი და აშმორებულები წყლით სავესე ქოთანს ელოდათ.

● ნუსიმ უთხრა სამგაუს:

— შენზე ყვებიან ვრცელსა და ლამაზ ამბებს, მართალია?

— რას?

— შენ მოკალი ლომი, როცა შენი შეჭმა სურდა.

— მე მოკალი იმაზე მეტი ლომი, რამდენიც შენ ფეხებზე და ხელეებზე თითები გაქვს.

— შენ დაახრჩე დიდი მამბა, რომელსაც შენი ვაგულდა სურდა.

— მე დავახრჩე იმდენი მამბა, რამდენიც შენ თმა გაქვს.

— შენ მოკალი დიდი ნიანგი.

— მე იგი მოკალი ყვითელ მდინარესთან, მოკალი მეორეც, რომელიც მასთან ერთად ათევედა ქოხში დამეს.

— სამგაუ, მე შენ მინდიხარ, ძალიან მინდა, რომ მზე მალე დაიმალოს ღამით ნუსიმ უთხრა:

— შენ შევიძლია მთვარე ჩამოხსნა და მე მაჩუქო?

სამგაუმ უთხრა:

— მე ჩამოხსნი მთვარეს და გაჩუქებ.

— მე მას ყურზე დავიკიდებ, — უთხრა ნუსიმ.

● მაღალმა სულმა ოთხ დღეს არ მიიღო სამგაუ. იგი ნარონთა სადგომის მისასვლელთან ეგდო და კალაპარის მზე ხრუკავდა. მეხუთე დღეს სამგაუმ დიდი კოცონი დაანთო და მის გარშემო იწყობა ცეკვა. იგი ზედ ახტებოდა ცეცხლის ენებს, ცეცხლზე შიშინებდა სამგაუს დამწვარი ხორცი. პირში აყრიდა ნაცარსა და ნაკვერცხლებს. მერე ფეხებით მიმოფანტა მთელი კოცონი და ნაკვერცხლებზე დაიწყობა ცეკვა: დამწვარი ხორცი შიშინებდა, ჰაერშიც ხორცის სუნი იდგა. სამგაუ კი სულ ცახცახებდა, ბოლოს მოწყდა და მიწაზე დაეცა.

სამ დღეს უგონოდ ეგდო. მეოთხე დღეს მახმას უთხრა:

— მე მივედივარ, მახმა, ჩემს ტომს უპატრონე.

მახმამ უთხრა: არა, მახმას საერთოდ არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი დაიქნია. სამგაუმ უთხრა: — მე შეგხვდები ნუსის, მაგრამ დავიღუპები. მახმამ არაფერი უთხრა, მხოლოდ თავი დაიქნია.

● ღამით ცალთვალა შეკობრემ ჩამოიხრა.

სანაპირო ქვიშიანი იყო. ოკეანის ტალღები შრილით არბოდნენ ქვიშის ყვითელ დიუნებზე და ერთ წუთს აცოცხლებდნენ საუკუნეების მიღმა გარდაცვლილ ბუნებას.

უცნაური კია, მაგრამ ერთ დიუნზე ორი პალმა იდგა. საოცარი იყო, საიდან

მოვიდა ეს ორად ორი პალმა. პალმების ჩრდილი დიუნზე ესვენა. ოკეანეში კი კიდევ ორი ჩრდილი ჩანდა. ეს იალქნია-ნი გემების ჩრდილი იყო. გემები გვერ-დიგვერდ იდგნენ.

ცალთვალა მეკობრე ქვიშის ზოლს მო-ყვებოდა. ხელში მათრახს ათამაშებდა. პალმასთან კიდევ ვიღაც კაცი იდგა. კა-ცი ხეს აპყულებოდა და ისე ეძინა. უც-ნაური კია, მაგრამ სწორედ ფეხზე მდგომს ეძინა, ცხენივით ეძინა იმ კაცს.

ცალთვალა მეკობრე პალმასთან შე-ჩერდა. მათრახი გამეტებით მოიქნია და მძინარის ბეჭებზე დაუშვა. მათრახს რკინის რგოლები ესხა. იმ კაცს, ცხენი-ვით რომ ეძინა, მაშინვე გაეღვიძა.

— გძინავს? შენი...

— ჩამთვლიმა, აღმირალო, მხოლოდ ჩამთვლიმა.

კაცს ბეჭებიდან სისხლი სდიოდა და შიშით თყუარებდა ცალთვალა მეკობრეს.

ცალთვალა მეკობრეს მათრახი მეო-რედ აღარ აღუმართავს.

— არ დაგეძინოს, შე!..

— არა, აღმირალო, არ დაგეძინებ.

ცალთვალა მეკობრე ქვიშის ხანაპი-როს გაჰყვა. იქით, უფრო შორს, ქვი-შაზე კარვები იდგა. კარვებს შორის ვი-ლაცეები ჩამსხდარიყვნენ. სვამდნენ. ცალთვალა მეკობრე იქით წავიდა. ის კაცი კი, ისევ, პალმას მიეყუდა და ალ-ბათ ჩათვლიმა კიდევ. ძალიან ეძინებო-და და აბა რა მოუვიდოდა.

მერე ვიღაცამ ქურდულად გაიარა ქვიშაზე. ისე გაიარა, რომ იმ კაცმა, პალმასთან რომ თვლემდა, ვერაფერი დაინახა. ქურდულად შიშვალის კი ზღვასთან მივიდა და მაშინვე ტალღებში შეტურდა. ეს კაცი სამგაუ იყო.

სამგაუ პირველ გემთან მიცურდა და მაშინვე ღუზის ჯაჭვს მოეკიდა. ისე აცოცდა ჯაჭვზე, თითქოს ქოქოსის კა-კლის ხეზე აღიოდა.

გემბანზე მდგარმა გუშაგმა ფორშტე-ვენთან რაღაც პატარა არსება დაინახა. გუშაგმა ეს არსება მთვარის შუქზე შე-ამჩნია და მაშინვე ფორშტევენისაკენ

გაემართა, მაგრამ იქ არაეინ აღმოჩნდა. გუშაგმა თვალები მოიფშვინტა და გასა-მსნევებლად ჩაახველა. ამ დროს კი ის შავი არსება ხის გრძელ დერეფანში მი-ხობავდა, შემდეგ ხისავე კიბეს ქვევით ჩაუყვავა.

ქვედა დერეფანში, ზედ ტრიუმის შე-სასვლელთან, ჭერზე ნავთის მოზრდილი ფარანი ეკიდა. როცა გემი ქიმებზე წვე-ბოდა, ფარანი ირხეოდა და მისი შუქი ხან ერთ კედელზე მიცოცავდა, ხან მეო-რეზე. ფარნის ქვეშ კი ორი, თითქმის მთლად შიშველი სახედანახიჩრებული კაცი იჯდა, ზარს აგორებდნენ. ერთს წელზე რაღაც ძონძი შემოეხვია და ამ ძონძის ზემოთა და ქვემოთ გრძელი. მთვარესავით მოხრილი დანა ჩანდა.

ყომარბაზები დროდადრო ბუზლუ-ნებდნენ და კამათლებს მორიგეობით ავინებდნენ დედას. უფრო ის დანიანი ბრაზობდა. ერთბაშად ორივემ ყურები ცქვიტა.

— მგონი რაღაცამ გაიფხაქუნა, ჯო?

— თქვა დანიანმა.

— თუ ჩემს ბებერ ყურებს რაიმე დაეჯერება, ტომ, მეც გავიგონე ფხაქუ-ნი. ავაზა არ იყოს?! მე გამიგია, ერთ-ნელ ის დაწყევლილი როგორ გაჰყვა ნაპირიდან საბმელ ბაწარს და ორი ალაღმართალი მეკობრე შეჭამა.

— არა, ავაზა არ უნდა იყოს. ასე მგონია, ვიღაც გვეთვალთვალეს. იმ შენს კარგადსახსენებელ დედას გაფი-ცებ, ჯო, კარგად დააკვირდი, ჩემს უკან რაიმე ორფენი ხომ ზრ მოცოცავს. აი თუ გინდ ისეთი გამურული ვიროხა, ეს ტილიანი ბუშმენები რომ არიან?

ჯო გაშრა, ენა ჩაუვიარდა. მან დაინახა ორი ანთებული ნაკვერჩხალი და სანამ პირს დააღებდა, პირზე რაღაც მოხვდა და ბებერ ჯოს დარჩენილი კბილები ჩაუშტვრია.

ჯომ სიმწრისაგან შეჰყვირა, ტომი კი შეხტა და იმავე წუთს იგრძნო, რომ დანა ვიღაცამ ააცალა, შემდეგ ამ მისი

როდღა ჩაჩანაძე

მ ო მ ხ რ ო ბ ა ბ ი

საყვარელი ცივი რკინის შეხებაც იგრძნო მკერდთან და მოწყვეტით დაეცა.

ჯომ ისღა მოახერხა (ესეც დიდი საქმე იყო), რომ ფარანი ჩამოდღლიზა და სამგაუს ესროლა. სამგაუ განზე გახტა, ფარანი აიცილა და ბებერი ჯოც დანაზე აავო.

ფარანი კედელს მიენარცხა, დაიმსხვრა და ნამსხვრევებსა და იატაკზე მოსხმულ ნავთის შეხებებს ცეცხლის ენები აეკიდა. დერეფანი განათდა.

სამგაუმ მის წინ პატარა კარი დაინახა, ისე პატარა, რომ სამგაუც მოხრილი თუ გაეტეოდა.

მოქაჩა სახელურს, მაგრამ კარი არ გაიღო, კიდევ მოქაჩა, ისევ არ გაიღო. გუშანით მიხვდა სამგაუ, რაღაც დიდ ძალას არ სურდა ამ კარის გაღება და მაშინვე გაუას მოუხმო. გაუამ კი ასწავლა, როგორაც უნდა გაეღო, არა, მაღალმა სულმა თვითონ ჩამოხსნა კარი და სამგაუ ბნელ ტრიუმში შევიდა. ტრიუმში მხოლოდ გაუს მიერ ახლახანს ჩამოხსნილი კარისაგან აღწევდა სინათლე.

— ნუსი! — დაიყვირა სამგაუმ.

— სამგაუ, ეს მე ვარ, აპა!

— სამგაუ, ეს მე ვარ, დრაპა!

— სამგაუ, მეც აქა ვარ, კაბჩი.

— სამგაუ, კალიმა ვარ.

ჩხრიალებდნენ ჯაჭვები, ისმოდა ადა-მიანთა ხმები.

— ნუსი!

— სამგაუ, ნუსი აქ არის! — დაიძახა ვილაკამ ტრიუმის ბოლოდან.

დიდი წვიმების შემდეგ მაღალმა სულმა ნარონებს ბევრი ხორცი აღუთქვა. სამგაუ წინ გაუძღვა თავის მეომრებს. ქვიშა იყო ძალიან გრილი. აქა-იქ ყვითელი და წითელი ყვავილებიც ჩანდნენ გაცოცხლებულ მიწაზე. იცოდა სამგაუმ, ეს ყვავილები ხვალ უნდა მომკვდარიყვნენ და არც ერთისათვის არ უხლია ხელი, ფეხიც არ დაუბიჯებია.

ქვიან ზოლში დიდი ლომი შენიშნა.

ლომი ღრიალებდა, სამგაუ მიხვდა, რომ ყვითელ ხორცს შიოდა.

ყვითელი ხორცი ნელა წამოვიდა მისკენ. სამგაუ წყნარად იდგა და ხელში შუბს ათამაშებდა. ლომმა ისკუბა, სამგაუ განზე გახტა. იმავე წამს ლომი მთელი ტანით შუბზე წამოეგო.

შებინდებისას ნარონები ბევრი ხორციტ დაბრუნდნენ. სამგაუ წინ მიდიოდა. ქოხების მისასვლელთან, პატარა მინდორზე ნუსი იდგა. ნუსის ყვავილების გვირგვინი ედგა თავზე. ნუსის მხრებზე ჩამავალი მზის სხივები ცემდა და ამ ოქროსფერ სხივებში აელვარებულნი მზის ასული საოცრად ლამაზი ჩანდა.

სამგაუ სხვებს ჩამორჩა, ნუსისთან ერთად ჩამორჩა სხვებს. ნუსის მხრებზე მოხვია ხელი.

— არ უნდა დაგვეკრიფა ყვავილები. მეშინია, მაღალი სული არ გაჯავრდეს.

— წყლისპირა ნარონები მოვიდნენ ნამიბიდან. ზუმბუმ მოიყვანა ბევრი დიდი ნავი და ნარონებს იჭერს.

— არ უნდა დაგვეკრიფა ყვავილები, მაღალი სული უეჭველად გაბრაზდება.

— დიდი ნავები დიდ ცეცხლს ისერიან. ბევრი ნარონი მოჰკლეს.

— მე მოვკლავ ზუმბუს. შენ კი ყვავილებს აღარ დაკრეფ.

ნუსიმ გაიღიმა და თქვა:

— მე მიყვარს ყვავილები, სამგაუ, ისინი თვითონ მეხვეწებიან, რომ დავეკრიფო და თმებში ჩავიკრა. შენ ხომ ჩამოხსნი მთვარეს და მასაც საყურედ ავისხამ.

ნუსი ახლა უყვავილოდ იდგა. წელზე ჯაჭვი ება და ისე იდგა ნუსი. ნუსის არც მთვარის საყურე ეკეთა. დაავიანა სამგაუმ, ადრე უნდა ჩამოეხსნა მთვარე... ნუსი პატარა ფინიასავით დაებათ სადღაც ტრიუმის ბოლოში.

სამგაუ ნუსის წინ იდგა. ტრიუმის ღია კარიდან შემოსული შუქი მხოლოდ და მხოლოდ ნუსის ზურგსა და კეფას აშუ-

ქება, ამიტომ სამგაუ ნუსის ლამაზ
თვლებს ვერ ხედავდა.

— აწი ჩვენ სულ ერთად ვიქნებით,—
თქვა სამგაუმ.

— ჰო, ვიცი, მაგრამ ქოხში ვეღარ
დავიძინებთ, — უთხრა ნუსიმ.

— ჰო, ეგ მართალია, — დაეთანხმა
სამგაუ და ჯაჭვი მოქაჩა.

ტრიუმში, ღია კარიდან შუქთან ერ-
თად კვამლიც შედიოდა. ბუშმენები
ახველებდნენ, ჯაჭვებს აჩხარუნებდნენ.

პალმასთან რომ თვლემდა, იმ კაცმა
პირველად დაინახა გემიდან ავარდნი-
ლი ალი. საოცარია, თვლემდა, მაგრამ

მაინც დაინახა ცეცხლის ალი. მან გემი-
დან გადმოშტარი ადამიანიც დაინახა,
დაინახა და მაშინვე თოფი დაცალა.

თოფის ხმაზე კარებთან რომ ქეიფობ-
დნენ, ის ხალხი აიშალა და გემებს მია-
წყდა. ცეცხლის ენები ახლა იალქნებს

მიჰყვებოდნენ. ისე აღიოდნენ ცეცხლის
ენები იალქნებზე, თითქოს ქოქოსზე
აცოცებულნი ბუშმენები ყოფილიყვნენ.

ამ ორომტრიალს ცალთვალა მეკობ-
რე აკლდა. იგი ისე გამოთვრა თეთრი
სითხით, რომ კინაღამ მაღალ სულს ჩა-
აბარა თავისი სული. გამთენიისას გამო-

ჩნდა მხოლოდ.

ის კაცი კი ისევ პალმასთან იდგა,
ისევ ისე მიჰყუდებოდა პალმას.

— სად არის ჩემი გემები? — იკითხა
ცალთვალამ.

— თქვენი გემები დაიწვა, აღმირა-
ლო. ერთმა პატარა ბუშმენმა დაწვა,
ნამდვილად ჯადოქარი იყო, ჩემს თვალ-

წინ ვირთხად იქცა, გემთან მიცურდა და
ზედ აძვრა. ნამდვილად დავინახე, პირ-
იდან როგორ აფრქვევდა ცეცხლს.

ცალთვალა მეკობრემ თავისი რკინის-
რგოლებიანი მათრახი აღმართა და იმ
კაცს, პალმასთან რომ იდგა, ზურგზე
გადაუჭირა.

კაცი დაეცა, მუხლებზე დაეცა და და-

იკვნესა. სახეზე გაბრაზება და ზიზღი
ალებეჭდა.

— ეს კიდეც არაფერი, აღმირალო,
მან მოგვტაცა ლამაზი ასული, ტრიუმის
ბოლოში რომ გყავდა დაბმული.

ცალთვალა მეკობრემ კვლავ აღმართა
მათრახი, მაგრამ სანამ მათრახი გაიტყ-
ლაშუნებდა, დაჩოქილმა თქვა ყველაზე

მწარე სათქმელი:

— აღმირალო, ამ თოფით მოვკალი
შენი ლამაზმანი. მისი კუროც მოვკალი.
მათრახმა დაჩოქილის თავზე და ბე-
ჭებზე გაიტყლაშუნა.

ზღვის ნაპირას კი ორი მეკობრე იდგა.

I მეკობრე: მაინც საოცარია, ასე პა-
ტარამ როგორ გაწყვიტა
ამსისხო ჯაჭვი.

II მეკობრე: მაგ შევმა ხოჭომ კი არა,
ეს ჯაჭვი სიყვარულმა გა-
წყვიტა.

I მეკობრე: ისე, ლამაზი ქალი კი ყოფი-
ლა, სულ ხელით მოათ-
რევედა ნაპირისაკენ. მო-
დი ჩავფლათ.

II მეკობრე: ჩავფლათ, მაინც ადამია-
ნის შვილები არიან.

მე: სამგაუ, შენ ალბათ არ
გაგიგონია ეს სიტყვები,
თორემ მაღალ სულს

კვლავ თხოვდი მიწაზე
დაშვებას და იმ ორი მე-
კობრისთვის ის დღე უკა-

ნასკენელი იქნებოდა. ვინ
იცის, შეიძლება არც ის
მოგისმენია, ქარს როგორ

მოჰქონდა ნარონის მიწი-
დან ბუშმენთა სიმღერა:

ჩვენი სიკვდილის დღეს
მოდის ქარი,
რათა წაშალოს ნაკვალევ
ჩვენი ფეხისა.



მესამე ზარი

ავანცენაზე შემიპყრობს განცდა
და ერთდროულად მხნე და ძაბუნი,
როგორც მესამე ზარის წინ ფარდა,
ვარ ალექსილი და დაძაბული.

და ჩემს ზურგს უკან დეკორაციებს
გააქვთ ჭრიალი გულის წამღები.
თოვლი მოვიდა, თუ აკაციის
ყვავილს აპნევენ ბროლის ჭადები?

წუთი გავიდა თუ წელიწადი? —
ვღვლავ და მთელი სხეულით ვკრთები;
ჩემს ძველ ოცნებებს და გულისწადილს
მტერიან სცენაზე უწყევით ფრთები.

და მინდა ყველას გაგუნაწილო
სულში სათუთად გამოსვეული
ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე —
ეს შეცდომებით საგსე რვეული.

ჭადებში შუქი თოვლივით დნება
და ისურება პარტერის კარი.
ჩურჩული მისდევს მარაოს რხევას...
როდის დარეკავს მესამე ზარი?

შეცდომების და ეჭვების გარდა
ჯერ ყველაფერი მაქვს დაფარული.
მე ვარ მესამე ზარის წინ ფარდა,
ათრთოლებული და დაძაბული.



იყო წყნარი და გრილი საღამო
და მე სიფხიზლეს გულგრილად ვთმობდი.
თუმც არაფერი იყო სადავო,
მაინც დავობდა თორმეტი სნობი.
გადაგულესოდა ღამე ცვილივით
ნოემბრის რუხ და მღვრიე ამინდებს.
შემორჩენილი პირზე ღიმილი
მე ხელგაშლილად ჩამოვარიგე.
მერე გახსენეს.

უხმო კივილით
შენმა ხსენებამ სულში იბარტყა
და ამომივსო გული ტკივილმა,
რომ ალბათ უკვე აღარ გიყვარვარ.

მაშინ, ტყუპები როცა ვიყავით,
და დედამიწას ეფარა ბინდი.
ნანადირევი ვერ გავიყავით
და იღლიამდე მოვხარეთ მშვილდი...
გაუჩინარდა სივრცეში ქორი,
გადმოაბრუნე თვალები სევდით —
სისხლიან მოლზე ვიწვექით ორნი,
ჩვენგან მოკლული ნადირის გვერდით.

მერე, როდესაც ძმები ვიყავით,
მოულოდნელად შემოგვადამდა.
ჩვენ სიყვარული ვერ გავიყავით —
მთა გააყრუა თოფის ჭახანმა.
სოფელში დიდხანს ეძებდნენ მკვლელებს,
ჭორებს კარდაკარ აპნევდა ქარი...
ქალმა კი, მცირე ყოყმანის შემდეგ,
არჩია ჩვენზე ლამაზი ქმარი.

ერთად ვართ წელთა ტრიალის შემდეგ
და აღარ გვახსოვს, წინათ რა იყო...
ამ ქვეყანაზე რა უნდა შეგვხვდეს,
რომ თანატოლად ჩვენ არ გავიყოთ.
ჩემი ისრები მიწაში წვანან,
გაჩაღებული მზე სულში ბრუნავს
და ახლა ჩვენი დღეები გვანან
მოკლე აღვირით დაჭერილ ულაყს.





ს ა ა ს ა ლ ლ ო

ვისიც სიმწიფის დამდგარა ჯერი
და თაღმაღალი მომავლით სუნთქავს,—
კეთილი იყოს შეხვედრა ჩვენი
ძველის და ახლის გასაყარ ზღურბლთან!

მას შეუძლია ასწიოს ჭერი
და როგორც ყრმობის სიმღერა უთქვამს,
თქვას სადღვეგრძელოც ახლის და ძველის
ძველის და ახლის გასაყარ ზღურბლთან.

ვინც აელვებდა ფრთანათელ ფიქრებს
და ვისაც მხოლოდ აღმა სვლა სურდა,
მას შეუძლია თამამად იდგეს
ძველის და ახლის გასაყარ ზღურბლთან!

და რაკი ჩვენს წინ მაღალი გზაა
და რაკი ცაა გულივით სუფთა,
ეს გაუმარჯოს სანატრელ საათს
ძველის და ახლის გასაყარ ზღურბლთან.

მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე

მგონია, აგერ ახლა დაგშორდი,
ეს განშორება, პაპავ, შემინდე.
მაშინ დამიფქვი წლები ბავშვობის,
შენ იყავ ჩემი სიყრმის მემინდე.

ახლა ხვიმირთან ვდგავარ მესამედ
და უკვე ვიცი, რა მსურს, რას ველი;
არ გაგიკვირდეს, შენი კენესამე —
ჩემი სტუმრობა უკანასკნელი.

გუშინაც მოველ, დიდხანს გიცდიდი,
დიდხანს მესმოდა ხმები კეთილი.
მერე დამიფქვი წლები სიმწიფის
და გამომიშვი მთლად შეფეთქილი.

მოველ, ძველ სახელს ძლივსდა ვიფერებ,
სიტყვებსაც თითქო სხვისგან ვესხსულობ;
დაე, დამიფქვი წლებიც სიბერის,
რომ ვერასოდეს ველარ გესტუმრო.

რ ი ღ ი

მე შენთვის ვეძებ უსიტყვო სიტყვას,
(ხომ არის სადღაც უფერო ფერი?)
არ მინდა, იგი რომ სხვისგან ითქვას,
არ მინდა, რომ სხვამ შეაძოს ხელი.

ამიტომ, როცა არაფერს ვამბობ,
შენც დაიმორცხვე და ჩუმად იყავ;
თუ უიმედო იმედიც გვათბობს,
გაიგე ჩემი უსიტყვო სიტყვაც.

ღ ა მ ი ს ღ ა რ ა ჯ ი

ღალამისას
ვიტრინასთან მთვლემარე დარაჯს
თავს წაადგები და ეტყვი წყნარად,

ხოლო კუთხეში,
ასწლოვანი ჭადრების იქით,

რომ ერთი ცალი პაპიროსი
სიცოცხლედ გიღირს.

შენს მოლოდინში იკავენს ღიმილს
მაღალ ქუსლებზე
შემდგარი ჩრდილი!..

დიდი სიმღერის დრო მოახლოვდა

დიდი სიმღერის დრო მოახლოვდა,
თქვი, რაც სათქმელი დაგრჩა ბოლომდის, —
ხვალ-ზეგ უცრემლოდ გასტეხენ ახოს
და დამარხავენ შენს ტკბილ მოლოდინს.

დიდი სიმღერის სამრეკლო გიხმობს
და ჟრიალებენ ქარში ზარები.
გეპატიება, რაც იყო, იყო,
რაც გიმღერია ბავშვურ ზმანებით.

დიდი სიმღერის დრო მოგუგუნდა,
გასტეხე პური შენი არსობის.
მძიმედ შეკრული ხარ თოვლის გუნდა,
ათასწლეულის თოვლში ნასროლი...


მორჩენება მამადაპირთვე


მამადავითზე დაეშვა წვიმა
და ჩამოლამდა ირგვლივ ერთთავად,
ცას შებჟენილი ტაძარი წმინდა
ვერ დაიფარა რუხმა ბექთარმა.

ბარათაშვილი იდგა წვიმაში
და მეჯინიბეს მიხმობდა სწრაფად,
და მთამ — სომალდმა — წარღვნიან ქარში
ერთად ათასი აუშვა აფრა.

ჯანღუმეოსვეულს სავანეს დიადს
ელოდა სრამში გადაშვავება
და ატირებულ უსუსურ იას
ხელს აფარებდა ვაჟა ფშაველა.

იღუპებოდა სხივთა აკვანი,
ძვალთშესალაგი უკვდავ მამათა...
ცას გადაუსვა ხელი აკაკიმ
და ყველაფერი უცებ განათდა...





ჩანაწერი და სასჯელი

ცანგალა ნაახოვარში მეორედ თოხნიდა სიმინდს. პირველადც მარტომ გათოხნა — მაშინ ძალიან ფრთხილობდა, ახლადამოწვერილ სიმინდს ელოლიავენბოდა, თოხს არ გამოყვესო, ამიტომ ერთი დღის საქმეს კინაღამ მთელი კვირა შეაღია.

შარვლის ტოტები კი აიკარწახა ცანგალამ, მაგრამ პერანგის სახელოები არ აუკაპიწებია — სიმინდის ხაოიანი ფოთოლი ისე სერავს კანს, მუადა ქვაზე ალესილ დანას არ ჩამოუვარდება.

მეორედ თოხნა დაუფვიანა და აკი შალაფა თავზე მოექცა სიმინდს... შალაფა ხეირიანი რამე რომ იყოს, ამოდენა

კი არ გაიზრდებოდა! — თანაც როგორ ეჭიდება მიწას! ორივე ხელით თუ არ დაეჯახგურე, მარტო თოხით გადასხება ბევრს ვერაფერს დააკლებს.

დასამხრდა და ისე ჩამოცხა, სიმინდებმა პაპიროსები დაიკეთეს. ასეთ თაკარაში თოხნა მისწრებაა — ერთს დახედავს მზე და, მორჩა, უცებ ჩაფუფქავს შალაფასაც და აბლაბუდასავით გახლართულ-გამოხლართულ კლანძასაც. თუ ამ დღეებში არ გავწიმადა, საშვილიშვილოდ გაკეთდება ნაახოვარი — სახედრის პირმოსაკიდებელ ბალახსაც არ გაიმეტებს მიწა; თუმცა წელა წაიდგე სიმინდი, ხევის აყუდებულ აღმართ-

ზე ურემი არ დაგიგორდეს! არა, ისევ გაწვიმება სჯობია.

თოხის ტარზე დაეყრდნობა ცანგალა, ამოიქაჩანებს; უკან გაიხედავს—ძლივს არ დავღე ბარაქაო! წინ გაიხედავს— ისე ვატყობ, მგონი არაფერი აკლდება, ვერ იქნა და ვერ მივასუსტეო!.. ისევ უხსატუნებს თოხს; მიწა სასიამოვნოდ ეყრება ფეხებზე. უცხომ რომ გახედოს ცანგალას ნათოხნს, იფიქრებს, ბერი-კაცს უფუსფუსნიაო — რამდენიც არ უნდა უჯარკიტო, ფეხის კვალს ვერ იპოვნი.

ორლობეში ცაროს პაპამ ამოიარა, გამარჯობა კაცოო, მუშა კაცოო. მერე ცანგალას ნაციხარმა ბიძაშვილმა, შიომ ამოიარა, არც გამარჯობაო, არც არაფერი, მილიციის ინსპექტორი გიბარებსო, ღრეკვით გადმოსძახა.

მთელი დღე ისა ჰქონდა ცანგალას სადარდელი, ამ ერთ გახურება საქმეს კინდამ დღესაც ვერ ვერევიო და, ახლა ნაციხარი ბიძაშვილის ღრეკვით ნათქვამმა არ ჩააგდო საგონებელში?

ცანგალამ თოხის ღობის ძირში მიაგლო, მზის თვალს დაემალა — ატმის ჩრდილში დაჯდა და ფიქრობს: „ნეტავ მილიციის ინსპექტორს რა საქმე აქვს ჩემთან? ჰოო, ამას წინათ ნასყიდა პაპას მსხალს ხელი რომ შეეწოდე, ალბათ იმაზე მიბარებს. მაგრამ, კაცო, პატრონსაც არ გაუგია და მაგან რა, ჯამში წყალი ჩაასხა და შიგ ჩაიხედა? მართო ერთი ცალი მოვწყვიტე და ისიც იქვე შევკამე, ჯიბე-უბე ხომ არ გამივსია? კიდევ ისა: კინოში ბიჭები რომ დაირივნენ... ქვეყანა იქ არ იყო, რაღა მაინცადამაინც მე უნდა გამათრიოს მოწმედ? რას გამოაპარებ, ეცოდინება, ტყუილს რომ არ გადმოვალაგებს... შეიძლება სხვა რაღაცამ მოიქნია კული!.. მოიცა, გავიხსენებ... ეგ არის რა: ნესტორმა ვირი რომ დაკარგა, ალბათ ჩემს კისერზე უნდა წააქციოს! მეეჭვება. რომც მაჩუქოს, არ მინდა. ერთი ისიც იკითხოს, დედაჩემი ეზოში შემაყვანიებს?.. მართლა, სულ დამავიწყდა — ბოლო გაკვეთილიდან რომ გამოვიძურ-

წე, ნაღდად იმაზე შემაქანჯყარებს... რაც თავი მახსოვს, იმ ერთხელ გამიწყვრა ღმერთი და, საციხედ არ გამიხნდა საქმე! ე, ყველა წამოვიდა და მე რაღა მეკეთებინა იქ? მოიცა: მაშინ ხომ დირექტორი დამიბარებდა?.. ეტყობა, სხვა მხრიდან უბერავს ნიაგი!.. ამ სიცხეში რა შეინსპექტორება!.. მამა გიცხონდა, შენც ტყეში გავარდნილი ყაჩაღი დაიჭირე! ასეა, ჩემო გიგო ინსპექტორო: მეღა ვაღდაურჩი კბილგასაკრავი სოფელს და აკი მიყელეს კიდევ აშლაფებულ სიმინდში!.. ნუგზარმა რომ ცხვირპირი ჩაურია ხვინჯში, ნამდვილად იმაზე მიბარებს. ჩემისთანა დოყლაპია ასი წლის მემრეც არ დაიბადება, მაშ ეს უნდა დამვიწყებოდა?! რა ჩემი ბრალი იყო: თხრილს აქეთ მე ვიდები, იქით— ისა; გადმოხტა და კაი სახნისივით გააგლო კვალი. სად არის სამართალი, დავიჯერო, ამის გულსათვის დალაქის დაბარება ღირს?.. სიტყვას შეუბრუნებ და, რაც გეკუთვნის, ერთი იმდენს კიდევ დაგიმატებს საკუთარ ანგარიშზე, ესაო, ძვირფასო, წინასწარგანზარახული უზრდელობითივანაო, უზრდელობითივანაო... დედაჩემმა მაინც არ გაიგოს, მოთქმით შემოიყრის ქვეყანას. მამაჩემი? არაფერი დამიშავებია-მეთქი და, დამიჯერებს, მართალი ვარ და დამიჯერებს...“

ხელპირი დაიბანა ცანგალამ, აკარწახებული შარვალი ჩაუშვა, ფეხსაცმელს ჩაიცვა, საჩიხიანი ქუდი ფომფლედ მოიგდო და თავჩალუხული დაეშვა ორლობეში. „შიოს რაღა უხარჯა ვითომ? ხომ არა ჰგონია, მაგასავით მიუღლი სამი წელი ვეღარა ვნახავ ჩემიანებს? თვე არ გაივლის, ციხეში არ ამოყოს თავი და, ალბათ ის უხარია, მილიციის ინსპექტორი რომ მიბარებს, ესეც ერთი ნაბიჯი ვირის აბანოსკენო. აკი მეტყვის ხოლმე შიო, წადი, ხალხში გაერიე, ქვეყანა გაიცანიო. ერთხელ ჩემი თბილისელი დედიძმა კინოს ბილეთის რიგში მდგარა და თურმე კილა-

პარლო კოპარიძე
დანაშაული და სასჯელი

ცა ბიჭმა ჯიბეში ჩაუცურა ხელი. აღ-
როვა ჩემმა დედიძამ: ფული რომ ამო-
იღო, მაშინ ჩააფრინდა მაჯაში—მიათ-
რევს და მიადრიალებს მილიციასში. ჯი-
ბგირი ეუბნება, ნამუსი არა გაქვს, სად
მიგყავარო. ჯიბიდან შენ მაცლიდი
ფულსა და მე მთხოვ ნამუსისა?! რას
აბატიებდა.. როგორი გახარებული იყო
შით, მილიციის ინსპექტორი ვიბარებ-
სო. მაგას რომ იბარებს ხოლმე და მე
არ მიხარია? რამდენჯერ გააფრთხილა
გიგო ინსპექტორმა, დადექ, შევილო
და, გეყურება კედელზე? ქურდობა ვაქ-
კაცობააო და, ვაქკაცობს. ჩემმა ფიზი-
კის მასწავლებელმა რომ სამი ხულიგა-
ნი მიასიკვილა, ნეტავ ის რაღა? ცა-
რომ მინც არ მომკრას თვალი, იფიქ-
რებს, დაუშვებია რამეო. იფიქრებს
და ვერც ვერაფერს ვეტყვი: რა ჩემი
ძმაცაცა გიგო ინსპექტორი, ადგეს და
დომინოს სათამაშოდ დამიძახოს!..“

ხევის აყუდებული აღმართი აათავა
ცანგალამ და წყაროსაც წაადგა. წყა-
როზე მარტო ნესტორა იყო: ვეება,
აწოწილი კასრი მოეგორებინა და ჟღენ-
თავდა — ვედროთი ჩააშხუილებდა
წყალს და, ისე გასდიოდა თქირალით,
გეგონება უძირაო. თანაც ვედროს
რომ ამოადგაფუნებდა ნავიდან, ნახე-
ვარს თავზე ისხამდა.

— საით გივლია, ძმაო ცანგალა? —
გაუცინა გაჟიებულმა ნესტორამ.

— რა ვიცი... ისა, როგორ არის ვი-
რის საქმე, ძია ნესტორ, იბოვნე?

— მაშა, კაცო! მე ვინ მამაქვავა იმისი
ბედი, რომა პატივი ეცა ვინმესა და
დაეღუნა აქედან.

— ბევრი ექებე? — გაუხარდა ცან-
გალას.

— ვექებე არა! ვიფიქრე, ეგ არის,
მეშველა-მეთქი და, მე გაჩუმებული
ვიყავი და მეზობლებმა არ მოჰფინეს
ქვეყანას, საწყალი ნესტორა, ვირი და-
კარგაო?! ამ ხალხს ვერ გავაგებინე,
რომა, სადაც არაფერი ესაქმებათ, იქ
ნუ ჰყოფენ ცხვირსა!.. მოდი, წყალი მი-
ირთვი.

— არ მინდა. სად იყო?

— ბოსელში. ცოტაოდენი მარშან-
დელი თივა ეყარა კუთხეში და იმას
მიირთმევდა. შენ ვირი ეძახე მარშან-
დელს და მარშანდელი...
წასვლას დრო უნდა და მუხლები!...
მესამე დღეს დაიყოყნა, დამეხმაუ-
რა, აქა ვარო და, გული გადამიტრიალა.
ვისაც შევეხვეწე, დააფასეთ ნესტორა,
ვირი მიიღეთ საჩუქრად-მეთქი, ყველას
ხუმრობა ჰგონია, მადლობა მომიხსენე-
ბიაო. არ გავციდო? — ჰმ! გავციდო? —
რა თავში მიხლია ორიოდე კაპიკი, მი-
ლიონისას ეზოს მინაგვიანებს. ნეტა და-
კარგულიყო! მგლებიც ეხლა გაქრნენ,
ეგ უპატრონოები, ადრე საჩენში მიქამ-
დნენ ვირებსა. იმ დღეს ტბაწვერზე ავი-
ყვანე, დიდად რომ მოიკითხე, ისა; გა-
უუკარი ფეხები, აქ იყო მგლების ბუნა-
გი და, დავიჯერო, კერა ისე ვააცივეს,
ერთი ნაშიერი მინც არ დარჩათ, მიირ-
თვას და შეერგოს-მეთქი. შენც არ მო-
მიკვდე; სწორზე ფერდაწმენდილი და-
მიბრუნდა?! შენ როგორღა ხარ?

— რა ვიცი...

მიდის ცანგალა, მიუხარია — ნესტო-
რას ვირი უბოვნია და, როგორ არ გაუ-
ხარდება!

გრძელი კიბე აითვალა ცანგალამ და
ფრთხილად დააკაქუნა კარზე.

არაფერს გამოპასუხებია. მარტო ის
გაიგო: შიგნით ვილაცეები ლაპარაკობ-
დნენ და კაკუნმა გააჩუმათ.

ისევ დააკაქუნა.

მობრძანდითო.

ცანგალამ მორიდებით შეალო კარი:
ინსპექტორის კაბინეტში ორნი დახვდ-
ნენ — თვითონ, ორმეტრიანი ინსპექ-
ტორი გიგო და ცაროს მამა — მიხო.

— შეიძლება? — ქული მოიხადა ცან-
გალამ.

— მობრძანდი და დაბრძანდი, — მკვა-
ხედ მიიპატიჟა მიხომ. გიგოს არაფერი
უთქვამს — წიგნსა კითხულობდა, მაგ-
რამ თავს არ აკანტურებდა.

ცანგალამ სკამი კედელთან მიიღვა
და დაჯდა.

ინსპექტორმა თვალები მოისრისა:

— ვინა ხარ და რა გინდა?

— ცანგალა ვარ. დამიბარე და მოვე-
ლი.

მხრები აიჩეხა ინსპექტორმა, ვინ
ცანგალა და, რა დაბარებოა.

— ეს ის ვაჟბატონი გახლავს,—შეა-
ხსენა მიხომ.

— გასაგებია, — ჩაფიქრდა ინსპექ-
ტორი, მერე კალამი და სუფთა ფურ-
ცელი მიაწოდა ცანგალას, — დაწერე,
ამხანაგო, რომ: შენ ესა და ეს არასო-
დეს დელაპარაკები ცარო ამასა და
ამას. გაიგე, რას გეუბნები?

— მე მაშინვე გავიგე, როგორც კი
მიხო ძია დავინახე აქ.

— ჰოდა, გასარკვევი აღარაფერი
გვქონია.

— არ დავწერ!
— ვერ დაწერ?
— არ დავწერ!

— შენს ნება-სურვილზე რომ იყოს!...—
ჩაიჭირქილა მიხომ.

— მაინც რას მედავებთ? — წამო-
წითლდა ცანგალა.

— ვითომ არ იცი! — წამოხტა მი-
ხო, სიბრაზისაგან ვეება ტანი აუთახ-
თახდა, — დაწერე, თორემა, დაგახეთ-
ქებ დედამიწაზე! მშვენივრად იცი, რა
სახარებასაც გიკითხავენ.

— რაც არ ვიცი, არ ვიცი, — წყნა-
რად თქვა ცანგალამ.

— სწორია, — დაეთანხმა ინსპექტო-
რი, მაგიდაზე დააყრდნო ხელები და
ისე აიმატა. ცანგალამ თვალი ააყოლა,
შეეშინდა, ჰერს არ აარტყას თავიო. —
რასაც კანონი გვიკარნახებს, თქვე-
ნი დასმენილი ბრალდებულიც ამას მო-
ითხოვს, ამხანაგო მიხო.

— ძია გიგო, — დაიწყო ცანგალამ,
მაგრამ ინსპექტორმა არ აცალა:

— ოფიციალურ საქმეზე ოფიცია-
ლურად უნდა მომმართო, ამხანაგო
ცანგალა: ამხანაგო ლეიტენანტო-თქო,
გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო უმცროსო
ლეიტენანტო. როგორ ვითხრათ...

ინსპექტორმა ისევ შეაწყვეტინა:

— შენ ამდენი საიდან იცი?

— წიგნებიდან, — გაეღიმა ცანგა-
ლას.

— ყოჩაღ! — შეაქო ინსპექტორმა,
ყოჩაღ! — მიხოს შეხედა, — საინტერე-
სოა! ახლა, ამხანაგო მიხო, რას უჩივი
მოქალაქე ცანგალას, — სკამზე დაეშვა
და გამომცდელად მიაჩერდა, — გა-
ვარკვიოთ ბრალდებული საქმის ვითა-
რება-გარემოებაში.

— ჩემი შვილი უყვარს! — იატაკს
ფეხი დაჰკრა მიხომ, — არ ვაპატიებ!
თბილისამდე ვივლი და ჩემსას მაინც
გავიტან! არ ვაპატიებ!

— დაწყნარდი! — შუბლი დაკეცა
ინსპექტორმა, — მე აქ გულდურა კი არა,
კანონისა და სამართლიანობის დამცვე-
ლი ვარ. სერიოზულად ვაფრთხილებ:
ნერვებს გაუფრთხილდი. შემდეგ: წინ
ნუ გადაუხტები საქმის ლოგიკურ მი-
მდინარეობას, გარწმუნებ და გპირდებ-
ნი: ასეთი რამ ჭეშმარიტების არე-და-
რევასა და ღომხალს გამოიწვევს. გასა-
გებია? მაშ ვანვარძოთ: შეკითხვა ხომ
არაფერი გაქვთ?

— მე მაქვს, — წამოდგა მიხო.

— გისმენ, მაგრამ არ გაბრაზდე და,
როგორ გაგაგებინო, წასასვლელი ვარ,
ვილაცას ტროყის ბიჭის ცხენისათვის
კული დაუჭრია ნამგლით და ის უნდა
მიეჩხრიკ-მოეჩხრიკო.

— აკი თოხით დააჭრესო? — ჰკითხა
ცანგალამ.

— გასაგებია. — ჩაფიქრდა ინსპექ-
ტორი, — ესე იგი, ასეთი ვერსიაც გა-
მოტყუვრა, არა? საყურადღებოა... დაი-
წყე, მიხო.

— მე იმისი თქმა მინდოდა, რო...
თან მეუბნები, არ გაბრაზდეთ! როგორ
არ გაგბრაზდეთ, ოჯახდასაქცევო ამხანა-
გო, ჩამოეხსნას ჩემს გოგოსა, თორემა,
ლაცე კვერცხივით მივათხლიშავ კედელ-
ზე!... ჰაპიროსი მომაწევიე, გიგო.

— არ ვეწევი, — ჩაახველა ინსპექ-
ტორმა, — ცანგალას გამოართვი.

პარლემონის
დანიშნული და სასჯელი

—ათი წელიც იქნება, აღარ გამიბო-
ლებია, — თქვა ცანგალამ.

— აი, აჰა, მოდი და ელაპარაკე! —
თავი გააქნია მიხომი.

— რამდენი წლისა ხარ, ბიჭო?! — გა-
დაირია ინსპექტორი.

— ჩვიდმეტისა.

— რალაცა ხელწამოსაკრავი არა ჩან-
ხარ!... მამაშენი სად არის?

— ტყეში.

— ტყეში რა მინდაო?

— მეტყევეა.

— დედაშენი სადღაა?

— აფთიაქში.

— ავად გავიხდათ ვინმე?

— არა, იქა მუშაობს.

— გასაგებია. რამდენი შვილი ჰყავს
დედაშენს?

— ექვსი. თუ დამიჯერებ, მამაჩემსაც
ექვსი შვილი ჰყავს.

ინსპექტორს გაედიმა:

— მთლად უფროსი რამდენისაა?

— ჩვიდმეტისა.

— შენ ყოფილხარ რალა.

— არ დაიჯერო: ჩემი ტყუბის ცალია
დიდი, მზია; ჩემზე ხუთი წუთით აღრე
დაბადებულა. ესეც საქმეა.

— გეთანხმები... რა ვქნათ, არ გიკარ-
ნახო ხელწერილი?

მაგიდაზე სქელი მინა დევს. მინის
ქვეშ გოგოს სურათია ამოდებული: ქე-
რა, ათქვირებული გოგო კიბეზე ჩამო-
მჯდარა, ყვავილებიანი კაბის კალთა მუ-
ხლზე მოთ ასხლტია, საფეთქელზე ჩა-
მოშლილ კულულებში თითები შეუყ-
რია და ისე ლამაზად იცინის, ისე ლამა-
ზად, ცანგალა თვალს ვეღარ აშორებს.
კაი ხანია ინსპექტორი ამჩნევს ამას და
კიდევ იმიტომ ღიმილი ემატება თანდა-
თან.

— ამდენს რას ალაპარაკებ?! —
უკვირს მიხოს, — დააწერინე ორიოდ
სიტყვა და გაისროლე გარეთ!

— წყნარად, — თითს უქნევს ინსპექ-
ტორი, — მარტო შენ კი არა, ჩემი უფ-
როსიც ვერ მასწავლის, როგორ უნდა
გავართვა თავი საქმეს!.. მოდი, ცანგა-

ლა, ისე მიბასუხე, ვითომ მიხო აქ არ
არის; მართლა გიყვარს ცარო?

— მიხო ძიასთანაც ვიტყვი და, დე-
დაჩემისა ხომ ყველაზე ძალიან მეში-
ნიან, არც იმასთან დავიხვე უკან, მი-
ყვარს და, რა ვქნა?

— მაგას არ გიჩივიან? — ისევ წამო-
ხტა მიხო, — ჩემს ჯიბრზე თუ არ ამ-
ბობდეს, გიგოვ, რთვლობას ვეღარ მი-
ვატანო!

ინსპექტორი მიხოს ანიშნებს, დაჯე-
ქიო და ცანგალას ეკითხება:

— ვაჟკაცურად გამარკვიე, რა არის
სიყვარული? ნუ მოგერიდება და, მე-
რე სული მთხოვე, არ დაგიჭერ.

— აბა როგორა ვთქვა, რა ვიცი!

— გასაგებია, — თქვა ინსპექტორმა
და მიხოს მიაჩერდა.

მიხომ იგრძნო ინსპექტორის მზერა,
კისერზე ხელი მოისვა და თავაუღებ-
ლად ჩაილაპარაკა:

— უთხარი, ეგ რალა დასამძლია, უა-
რესი არ წამოაყრანტალე?

— ძნელი სათქმელია, — უცნობ გო-
გოს სურათს თვალს არ აშორებს ცან-
გალა, — მინდა თქმა, მაგრამ ვერ ვა-
ხერხებ.

— როგორც მოახერხებ, შენც ისე
თქვი, — ეხვეწება ინსპექტორი.

— კარგი, — ელიმება ცანგალას, —
რო დავინახავ ხოლმე, სულ ბაგაბუგი
გაუღის გულსა, — ნუ გეშინია, ბახ-
ტრიონ-გალავანი რა არის, გაქანდი,
ლეკიმთას გადაახტებო, იმასაც მეუბ-
ნება გული: ზოგჯერ შეიძლება მოგშივ-
დეს, მოგწყურდეს, შეგციოდეს, მაგრამ
მე თუ ეგრე ვიფართქალე, რასაც დაგა-
კლებენ, იმასაცა ვნახავთო. შენაო, გო-
გოს უყურე, სასიამაროს რას უყურე-
ბო. რა ვიცი...

— ასე სჯობია, შვილო, — ამოიოხრა
ინსპექტორმა, — აბა, ის იყო საქმე მე
რომ დამემართა? — დედაჩემმა მომ-
გვარა გოგო, ეს იქნება შენი ცოლიო
და ჩემი რძალიო; მაშინვე გავგიგდო
წინ, საბჭოში მიგვლალა და ხელი მო-
გვაწერინა. ერთი კვირა ლიას ვეძახდი,
ნია კი რქმევოდა ჩემ ცოლს. სიყვარუ-

ლო, რომ იტყვიან ხოლმე, მე ჩინური მგონია. მე მაგ სიყვარულზე ვამბობ, თორემ შვილის სიყვარულის მეტი რა მაქვს სატრამბაზო, ოთხი ვოგოს პატრონი ვარ.

— ვინ დაგწყევლა, იმ ოჯახამოსაბოლოკებელმა! — შეეცოდა მიხოს.

— ეს თუ წყევლაა, ლოცვა რაღა იქნება!.. ცანგალა, ჭერ არ გიკონია?

— რას მიედ-მოედები! — უყვირა მიხომ, — მე რა დაგავალე და შენ რას ეუბნები?! ეს ვინა ყოფილა, გაუგებელი?!

ინსპექტორმა შეუბღვირა:

— დაჯექი. ისე ვატყობ, მიხო, შენ შემოგხსნი ქამარს, — მერე ცანგალას მიუბრუნდა, — ჰა, ჭერ არ გიკონია?

ცანგალამ ეზოში გადაიხედა:

— ბევრჯერ!

— მართალს ამბობ? — გაფითრდა მიხო.

— შენს გოგოს გეფიცები.

ინსპექტორს ჩაეცინა.

— ცანგალავ! — კბილები გააკრაჭუნა მიხომ, — შვილი არ დამახობინო ჩემი ხელით.

— შენი შვილი რა შუაშია?! — გაუკვირდა ცანგალას, — მე ვინმარე ძალადობა და მე მაგებინე პასუხი.

— ჩაიწერე! — მაგიდას საჩვენებელი თითი ატაკა მიხომ, — ჩაიწერე, საკუთარი პირით აღიარებს, ძალადობა ვინმარეო.

— ჩავიწერე, — დაამშვიდა ინსპექტორმა, — მაკრამ ამ ბრალდებით სასამართლოზე ვერ ავაყუდებთ, ვინაიდან სამართლიანი, როგორ გავაგებინო, სამართლიანი ძალადობაა: შე დალოცვილო, რომელი გოგო მოგიშვერს ლოყას, მაკოცეო. ცოტა ძალადობა თუ არ იხმარა კაცმა, ისე არ გამოვა ეგა და მაგდაგვარი საქმე. გასაგებია?

— არა გრცხენია, ინსპექტორი მაინც არ იყო! ღმერთო, შენ გადმომხედე, — პირჯვარი გადაისახა მიხომ.

— როგორც ინსპექტორი, ასეთი ძალადობის მომხრე ვარ, დიახ, თავგამოდებული მომხრე. თუ არ გეზარება, წა-

დი და მიივიღე. რას მიყურებ, გაგამეორო?

მიხო წელმოწყვეტილი დაჯდა, ცანგალა კი ისევ მინის ქვეშ ამოდებულ სურათს ჩააშტერდა.

ინსპექტორმა კედლის კალენდარს ფურცელი შეახია:

— დღეს რას აკეთებდი, ცანგალა?

— სიმინდსა ვთოხნიდი.

— გუშინ?

— გუშინაც.

— ახლა ეს მითხარი, რამ შეგაყვარა ეგ მურიანი გოგო?!

— მურიანი რო არის, სწორედ იმიტომ მიყვარს.

— შენიახებმა იციან?

— ვინ აღარ იცის! დასამალი რა მაქვს, სასაცილოა თუ თავმოსაჭრელი?

— როგორ გეკადრება?!.. საინტერესოა, მიხო, რას უწუნებ ამ მშვენიერ ბიჭს?

— მეტი რაღა დაგუწუნო, სამამულე რქა არ უჩანს, უგერგილოა!

— ვერ გავიგე.

— რა გავება უნდა: ნესტორას გერმა შეაგინა და, მე რო მეგონა, ცანგალა გააბრტყელებს-შეთქი, ვაი, შე საცოდავო, სადაც წახვალ იქ გაყვება ეგ აყროლებული პირიო, მეტი არაფერი? კიდევ გეტყვი: მთელი ხეხილი ჩამოუღეწეს ბალღებმა და ხმა არ ამოუღია, რა ეს-მით, რა უნდა ველაპარაკო? ზოგი კიდევ სხვა დროს ვამახსენდებო... ეს აქეთ-იქით კი არ იყურება, დაჩალიჩობს თავისთვის, მარტო წიგნები და წიგნები?! ვაი, ამის ნაცხოვრებ ოჯახზე რა ვთქვა!.. ჩამოეხსენ ჩემს გოგოსა, ცოდვა არ დამატრიალებინო!..

ინსპექტორმა კალენდრის ფურცელი საგულდაგულოდ დაჭმუჭნა, ურნაში ჩაგდება უნდოდა, დამიზნებით ესროლა, მაგრამ ააცილა. უყურა იატაკზე დაგდებულ ქაღალდს, უყურა და ნელ-ნელა წამოდგა.

— მიხო, — წყნარად დაიწყო ინს-

პარლო კომაბრძიმ
დანაჯაული და სასჯელი

პექტორმა, — ეს ისეთი სოფელია, ჩემ-
ზე დიდხანს არც ერთ ინსპექტორს არ გა-
უძლია, მე კი მთელი ხუთი თვეა ვმუშა-
ობ. რაც ამ სოფელში მამაძალი ხალ-
ხია, ღმერთმა დაგვიფაროს, სხვაგანაც
იყოს! ღამე არ არის ჩემთვის ძილი და
ღღე—საქმე ვერ გამოვლიე, კაცო?!
ამ ხალხს ან ღედ-მამა არ ეცოდება, ან
ცოლ-შვილი, შინაური, გარეული — რამ
დაწამლა და დაშხამა ეგრე?! დაგიგე-
რებია: მზის ერთი ამოსვლიდან ერთ
ჩასვლამდე, სულ ცოტა, ათ დანაშაულს
მაინც ჩაიდენენ ხოლმე?! შენ კარგად
იცი, მიხო, აბა, წელიან ხომ არ გამოცა-
ნი, აქვე ვცხოვრობ, გვერდითა სოფელ-
ში, აქეთა ხევთან, ძალიან ბევრი ორ
კილომეტრზე და, რაც აქ დაგიწყე მუ-
შაობა, საქმეს ვერ გავედწიე, ცოლ-შვი-
ლი ვერა ვნახე! ისე შემაყელეთ, გუ-
შინ განცხადება დავუწერე უფროსს,
გამათავისუფლე-მეთქი. მაგრამ, აი,
ცანგალას ხათრით აქედან აღარ მივ-
დივარ, ნუ დამიჯერებ თუ არ გინდა,
აღარ მივდივარ და... მოვრჩით! ამისთა-
ნა სიძეს სანთლით ექებენ, ეს თავცა-
რიელი კიდეც არ აზიზობს?!

— არ მინდა და ძალაა?! — მუხლებ-
ზე დაირტყა ხელი მიხომ.

— მე როდისა ვთქვი, ცოლად შერ-
თვის ვაპირებ-მეთქი? — ხმა დაიბოხა
ცანგალამ და ხელში შერჩენილი ქუდი
მაგიდაზე დადო, — სიყვარული მარტო
იმას კი არ ნიშნავს, ცოლად ითხოვო?
მიყვარს და მეტი არაფერი! არ გამოგა-
ტანო? ვინ დაგაზია კალთები, ყელი არ
გამომჭრა, გამატანო? რა საცოლედ,
რისი საცოლედ? ცაროს ჩვენს ეზოშიც
არ გვატარებ, აივანზე რო არაფერი
ვთქვა! არ გამოგატანო? ეს რა მოიგო-
ნა? ბოდში და, სად მოელანდა? რო-
დის დაესიზმრა? ისევ ბოდში და, რო-
მელმა რეგვენმა უთხრა? გაიგე, რას მე-
უბნება, ამხანაგო უმცროსო ლეიტენან-
ტო?!

— გასაგებია... მართალი ვითხრა, მეც
მაგისი მეშინოდა.

მიხოს ჭირის ოფლი დაასკდა. ინსპექ-
ტორმა ჭიებისაგან დახრულ ერთად-

ერთ კარადას შეავლო თვალი და გაიმე-
ორა:

— მეც მაგისი მეშინოდა.

— ქვეყანა შეუყარე და ესლა ამბობ
უარს?! — ყვირილით წამოხტა მიხო, —
არ ითხოვ და ბარემ ეზიარე! უყურებ,
რამდენი გამიბედა, ამ მაიმანმა?! იმი-
ტომ მოვიქონიე ყველაფერი, რა
უშვილძიროდ გადავშენდე? რაღათ გი-
ყვარდა მაშინ? რათ დამღუპე და რათ
დამაქციე? ვინლა ითხოვს სხვის შაყვა-
რებულ გოგოსა?!. სოფელს მეტი სა-
ლაქლაქო არა აქვს, ეს კიდე მეუბნება,
ისე მიყვარს, საცოლედ კი არაო?! —
დაკოყრილი ხელები ნერვიულად მოა-
ფშვინტა და საწყლად მიაჩერდა ინ-
სპექტორს.

ინსპექტორმა მშვიდად დაწერა სუფ-
თა ქაღალდზე, თან ხმამაღლად კითხუ-
ლობდა:

— ხელწერილი ნომერი 1313: მე,
ქვემოთ ხელის მომწერი პირობასა
ვდებ: ვინაიდან და რადგანაც სიყვა-
რულს მიშლიან, და კიდეც: ვინაიდან და
რადგანაც მაინც მიყვარს, ამიტომ, ვე-
თანხმები ინსპექტორის, ამხ. გიგო
ბუაძის განაჩენს, ჩემი ორი დღით მი-
ლიციაში ყურყუტის თაობაზე. ხელწე-
რილი ესე ძალაში შევა... — ინსპექტო-
რი ცანგალას მიაჩერდა, — სიმინდის
თოხნას მორჩი?

— ცოტალა დამრჩა.

— ძან გიმარჯვნია! — მერე წერა
განაგრძო, — ძალაში შევა, როცა სი-
მინდის თოხნას მოვრჩები.

— არა, არა! — იწყინა ცანგალამ, —
ჯერ დანაშაულს მოვიხდი პირნათლად
და მემრე ვავთოხნი!

— სასიამოვნო ახალგაზრდობა მო-
დის, — ჩაილაპარაკა ინსპექტორმა, —
დანაშაულს გულახდილად რომ აღია-
რებ, უკვე ვაქცაი ხარ. აი, რას ნიშნავს
უფროსისადმი პატივისცემა, თავმოყვა-
რეობა, დროის რაციონალურად გამო-
ყენება: ჯერ მწარე ჭამე, მემრე ტკბი-
ლიო, ამაზეა ნათქვამი!... თან საქმე: ძა-
ლაში შევა, წუთიდან ხელის მოწერისა.
წერტილი. ხელის მოწერის შემდეგ

მარტო ჩემთვის მეყვარება და მინც არ ვითხოვ ცოლად. წერტილი. ხელწერილი ესე დაწერილია ინსპექტორის ხელით, რასაც ვადასტურებ ბრალდებული ცანგალა, — ინსპექტორმა ოქმი ჯერ მიხოს მიაწოდა, — აქ მოაწერე ხელი, მეც ვადასტურებ-თქო.

— არ მოვაწერ, — თავი გვერდზე მიაბრუნა მიხომ.

— კანონის სახელით!

— არ მოვაწერ!

— არ მოაწერ და ნუ მოაწერ, — დაუთმო ინსპექტორმა, — არც ბევრ სხვა რამეზე მოგიწერია ხელი, მაგრამ კანონადაც ქცეულა და სამართალადაც. ნუ მოაწერ! ცანგალას უმაგისოდაც შემოგხსნი ქამარს.

— ქამარს რომ არ ვატარებ? — შეწუხდა ცანგალა.

— ნეტა ეგ არ გეთქვა! — უარესად შეწუხდა ინსპექტორი.

— თუ გინდა, შარვალს ვავიხდი.

— ასეთი რამ კონსესუალური დისპოზიციით პრაქტიკაში არა გვაქვს, — უარპყო ინსპექტორმა.

გაოცებულმა მიხომ ჯერ ცანგალას შეხედა, მერე — ინსპექტორს:

— რაო, გიგოვ?!

ინსპექტორმა მიხოს ნათქვამს წაუყრუა.

— ეგრევა... ცანგალა, შენ ისე უყურობ მაგ სურათს, გეტყობა მართლა მოგეწონა!

— კაი გოგოა!

— მიხოს გოგოს ხომ სჯობია?

— რათ გინდა ლაპარაკი!

— ჩემი შვილია. შენ მარტო დაამთქნარე და სულაც ხელმოუწერლად გაპოგატან, გასაგებია?

— უე! — შეტოკდა მიხო, — ამას ვინც გულზე ეხატება, საცოლევც ის არის! ვაი, რა ვუთხრა, ვინც შენ კანონიერების დამცველად გადმოგავდო აქა! ეგ გასწავლეს, შვილოსან, კაცი გზიდან გადააცდინეო? ე მაგის გულითვინ, იქნება რაიონში ჩაგათრიო! ერთი ვირზე შემჯდარი ვნახო ცანგალა და მემრე ნახავს შენს სეირსა!..

— ისევ აქა ხარ?! — გაუკვირდა ინსპექტორს, — რაღას წამოჭიმულხარ სკამზე, წადი!

— ბიჭი გამოუშვი და წავალ!

— დაბატიმრებულია, კანონს ვერ დაეარღვევ.

ცანგალამ თავი ჩაღუნა და ამოიხრა.

— რათა, კაცო! — დაიღრჩა მიხო, აღარ ვუჩივი, გამოუშვი!.. რა ვუთხრა ამის დედ-მამასა, რა პირითლა შეგხედო?!

— არ ვიცი მე! — გაწყრა ინსპექტორი, — ვიდრე უჩივლებდი, მანამდე გეფიქრა. წადი, რომ გეუბნები! გასაგებია?

— წამესვლება რო?

ინსპექტორი წამოღგა, კარი გამოალო:

— აბა, მშვიდობით, მიხო: ცანგალას ისეთ ადგილზე ვუჭრა თავი, ასავალდასავალი ვერ გაუგონ! შენ თუ აღარ უჩივი, კანონი და სამართალი უჩივის.

— განა არა, მე იგეთი სიხმარი ვნახე, ვიცოდი, რაღაცა მეხი რო დამატყდებოდა, — ღია კარში გააბიჯა მიხომ, მოტრიალდა, — გამოუშვი, კაცო!

— გითხარი და მოვრჩით! ვაიხურე კარი!

— ეს არის ჩვენი ნაცნობობა?!

— სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მე ნაცნობ-მაცნობი არ ვიცი! დაგტოვეთ, ამხანაგო!

— რატო ღმერთი არ გაიცინებს, შენი ამხანაგიც რო გავხდები?!

— იმდენს იზამ, ღიდანა დალაქს და მბარებინებ საშენოლ! აღარ გახურავ კარსა?

მიხომ კარი გაიხურა — კიბე ჩაიბრა-ხუნა. მერე ფეხაკრფით გამობრუნდა და კარზე მიადო ყური. მიხოს ინსპექტორისა და ცანგალას საუბარი ესმის: ვერ გაურკვევია, ტირის თუ ხითხითებს ბიჭი.

— მაპატიე, — ვვედრება ცანგალა, — ამ ერთხელ მაპატიე და, ისე გამოვ-

კარლო კოვარიძე

დაწვრილი და სასჯელი

სწორდები, დედაჩემამაც ვეღარ მიცნოს. ამის გულისთვის საციხედ ნუ გამიმეტებ.

— სიტყვის უკან წაღება ჩემი ხელობა არ არის! დადე ჭიქა, ვერ გავიგე, რომ პატიმარი ხარ! ახლა წყალიც მოინდომა? განა ბოდიშს იხდის, მიყვარსო, კაცო, ვაჰ, მიყვარს და რა ვქნაო?! არც დამალა: მიყვარს და როგორ დავმალაო?! შენისთანების საქმე კი მოუგვარებიათ! ქვისნატეხი!

მიხო აიძღვრა და ფეხისკვრით შეაღო კარი.

ორივემ მიიხედა: ზღურბლზე მიხო იდგა, ისე შეცვლოდა სახე, ინსპექტორი შეფიქრიანდა, ცოტაც და ფანჯრიდან გადამისვრისო.

— რა გინდა, მიხო? — დაუტკბა ინსპექტორი და ცანგალას თვალი ჩაუკრა.

— ეგ გამოუშვი და მე ჩამსვი! არავის დავაჩავგრინებ ცანგალას! მე ჩამსვი!

— არ შეიძლება, — მოიწყინა ინსპექტორმა, — მამის დაუკითხავად შეილის შეყვარებას ვერ ვაპატიებ, — ფანჯრის რაფაზე გადაეყუდა.

— ამ ერთხელ აპატიე, პატივცემულო გიგოვ.

— არ შემიძლია!

— შენ რა შუაში ხარ, პატივცემულო, ე?!

— კანონი მე მაგებინებს პასუხს და მნაშავის გაშვების თაობაზე, რაკი საქალაქო სამართლის ოცდამეცამეტე მუხლის მეორე პარაგრაფის პირველი ნაწილის მეოთხე სვეტი... იცი რას ითვალისწინებს?

მიხომ თვალები გადმოკარკლა, რას ამბობსო, რა მინდაო, და ძლივს მოახერხა:

— ვერ გავიგე, რა მითხარი, გაიმეორე?

— ვეღარ გავიმეორებ.

— მაშ არ გამოუშვებ, პა?

— აკი გითხარი.

ცანგალამ თავი ასწია, გაფითრებულ მიხოს მიაჩერდა და რატომღაც სინანულით თქვა:

— ძია გიგო, ახლა ორი დღე უნდა ვიყურეუტო, მაგრამ, აი, რომ მძულდეს, რამდენი დღით ჩამაყუდებდი?

ინსპექტორი ნელ-ნელა გასწორდა წელში, ნელ-ნელა შემობრუნდა: გაცეებული მიაშტერდა ცანგალას და ისე ღრმად ამოისუნთქა, კინაღამ თავი ჩაუვარდა მხრებში.

— საინტერესოა! — ჩაილაპარაკა ინსპექტორმა, მერე მაგიდის უკრა გამოაღო, „ყაზბეგის“ კოლოფი ამოიღო და მიხოს მიაწოდა ღიმილით, — გააბოლე.



არ გაუვლია იმ თრთოლას ჯერას

ვალენტინა ტერეშკოვას

...მერე იდგნენ და გელოდნენ დიდხანს.
ცა იყო საესე მზით და ხელეებით...
და განათებულ სივრცეებს მიღმა
არ ჩანდა, მაგრამ ლურჯი დღეები

გინთებდნენ სანთლებს, სანთლებს და...
ლოდინს

ემატებოდა თანდათან ფასი...
შენ იჯექე ყველას გულში და თრთოდი,
შენ იყავ ყველას ფიქრში და თვალწინ.

გელოდნენ ასე და სახელს შენსას
ხმამაღლა რეკდნენ მზეში და ქარში

და შენი სუნთქვით გამთბარი ზეცა
კვლავ ირწეოდა მზეში და ქარში.

ითვლიდნენ წამებს... ოცნებას ამხდარს
მიწაზე გრძნობდა პატარა კენჭიც.

...ამ უსაშველო სიმამლეს ახლა
არავინ აღარ უცქერდა ეჭვით.

არ გაუვლია იმ თრთოლას ჯერაც
და გუგუნებენ ძლიერ და თამამ
სახელს, რომელიც უყვართ და სჯერათ
და ექოსავით ედება მთა-ბარს.

წამოვა წვიმა
და ჭრელ სილაზე
ჩვენს ნაფეხურებს წაშლის...

ფრთები,
ფოთლები და სახელები
აირევიან ქარში...

მაგრამ
შენ ხომ ეს არ გიფიქრია,
რამ აგატირა, ლელი!

რა მსუბუქია,
რა უბრალოა
შენი ცისფერი ცრემლი.

მე ვთქვი:
—ამ ცისთვის და შენთვის მინდა
რაც შეიძლება ჩემგან გაიცეს...
და უკანასკნელ სისხლის წვეთით

შენს სახელს ვეღვავე,
...ყველა ბეწვის ხიდს შეგიძლია
თამამად გააყვე.



ლენინგრადის ღამე

ადრე სიზმრებში თუ მინახიხარ —
თორემ ამ ღამეს როგორ დავჯერდი...
როგორც ვეშაპი, კედლებს ესლება
ნევა — დაჭრილი ხიდის ბარჯებით.

და სულში ცისფერ ლიანდაგებით
შემოდის ღამე და მე ვრინდდები,
პატარ-პატარა ნიანგებივით
გადაწოლილან წყლებზე ხიდები.

მოგონებებით ძველით და ახლით
და სინარულის ცეცხლით ავენტე —
როდესაც ვუქცერ — შენს მაღალ სახლებს,
შენს ღამაზე ტაძრებს და ორნამენტებს.

არ შეუძლიათ გულის გამხელა
ამ სიღამაზით დაბინდულ თვალებს...
გადიწია ღრუბლის საყველო
და მოაბიჯებს ქალაქში მთვარე.





ოჩი კასი

კალოუბანში მესარბაზნიანთ ძია ნიკოს ყველა იცნობს. სამსახური ისეთი აქვს, ყველას ოჯახში დაიარება—წყალსადენის ოსტატი.

ზამთარ-ზაფხულ თუშური ქუდი ახურავს, ზორბა ტანისაა, მხრებში ოდნავ მოხრილი, ქერა უღვამუები, წაბლისფერი თმა, შავი თვალები და ნაოჭებიანი ნათელი შუბლი აქვს.

ძია ნიკო ივლმართალი კაცია, ნაოფლარი ლუკმა უყვარს და ცუდაობას ვერა თანობს, ხელში ყოველთვის ვეკებერთელა მიღვასადები უჭირავს. მხარზე გადაკიდებულ ჩანთაში ჩაქუჩი, ღოჯა, ონკანის ნაწილები, გაბოხილი ძენძი

და სხვადასხვა ზომის მილსატრები უწყევია. ჯიბეში კი გამოთლულვლად აქვს ტყბილეული, ბავშვები ძალიან უყვარს და მათთან ხელცარიელთ ვერ მიდის...

ძია ნიკო სწორად მართო მუშობს, ზოგჯერ თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ყმაწვილიც ახლავს, ეს მისი ვაჟია. თავისი საყვარელი ხელობა ბავშვობიდანვე შეასწავლა და თავისუფალ დროს ბიჭი მამას ეხმარება.

ოსტატი დილით მეფოვეზე აღრედგება, ქუჩის წყაროებს ჩამოივლის, დაზინებულ ონკანს შეაკეთებს, სადაც ცოტა წყალი მიდის, მეტს მიუშვებს და ახლა ბაღჩა-ბაღებს მიხედავს, შად-

რევენსს ააჩხრიალებს. იქვე, სკამზე ჩამოჯდება, ჩანთიდან ქაღალდში დახვეულ საუზმეს ამოიღებს და სუფთა ჰაერზე ალალ ლუკმას მადიანად შეექცევა. მერე სამსახურში გამოცხადების დროც მოატანს, სამორიგეოში შეივლის, ყურნალში ჩამოწერილ მისამართებს თვალს გადაავლებს და კალოუბანს დიმილით გაუყვება.

ძია ნიკოს საქმე თუ არაფერი გამოუჩნდა, ძალად გამოიჩინეს, მძიმე შრომის სახაროვრად სამორიგეოს დერეფნის კუთხეში მამა-პაპური თოხი აქვს მიყუდებული. ამბობენ, უქნარა კაცი არ იხრწნება, თორემ ისე მკვდარიყო. ძია ნიკოს უმუშევრად რა ვაჩერებს, ბადში ვაეა, ნარგავებს შემოუთოხნის, ყვავილებს ძირებს აუჩიჩქნის, ზაღის გასახარებლად ბადიდან ქუჩაში მტევნებ გადაწვდილ რქაწითელს მიწას აუფხვიერებს, შეწამლავს, მორწყავს, მუშაობით გაძლება და სამხრობისას შინისკენ მიეშურება...

იქვე ცხოვრობს, მთის ძირას, რვა-სართულიან სახლში ოროთახიანი ბინა უკავია. შეილები ჯერ კიდევ პატარები ჰყავს და ტკბილ მეოჯახეს საცხოვრებელი ფართობი მოჭარბებულიც ჰგონია. თუმც საცხოვრისი როგორ არ ეყოფათ, როცა მათი ნათელი ოთახების ფანჯრებიდან მეზარბაზნის გამოქვაბული გველუშაპის საზარელ ხახასავით მოჩანს მთაზე. ძია ნიკო იქ დაიბადა, მამამისა, მოხუცმა მეზარბაზნემ სული იმ სოროში დალია. ბედშავს ბაღია-ბოსტანში ჩადგმული ოდა არ ეღირსა. ქალამნის ტყლაპისოდენა მიწის ნაკვეთი მამასისხლად ფასობდა. სარდაფში მობინადრე მრავალრიცხოვან ოჯახს გაეყარა, ცოლ-შვილის დასაბინავებლად დაკიდებულ ფრიალოზე თავშესაფარი გამოთხარა და კაცი კლდეს ქაჭვიით შეეხიზნა...

მაგრამ იოლად იქაც ვერ გადაარჩა, მთავრობამ გაჭირებულს იმ ბუნაგის საფასური მოსთხოვა და ქალაქის თვითმმართველობამ კლდემი შეხიზნული საგან სარგებლად ის ნახა, რომ ცირა-

ბოზე ძველებური ზარბაზნი აუთორი და სიონის ზარები შუადღისას თორმეტჯერ რომ დაარისებდნენ, ასეც მისი ზარბაზნის უსასყიდლოდ დააქუხებდა და მთელ ქალაქს სამხრობია ეამს ამცნობდა. მერე კი სამოვარზე დაეშვებოდა და შუალამიმდე ლუკმაპურისათვის დაძრწოდა. ძია ნიკოს მამამ თავის ნათლობის სახელი სწორედ მაშინ დაკარგა, ზაღსმა მეზარბაზნე შეარქვა...

გამოქვაბულში თუმცა საჭმელი სანატრელი იყო, შიმშილით შეწუხებულთ გულის მოსაბრუნებლად წყალი მაინც სჭირდებოდათ და ცეროდენა ნიკოს იგი დიდი კოკით ხევიდან ხენეშა-ხენეშით აჰქონდა. პატარას სწორედ ამ ჯაფამ აფიქრებინა, წყალსადენის ოსტატი გამხდარიყო და მთების ნაყური ყველას სახლისწინ მილით აერაკრავებინა...

ძია ნიკო ქუდბედიანი გამოდგაცხოვრებამ გაუმართლა და ნატერა ათკეცად აუხრულდა — სიტყვა „მეთულუხე“ დიდი ხანია ხმარებიდან ამოვარდა. მხარზე შედგმული კოკა და ზურგზე მოსაკიდებელი კუტალი ეამმა ჩანთქა და უკან აღარც დაბრუნდება...

ხარბსა და უქკუოს ოფლის სუნნი ეჯავრება, არ დავიძლოო, შრომას ვაუზრბის, ამ ქვეყნისაგან კი ძალიან ბევრს თხოულობს. მშრომელი კაცის საქმე სულ სხვაა, იგი ცხოვრების გაუთავებელი ჯაჭვის ერთი რგოლია, წინაპართა და მომავალთა შორის ჩამდგარი და სიცოცხლის მარადიულობის საქმეს ვერ უღალატებს. იდეისათვის რაც გააჩნია, იმითაც კმაყოფილია. ალალი ლუკმა უყვარს და იმედით ცხოვრობს, გაისდ უკეთესად ვიქნებით, ფიქრობს. ხელისგულზე თუ ბებერები არ გაზის, ისე ლუკმას რა ფასი აქვსო, საჯაფაოს ეტანება.

ძია ნიკოც თავისი აწმყოთი კმაყოფილია, მომავალი უკეთესს ჰპირდება და კაცი დამედებული ცხოვრობს. ახსოვს მამა-პაპათა გასაჭირი. იცის მათი უკუღმართი დროის ამბავი და ეგრე ადვილად თავის ხვედრს ვერ დაემდუ-

რება. დედაკაცივით წუწუნს არ არის ჩვეული, ვაჟაკია და თავს ვერ გაიმანდილიანებს...

ძია ნიკო ოჯახშიც ტკბილი კაცია, თავად გამარჯვა და ქვეყნისათვის სასარგებლონი დაიზარდენითო, შინაურები-საგანაც შრომის სიყვარულს მოითხოვს.

მოზვერს სამი წლისას ხედნიან, რვა წლის ბუღას ხარად ვედარ აქცევენო, — ამბობს ძია ნიკო და შვილებს მალ-მალე მხარში ამოიყენებს ხოლმე...

ოსტატი დღესაც ადრე ადგა, ქუჩის წყარობსა და შადრევნებს ჩამოუარა. წაისაქმანა, ისაუზმა და სამსახურში გამოცხადდა თუ არა, მორიგემ კარებშივე შეაგება:

— ძია ნიკო, წამიძეები რეკავენ: წყალსადენი დაგვიზიანდა, ხელოსანი აქამდის სად არისო, ილანძღებნიან, თუ დროით არ გამოცხადდა, შენცა და ისიც სამსახურს დაჰკარგავთო, მითხრეს.

— იპ, წყეულები, რა შორს წასულან?! — წამოიძახა ძია ნიკომ და კეთა მოიფხანა. ასე იცოდა ხელოსანმა, როცა ძალიან გაბრაზდებოდა, — ხალხმა წაუყრუა და იქამდის გაათამაზდნენ, რომ უკვე სამსახურიდან ჩვენს მიღება-დათხოვნამიც კი ერევიან?!

სინდისიანი კაცი თავის მოვალეობას სად გაექცევა, თორემ ძია ნიკოს წამიძეებისას წასვლა ჰირივით სძულდა. მას მორიგის ნათქვამი არ ესაიბოვნა, თუმცა წყენა სგრერივად არ დაიმჩნია. მაშინვე ქურნალი აიღო, გადაათვალიერა:

— შე დალოცვილო, აქ სხვა მისამართიც ჩაიფიქრია, ამაზე რატომ აღარაფერი მითხარი? — მორიგეს უსაყვედურა.

— მაგათ ცუდნი სადამოთი დაურეკით, ალბათ საჩქარო არაფერი აქვთ, თორემ ეგენიც წამიძეებით გაგვაბეზრებდნენ.

მის ნათქვამზე ხელოსანმა ამოიოხრა, ჯერ კიდევ ბავშვია, ყველასი ერთნაირად სჯერაო, გაიფიქრა და მამაშვილურად დაარბია:

— პატიოსანი კაცი ერთხელ გეტყვის და უნდა გაიგო, მას სჯერა, რომ არ მოატყუებ, უსინდისო კი თავს მოგატყუებს, არ გენდობა, ხალხის პატიოსნებას თავის კაცობის საწყაოთი ზომავს და ქვეყნად მხოლოდ ცბიერება და სიცრუე მეფობსო, ასე ჰგონია.

— ამ უბნის ხალხს ჯერ კიდევ არ ვიცნობ და... — თავი იმართლა მორიგემ.

ძია ნიკოს მისთვის ხმა აღარ გაუცია, სამორიგეოდან დაღვრემილი გამოვიდა. ქუჩაში მოსიარულე ხალხს თვალი გადაავლო და ქვეყნად მარტო წამიძეები ხომ არ არიან, ამათში უთვალავი კეთილი აღამიანი ურევიაო, გამხიარულდა. ჯერ კაცურ კაცებს მიეხედოთ, წამიძეების წყალსადენს ბოლოს შევკავებთო. სოსიას სახლისკენ მიმავალ გზას ჩქარი ნაბიჯით გაუყვა...

ოსტატს კართან დიასახლისი შემოეგება, მიესალმა და შინ შეუძღვა თუ არა, პატარა გოგონამ მაშინვე ტაში შემოჰკრა და სიხარულით წამოიძახა:

— ძია ნიკო მოვიდა, წყალიც მალე გვექნება!

ხელოსანი ცელქს თითით დაემუქრა. მერე მიუალერსა, ჯიბიდან ტკბილეული ამოიღო და მისცა.

— გვაბატეთ, რომ აქამდის წყალსადენი ვერ შეგვიკეთეთ, — ბოლოს დიასახლისს მოუბოდიშა და მაშინვე თავის საქმეს შეუდგა.

საკუჭნაოში ონკანს სარქველი გაფუჭებოდა და წყალს უწყვეტად რომ არ ედინა, სოსიას საძირე ონკანი გადაეკეტა. მშრომელმა კაცმა ყველაფრის ყამი და ყადრი იცის და წყლის ამაოდ დაღვრასაც მორიდებოდა.

ხელოსანმა მიღვასალები მარდად დაატრიალა, ონკანის ჩამკეტი ხუფი ჩარჩოიანად მოხსნა, ჩანთიდან ტყუავამოკრული პაწაწინა სარქველი ამოიღო, სადინარში ჩადო, ხუფის ხრახნს გაპოხილი ტენძი დაახვია და მაშინვე თავის ადვილზე ჩაუყენა, მერე საძირე ონკა-

ნე გახსნა და ფაიფურის სავარცლემო თრიალეთური მთების ნაჟური საამურად არაკრავდა...

ოსტატმა ოჯახს კარგად ყოფნა უსურვა და წამიძეებისაკენ უხალისოდ გასწია. თავის სახლს იგვერდით რომ ჩაუარა, ყმაწვილი გამოეგება და ძია ნიკოს მიიძახა:

— საით, მამიკო?... მეც წამოვალ.

მამამ შვილი შეათვალღერა.

— იქ მივიღივარ, — მიუგო და წამიძეების სახლისკენ თავი გადააქნია, მერე კეფა მოიფხანა და, წამოდიო, უგულოდ დაუმატა.

ყმაწვილმა მამას მაშინვე მილგასაღები ჩამოართვა, უკან აედევნა და მალე კვადრატულად შემორავულ ოთხმეტრიან ვალავანს მიაუახლოვდნენ...

მიტროფანე წამიძეების სახლის „ღობური“ შუა საუფურნების ციხე-სიმაგრის ვალავანს ჰგავდა, ოღონდ სათოფურების მხავივრად სალაბიერებზე ქუჩისკენ გადმოწოლილი ბადურა ჰქონდა შემოვლებული...

წამიძეების სახლს უწინ ორმეტრიანი ღობე ერტყა, მათი სამყოფელის გარშემო ძველებური ქოხმახები იდგა და მაშინდელ ვალავანს ეს სიმაღლეც ჰყოფნიდა, მაგრამ ის ქოხმახები მალე დანაგრევეს და მათ ადგილზე ათსართულიანი სახლი წამოიწყეს თუ არა, მიტროფანე ხაფანგში მომწყვდეულ მელასავით აწრიალდა, მჩაგრავენ, ჩემი დაიჩრდილვა უნდათო — ეს მორიგით კაცი ჯარასავით დატრიალდა.

— ამ ადგილზე ნიადავი ძალიან ბოშეა, ამხელა სახლს რა საძირკველი გაუძღვებს, ცოტა მიწა გვაქვს თუ რა არის?! ეს შენობა სხვაგან ავაგოთ, თორემ დავეწვგრევა და გაწეული ხარჯი წყალში ჩავეყრება — ამას ჩიოდა. თავკერძა, ვითომ მშრომელთა დოვლათისათვის გული ძალიან შემტკივავო, თავისას ამტკიცებდა. ეს სახლი მაგარ საძირკველზე ჩავადუღაბეთ, იწუ გეშინიან, არ დაინგრევაო, — გელოვებმა დაანუგეშეს...

არაფერი გამოივიდა, დავმარცხდიო,

მიტროფანემ სხვა გამოსავალი ვერ ნახა, რკინაბეტონის ორმეტრიან ვალავანზე ერთი იმდენიც დაამყენებინა და კიდევ მალლა წასვლას ფიქრობდა, მაგრამ ეზო ისედაც ძალიან დაიჩრდილა და ამას მოერიდა. სამაგიეროდ, ვალავანის სალაბიერებზე მცეთულის ბადურა შემთავლო. თუმცა ამან მის საქმეს მაინც ვერ უშველა, მგელივით სოროში ვერ შეძერა, ხალხის თვალს მაინც ვერ მოუფარა და მისი კარმიდამო ათსართულიანი სახლის მოზინადრეების თვალწინ ხელისგულივით გადაიშალა...

მამამ და შვილმა წამიძეების ვალავანს გვერდიდან შემოუარეს, კედელში დატანებულ რკინის ჭიშკარს მიადგნენ და შეჩერდნენ...

ნიკომ ზარის ღილაკსაკენ ხელი გაიწოდა, მაგრამ ციციკვად უკან წამოიღო და კეფა მოიფხანა.

— არ შემძლიან, შვილო, მიდი შენ დარეკე, — ყმაწვილს მიუბრუნდა.

ბიჭი მაშინვე ღილაკს მისწვდა. ზარმა დაიწვრიალა და შიგნიდან გასაღებების ჩხრიალი მოისმა. ვილაცამ ღრიკოდან გამოიჭყიტა, ხელოსნები შენიშნა, რკინის ურდულმა დაიბრაგუნა, ფოლადმა გაიწვრიალა და ეზოში შესაძრომად ჭიშკარში დატანებული პატარა ხვრელი ფაიდა...

— მადლობა ღმერთსა, რომ მოხვედით, თორემ ეგ არის ბატონმა მიტროფანემ მთელი ქვეყანა შეძრა. სახლში წყალი არ გვაქვს და ღმერთისტოლა კაცს ყურადღებას არ მაქცევნო. კურთხეულიშვილმა მინისტრსაც კი დაურეკა, — ჩაიხურჩულა მანდილოსანმა და ჩემი ნათქვამი შინაურებმა ხომ არ გაიგესო, შეშინებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა.

ხელოსნები ეზოში შემოვიდნენ თუ არა, დედაკაცმა ხვრელი ისე სწრაფად დაგმანა, თითქოს შიგნით ვილაცა სიციხიანი უწევს და გამჭვალავისა ეშინიანო...

— დალოცვილშვილო, იმ სამიწეს ძალიან დაუშინებხარ, რომ ეგრე ჩურჩულით მებასები. — გადაულაპარაკა

დედაკაცს ძია ნიკომ და ეკლის ხეზე მიყრდნობილ მოხუც მებაღეს მიესალმა.

მიტროფანეს ისიც ვითომ ნათესავად მოხვდებოდა და ქველმოქმედ ბერიკაცს ვითომ სამადლო ინახავდა. ყველაფერი ისე ჰქონდა აწყობილი და გაანგარიშებული, რომ სხვისი შრომის მითვისებას ეგრე ადვილად ვერავინ დასწამებდა.

მოხუცი ძალიან კეთილი კაცი იყო, ტკბილმობაასე, თავდაჭერილი და ძია ნიკოს მასთან საუბარი უყვარდა.

— გაგიმარჯოს, ჩემო ნიკო, — სიმღერასავით ჩაიდუღუნა ბერიკაცმა. მერე ჰიშკრის კლიტებთან მოფუსფუსე მანდილოსანს გადახედა, გულკეთილი ღიმილით ხელოსანს თვალი ჩაუკრა და დაუმატა: მიფრთხილდებიან, ჩემო ნიკო, ძალიან მიფრთხილდებიან, რას იზამ, ბერიკაცი ვარ და ქუჩის ნიავს არ მაკარებენო.

ძია ნიკომ მოხუცის ქარაგმულზე ღიმილით უპასუხა, ხმა კი აღარ გაუცია. ხელოსანი მიტროფანეს ქალაქია ეზოს ჩაფიქრებული გაუყვა და მებაღეც მაშინვე უკან აედევნა.

მიტროფანეს კარ-მიდამო ედემის ბაღსა ჰგავდა. ნარგავებს მზრუნველი ხელი ემჩნია, მაგრამ აქა-იქ მაინც უღიერის ზარალიანი ნაფეხურები მოჩანდა და ვარდის კოკრები ზოგან ისე იყო მოკორტნილი, თითქოს ბუჩქებში გვალვამოვლილ ვირებს უგორავნიათო...

ოსტატმა მზერა ერთ წუთს გაქეპილ თვალჭყიატა ყვავილებზე შეაჩერა, ბოროტი სათუთს ვერა გუობს. მიტროფანე რა ამითი ღირსიათ, ამოიხსრა და მერე მოხუც მებაღეს გადახედა.

ბერიკაცმა, თითქოს ნაფიქრს მიუხვდათ, ჯერ სახლის აივანს გადახედა და მერე ჩაიდუღუნა:

— რა ვქნა, ჩემო ნიკო, ამ ძირკვდალოცვილებს ხელსა და ზრუნვას არ ვაკლებ. რამდენი ახალი ჯიში გამოვიყვანე, ამათ კი არც ჩემი შრომა ენახებათ და არც ჩემზე დახარჯული ფული. ქვეყნად თურმე ასეთი ხალხიც ყოფილა და რას იზამ, ცხოვრება ერთ ჰერ-

ქვეშ გვიხდება და ყველაფერს უნდა გავუძლოთ.

— გავუძლებთ, გავუძლებთ და კიდევაც გადავიტანთ, — მიუგო ნიკომ მებაღეს. მომყევია, შვილს თავის გადაქნევით ანიშნა და წყალსაზომის ჭისაკენ ფეხს აუჩქარა...

მამა-შვილმა აივნიან კოპწია სახლს გვერდით ჩაუარა, ხეივნების რიგს გასცდნენ და ნიდაგიდან ამოხეთქილი წყლის შხულიც მოესმათ — რკინაბეტონის ვეებერთელა გარაჟის გვერდით, წყალსაზომის ჭიდან, აქაფებული წყალი მოასუნაღლებულ გზაზე ნიაღვრად მოედინებოდა და ზვირთების ლივლივით პატარა ტალღებად იშლებოდა, ჩადაბლებულ სანიაღვრე ბაღურაზე მორგვივით ტრიალებდა და მერე ხმაურითა და შხულით ქუჩუკიან არხში ეშვებოდა...

მიტროფანე ზღვის პირად გაიზარდა, ძველი მებაღური იყო და წყალი ძალიან უყვარდა. ეზო-კარმიდამო პატარა-პატარა შადრევნებით აევსო. გარაჟის გასწვრივ კი ტოტებამომშვებულ მტირალა ტირიფების ძირში წყლით სავსე მოზრდილი აუზიც ჰქონდა, ვიწრო ტიხარით შუაზე გაყოფილი და წყალი ერთი განაყოფიდან მეორეს რკინაბეტონის დარაბაში დატანებული დარნით უერთდებოდა.

დარაბაში წვირილად დახვრეტილი რკინის ფარი იყო ჩაჭედილი და მისი ამოსაწვევი სახელური ტირიფების ტოტებზე ვაბმული მოქანავე ჰამაკის გვერდით მოჩანდა...

ჰამაკში მიტროფანე გორაობდა, ხის კუნწეროზე პატარა მაიმუნი ცელქობდა და ნაბახუსევი კაცი თავს მისი ოინებით იქცევდა...

ჰიშკრის ზარი აწკრიალდა თუ არა, მიტროფანემ ღობეზე ნადებ გოგრასავით დამძიმებული თავი ჰამაკიდან ზოზინით წამოსწია. ეზოში შემოსულ ხე-

არსან ბაღალაზილი
ორი აპრი

ლოსნებს თვალი მოჰკრა და ბოხი, ჩახლელი ხმით რაღაცა წამოიყვირა. მაგრამ წყლის ჩხრიალზე ხმა ვერ მიაწვდინა, მეორედ დაძახება დაეზარა და გაბრაზებული გულდაღმა მორიგით გადატრიალდა. სადარნის სახელურს დათვის ტორივით დაბანჯგვლული ხელი მოჰკიდა. მაღლა კი აღარ ამოუწვია, შეანჯღრია, აუზს ჩახედდა და გაირინდა...

ზღვის ფერადი კენჭები კამკამა ფსკერიდან თრთოლვით იჭყიტებოდნენ. წყლის სარკეზე კი ტირიფების ჩამოშვებული ტოტები, მათზე გაბმული ჰამაკი და ზედ გადმოყუდებული მიტროფანე ლივლივებდა.

მიტროფანემ თავის გამოსახულებას კარგახანს უყურა, მერე თვალი უხალისოდ მოაცილა და აუზის კუთხეში მოწრიალე ლოქოს დააცქერდა.

მიტროფანეს „პაწიას“ ძალზე მომიჯნოდა და გამგელებული რკინის სადარნესთან მალმალე პირდაღებული მისრიალებდა, ფარის ნახვრეტებს ცხვირით ეჯახებოდა, ვერაფერს აკლებდა და ისევ უკან ბრუნდებოდა.

ტიხარის მეორე მხარეს კი წითლად დაწინწკლული კალმახები სრიალებდნენ, თავისუფალ ნაგარდს მიჩვეულთ აუზი ევიწროებოდათ და ყოველ ზვრელში ვასაძრომს ეძებდნენ. პალოს წვერებივით წაგრძელებულ ცხვირებს სადარნის ნახვრეტებში ჰყოფდნენ და მოლურჯო ფარფლებს აფართხუნებდნენ.

მიტროფანემ სადარნე შეანჯღრია თუ არა, აუზში ლოქო მამინვე თითისტარით დაეკიდა და ვეება პირი დაადო.

მიტროფანემ გამგელებულ წყლოსანს ხერხივით დაკბილულ ხახაში სიამოვნებით ჩახედდა, თავის ნაამაგარს გულთბილად გაუღიმა.

ოთხიოდე წლის წინათ მიტროფანემ თავისი სიჭაბუკე გაიხსენა და მდინარის ნაპირზე მანქანით გაისეირნა. მართალია, შინ „ცოცხალი“ არ აკლდა და ცლა-დაკვირვებისათვის სხვადასხვა ჯიშის თევზი აუზებშიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ სულ სხვა არის ხილი შენი ზელით

მოწყულიო და, მიტროფანე მუხლებზე ქარის ამოსაღებად სათევზაოდ და...
საზღაპროსა

იმ დღეს ძალიან ბევრი იხტიალა, ვეება ღიპიდან ბევრი ოფლიც იდინა, მრავალჯერ ისროლა ბადე, ანკესიც ბევრგან დააგო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თევზი სატყუარს ახლოს არ გაეკარა. წამოსვლისას კი ბედმა გაუღიმა, როგორც იქნა, ბადეში ერთი პატარა ლოქო მოაყოლა და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უშნო თავკომბალას დიდის ხმით ეალერსებოდა. სახლამდის ხელიდან აღარ გაუშვია, წყლით სავსე საღვინეთი ატარა. მდინარეებში აევზის მომრავლება-მოშენების სამეცნიერო ნაშრომის დასაწერად კარგახანია ემზადებოდა თავისი „ნაოფლორი“ დაკვირვებისათვის აუზში გაუშვა. ლივსიტებით მოარსებეს „პაწიაც“ სწორედ მაშინ შეარქვა, ლოქო შვილივით გამოზარდა. მის სარგებლიანობაზე საანალიზო მასალა ბლომად შეაგროვდა; რაც მთავარია, ბოლოს წყლის ონავარი კიდევაც შეიჩვია.

მიტროფანეს ეს ძალიან ეამაყება, ლოქოზე გაწეული ხარჯი და გამოსაკვები რას მიქვიანო და თავის ნაამაგარს სტუმრებს დიდის ამბით აცნობს ხოლმე:

— ზედავთ, ძველი მეზადური ვარ, ჩვენს მტკვარში რამოდენა ლოქო დავიკირე. მეცნიერულ ნაშრომსა ვწერ, ჩემი ენერგია ასეცად ანაზღაურდება, ეს დალოცვილი დღეში ხუთას გრამს მატულობს. საშვილიშვილო საქმეს ვაჩეთებ, მდინარეებს ამ ღლავეებით ავავსებ, გემო არ უფარგათ თუ რა! სუფრაზე თევზეული აღარ მოგვაცლებდა. ზღვაზე სარეწად ვილა ვავა, აგერ, შენს გვერდით მკერდის გოჭივით ჩასუქებული ლოქო დასრიალებს, ესროლე ბადე, ამოიყვანე და იგემე. აბა ამასთან ლიფსიცა თევზი რა სახსენებელია, იმითი მხოლოდ ლოქო უნდა იკვებებოდეს, ლოქოთი აღამინამა უნდა ისიამოვნოს. სხვა არა იყოს რა, ამ წვრილმანეულის ფხების გარჩევით გაბეზრ-



დები, მერედა, ბავშვებს ახლოს ზომ
ფერ მიკარებ, ნემსივით ფხა გადაუც-
დებათ და არის ერთი ვაი უშველებე-
ლო: სასწრაფო დახმარების გამოძახება,
ექიმების სირბილი და მაინც უბედური
შემთხვევები...

სტუმარს გულუხვი სუფრა გაუშალე
და სხვა რა ენადღელება, მასპინძელს
ვალში არა რჩებოან, საზრიანობასა და
ვაუკაცობას უქებენ.

— ჩვენი მდინარეები თუ ასეთებით
გაავსეთ, ქვეყანა იდიდად დაგიმადლებთ,
თევზი თავსაყრელად გვექნება, დიდი
საქმისთვის ხელი დროზე მოგაკიდიათ.

შეძლებულ მასპინძელს ამას ეუბნე-
ბიან და იმასაც თავი ეამაყება, ქვეყნი-
სთვის მართლა სასარგებლო კაცი ვყო-
ფილვარო.

გარდა ამისა, მიტროფანე ლოქოსთან
აღერსს გულსაც აყოლებს. წყლოსანს
შორიდან ეთამაშება. ზოგჯერ აუზშიც
გადაერევა, თავის ნაამაგარს გვერდს
გაჰკრავს, დაჭერას მოუნდომებს, მაგ-
რამ ონავარი არ ნებდება, პატრონს
ძალიან შორს გაუბრბის, მიტროფანე კი
არ ეშვება. ლაპარაკის ეშვში შესული
მასთან ზშირად საუბრობს. არც გაემ-
ტყუნება, ძალიან უყვარს თავის ძლიე-
რებაზე დამოკიდებული არსება. ხელ-
ში შემყურე მუნჯი მსმენელი და უდა-
რდელად ჰამაყში კოტრიალი...

მან ონავარს ამჯერადაც შორიდან მი-
ულერსა, გაუღიმა — „მოგშივდა ჩე-
მო პაწიავ?“ — პირდაღებულ ლოქოს ზე-
მოდან ჩასძახა და სადარნე ამოსწია.

ლოქო მაშინვე შეტრიალდა, კედ-
ლებზე ტალღების დგაფანი გააღინა და
აუზის ფსკერს იგაეკრა. კალმახები კი
ჯერ შეფრთხნენ, უკან გასრიალდნენ.
მერე ღრიჭოდ დატოვებულ დარანს
მიუახლოვდნენ, შიგ რაკილა ერთი გა-
ძგრა, სხვებიც მიჰყვნენ და სანამ სა-
დარნე დაეშვებოდა, ლოქოს მხარეს
ოციოდე წინწკალა მაინც გადასრიალ-
და.

აუზი ერთბაშად ახმაურდა, წყალი
მდულდარესავით აბუყბუყდა, ტალღები
როგორც უძირო მორევეში, ისე დატრი-

აღდნენ და წითელ ლაქებთან ერთად
თეთრი ქაფი ქუდებივით მოიგდნენ.
რამდენიმე წუთს ასე იგაგრძელდა, აუ-
ზი დუღდა, ზვირთები კედლებს ეხეთ-
ქებოდა, ბოლოს კი საგუბარში ტალღე-
ბი თანდათან დაწყნარდა და წყალში
მოტრიალე ლოქო და ერთი კალმახი-
და გამოჩნდა.

გამწარებული წინწკალა აქეთ-იქით
ტყვიასავით დასრიალებდა, მალლა ხტე-
ბოდა, წყალში დგაფანით ეცემოდა და
ხახადაღებულ საზიზღარ ონავარს გა-
ურბოდა...

ტიხარს იქით, მისი თანამომძმენი აუ-
ზის ფსკერს გაჰკროდნენ და ისე განა-
ბულიყვნენ, ფარფლებსაც კი ადარ ან-
ძრევდნენ. ალბათ ინსტინქტით გრძნობ-
დნენ, რომ იქით მხარეს რაღაც საზარე-
ლი რამ ხდებოდა და მათი გვარისას
გასაქცევი გზა არსად ჰქონდა...

მოწრიალე კალმახი რკინაბეტონის
კედლებს საიმედოდ გამოეკეტათ, ფარ-
თხალი ამო იყო, ლოქო ვშმაკურად
იქცეოდა, თევზს კვალდაკვალ დასდევ-
და, ბოლოს, როგორც იყო, კუთხეში
მოიმწყვდია და უნდა გადაესანსლა.
რომ კალმახმა მალლა ამოცურა, კამარა
შეჰკრა და ჰამაკის ბადურას დაეგახა.
წყეული ლოქოც არ დაიბნა, პირდა-
ღებული მაშინვე მის პირდაპირ თავაღ-
მა დაეკიდა, წყალზე დახეთქებული
წინწკალა მარჯვედ გადასანსლა და ფარ-
ფლების ფართხუნით აუზის ფსკერზე
ნელ-ნელა დაეშვა.

— ყოჩაღ, ჩემო პაწიავ! — წამოძახა
მიტროფანემ, ჰამაკიდან გამხიარულე-
ბული ჩამობობდა, აუზის ტიხარის
კიდზე ბარბაცით გაიარა და ხელოსნე-
ბისაკენ გაეშურა...



ჭაბუკს პერანგი გაეხადა და პირთა-
ღე საეხე ჭაში თავდაყირა ჩაკიდებუ-
ლი ონკანს კეტავდა. წყალი ძალიან
ცივი იყო და სხეულს უსუსხავდა, მაგ-

არსენ ზაფალაზივილი
ორი პატი

რამ ყმაწვილი ამას არაფრად ავლებდა და თავის საქმეს შეუბოვრად განაგრძობდა.

მალე ამოხეთქილმა წყალმა თანდათანობით იკლო, თეთრი ქაფი მოსცილდა, მერე ბუყბუყიც შეწყდა, ჭაში წყალი სარკესავით გაჩერდა და ალივილივდა.

ძია ნიკო შვილს თავს ადგა და იქვე, სარწყულზე ჩამოგჯდარი მოხუცი მებაღის რულუნს უსმენდა.

— ჩემო ნიკო, ამ დალოცვილმა წუხელი ამოხეთქა. ჰერეთ ძალიან ცოტას უშვებდა. ბერიკაცი ჭაში, როგორც იქნა, ჩაფოფხდი, ვიცოდვილე, ონკანი დავეტე, მაგრამ მიტროფანემ გამიგო და კინაღამ თავში კეტი დამარტყა. არაფრის იტულისთვის ამ დროულა კაცი გამლანძლა, შე ასეთ-ისეთოო, ონკანი რად დავეტეო, მიყვირა. წყალი იმისია, რომ უნდა დაიდვაროს, შენ რა ჯანდაბა განადვლებსო, მომძახხა. აბა რა მექნა! დმერთისტოლა კაცს უარს როგორ შევბედავდი, მეც გავხსენი და ამ სათავეკურთხეულმა მაშინვე ამოხეთქა, გზაზე ნიაღვრად წავიდა...

მოხუცი კიდეც რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მათკენ მომავალ მიტროფანეს თვალი მოჰკრა და მაშინვე გაჩუმდა. მერე ერთი ამოიოხრა, ჩემი ნათქვამი ხომ არავინ გაიგოო — აქეთიქით დამნაშავესავით მიმოიხედა და იქაურობას ტუჩების ცმაცუნით გაერიდა...

„ბრიყვ თაგვაცს ყველაფერი ებატებო“, — მიტროფანე ხელოსნებს დაბლვერილი მიუახლოვდა და რატომ თავი არ დამიკრესო, წყლიდან ამოსული ჭაბუკის ათლეტურ მკერდს დაჟინებით დააქტქერდა. მერე ლოქოსავით პირი დაალო და თითქოს უნდა ჩაყლაბოსო, ყმაწვილისკენ გაბრაზებულმა გაიწია.

ბიჭმა მის მოძრაობას ყურადღება არ მიაქცია. მებაღის სარწყულს ხელი წამოავლო და ჭიდან წყლის ამოხაპვას შეუდგა.

— ამხანაგო, აუზში წყალმა ძალიან დაიკლო, საცდელი თევზები მელუბებთ

და წყალი მალე იქნება თუ არა? წყრომით შეეკითხა მიტროფანე ჭაზე გადახრილ ოსტატს.

ძია ნიკომ თითქოს მისი შეკითხვა ვერ გაიგოო, შვილს წაეტანა, ხელიდან სარწყულული ვამოსტაცა და ამ ბლენძია არაკაცისთვის პასუხი რომ არ გავცა, წყლის ამოხაპვას გაჩქარებული შეუდგა...

მიტროფანე ახლა ჭაბუკს მიუბრუნდა და ბრაზმორეულმა რაღაცა წაუჩურჩულა.

ყმაწვილი ცერ მიუხვდა და მოწიწებით შებედა:

— რა ბრძანეთ, ბატონო?

მიტროფანე ურთობამად ციებიანივით გაფითრდა, მუშტისტოლა თვალები უფრო აემღვრა, სახე ოფლით გადაეხვითქა, ყელის ძარღვები წურბელბევიით დაებერა. ხელოსნებმა რომ დაიგვიანეს, იტულოსული იყო, ჩხუბის საბაზს ეძებდა, მიზეზი იპოვნა და კიდეცაქ იქუხა:

— მაშა-შვილი ჩემმა გამჩენმა დაგაცრუათ თუ რა?!

ჭაბუკი აწითლდა, წყალსადენს ვუკეთებ, მადლობის მაგიერად ნეტავი რაღას გვიყვირისო, დაირცხვინა და გაცეცალა.

მიტროფანემ კი ივანაგრძო:

— რომელი კაბიტალისტი მე მნახე, რომ ბატონობით მომმართავ? ბატონები თქვენ ბრძანდებით, როცა მოგესასიათებათ, მაშინ მოხვალთ, თუ მოისურვებთ, დაუშთავრებელ საქმეს თავს მინებებთ და ქეც წახვალთ. თქვე ოჯახკეტთანებო, მასხრად ივიგდებთ თუ რა, ხალხი ღამის არის უწყლოდ ამოგვახრწოთ და ბატონებს აქეთ გვეძახით?

— მახატეთ, შევცდი, — წაიდუღუნა ჭაბუკმა და ჭაში ჩასასვლელად მოემზადა. რა დავაუშავე, რა თვალებს მიტრიალებსო?!

ესენი ცინ არიან, რომ ჩემი ყამი და ყადრი ვერ ვასწავლოო — მიტროფანემ თვალი ახლა ძია ნიკოს დაადგა.

რუმბივით დამრგვალებულ მასკინ-

ძელს ხელოსანიც კარგა ხანია კეფის ფხანით ისე ზომავდა, თითქოს ფიქრობდა, ამ ნავებით სავეტ ტომარას მუშტის ერთი დარტყმით ფავხეთქავ თუ ვერაო, მაგრამ ოსტატს დარტყმა აღარ დასჭირებია.

მიტროფანემ ძია ნიკოს გამოხედვა დაიჭირა და შეცბუნდა, თითქოს იღუმალ ავი რამ ჩასჩურჩულესო, ეს ვეებერთელა კაცი უმნოდ ატროყდა. ამის საბაბიც ჰქონდა; ხელოსანი მიღვასაღებს ხელში ისე ათამაშებდა, ხმა ერთბაშად ჩაიწყვიტა. მე საქმის კაცი ვარ, თქვენთან ლაყბობას დიდხანს შეგვევიო, საათს დახედა, ხელი ჩაიჭინა და დატუქსულივით სახლისკენ გაძუნძულდა. მართლაც, მიტროფანეს იღეს ძალიან ბევრი სამუშაო ჰქონდა, ლოქოს საშენი მეურნეობის საექსპერიმენტო პროექტი სამეცნიერო საბჭოზე ამ თვეში უნდა წარედგინა და შავზე მოხაზული გეგმის ვადამუშავებას ფიქრობდა. თანაც ინფარქტი ახალი ვადატანილი ჰქონდა. ამ ხელოსნების ვადამკიდე გულმა ჩხვლეტა დაუწყო და თავის თთახში შევიდა თუ არა, ტელეფონს ეცა. შეუძლოდ ვარ, ვეღარ მოვიღვიარო, სამსახურში შეატყობინა. მერე, დამაცადეთ, ყოფას ვიტირებთო — ვილაცეებს დემუქრა და მაშინვე საწერ მაგიდას მიუჯდა.

მიტროფანეს მეზობლებთან თავის გაყადრება და სალმის მიცემა არ უყვარდა, მაგრამ თავადიშვილის ჩამომავალი მანაც არ ყოფილა. მამამისი თვედორე ფილიმონ ვაბლენძილის თევზსარეწოში პატარა კარქაზზე უფროს მებაღურად მუშაობდა და, ავად თუ კარგად, ცოლ-შვილი იოლად გაჰყავდა.

ბელურამ თავი არწივის ფრთას შეაფარაო, ისინიც მეპატრონის მახლობლად პატარა ქოხში ცხოვრობდნენ და მიტროფანე მრეწველის ბავშვებთან ხშირად თამაშობდა. მდიდრულად მოწყობილ ეზოში, წინწყალა თევზით სავსე აუზებში მათთან ერთად ჭყუბუბა-

ლაობდა. ისინი ერთხანს წერა-კითხვის სასწავლებლად მღვდელთანაც ერთად დაიარებოდნენ და სწორედ იმ წვედელს ცამეტასგან გაიგო პატარა მიტროფანემ, რომ ფილიმონ ვაბლენძილი, ახლა ასე მდიდარი კაცი რომ იყო, ოდესღაც მებაღური ყოფილიყო, ოფლითა და მომჭირნეობით ფული შეეგროვებინა და თევზსარეწო ეყიდა. ბავშვმა მღვდლის ნათქვამი გულში ღრმად ჩაიჭედა, მეც სწორედ ასე უნდა მოვიქცეო, განიზრახა და ამაში ერთმა უმნიშვნელო ამბავმაც ხელი დიდად შეუწყო.

მრეწავს გულის ვადასაყოლებლად თუ მკლავის ვასავარჯიშებლად კარმიდამოს ერთ კუთხეში პატარა ნაკვეთზე კომბოსტო ეთესა და უვლიდა. თავდახვეულ მცენარეებს ერთბაშად მატლი დეცია, ფილიმონს მათ ვასახილად არ ეცალა და ნარგავების ვასასუფთავებლად შვილებს მოუხმო. ყოველ დაბერილ ოც მცოცავში კაპიკს შეჰპირდა, ბიჭებს სარჩოს შეძენის სურვილი გაუჩნდებათო, პატარებს ვასამრგელო პირიანად ვადაუხანდა და არც უზარალოა. ბავშვები ფულის შოვნის სიყვარულს შეაჩვია, კომბოსტოც ვაწმინდა და მატლით ქათმებიც ვგარიანად დაასუქა...

პატარებს ეს ვასართობი ძალიან მოეწონათ, ფულის შოვნა ჩვენც შეგვძლებიაო, ვახარებულები ნარგავებს ქვივილ-ხივილით მოედნენ და მიტროფანეც თან ვაიყოლიეს...

ფილიმონ ვაბლენძილმა ნადირობის საფასური იმასაც ვადაუხანდა. ფულის შეგროვებას აქედანვე ვაიწყებო. მებაღურის შვილი მეწარმის კაპიკებმა დიდად წახალისა. მაგრამ ბავშვებმა მცოცავები მალე მოსპეს და ფული ახლა როგორღა ვიშოვნოთ, მიტროფანე ძალიან ვადონდა, მთელი კვირა ვაფიქრებული ვადიოდა. მერე კი კვლუმში სიარულს მოუხშირა და ერთ მშვენიერ

არსნ ვაღალაშვილი
ორი კაცი

დღეს მეწარმეს კალათით აუარებელს
მწერი მიართვა.

ფილიმონ გაბლენძილი ამ აშბით გა-
კვირვებული დარჩა: — ბოჟო, ამდენი
სად ჯანდაბაში დაიჭირე?! — შესძახა
პატარას და შეაშინა.

— იქ დავიჭირე, ბატონო, — წაილულ-
ლულა მიტროფანემ და ხელი კომბოს-
ტოსკენ გაიწვირა.

— ტყუიხარ, შე მამაძაღლო, დილით
იქაურობა მთლად დავიარე, ვერაფერი
გნახე და ასე მალე საიდანღა გაჩნდნენ.
აღბათ სხვისი ნარგავები გახილე! —
შეუტია ფილიმონმა და ხელში ოქროს
ზარაფი აათამაშა. მერე, ბავშვს თვა-
ლებთან მიუტანა და — თუ სიმართლეს
მეტყვი, ამ ფულს შენ გაჩუქებო.

მიტროფანემ მეწარმის ხელში ყვი-
თელი ეშმაკი დაინახა თუ არა, თვალე-
ბი გაუბრწყინდა, თითქოს რაღაცა ძა-
ლამ უბიძგაო, ოქროს ისე წაეპოტინა
და — ბატონო მე თვითონ მოგაშე-
ნეო, — გამოუტყდა.

ამის გაგონებაზე ფილიმონ გაბლენ-
ძილს ჯერ სიცილი აუვარდა, ამ ლაწი-
რაკს ეს რა მოუფიქრებიაო, ხარხარით
გული იჯერა. მერე თითქოს ავი რამ
გახსენდაო, ერთბაშად მოიწყინა და
პატარას ჩაფიქრებული გაჰყვა...

ნარგავების ბოლოს ყმაწვილს ორმო
ამოეჩიჩქნა, შიგ საჯიშედ რამდენიმე
ათეული მცოცავი ჩაედო, საკვებად
კომბოსტოს ნორჩი ფოთლები ჩაეყარა
და ერთ კვირაში თხრილი მატლების
სანერგედ ექცია...

ფილიმონ გაბლენძილი მებადურის
შვილის ასეთმა გამჭირაობამ დიდად
გააკვირვა. ბიჭი თავით-ფეხებამდე შე-
ათვალეირა. ეს ძაღლის ლეკვი ჩემ
ბავშვებზე ჭკვიანიაო, გაბრაზდა; მაგ-
რამ შეპირებული ზარაფი მაინც მის-
ცა.

— ბოჟო, ძალიან საზრიანი ყოფილ-
ხარ და თუ გარემოებამაც ხელი შევი-
წყო, მდიდარი კაცი გახდებო, — დას-
ძინა.

მეწარმის ის სიტყვები მიტროფანეს
მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩა, ოქ-

როს ფული კი თილისმასავით ყელზე
შებმული ატარა და შემდეგ კალოუბან-
ში სახლი რომ წამოიწყო, შის საძირ-
კველს ფუძედ ჩააყოლა...

მას შემდეგ ფილიმონ გაბლენძილი
მიტროფანეს ცხოვრების მაგალითი შე-
იქმნა და ყველაფერში მას ჰბაძედა.
მამის წყალობით კუჭი მაძღარო ჰქონდა
და სიცოცხლე სახალისოაო, ამბობდა:
ქვეყანა ია-ვარდით მოფენილი ეგონა.
მაგრამ მუხთალი ბედი ბოლომდე ვის
სწყალობს, რომ პატარა მიტროფანეს
ბედნიერება იდიხანს გაგრძელებული-
ყო. შევაპ ზღვამ, როგორც მრავალი
სხვა, მამამისიც იმსხვერპლა. თორმეტი
წლის ობოლი ბიჭი კი დისა და დედის
ანაბრად დარჩა.

ღარიბის სარჩო-საბადებელი კულ-
ზე დავარდნილმა ვირმა წამოიკიდაო.
თევდორეს თუ რამე დარჩა, მალე შეჭა-
მეს და მეტი რა ჩარა იყო, მიტროფა-
ნეს დედამ ფილიმონთან მრეცხავად
მუშაობა დაიწყო, მაგრამ ჯანგატეხილ-
მა დედაკაცმა შრომას ვერ გაუძლო.

სხვა გზა არ იყო, თოთხმეტი წლის
მიტროფანემ ხელი მებადურობას მიჰ-
ყო და დიდის ამბით, ნაბიჯ-ნაბიჯ წინ
მიიწევდა. გულში ბავშვობისდროინ-
დელი ოცნება ედო, გამდიდრებისთვის
დაწინაურება უნდოდა და ამისთვის მე-
წარმის ქონებას თვალისჩინივით უფრ-
თხილდებოდა. ფილიმონმაც ყმაწვილის
ამაგი დააფასა, დიდ ვალს მცირედით
გადახდა მაინც უნდაო, ახალგაზრდა
მიტროფანე კარჭაპზე უფროს მებადუ-
რად დანიშნა...

საწაღელს მისწვდა და მიტროფანე
ცდას აღარ იკლებდა. ზღვაში სარეწად
იყვნენ ვასულები, როცა შიმშილთ
ილაჯიხილი დედა და და მოუკვდა.
საწყლებს ძველი თევზი ეჭამათ, მოწამ-
ლულიყვნენ და ქოხში ამოიხოცნენ.

მიტროფანე მათ გასვენებას არც და-
სწრებია, მეზობლებმა სამაღლოდ და-
მარხეს. მეწარმისაგან დაწინაურებულ
უფროს მებადურს მათთვის აღარ ეცა-
ლა. გახურებული თევზჭერა იყო, ხმელ-
თაშუა ზღვიდან პონტოში სტავრიდის

ქეჩი შემოსულობით. გამდიდრების მოსურნე კაცი ამ ხელსაყრელ წუთებს ხელიდან ადვილად ვერ გაუშვებდა.

მიტროფანეს მიცვალებულებზე არც უღარდია, მკვდრებმა ამქვეყნად თავიანთი ანგარიშები მოათავეს, ცოცხლებმა კი კვლავ უნდა იჯახირონ, რაღაცას ელტვოდნენო, ფიქრობდა ყმაწვილი და თავის იდეალს ელოლიაგებოდა — მეწარმე უნდა გამხდარიყო, ფულს აგროვებდა, მაგრამ ცხოვრებამ ქამანდი უღროოდ უშვდო, ფილიმონ გაბლენძილი გაკოტრდა, მისი ძველმანი კარჭაპები ახალმა ტექნიკამ დაჯაბნა და მიტროფანემაც უფროსი მებაღურობა დაკარგა...

გასაჭირი ძალას მოგცემსო, ყმაწვილი არც აქ დაიბნა, კასპის ზღვაზე შეთევზეებს დიდი შემოსავალი აქვთო, გაგონილი ჰქონდა და იქით გასწია, მაგრამ ცა და დედამიწა ინგროდა, ქვეყნად დიდი არეულობა დაიწყო და მიტროფანე, როგორც იქნა, თბილისამდე ჩაჰყვა მატარებელს. გზაში ბევრი რამ ახალი გაიგო და მამინვე ქალაქში გაეზარდა. რაც კი ასიგნაცია ებადა, ოქროდ აქცია და ბაქოსკენ მიმავალ მატარებელს გულდაარხენიებული დაელოდა. მატარებელი არც ისე მალე გამოსჩნდა და შრომას შეჩვეულმა კაცმა ცუდაობას დიდხანს ვეღარ გაუძლო. თანაც კაპიკებს კაპიკების მიმატება უნდოდა და მიტროფანე ბაქოში გამგზავრებამდე სადგურის სიახლოვეს სამუშაოს ძებნას შეუდგა...

შორს არც წასულა, იქვე მოფუსფუსე მტვრითავების საქმიანობას ჩაუფიქრდა, მათი შრომა სარფიანი ეჩვენა. იმხანად ყველა აწეწილ-დაწეწილი იყო, ხალხი თავისი ბარგი-ბარხანით უგზო-უკვლოდ იგარბოდა და ამის წყალობით მტვრითავებს საშოვარი ყელამდის ჰქონდათ...

მიტროფანე მთორე დღესვე მუშაობას შეუდგა. ღამე კი იქვე, სადგურის შენობაში, უფასოდ ეძინა.

მიტროფანეს ყოველ დღე ათასნაირი ჯურის ხალხი ზედებოდა, უგუნური არ

იყო და მათი წყალობით ქვეყნის ახალ-ახალი ამბები ესმოდა.

მალე ძველი ყოფა წარსულს ჩაბარდა. ახალი ცხოვრება დაიწყო.

მიტროფანე მამინ ოცი წლისა იყო, სადგურში დიდად ირჯებოდა, ხელობა არაფერი ჰქონდა და ობოლი ბიჭი რკინიგზის მუშებმა შეიცოდეს. ახალგაზრდა კაცი ხარ, რაიმე პროფესიას დაეუფლო, სამუშაოდ წაიყვანეს...

ერთხანს ვაგონების მრეცხავად მუშაობდა. მერე „რაბფაკი“ დაამთავრა და ბედი ქარხანაშიც სცადა. საბოლოოდ იქ მაინც ვერ გაჩერდა, ისევ თევზ-მრეწველობის მეურნეობას მიაკითხა.

მუყაითი კაცი იყო, თევზრეწვისაც ცოტა რამ გაეგებოდა და უფროსებმა მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, ერთ-ერთი ტბის სათევზაო მეურნეობის დირექტორად იგაგზავნეს...

მიტროფანემ საერთო საქმეს ხელი გულიანად მოჰკიდა, უუნარო კაცი არ იყო და მეურნეობა ხუთიოდე წელიწადში თითოთ საჩვენებელი გახადა. თანაც ამ დროისათვის მან უმადლესი სასწავლებელიც დაამთავრა.

ხალხი მადლიანია, შენსას არაფერს შეიწვეს, არც სიკეთეს დაგიკარგავს. ღვაწლი და ამაგი მიტროფანესაც დაუფასეს, თევზის მოშენება-მომრავლები-სა ესმოდა და დააწინაურეს. ხელმძღვანელები ყოველთვის დიდ ქალაქებში არიან და ისიც ფარავანიდან თბილისში ჩამოიყვანეს. არჩევანში არც მოტყუებულან: მიტროფანემ პირველ ხანებში იმდინარეები და ტბები თევზით აავსო. მალე ბრაკონიერებს დაუკავშირდა და ჯიბე გვარიანად გაისქელა. გასამარჯვლოს ცოტას მაძლევენ, ბევრი მეკუთვნიდისო, გაუშამძღარს ხელფასი აღარ ჰყოფნიდა, თანაც ის იყო ცოლს ირთავდა, სახლ-კარის ფილიმონისებურად მოწყობას აპირებდა და, აბა, მამ რა იქნა?

არსენ ბაბალაშვილი
ორი პატი

ამასობაში მიტროფანე ნელ-ნელა გასუქდა, ხელისგულებიდან ბებერები გაუქრა, რბილ სავარძელს შეეჩვია, ყმაწვილობის ფიქრები უფრო ძალუმაღ აეშალა და საკუთარი კარმიდამოსთვის კალოუბანში მიწის ნაკვეთი აიღო. უქნარა არავის ვეგონო, ღიბი არ დამედოსო, საძირკველი თავის ხელით გაქრა, ბალავარს როგორც ვთქვით, ფილიმონ გაბღენძილის ნაჩუქარი ოქრო ჩააყოლა და ზედ საუტხოო სახლი დააშენა. მერე ცალკვანიც შემოავლო, აუზები გაშართა და ცაღ-დაკვირგებისათვის შიგ ათასი ჯურის თევზი ააფართხალა...

მიტროფანეს საამისოდ ენაც უჭრიდა, სარისტიანი კაცი იყო და ვისი ენაც უჭრათლია, იმის საქმე მართალიაო, კრებებზე ბუქს აყენებდა. უფროსების თვალწინ ხელქვეითების დაზოგვა არ უყვარდა.

ამ ბოლო დროს მიტროფანეს გულის მანკი დასჩემდა, თანაც ცოტა მობერდა და წყნარ სამუშაოს მოკვებნი, საღმე უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს ავიღებო, დიდ სამეცნიერო შრომასა წერდა. ხალხს ჯაფადუხარჯავად ახალი სასურსათო საქონელი უნდა მივცეო, საქვეყნოდ გახმაურებას ფიქრობდა, მაგრამ „პაწიამ“ დისერტანტს ეს აღარ დააცადა, გაუმადლარი ონავარი თავის მუცელს ემსხვერპლა...

მიტროფანე თვალს მიეფარა თუ არა, ძია ნიკოს ვაჟი მაშინვე ქაში ჩახტა და დაზიანებული მილსაჭერის მოშვება დაიწყო. სადინარი ნაკერზე იყო ფახეული. გაპოხილ ძენძს რკინა კარგად შეენახა, ხრახნს უნავი არ მოჰკიდებოდა და სალტე ადვილად მოეშვა. ჩანთიდან იმავე ზომის მილსაჭერი ამოიღო და ძენძშემოხვეულ მილს ცალი მხრიდან ბოლომდე ჩაახრახნა. მერე, გადასაბმელს გაუპირისპირა, დასაბლოკირებელ რგოლამდის მიიტანა და ონკანი ნელ-ნელა გაადო. წყალმა უხუთლით გაირბინა, ნახელავმა წნევას გაუძლო და

თანაც წვეთიც არ გაუშვა... ძია ნიკოს ვაქს თავის გულში სიმარჯვე შეეძქა... — შეამოწმე, კვლავ არ გაუფუჭდეს, თორემ... — დაუბარა შვილსა და ჭიმკრისაკენ გაეშურა.

ყმაწვილმა გადაბმულ მილს რამდენჯერმე დაუკაქუნა, საიმედოდ იყო შეკეთებული და მაშინვე მაღლა ამოხტა...

წამიძეების ეზოში შადრევნებს სული ჩასდგომოდით, საამურად აჩქრიალებულიყვნენ და მადლიან მზის სხივებში ცისარტყელები ნაირფერებად ირკალებოდა...

აუზი კი ხმაურობდა, იქ რალაცა სხვა ამბავი იყო. საწმინდო კაცი გულმავიწყი ხდება. ჩვეულ საქმეში აქა-იქ უწესრიგობა გამოერევა და უსწორობას კვალის დაფარვა აღარ შეუძლია. მიტროფანესაც ამ ბოლო დროს ეს სენიც შეეყარა. გასაკეთებელ-გაუკეთებელი საქმეების მოწესრიგება ხშირად ავიწყდებოდა და დღესაც წყლის დონის ასაწვევი აუზის ონკანი ღია დარჩა. წყალმა საგუბარი პირთამდე აავსო, შუა ტიხარი დაფარა და, კალმახებს ფორიაქი ედგათ. ლოქომაც დრო იხელთა. იმათ მხარეს გადაცურდა და დორმუცელა ონავარი წყალში ციბრუტივით დატრიალდა. ვეებერთელა პირი ელვის სისწრაფით ააღლაქუნა, მეტი ქამით მუცელი თავზე მოექცა და მანაც თევზს-თევზზე სანსლავდა.

ბოლოს, წყლის დონემ თანდათანობით აიწია, ლოქოსგან აბორიალებული ტალღები აუზის კედლებს გადმოეგლო, თან თევზები გადმოიყოლა და ძირს ტყლამა-ტყლუშით გადმოეკიდა. წყალი სანიაღვრე ბადურისკენ დაიძრა...

კალმახებმა გზა იპოვნეს, აუზიდან გარბოდნენ და „პაწიამაც“ აგორებულ ზვირთს კუდი მძლავრად გაუტყლამუნა, ვეებერთელა თავი მოიჭნია და ტალღას გადმოჰყვა. მერე, თითქოს ტყეში წიფლის ხე გადაიჩეხათ, მიტროფანეს გულის გასახეთქად ასფალტზე ზღარ-თანნი მოადინა და გასკდა.



ძველი ეგვიპტური ლირიკა

პტახოტეპის უეგონეხებიდან

1

მაინც და მაინც
სწავლულობით თავი ნუ მოგაქვს!
ნუ, ყოვლისმცოდნე, ნუ გგონია,
რომ შენ ხარ ერთი!
არა მარტო ბრძენს —
რჩევა ჰკითხე უწვევრულ ყრმასაც!

ხელოვნებამ არ იცის ზღვარი.
ძალუმს კი მხატვარს,
დაეუფლოს ოსტატობის
უმადლეს მწვერვალს?

თვალმარგალიტს და გონივრულ სიტყვას
ცხრაკლიტული ადევს ორთავეს.
თუმც სიტყვა იგი
მონა ქალსაც მოეპოვება —
უბრალო მონას,
ხორბალს რომ ცეხვავს.

2

თუ ოჯახთან მეგობრობას
აფასებ და ძვირად გიღირს,
მაშინ სახლში, სადაც დახვალ
სტუმრად, ანუ სადაც ძმა ხარ —
მოუფრთხილდი ქალებს.

სასიკეთოს დედაკაცთან
სიახლოვე არას გვაძლევს.
ვინ ჩასწვდება ქალის აზრებს.
ათასებმა იზარალებს
მხოლოდ ქალის გამო.

ქალის ტანი — ქაშანურის
გრილი სურა — ქალის ტანი
გვაბრმავეებს და სულში გვეყინავს,
რათა მყისვე აბრიალდეს —
შემოგვენთოს ცეცხლად.

ქალის დაპატრონება — სიზმარია მოკლე.
ქალის ფიქრს და გონებას
ჩასწვდე — სიკვდილს უდრის.

3

თუ სიკეთისკენ ხარ მიდრეკილი
ოჯახს მოეკიდე, სახლი გაიჩინე.
შეიყვარე, როგორც ჯერ არს, დიასახლისი.
ასვი, აჭამე, არ მოაკლო ჩაცმა-დახურვა,
აცხე ბალზამი სხეულს მისას, სურნელოვანი,
და განახარე გული მისი,
სანამ ცოცხალ ხარ.
საუკეთესო ყანა არის, გახსოვდეს, იგი
სახანავე-სათესად
თავისი ბატონ-პატრონისათვის.

ლ რ ე მ ბ ა

გულის სიდრმეში ჭეშმარიტებას,
რაო, დათრობა ხომ არ სწადია?

●
ზმირინი წასცხე კულულებზე ჭეშმარიტებას,
ზმირინი წასცხე —
ნუმც მოშლია სიმრთელე ჯანის,
ნუმც მოშლია ყოვლი სიკეთე.



1

ვემუდარები ჩემს ქალბატონს:
„ნუ გახდები ჩემი დუშმანი!“ —
ვემუდარები მთელი დღე ასე:
„ნუ, ქალბატონო,
ნუ მტანჯავ და
ნუ მალოდინებ“.

ვედარ ვაკავებ ულაყს ჩემსას,
მის ძარღვებში ქარიშხალია.
ეს კი იცოდე, შემწვევს ძალი
ნებისად ვმართო,
თუმც ეტლში
პირჩევე ვარ დამხოზილი.

2

ბაჯაღლო ოქროს კუნძულისკენ
გაშალა აფრა —
მიცურავს ჩემი ქალბატონი
თრობის მხარეში.

ნუ, ნუ გასწირავ, ქალბატონო,
უთხარ შენს მეჭის:
— მთელ დღეს იქ დავყოფთ,
მეჭი, მთელ დღეს იქ გავატარებთ.

3

დღევ მშვენიერო,
პოი, დღეთ უტკბილეს თრობის,
მე შენ მის გვერდით გავატარებ,
ვიქნებით ერთად, —
დაჰქროლე, დაე, ნუ დაცხრები,
დაჰქროლე, ქარო!

მე გულს მივმართავ, საკუთარ გულს:
„რაო, ასე რად უყვართ იგი?
მე თავი მოგეც
სიყვარულით ჩემით შენდამი“.
ხმა ჩამეხლიჩა ამ სიტყვებით:
„მიცოცხლე, ღმერთო,
სატკივარი აშორე მეჭის!“

მისი ბაღის ხეები

1. ლაპარაკობს ლელვის ხე

შვება არის მორჩილება ჩემი ქალბატონის!
ტოლი არ ჰყავს ჩემს ქალბატონს
ბანოვანთა შორის!
და მხვევლები თუკი ეცოტავენა,
პირფარეშად მე დავუდგე მგონი.

ვიზრდებოდი სირიაში, მომიყვანეს შორს,
ტყვედ მიმგვარეს ქალბატონს და
იმის გულის სწორს.
სურდა ამ ჩემს ქალბატონს და ენება,
აქ ვყოლოდი მისი ბაღის მშვენებად.

თვითონ სვამენ, თვრებიან და ტკბებიან,
მე კი წვეთი, წვეთი არა მრგებია.
სქელ რუმბებში ცივი წყალი დგას —
არ მრწყავენ და
არ მასმევენ წყალს.

ლაციცი რომ მოსწყურდებათ,
ღვინო რომ მოსწყინდებათ,
ჩემი ჩრდილი მხოლოდ მაშინ სჭირდებათ.
პოი, ტურფავ, ჩემი ცოდვა გიწვევს,
ვფიცავ.
რისხვა დავატყდება თავს!

2. უცბად ალაპარაკდა. ლელვსულელი პაწია, მისი ხელით დარგული

ლელვსულელის შრიალი
თაფლის სურნელს გვაგონებს.
თვალს ახარებს მსუქანი
და მდიდრული შტოებით.

დახუნძლულა ნაყოფით,
თვით იასპზე წითლით.
ფირუზს უგავს ფთოთი —
ელავს მოჭიქულივით.

ღერო უგავს მოცისფრო
ქვისგან ნაქანდაკარს.
ხვატში ნიავეს მოგებერს და
თვისკენ გვეპატიჟება.

ქალი, ბალის პატრონი,
ჯღება, წვირილს წერს
და მებადის ფეხმარდ გოგოს
საყვარელთან ატანს:
„მობრძანდიო, სტუმრად დაგსვა
ბანოვანთა შორის!“

„ჩემი ბალი შენთვის ჰყვავის,
ფანჩატური გელის,
ბალღებევით ისარებენ
შენი მოსვლით ჩვენები“.

„წინ-წინ ჯორკიდებულთ
მსახურები აფრინე.
წინაგრძნობა შენთან შეყვრის
ღვინოსავით მათრობს...“

ცხრანაირი ჯურის ლუდი
მსასურს მოაქვს კასრებით;
თონეული, ბოსტნეული,
ხორაგი და ხილი.
ო, მობრძანდი, ჩემს ტოტებქვეშ
სამი დღე და სამი ღამე
გაატარე ტკბილი!

მიუჯინეს მარჯვენა
მხრიდან ტურფას სტუმარი.
ქალი ათრობს ვაჟკაცს,
ხოლო შემდეგ ჰმორჩილებს.
სადაც იდგა სასმურები,
იქ სტუმრები წვანან,
ხალხი თვრება და დიაცი
საყვარელთან რჩება.

ჩემს რტოებქვეშ, ჩემს ჩრდილში
უყვართ განმარტოება,
მაგრამ უტყვევი მოწმე ვარ,
სიტყვა არსად დამცდება,
ჩემთვის
ჩუმად ვდგავარ.

სატრფიალო სიქლერა

სიყვარული შენი —
ფრთოსნის სიყვარულია.
შენი სახის იერი —
იერია ყრმის.
სურნელება შენი —
ბალზამისას ჰგავს.
სახის კანი შენი —
ვაშლის თოთო კანს.
სასიცოცხლო ძალით —
ჰგავხარ ხნულში მარცვალს.
მზუა ამომავალი —
შენი ნორჩი სახე.

სიხარულით სავსეა —
შენი მკვირცხლი თვალები.
ხელებს ცისკენ იწვდი,
ტურფად გახსნი ბაგეს,
მზეს შესძახებ დიდებას,
შენ, ღვთიურო ყრმაო!
არის რაღაც საერთო,
შენს იერში იგრძნობა,
ნიშანწყალი იცნობა
ჰერმოპოლის მბრძანებლის.
ამონეჰტმა აღვწერე
ესე — შვილმან იბუის.

ქ ა ლ ღ ე ე რ თ ს

ო, შენ, რომელიც მიაბიჯებ ასე დიადად, —
მალაქიტს, ზურმუხტს,
ფირუზს სთესავ ვარსკვლავებით,
როცა შენ ჰყვავი, მეც ვყვავი მაშინ,
ვყვავი ცოცხალ მცენარესავით.



ზეთს სურნელოვანს წყავს და წონის
დედოფალი საკუთარ ხელით.
ფასშეუვალი სხეულს მისას ზმირინი სცხია.
სდის სურნელი ღვთიურ მანანის.
სურნელი იგი
სურნელს პუნტის ქვეყნისას ერთვის.

ოქროფერილი მისი კანი
ელავს და ბრწყინავს,
როგორც ბრწყინავენ ვარსკვლავები
გუმბათიდან მაღალის ტაძრის
და სახელმწიფოს ოთხივ კუთხივ
ანათებენ მის საზღვრებამდე.

სამიჯნურო უაღოხვა

სალამი შენდა,
ღმერთების მამავ, რა-გორახუტო,
სალამი თქვენდა, შვიდნო ხატორნო,
თქვენ, ალისფერი მანდილებით
ტურფად შემკულნო,
თქვენ, ღვთაებანო,
მბრძანებელნო ცისა და მიწის!
თქვენ შემეწიეთ,
თან გამომყვეს მისი ასული,

როგორც ბოჩოლა,
დაუყრიან რომელსაც თივას,
როგორც მოახლე,
არ სცილდება რომელიც ბაღლებს,
როგორც მწყემსი თან ახლავს ფარას.
ისმინეთ ჩემი:
თუ თქვენ ამას არ აიძულებთ,
მაშინ ცეცხლს მივცემ მე ბუსირისს
და გადავბუგავ.

მემფისის კონატრება

ხედავ, გამეჭვა, გამეპარა, გამისხლტა გული,
შეკრა კამარა, მიაშურა საყვარელ სამხრეთს,
რათა იხილოს დიდებული მემფის-ქალაქი.
ჰოი, მოეცა ჩემთვის ძალი და მოთმინება
ღმერთს: დავმჯდარიყავ და მეცადა
მემფისიდან ჩემი გულის დაბრუნებისთვის,
ეამბნა გულს, თუ რა ხდება
თეთრ კედელთან, ანუ რა ისმის!

რა უმწეო ვარ,
მივარდება ხელიდან ყველაფერი,
რადგან გული საგულეს არ მაქვს.
ო, მოდი, პტაო,

წარმიტაცე თან მემფის-ქალაქს
და დიდხანს, დიდხანს
მისი ჭვრეტის ბომეც მე ნება.
ო, ჩემი გული დღე და ღამე ოცნებაშია,
აღარ არის მკერდში გული —
შორს არის იგი.

ვარ შეპყრობილი ავი სენით:
მტეხენ სახსრები,
დამესშო სმენა, თვალთ მიბნეღდება,
დამიმახინჯდა სიტყვები და ხმა ჩამეხლიჩა.
შენ შემეწიე, ჰოი, პტაო,
მივალწით როგორმე მემფისს.

ქ ა რ ი

ამოტყდა ქარი — ლედესულელს დაჰბერა,
გამოჩნდა ქალი — ეს შენ ხარ და
იჩქარი ჩემსკენ.

ლ ა მ ე ს

ზეცის მუცელში — მწიფდა ღამე.
ზეცის მუცლიდან — იშვა ღამე.
ღამე ვისია და — თავისი დედის.
ჩემი რა არის და —
სიმშვიდეა ამქვეყნიური.

სალამოს კვერთხი გასტეხია,
ადგა და ჩუმად გაილალა,
წაიქცა კოკა სალამოს
და მქისე წყალი
დაიდვარა.

ო, ღამევ, მშვიდობა მიწყალობე —
და მეც მშვიდობას გიწყალობებ!
ო, ღამევ, მიწყალობე მოსვენება —
და მეც მოსვენებას გიწყალობებ!

ღამე ვისია და — თავისი დედის —
ოქროს ქალღმერთის.
ჩემი რა არის და —
სიმშვიდეა დედაბუნების.

წუთისოფლის საქალაქი

მათობელა
სასმურების ტრფიალს
იმ ქვეყანას
წყალიც ვეღარ მიაქვს.
ამა სოფლად
ურიცხვ ბეღლის პატრონს
ფეტივი უჭირს,
ერთიმუჭას ნატრობს.

წარწერა ყავარჯენზე

წინ გასწი, ჩემო ყავარჯენო, გასწი, გამიძვხ,
მე შენ გეყრდნობი — სიმართლის გზა ამირჩევი
გზად ჩემთა ძნელთა სეირნობათა;
აქვე,
ამ გზაზე დაგბერებულვარ.

თარგმან მურომან ლეზანიძემ



საბჭოთა საზოგადოებრივი საბჭოთაო კულტურის მინისტრის გამომცემი

ჯეიხს ჯოიხი

შეკატეხილი ნანილაი

კრიტიკულიდან „ღუბლინელები“

ტელეფონის ზარი გაბმით რეკდა და, როცა მისს პარკერმა ყურმილი აიღო, ჩრდილო ირლანდიური აქცენტით ნათქვამი მძვინვარედ გაისმა:

— ფარინგტონი გამომიგზავნეთ აქ!

მისს პარკერი თავის საბეჭდ მანქანას მიუბრუნდა და მავიდასთან მჯდარ კაცს, რალდის რამსონს წერდა, უთხრა:

— მისტერ ალაინი გკითხულობთ.

— ჯანდაბას მავისი თავი! — წაიბურტყუნა კაცმა და ხმაურით წამოდგა. მაღალი და ჩახმული კაცი იყო. გრძელი, მუქი-ღვინისფერი სახე, ფართო წარბები და უღვაში ჰქონდა. ოდნავ წამოქაჩული თვალები შეშუპებოდა და თვალის თეთრონებს ჭუჭყისფერი მოსდებოდა.

კლიენტებს მხარი აუქცია და მძიმე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. ნელა მიდიოდა, სანამ მეორე სართულზე სპილენძისფირფიტთან კარს არ მიადგა. „მისტერ ალაინი“ — ეწერა კარს. აქ კი შედგა, ამოიხეწა და დააკაკუნა. გამყინავმა ხმამ გამოსძახა:

„მობრძანდით!“

ფარინგტონი ოთახში შევიდა. მისტერ ალაინმა, პატარა, ოქროსათვალიანი, სუფთად გაპარსულმა კაცმა, ქალღლებიდან თავი ასწია. თავი ვარდისფერი და ისე უთმო იყო, რომ ქალღლებზე დადებულ დიდ ჯერცხს მიავადა. მისტერ ალაინმა დაუყოვნებლივ, ისე რომ წამიც არ დაუკარგავს, ჰკითხა:

— ფარინგტონი ხარ? რას ჰვავს ეს? რატომ უნდა მჭირდებოდეს ყოველთვის შენზე ჩივილი? ნება მიბოძე, გკითხო, რატომ არ ვაამაღდე ბოლოსა და კირვანის კონტრაქტის პირი? ვითხარი თუ არა, ოთხი საათისათვის მზად იყოს-მეთქი!

— ღიახ, მაგრამ მისტერ შელიმ მითხრა, სერ... — „მისტერ შელიმ მითხრა, სერ“... კეთილი ინებე და იმას მიხედე, რასაც მე გუუბნები და არა, რასაც „მისტერ შელი ამბობს, სერ“. მიზეზი არ დაველევა, ოღონდ თავი დაიძვინო, ამ საღამოსათვის მზად თუ არ იქნება კონტრაქტი, შენს საკითხს მისტერ კროსბის წინაშე დავსვამ. გესმის?

— ღიახ, სერ!

— შეაყარე კედელს ცერცვი! პო, კიდევ! ერთხელ და სამუდამოდ დაიმხსოვრე, რომ შესვენება ნახევარი საათით ვაქვს და არა საათნახევრით. რამდენი ლექცია წავიკითხო, მაცოდინა მაინც! გაიგე ახლა?

— ღიახ, სერ.

მისტერ ალაინმა თავი ისევ დახარა ქალღლებზე. ფარინგტონი მის გაპრიალებულ კედას მიაშტერდა, კედას, რომელიც „კროსბი და ალაინის“ საქმეებს წარმართავდა, და მისი სიმყიდის გაანგარიშებას შეუდგა. ყელში ბურთივით მოაწვა ბრაზი და, როცა სხაზმებმა გაუარა, ძლიერი წყურვილი იგრძნო. წყურვილის ეს შეგრძნობა ეცანურა და მიხვდა, რომ ამ საღამოს გვირიანად უნდა ჩაესველებინა ყელი. თვის პირველი ნახევარი გასულია და თუ კონტრაქტის გადაწერას მოასწრებს, იქნებ მისტერ ალაინმა ფარინგტონისათვის ავანსის გამოწერის ნება დართოს მოლარეს. იგი გაყურებულ იდგა და ქალღლებზე დამხობილ თავს მისწერებოდა. უცებ მისტერ ალაინმა ქალღლებს შრიალი აუყენა. მერე, თითქოს არ იცოდა, რომ ფარინგტონი იქვე იდგა, თავი ასწია და თქვა:

— მთელი ღღე აქ ხომ არ იქნები აყუღე-

ბული დმერთმანი, შენთვის ყველაფერი სულ ერთია, ფარინგტონი.

— ველოდით, მეგონა...

— ნუ მელოდები და არც არაფერი არ გეკონება. ჩაიდი ქვევით, იმუშავე!

ფარინგტონი მძიმედ გაემართა კარისკენ. სანამ გავიდოდა, მისტერ ალიანის ხმა წამოეწია, საღამოსათვის კონტრაქტი გადაწერილი თუ არ იქნება, ეს ამბავი მისტერ კროსბის მოხსენდება.

ფარინგტონი თავის საწერ მაგიდასთან მივიდა, გადასაწერი ფურცლები გადათვალოდა; კალამი აიღო და მეღანეში ჩააწო. გამოშტერებული მისჩერებოდა უკანასკნელ სიტყვებს: „ზემოხსენებულმა ბერნარ ბოლომდ ბევრი...!“

შებინდა. რამდენიმე წუთში ვახს ჩართა, მამინ შესაძლებელი იქნება წერა. ფარინგტონმა იცოდა, რომ იწყურვილის ფარინგტონ უკვე და უნდა ჩაეკრო. წამოიღო. ვარეთ რომ ვადიოდა, გამგემ გამოძღვლად შეხედა.

— ყველაფერი რიგზეა, მისტერ შელი, — თქვა კაცმა და ხელით თავისი მოგზაურობის ობიექტი მიანიშნა.

გამგემ ქულების ჩამოსაკიდებელი ათვალიერა და ყველა ქული თავის ადგილას რომ დინახა, დამშვიდდა. ფარინგტონმა კი, გამოვიდა თუ არა დერეფანში, ჯიბიდან ბერეტი ამოძარო, თავზე დაიხურა და სწრაფად დეშევა მორყეულ კიბეზე. ვარეთ გასული მოსახვევამდე კედელ-კედელ გაუყვა ქუჩას და მერე ერთბაშად გაუნინარდა რომელიღაც შესახველში. ახლა, ოწილის ტრაქტორის სიმუხდროვეში საფრთხე აღარ მოეღის! პატარა ფანჯარა, რომელიც დარბაზს ბართან აკავშირებდა, თავისი ადრედაცხებული, მუქი ღვინისფერი თავპირით ამოვარდა და დაიძახა:

— ბეტ, აბა შენებურად დატრიალდი, — მსახურმა ბიჭმა ერთი კათხა შავი ლუდი მოუტანა, კაცმა სულმოუთქმელად გადაკრა და ქუშელი მოითხოვა, მერე ფული დახსზე დაუდო, ბიჭიც და ფულიც ბინდუნდში გასკვული დატოვა და ისევ ქუდრულად გამოვიდა ბარდან, როგორც შევიდა.

ბინდი და სქელი ნისლი თებერვლის დაისს შეურთდა; იუსტასის სტრატზე ნათურები ჩართეს. ფარინგტონი ქუჩას უკანვე გაუყვა და კანტორაში დაბრუნდა, თან იმის ფიქრი არ ასვენებდა, მოკასრებ გადაწერას თუ ვერაო. კანტორის კიბეზე რომ ადიოდა, სუნამოს მძაფრი, ნოტიო სურნელი მიესალბუნა მის ყნოსვას. მისს დელაკერკი მოსულა, სანამ ის ბარში იყო! ქუდი ჯიბეში ჩაიტენა, ოდნავ დაბნეული იერი მიიღო და ისე შევიდა ოთახში.

— მისტერ ალიანი გკითხულობდა. სად იყავი? — ვაბრაზებით ჰკითხა გამგემ.

ფარინგტონმა ოთახში მდგარ ორ კლიენტს ისე შეხედა, თითქოს იმიტომ ვერ უპასუხა, მათი მოერიდო. ორივე მათგანი მამაკაცი იყო

და გამგემ თავს ნება მისცა ხამალა გაეცნა.

— ვიცი შენი ხრიკების ამბავი, მაგრამ დღემ სუთჯერ მაინც მეტისმეტია. კარგი, უკვე მისს დელაკერკის კორესპონდენცია ცოცხლად მიუტანი მისტერ ალიანს.

სახალსოდ ასეთმა მიმართვამ, ზედა სართულზე წელიწადლამა ვიზიტმა და ნაჩქარევად გადაკრულმა ლულმა ნირი წაუხსნიეს ფარინგტონს. მაგიდასთან დაჯდა, მაგრამ გრძობდა, სულის ნახევრამდე კონტრაქტის გადაწერა შეუძლებელი იყო. მზელი და ნესტიანი ღამე მოიზღაზნებოდა და მის უნდოდა ეს ღამე ბარებში, მეღობრებთან, ვახსის ბრწყვალა ნათურებს შორის, ჭიქების ჭიანჭუსხსა და სნამი გაეტარებინა.

დელაკერკის კორესპონდენცია უჯრდთან ამოიღო და ოთახიდან გავიდა. იქნებ მისტერ ალიანმა ვერ შეამჩნია, ორი წერილი რომ აკლია მიმოწერასა, იმედოვნებდა.

სუნამოს მძაფრი სუნის მისტერ ალიანის ოთახიდან გამოიღოდა და ყველაფერს ეფინებოდა. მისს დელაკერკი ებრაული გარეგნობის საშუალო ასაკის ქალი იყო. მისტერ ალიანს უთხრეს, კარვად მიეღო ხოლმე, მაგრამ რომელი, ქალი თუ მისი ფულეობა? მისს დელაკერკი ხშირად მოდიოდა კანტორაში და დიდხანს რჩებოდა. ახლა იგი მისტერ ალიანის მაგიდასთან იჯდა. სუნამოთი გაყდენილი, ქოლგის სახელურს აწვალბდა და მისი დიდი ქუდის, დიდი, შავი ბუმბული წამილუწუმი ირხოდა.

მისტერ ალიანს სკამი ქალისკენ მივბრუნებინა ისე, რომ სახეში ეცქირა მისთვის, ფეხნი ფეხზე შემოედო. ფარინგტონმა წერილები მაგიდაზე დააწყო და პატვიისცემით დაუკრა თავი. არც მისტერ ალიანმა და არც მისს დელაკერკმა ყურადღება არ მიაქციეს მის მისალმებას. მისტერ ალიანმა წერილების გროვანზე თითი დააკავნა, შემდეგ ისე აიქინა ხელი ფარინგტონისაკენ, თითქოს ეუნებებოდა: კარგი, შეგიძლია წახვიდე.

ფარინგტონი ქვედა სართულზე დაბრუნდა, ისევ თავის მაგიდას მიუჯდა და უაზროდ მიაჩერდა შუაზე გაწყვეტილ ფრზას:

„არავითარ შემთხვევაში ზემოხსენებულმა ბერნარდ ბოლომდ ბევრი...“ და გაიფიქრა, რა უცნაურია, რომ ბოლო სამი სიტყვა ერთი და იგივე ასო „ბ“-ით იწყება. გამგემ მისს პარკერს აჩქარებდა: წერილებმა დაბეჭდვა ფოსტის გაგზავნამდე უნდა მოესწროთ. ფარინგტონი რამდენიმე წუთს უაზროდ უსმენდა საბეჭდი მანქანის კაკუნს, მერე თავის სამუშაოს მიუბრუნდა. თითქოს ბურუსი შემოაწვა მის გონებას და ხმაურინასა და განახანებულ ლულხანაში გადაასახლა. ცხელი ბუნში მოუხდებდა ასეთ ღამეში კაცს! ისევ შევიდა სამუშაოს, მაგრამ, როცა საათმა სუთჯერ დარეკა, თოთხმეტი

ჯამის ჯრონი

შევაღბანლი ნაწილბი

გვერდი კიდევ ჰქონდა გადასაწერი. ჯანდაბას ყველაფერი, დროზე მაინც ვერ დაამთავრებს! ერთი სული ჰქონდა, ხმაამალა შეეკუთრებინა ენემსთვის, რაღაცისათვის მუშტი დაერტყა, ისე იყო ვაფთრებული, რომ „ბერნარდ ბერნარდი დაწერა“ „ბერნარდ ბოდლის“ მაგივრად და იძულებული გახდა, ის გვერდი თავიდან დაეწყო. ისეთი ენერჯია იგრძნო, ეგონა მთელ კანტორას ერთი ხელის დატყვით ვააკამბეგრებდა, ხელები ექავებოდა. ცხრეთ ვაგარინა და გაიჭრი ქეიფი უნდოდა. სსოვრებაში რაც კი დამცირება გადაუტანია, ახლა გაახსენდა ყველა და ვაცოფდა...

მოლარეს შინაურულად რომ სთხოვოს ავანსი?! არა, მასთან ასეთი რამ არ გამოდგება. სულერთია, მაინც არ მისცემს... დასწყევლოს ღმერთმა... იცოდა, სადაც შეიძლებოდა ლეონარდის, ო' პალორენისა და ნოუს ფლინის ნახვა. ისინი ხომ მისი ამფოსუნები იყვნენ.

ფარინგტონის ემოციური ბუნების ბარომეტრი დამბაულობისაგან ვაკლომაძლე მივიდა.

ხილვებმა ისე ვაიტაცა, რომ ორჯერ დაუცახეს და არ ვაუგონია. თეჯირს იქით მისტერ ალიანი და მისს დელაკერკი იდგნენ. რაღაცის შოლოდინში ყველა კლერკს თავი მისკენ მოერუნებინა. ფარინგტონი წამოდგა. მისტერ ალიანი შეურაცხველი ტირილი გადმოადრქვია და ბოლოსდა თქვა, მიმოწერას ორი წერილი აკლიაო. ფარინგტონი თავის მართლებას შეეცადა, არაფერი ვიცი ამის თაობაზე, ზუსტად ვადავურეო. ტირილი კი ისევ ვრძელდებოდა. ისეთი მწარე და თავმუკუთმებელი იყო ალიანის სიტყვები, ფარინგტონს ძლივს ეკავებოდა თავს, მუშტი არ ეთხოვო ამ მანკეინისათვის.

— ბოლო ორი წერილის შესახებ არაფერი ვიცი, — ვაიმეორა დაბნეულად.

— არაფერი ვიციო? რა თქმა უნდა, შენ არაფერი იცი, — მისტერ ალიანი დასტურისათვის მის გვერდით მდგარ ლედის შეხედა და დაუმატა, — მითხარი ერთი, სულელი ხომ არ გგონივარ? ჰა? სულ მთლად სულელად მთვლი?

ფარინგტონმა ჯერ ლედის შეხედა სახეში, მერე მზერა კვერცხისთავა ალიანზე ვადიტიანა და ისევ მისს დელაკერკს დაუბრუნდა. სანამ მოიფიქრებდა, რა ხდებოდა, ენამ, მისდაუნებურად, გამოსავალი მონახა:

— არა გონია, ჩემთვის ამ კითხვის დასმა დირღვს, სერ.

თანამშრომლებს სუნთქვა შეეკრათ, ვანციფორდნენ (ამ სიტყვების აეტორიც მათთან ერთად). კეთილმა, ჩასუქებულმა მისს დელაკერკმა ფართოდ გაიღიმა; მისტერ ალიანს ალმურმა აპკრა სახეზე, ტუნეში ჯუჯის უსუსურმა ვააფთრებამ დაუმატა და მუშტები იმდენხანს უქნია ფარინგტონს ცხვირწინ, ვიდრე რაღაც ელექტრულ ხელსაწყოს არ დაემსგავსა ვიბრაციისაგან.

— თავნედო, თავნედო! ვაგანადგურებ, ვაგ-

სრესავ! დამაცადე! ან ბოდისმ მომიხიდი თავნედობისათვის ან არადა, ამ წუთშივე დატოვებ სამსახურს! დატოვებ სამსახურს, ბოდისმ მომიხიდი, გემისს!

ფარინგტონი ღია კარში იდგა და მოლარის გამოსვლას ელოდა, იქნებ მართო გამოვიდესო. ყველა თანამშრომელი წავიდა და ბოლოს მოლავე გამოინდა, მაგრამ გამგესთან ერთად. მასთან ასლა მისვლას ახრი არა ჰქონდა. ფარინგტონი მიხედა, მისი საქმე ცუდად იყო.

ბოდისმ უნდა მოეხდა ალიანის წინაშე ფორმალურად მაინც, მაგრამ ისიც იცოდა, რომ სამსახური მისთვის უკვე ვრახანების ბუდედ იქცა. განა არ ახსოვს, როგორ ამოიჩინა მისტერ ალიანმა საცოდავი პიცი და როგორ აიძულა სამსახურიდან წასულიყო, როცა მის ადგილას თავისი ძმისწულის მიღება უნდოდა?

ფარინგტონს უფრო მოსწყურდა. შურისძიების ვრძობამ კიდევ უფრო აიზნა, უკმაყოფილო იყო თავისი თავით და მთელი უკვენიერებით. მისტერ ალიანი აღარ მოასვენებს, რაკი ერთხელ თვალში ამოიღო, სიცოცხლეს ჯოჯოხეთად ვადაუქცევს. ამჯერად მართლაც რომ სულელურად მოიქცა, ვერ დაიბნა ენა პირში? თუმცა თავიდანვე ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. სასაქუთრებით მას შეეძრებოდა ვეღარ იტანდა ალიანი, რაც ერთხელ ვაიგონა, როგორ დასცინოდა ფარინგტონი მის ჩრდილო ირლანდიურ აქცენტს და როგორ აართობდა ამით პიგინსსა და მისს პარკერს, იქიდან დაიწყო ყველაფერი... იქნებ პიგინსს სთხოვოს ფული?! თუმცა მის თავისთვის არაფერი აბაღია, სხვას რა უნდა მისცეს, ან კი რა ვასაკვირია, ორი ოჯახის პატრონი...

— ისევ მოუნდა ლუდხანაში ყოფნა, სკადმოს ნილი ვაუჯდა მთელ ტანში და შესცინდა. ვაფიქრა, ვინახვ თუ ვერა დღეს ოწილისო. სულ ცოტა შილინგი მაინც უნდა ჰქონდეს კაცს, თუ მასთან დალევას აპირებს. შილინგი არც კი ეყოფა. როგორმე უნდა იშოვოს ფული. უკანასკნელი კამიკები ლუდში მიახარავს. თუ არ იჩქარებს, შეიძლება ველარავისგან ვვლარ ისეხსნის. უცებ საათის ძეწვეს, ხელში რომ ათამაშებდა, შეეშვა. ტერი კილის ლომბარდი ვახსენდა ფლიტ სტრიტზე. ესეც ვამოსავალი! ადრე როგორ ვერ მოიფიქრა. ტემპლ ბარის ვიწრო ხეივანი სწრაფი ნაბიჯით ვაიარა. ჯანდაბას ყველაფერი! ამაღამ დროს ვემრეულად ვაატარებს!

ტერი კილის დამგირავებელ ოფისში ავენტმა ერთი კრონი აძლია, მერე მთავარმა შემფასებელმა ექვსი შილინგი შესთავაზა. ბოლოს ამაზე შეთანხმდნენ. ლომბარდიდან კარგ ხასიათზე გამოვიდა და მონეტებისაგან პატარა სვეტი აშენა ხელისგულზე, ცერსა და თითებს შუა მოიქცია.

ვესტორუნდ სტრიტი სამსახურიდან მოშავალი ახალგაზრდებით იყო სავსე. დაკონკლტანსაცმიანი პატარა ბიჭები აქა-იქ საღამოს

ვაზეთებიდან ახალ ამბებს ვაკვირდნენ. ფარინგტონი ბროსი მიარღვევდა. ხალხს თვითმყოფელი სიამაყით შეკუყურებდა და დავეშდილი მწერით აცილებდა ახალგაზრდა ვოკოებს. თავი გამოუჭედა ტრამეის წარების რეკამ და ტროლეიბუსების ღრჭიალმა. ცხვირში კი აქაფებული პუნშის სურნელი უღიტინებდა. მილიონა და თან ვეგემებს აწყობდა, როგორ მოუყვებოდა ბიჭებს თავგადასავალს. „პოლა, სახეში შევხედე, ცივად, მერე ქალზე გადავიტანე მწერა, მერე ისევე ალაინს შევხედე — დროის გასაჭინაურებლად — ხომ ხვდებით და ვთქვი, არა მგონია, ამ კითხვის დასმა ღირდეს, სერ“.

ნოუს ფლინი, ჩვეულებრივისამებრ, ბარის კუთხეში მიმჯდარიყო და, როცა ფარინგტონის ნაამბობი მოისმინა, პუნშზე მიიწვია. ამისი მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი გამიგონიაო. თავის მხრივ ფარინგტონიც არ ჩამორჩა და სასმელი მოატანა. ცოტა ხნის შემდეგ ო' პალორანმა და პედი ლინარდიც მოვიდნენ და მთელი ამბავი თავიდან გაამეორებინეს. ო' პალორანმა ყველანი ვისკე მიიწვია და თავისი ამბავიც მოაყოლა, როგორ შეეპასუნა ერთხელ თავის გამგეს, თუმცა ბოლოს აღიარა, რომ მისი პასუხი ეკლოვების მწყემსების ღიბერა-ღიბურ სტილიში იყო და ვერ მოვიდოდა ფარინგტონის პასუხთან. ამაზე ფარინგტონმა თანამეინახეებს წინადადება მისცა, თითო ჭიქა კიდე გადაეკრათ.

საკუთარი მახვილსიტყვაობის ამბების ვახურებული თნობა იყო ვაჩაღებული, როცა პიენისი შემოესწროთ. მას ფარინგტონის ამბის საკუთარი ვერსიის მოყოლა მოსთხოვეს. მანაც არ დააყოვნა და მეტად ცოცხლად, გამომსახველად დახატა ეს სურათი, მით უმეტეს, რომ სხუთი ჭიქა ცხელი ვისკი მასზე შთამბეჭებლად მოქმედებდა. ყველანი გულთანად ახარხარდნენ, როდესაც მან ფარინგტონის ცხვირწინ ალაინის მუშტის ქნევის სცენა წარმოადგინა. მერე ფარინგტონი ვანასახეირა და დაუმატა: „იღვა ჩან-მახვილი მომართული — მშვიდად, გულგრილად“.

ფარინგტონი დამძიმებული ქუთუთოებს ქვემოდან, თავისი ქუჭყისფერი თვალებით შეკუყურებდა მათ, იღიმებოდა და შიგადაშიგ ქვედა ტუჩით უღვაშზე შერჩენილ წვეთებს ილოკავდა.

უკანასკნელი სასმისებუი გამოსცალეს. სიჩუმე ჩამოვარდა. ო' პალორანს ქონდა ფული, მაგრამ დანარჩენებს არ უჩინებდა. უხალისოდ დასტოვდა ტრაქტირი. დილეკ სტრიტის კუთხეში პიენსმა და ნოუს ფლინმა მარცხნივ ჩაუხეიეს, დანარჩენები კი სიტისაკენ გაუყვნენ ქუჩას. ცივი წვიმა ტრიდა და ფარინგტონმა „სკოტ პალუ-ში“ შესვლა შესთავაზა მეგობრებს. ბარში ჭიქების წახუნისა და ხმამაღალი ლაპარაკისა-ვან ყურთასმენა აღარ იყო. სამმა მეგობარმა შესასვლელთან შეგროვილი ასანთის გამყიდველები გასწი-გამოსწიეს და დახლოთ ახლოს კუთხეში მოკალათდნენ. ჭრელ-ჭრელი ამბები გაი-

სხენეს, მერე ლეონარდმა ახალგაზრდა კაცი გააცნო მათ, სახელად ვეზერსი, ტროლეიბუსების გამომიღობა, აკრობატი იყო და პატარ-პატარა როლებსაც ასრულებდა. ფარინგტონმა რამატივა ყველა. ვეზერსმა განაცხადა, რომ ვისკისა და აბოლინარის დაღვედა. ფარინგტონმა დანარჩენებსაც ჰკითხა, რას მიირთმევდნენ. ცხელი ვისკი ყველაფერს გვირჩევენიაო, უბასუსეს. საუბარი თვატრზე ჩამოვარდა. მერე ო' პალორანმა დაპატარა მეგობრები; მერე ისევე ფარინგტონმა გადაიხადა ფული. ვეზერსმა პრიტესტი ვანაცხადა ამგვარი ილანდრობი სტუმართმოყვარეობის გამო. ბოლოს დააპირა, კულისეში შევიყვანთ და ლამაზ მსახიობ ქალვებს გავაცნობთო. ო' პალორანმა უთხრა, მე და ლეონარდი წამოვალთ, მაგრამ ფარინგტონის რა მოგახსენით, ცოლიანიაო. ფარინგტონმა ქუჭყისფერი თვალები დააბრიალა. მიხვდა, რომ მისი თვითონ მთავრდება უწოდებდა. ბოლოს ვეზერსმა თითო სასმისი მიინც დააღვეინა ყველას თავის ხარჯზე და შეპირდა, მილიგანთან საღამოს შეხვდებოთ.

„სკოტ პალუი“ დაიკვტა და მათ მალეგანთან გადაინაცვლეს. პოლში შესულებმა ცხელი გროვი მოითხოვეს. ყველანი შეთვრნენ. ვეზერსი მასინ შემოვიდა, როცა ფარინგტონი ის-ის იყო ახალი შეკვეთის მიცემას აპირებდა. ფულის მარავი დნებოდა, მაგრამ იმდენ კიდეც დარჩა, რომ სმა გაეგრძელებინათ. ამ დროს ბარში ორი ფართოქულიანი ქალი და უჯრედებიან კოსტუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა და მათ ახლოს, მივიდისთან დასდნენ. ვეზერსი მიესალმა მათ და ტივოლის მსახიობები არიანო, თქვა. ფარინგტონი მწერას წამოღუწუშე აპარებდა ერთ-ერთი ქალისაკენ. რაღაც მომთავადობებულ ძალას გრძობდა მის გარეგნობაში. სასასა ცისფერი ტულის შარფი შემოგხევა უზარმაზარი ქულისათვის და ნიკატთან დიდ ბაფთად შეეკრა. ღია — ყვითელი ხელთათმანები ეცვა იდაყვიამდე. ფარინგტონი მონუსხული ვით უყურებდა მის ფუნწულა მკლავს, რომელსაც ქალი ხშირად და დიდი მომხიბლაობით ამოძრავებდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ქალმა მის მწერას უბასუსა, ფარინგტონი კიდეც უფრო მოხიბლა მისი დილორმა, მუქი ყავისფერი თვალებით. ქალმა ერთი ორჯერ კიდეც შეხედა მას და როდესაც წარიდან გადიოდა, მუნთვევით ფარინგტონის სკამს გაეხანუნა და ლონდონური აქცენტით ჩაღამარაკა „ოპ, უკაცრავად!“ ფარინგტონმა თვალს გააყოლა. იქნებ კიდეც მოინდობდა, მაგრამ იმედო გაუტრუვდა. მერე კი დასწყევლა თავისი უბედურებობა და სიღარიბე, აბოლინარისი და გროვი, რომლებითაც მეგობრებს გაუმასპინძლდა და რომლებშიაც ფული გადაიხადა. ყველაზე ძალიან სხვის ხარჯზე მოქვიფე ტიპები სძულს. ისე ვაცეცხლდა, რომ

ჯივის ჯივის
შიმაღგანელი ნაწილში

საუბრის ძაღვი დაკარგა. ბოლოს პედი ლეონარდმა შეუძახა და გამოაფხინლა. გამძლეობასა და ღონეზე ლაპარაკობდნენ. ვეზერსი თავისი კუნთების ღემოსტრირებას ახდენდა და იმდენს ტრანზიტობდა, რომ მკვებობებმა ფარინგტონს მოუწოდეს, ირლანდიის ერთგული ღირსები დაეცვა. ფარინგტონმაც სახელოები დაიკაპიწა და თავისი ბიციკლები გამოაჩინა. ორივეს კუნთები დიდხანს უსინჯეს, ერთმანეთს შეადარეს და ბოლოს შეჯგობრის მოწყობა გადაწყვიტა. მაგიდა გადასაუფთავეს და მოქიშპენი იდაყვებით დაყარდნენ მის ზედაპირს. ხელები გადააჭედეს ერთმანეთს და, როცა პედი ლეონარდმა „მიდითო“ დაიძახა, ორივე დაიძახა. ფარინგტონს ჯიუტი და სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. დაიწყო ჭიდილი. ოცდაათიოდე წამი და ვეზერსმა მოწინააღმდეგეს ხელი გადაუღუნა. ფარინგტონს მუქი ლენისფერი სახე სიბრაზისა და დამცირებისაგან კიდევ უფრო აფუჭარხალდა. როგორ დაიპირცხა ამ ძუძუმწოვარამ!

— მთელი სხეულით კი ნუ მაწვეები. პატიოსნად შემეჯგობრე!

— რაო? ვინ არ იქცევა პატიოსნად? — ვალსი არ დარჩა ვეზერსი.

— კარგი, კიდევ ცეცადით. სამიდან ორი...

შეჯგობრის თავიდან დაიწყო. შუბლის ძარღვები დაგებრა ფარინგტონს. ვეზერსს ფერმკრთალი სახე ყაყაოსფერი გაუხდა დაძაბულობისაგან ორივეს უთრთოდათ მკლავები. კარგა ხნის შემდეგ ისევ ფარინგტონი დამარცხდა. ზოგმა მაყურებელმა ტაშიცი კი შემოპკრა. მავიდასთან მღვარამა მოსამსახურე ბიჭმა მოწითალო — ძლადი თავი გამარჯვებულისაგან გადახარა და უთხრა:

— აი, ეს მესმის!

— რა ვშმაკები ვესმის, შე ბრაცუო! — დაეძგრა ფარინგტონი ბიჭს, — რას ყებდობ!

— სა! — დააწყინარა ისინი ო' პალორანმა, რადგან ფარინგტონს სახეზე გაბრაზება შეატყო.

— გეყოფათ, ბიჭებო, თითოც დავლით და შინ წავიდეთ.

ფარინგტონი კუშტი სახით იღვა ო' კონელის ხიდის კუთხეში და ტრამვის უცდიდა. დაღუბებული ბრაზი და შურისძიების გრძნობა ახრჩობდა. დამცირებულად გრძნობდა თავს. რიგთანად მთვრალიც კი არ იყო. ჯიბეში ორი პენსი შემორჩა მხოლოდ. თავებდა იწყებოდა. სასახურში თავი მოეჭრა, საათი სულ მუქთად დაეგირავა. ფულიც მთლიანად შემოხარჯა და მთვრალიც კი არ არის, როგორც წესი და რიგია. ისევ იგრძნო წყურვილი, ისევ მიუხდა დასშულ ლუნდნანაში დაბრუნება; ღონიერი კაცის რეპუტაციაც დაკარგა; ვიღაც ლაწირაკმა ორჯერ ზედონედ დაამარცხა. ჯავროსაგან გული გაუსიგდა და, როცა ის ქალი გაახსენდა, მის სკამს რომ წამოედო და უკაცრავადო, ნაზად ჩილაპარაკა, — სულ მთლად მოიშალა კაცი.

ტრამვიდან შეღობორნოულზე ჩამოვიდა. სწორბა სხეული ბარაკების კედლებს ჩრდილებს შეაფარა და შინისაკენ წავიდა, თან დაბრუნების წამს სწყველიდა. სახლში ვვერდითა კარიდან შევიდა, სამზარეულო ცარიელი დაუხვდა. ცეცხლი თითქმის ჩანავლულიყო.

— ალა, ილა! — აძახა ზედა სართულზე.

მისი ცოლი პატარა, თხელნაკეთებიანი ქალი იყო. სიფხოზე ფარინგტონს ეშინოდა მისი, სამაგიეროდ, როცა მთვრალი იყო, აშინებდა ქალს. სუთი შვილი ჰყავდათ.

კიბეზე პატარა ბიჭმა ჩამოირბინა.

— რომელი ხარ? — სიბნელეში ვერ ვაარჩია კაცმა.

— მე, მამიკო!

— ვინ შენ, ჩარლი?

— არა, მამიკო, ტომი.

— დედაშენი სად არის?

— ეკლესიაში წავიდა.

— კარგი... ჩემთვის სადილის დატეგება თუ მიიფიქრა.

— პო, მამიკო, მე...

— აანთე ლამაზა, რას ფიქრობ, სიბნელეში რომ დამგდარხარ? დანარჩენები წვანან?

კაცი მიმედ ჩამოჯდა სკამზე, სანამ ბიცი ლამაზს აანთებდა. მერე გამოჯავრება დაუწყო ბავშვს ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო. „ეკლესიაში წავიდა. ეკლესიაში, მამიკო!“ ლამაზ აინთო თუ არა, კაცმა მავიდას მუშტი დაათხლიშა და იყვირა:

— რა არის-მეთქი სადილიად?

— ახლა ვაბირებ ვაკეთებას, მამიკო.

კაცი ვაფთრებული წამოხტა და დანაცრულ ცეცხლს ხელი მიუშვია.

— აი, ამ ცეცხლზე? ჩააქრე ხომ? მე შენ ვიჩვენებ სერის!

კაცმა კარისაკენ გადადგა ნაბიჯი და ჯოსხ ხელი წამოავლო.

— მე შენ ვიჩვენებ, როგორ უნდა ცეცხლის ჩაქრობა! — წამოიძახა და სახელო დაიკაპიწა, რომ ხელი უფრო თავისუფლად ეხმარა.

ბიჭმა შესაბრაღისად წამოიძახა, მამიკოო და ბორძიკით შემოურბინა მავიდას. ფარინგტონი გამოუღვა და პალტოში ხელი ჩაავლო. ბიჭმა დაფეთებულად შეხედა და ხსნა რომ ვერსიიდან დაინახა, მუხლებში ჩაუვარდა.

— მეორედ აღარ ჩააქრობ ცეცხლს! — კაცმა ღონიერად მოუქნია ჯოსი. — მიიდე! ესეც შენ! ესეც შენ!

ჯოსმა ბარძაკი აუწევა ბავშვს, და მან ტკივილისაგან შეპკვილა, ხელები ერთმანეთს ვადაჭედო და შიშისაგან ათრთოლებული სმით შეეპედრა:

— მამიკო! ნუ მცემ მამიკო და... შენს მავიერად „ავე მარის“ ვილოცებ! შენს მავიერად ვილოცებ, მამიკო!... თუ არ მცემ... ვილოცებ!..



როლანდ ბასილაშვილი

ღანაღულიანენ პუსუაი

ხანდაზმული ქალი იდაყვებით მაგიდას დაყრდნობია. დაღარული, მრგვალი სახე ხელებში ჩაურგავს, ღრმად ჩაფიჭრებული და მიღეულ მთვარეს გაპყურებს; მხრებგაშლილი ნაძვის კენწეროზე რომ შემომჭადარა და დაყინებით იხედება პატარა ოთახის ფანჯარაში.

რაც ნოვოაიდარში მწუხრი ჩამოწვა, ამ ოთახის მყუდროება არავის დაურღვევია. მხოლოდ შუალამისას გაიღო კარი და რევაზი შემოვიდა.

— შენ მაინც რატომ არ გძინავს? — ჰკითხა მას ოლღამ, ღრმად ამოიოხრა და თავიდან შავი მანდილი მოიხადა.

— მე ერთი პირი უკვე გამოვიძინე. შენ, შენ მთელ ღამეს ასე სკამზე აპირებ ჯდომას? ხელსალამომდე უკან ვერ დაებრუნდებით, გაგიჟირდება, დაისვენე.

— ჯერ იყო და, თბილსადან ნოვოაიდარამდე გაგრძელდა გზა, ახლა ამ ღამეს რა გაათენებს, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ოლღამ, შავი მანდილი სკამზე დატოვა და საწოლისკენ წავიდა.

— საშინო არაფერია, მაგრამ კარი მაინც ჩაიკეტე. — გასვლის წინ თითქმის ჩურჩულია უთხრა ოლღას რევაზმა.

ოლღამ დაძინება სცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა: ოთახის სახე თელიდან არ სცილდება. აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია მასზე ღებრში ათენებს და აღამებს. ეს ნოვოაიდარის ღამე კი ყველა ღამეზე უფრო დიდი და მძიმე აღმოჩნდა, რადგან დღეს ყველაფერი თავიდან დაიწყო.

...ოთარი ოლღას ხან მკერდზე ჰყავს მიხუტებული, ხან აკანაში ნანას უმღერის. კვლავ ესმის მისი ხითხითი, ტირილი, ტიკტიკი... ხედავს მის გაუბედავ, პირველ ნაბიჯებს, ხედავს ჯოხის ცხენზე გადაჭდარს, მოუსვენარს... ახსენდება მისი პირველი დღე სკოლაში; არადადგები პედიასთან, გორის რაიონის სოფელ ძევერაში. (ა)

ბოლოს, სიმწიფის ატესტატის ფრიალით ეზოში შემორბენა...

ამის შემდეგ დედა და შვილი ცოტახანსდა იყვნენ ერთად. ოთარი შორს წავიდა, ძალიან შორს ოღლა მხოლოდ მისი წერილებით სულდგმულობდა. მუდამ შვილის გზას გაპყურებდა და მოუთმენლად ელოდა, როდის დაამთავრებდა ოთარი სევასტოპოლის საზენიტო-საარტილერიო სასწავლებელს.

ეს დროც თითქმის მიიწურა: ოთარმა ორი თვით აღრე აცნობა დედას, მოედევარო!...

...მტრედისფრად გათენდა 22 ივნისი. ოლღას აღრე გაეღვიძა. თითქოს რაღაც დარდი გაუჩნდა. შეფიქრინდა.

— ვაი, მე უბედურს, გზაში თუ რამე შეეჭონება ჩემს დედისურთას. ეპ, რას ვბოძავ. — დატუქსა ოლღამ საკუთარი თავი. ტრიალებდა ხან ოთახში, ხან სამზარეულოში, მაგრამ, რატოდღაც, საქმეს თავი ვერ მოაბა. — რუიზარც აღარსად გამოჩნდა. აკი შემპირდა — მოვალა, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა და რადიომიმღები ჩართო.

მეხვიეთ გავარდა ოთახში ლევიტანის ხმა — იგი ომის დაწყებას იუწყებოდა. ოლღას სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი გაუქრა. ცრემლი რომ ცრემლია, ისიც დაეკარგა. ოთახში ამ დროს რუიზანი შემოვარდა, ოლღას მკერდში ჩაეკრა და მწარედ აქვითინდა.

უბნიდან ნელ-ნელა გაიკრიფნენ რჩეული ვეკაცები. დღეები უხალისოდ და ნაღვლიანად გადიოდა. ადამიანებს სახეზე ღომილი გაუქრათ. ერთი შეხედვით კაცს ეგონებოდა, მეზობელი მეზობელს დამდურებია და ნაცნობი ნაცნობსო. ფოსტალიონის გამოჩენაზე დიასახლისები ხელსაქმეს თავს ანებებდნენ და შეშინებული მიაჩერდებოდნენ.

ერთ დღეს ოლღას ფოსტალიონმა ცისფერი კონვერტი გაუწოდა. ხელის კანკალით გახსნა

დედამ წერილი. ცრემლმა თვალები დაუბინდა, ასობის გარჩევა უჭირდა...

„...ძალიან კი მინდოდა ყველას ნახვა: მამის, შენი, რუიზანის... მაბატიე მატარა წერილისათვის. აგერ, ბიჭები უკვე მწყობრში დგებიან. მეც ეჩქარება. ჯერ არ ვიცი, დეა მივდივარ?“—ჩაიკიხა ოლდამ ბოლო სტრიქონები და ნელი ნაბიჯით შებრუნდა სახლში.

კვლავ დიდხანს ელოდა ოლა შვილის ბარათს. შერე საფოსტო განყოფილებას მიაკითხა, და იქიდანაც იმედგაცრუებული დაბრუნდა. გზაში რაღა არ იფიქრა. „შვილზე ფიქრით ღამეებს თეთრად ათენებდა.

ერთ დღეს დედის ნაღვლიან სახეს ღიმილი გადაეფინა...

„ძვირფასო დედა. ერთი კვირის წინ გამოგიგზავნე წერილი. ადგილი გამოვიცალე. ამჟამად სოფელ გულბოკოეში ვარ. სარკინიგზო სადგურს ვიცავთ. კიდევ ერთი ფაქტური თვის-მფრინავი ჩამოვაგდეთ. დივიზიის უფროსმა მადლობა გამოგიცხადა. ჩვენს ფრონტზე საქმეები კარგად მიდის, წინ მივიწევთ. მომიკითხე მამა. რუიზანს აკოცე და გადაეცი, რომ მან ძლიერ გამახარა. მისი წერილის შემდეგ სამიზნეს უკმეისად ვხედავ...“

ოლდამ წერილი რომ ჩაიკითხა, ოთარის სურათს ახედა. ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა, რომ ოთახში სახეგაბრწყინებული რუიზანი შემოვიდა.

— აი, წაიკითხე, — ოლდამ წერილი გაუწოდა. — ოთარს შენი ბარათი მიუღია. იწერება, ახლა სამიზნეს უკეთესად ვხედავო.

— ამ წერილს კი შენ გიგზავნის, ჩემს კონვერტში ჩაუღვია.

ოლა ოთარის მიერ დაწერილი სტრიქონების კითხვას შეუდგა.

„დედა, მივიღე შენი წერილი. დიდად გამახარე. ყველაფერი კარგად მიდის. ვცხოვრობთ მიწურში. ვამეცადინებ მებრძოლებს. ამასწინათ კომკავშირის მდივანად ამირჩიეს. საქმეები ყელამდეა. ვეშაბდები კომუნისტური პარტიის რიგებში შესასვლელად. მე ახალგაზრდა მეთაური ვარ. ჩემი ადგილი მხოლოდ ფრონტზეა, წინა ხაზზე. არ მაქვს უფლება, რომ ტყვიას დავემალა. სამშობლო საფრთხეშია და მას დაცვა უნდა. ასე მიკარნახებს ჩემი გული, ჩემი შეგნება. მამა რატომ არ მწერს?“

რუიზანი ოლდამ ქუჩამდე გააცილა. მოჯადოებული უყურებდა მის მოხდენილ ტანს. დიდ კმაყოფილი იყო ოთარის არჩევანით. ქალიშვილმა უკან მოიხედა და ოლდას ხელი დაუქნია. ლამაზად შეიხრა შავი, მაჯის სიმსო ნაწინები.

მდე ფოსტალიონმა კვლავ გაახარა ჯარისკაცის დედა. ოლა ეზოში სკამზე ჩამოჯდა, წერილის წაკითხვას დაეშურა.

„... ბევრი გაჭირვება გამოვიარე, მაგრამ ყვე-

ლა დაძლიე. სულ ცას შეეჭურებთ და ფრესტების თვითმფრინავები აღარ ჩანანა, უფრო ვიწყინეთ. ახლა ლისიჩანსკი ვარ. ზეგ მხარვეზდ მისია, ჩემი საყვარელი დღესასწაული. გილოცავთ ყველას, ნათესავებს, მეზობლებს, ჩემს საყვარელ თბილისს და მთელ საქართველს. დედა, ორ თვეს ფულს ვეღარ გამოგიგზავნი, რადგან ჩემი ხელფასით უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს დავეხმარე. მომიკითხე რუიზანი...“

ოლა ხშირად იღებდა შვილის წერილს. მოფრინავდნენ წერილები თბილისში — წინანდლის ქუჩა, № 9.

მაგარი ერთ დღეს... ერთ დღეს ისევ მიიღო დედამ წერილი. კონვერტს დახედა — უცხო ხელწერა იყო:

„1942 წლის 10 იულისს საბრძოლო დავალების შესრულებისას გმირულად დეცა სახენიტო-საარტილერიო ბატარეის უფროსი, უფროსი ლეიტენანტი ოთარ დავითის ძე კეჩუა-შვილი.“

ამ წერილს მოჰყვა ოთარის თანაფრონტელების წერილი; ისინი ანუგეშებდნენ ჯარისკაცის დედს, ატუბინებდნენ ოთარის დასაფლავების ადგილს და ფიცს დებდნენ, რომ შურს იძიებდნენ.

...ოლა შავებით შეიმოსა. კარგ ხასიათზე მაშინ იღვიძებდა, თუ ამას კარგი ხასიათი ჰქვიოდა, როცა ოთარს ნახავდა სხმარში.

ძღვეს გაიარეს ომის მძიმე, მრისხანე დღეებმა.

თბილისში ხმა დაიბრა, დღეს ეშუაწინით ნაფრონტალები ჩამოდიანო. ოლდამ ხელი წითელი მიხაკებით დაიმშვენა და სადგურისკენ გასწია.

... ერთმანეთში აირია სიხარული და ცრემლი. როცა ხეობები ოჯახის წევრებს ან ნათესავ-მეგობრებს ეხვეოდნენ, ხელიდან ყავარჯენი უვარდებოდათ. ოლა ოთარს მაინცდამაინც იმითში ეძებდა, ვინც უვნებელი დაბრუნდა.

ბაქანი თითქმის დაცარიელდა. ოლა ნელი ნაბიჯებით ერთ მოხდენილ ვაჯაქს მიუახლოვდა, რომელიც ერთ ადგილზე ტრიალებდა და ფილაცას ელოდებოდა. მან ოლა მაშინ შეამჩნია, ხელით რომ შეეხო. ცეცხლში ნაწრთობმა ჰაბუქმა ოლდას გაუღიმა და თბილად უთხრა:

— დედი, ალბათ თქვენსას მიმამსგავსეთ.

— არა, შვილო, მისი დღეების ამბავი კარგახანია შემატყობინეს, მაგრამ მაინც მოვედი შესახვედრად. მოვედი, რადგან შვილი დედისათვის არასოდეს არ კვდება. ვის აცნობე შენი ჩამოსვლა, ვინ უნდა მოსულიყო?

— დედის ველოდები, იმის მეტი არავინ გამახანია, ვი თუ...

— ნუ გეშინია, — სიტყვა შეაწყვეტინა ოლდამ, — ალბათ შეტყობინება ვერ მიიღო. გამომართვი ეს მიხაკები.

ჯარისკაცი დაიხარა და გადაეხვია ოლდას.

— რა ვქნა, დედი, რა გითხრა, რით განუგეშო.

— არაფერი, შვილო, მომეცი ზურგანთა, ან ეგ ფარაჯა, მე წამოვიღებ.

— რას ბრძანებ, დედი!

— მომეცი, მომეცი, ნუ გერიღება, — არ ეშვებოდა ოლღა.

— მაშინ ფარაჯა, ფარაჯა წამოიღეთ.

ბაქანი რომ ჩამოამთავრეს, ოლღა შეჩერდა: — გამომართვი, შვილო, ფარაჯა, გატყობ გეჩქარება. შენ ჩემი ნაბიჯით სიარული არ გამოგადგება. ვინაობას განგებ არ გეკითხებო.

— იქნებ ერთი გზა გვაქვს, მე დიღოში მივდივარ.

ოლღამ თავი გააქნია და ხელით ანიშნა, წადიო. საყენიანი ნაბიჯით მიმავალ ჯარისკაცს კეთილი ღიმილი გაეყოლა და, როცა იგი თვალს მიეფარა, აცრემლებულმა დედამაც შეისისკენ გასწია...

... დღისას ეძებდა ოლღამ შეილის საფლავი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, მუდარის კიდეც ერთი ბარათი დაწერა და ლუგანსკის ოლქში, ნოვოიარდარის პარტის რაიონს გაუგზავნა. წერილი ქალთა კომისიის თავმჯდომარეს ნატალია ანდროსოვას გადასცეს. ოლღას თხოვნა მან გულთან მიიტანა. დაუკავშირდა მოსწავლე კომკავშირელებს, მასწავლებლებს და დღისას ეძებდნენ ნოვოიარდარის ტყეში ერთად მდგომ სამ მუხას, რადგან, როგორც ოლღა იწერებოდა, ოთარი ან ადგილას უნდა ყოფილიყო დასაფლავებული.

ცლა ოთარის საფლავის პოვნისა უშედეგოდ დამთავრდა. ომის შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ეს კი საკმარისია იმისათვის, რომ ყველაფერი გადასხადებულყოფიერად. ნ. ანდროსოვამ დიდი ვაჭირებით ამოიკითხა: ალექსეი ტიშჩენკო და სავლე ფოსტის ნომერი. ახლა ერთადერთი იმედი მხოლოდ ეს იყო, მაგრამ არავინ იცოდა ტიშჩენკოს ადგილსამყოფელი. მათ მოსკოვში დააზუსტეს ტიშჩენკოს მისამართი და წერილი მისწერეს.

... დიდი სიამოვნებით დაგვიხმარებით დაუფიქარი მეგობრის საფლავის პოვნაში. ამ დღეებში აუცილებლად ჩამოვალ“, — ასე ამთავრებდა ტიშჩენკო თავის წერილს, რომელსაც მაგდალინსკის რაიონის, სოფელ ქვანოვიდან აგზავნიდა.

... ნოვოიარდარელმა მოსწავლეებმა და მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მხურვალე შეხვედრა მოუწყვეს ყოფილ არტილერიისტ ალექსეი ტიშჩენკოს. მეორე დღეს კი ისინი ოთარის საფლავის საძებნელად ნოვოიარდარის ტყეში წავიდნენ. გზადგზა ტიშჩენკო ყვებოდა საბრძოლო ეპი-

ზოდებზე, ნოვოიარდარში რომ გადახდა მათ ბატარეას.

— მოგვიყევით ოთარზე, — სთხოვა ტიშჩენკოს ნოვოიარდარელმა კომკავშირელმა ვალენტინა ბახტინა.

— ოთარზე ბევრის თქმა შეიძლება, — თავისთვის თქვა ტიშჩენკომ და ნაბიჯი შეაჩერა. ყველა გაინაბა. ისმოდა მხოლოდ ფრინველთა გავიდა. ალექსეიმ ტყის ბლიჯზე გამოშვებული მუხის ტრიო ხელით მოიცილა. გზა განაგრძო და დაბალი ხმით დაიწყო:

— ოთარი ჩვენს ბატარეაში ყველაზე საყვარელი ადამიანი იყო. სახეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა. სწრაფი იყო და მოუღვლეო. როცა მიხანში მოარტყანდა და ცეცხლოკიდებული ფაშისტური თვითმფრინავი ქვემოთ ეშვებოდა, ბავშვებით ხარობდა.

— ამასწინათ დოკუმენტური ფილმი ვნახე, — ჰყვებოდა ტიშჩენკო, — ეიტნანის ბრძოლები იყო გადაღებული; როცა ცეცხლის ალში გახვეული ამერიკელი თვითმფრინავები ქვემოთ ეშვებოდნენ, ოთარი და მისი სიმღერა „უფუფუნა წვიმა“ გამახსენდა. საოცარი ვაჟაკი იყო. ეხ, ტყვის რომ თვალი ჰქონდეს, ოთარისთან ვაჟაკის მორიდებოდა. ქართული სიტყვებით კი ვასწავლა. ომის დამთავრება ეჩქარებოდა. ამბობდა, თბილისში უნდა წაიყვანოთო, ჩემი ქორწილი უნდა გაეხადოთო. მისი საცოლე — რუხანი მაშინ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. სულ მის ხსენებაში იყო. მძიმედ დაკრილიც „რუხანს“ ვიამახოდა. მეგრე უკანასკნელად „დედა“ დაიძახა. ეს იყო და ეს. მაშინ ოთარი ოცდაორი წლისა იყო...

ერთხანს ყველა დამუნჯდა. მხოლოდ ხმელი ტოტების ტკაცუნის ისმოდა, ფეხქვეშ რომ იმტვრეოდა. აღმართზე წელი ნაბიჯებით მიყვებოდნენ ვიწრო ბილიცს. ცოტახანს სული მოითქვეს. კვლავ გზა განაგრძეს.

ტიშჩენკო შეჩერდა. ვალენტინამ გარშემო მიმოიხედა და აღტაცებულმა წამოიძახა:

— ვიპოვეთ! აი, ის სამი მუხა! — სამივესთან ცალ-ცალკე მიინბინა. ბოლოს ტიშჩენკოს შეხვდა, თითქოს უნდოდა დასტური მიეღო. მაგრამ ტიშჩენკოს ხმა არ ამოუღია. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მძანდაფიცის საფლავთან დაიჩოქა. მეგრე წამოდგა, სიჩუმე დაარღვია:

— მაშინ ეს მუხები ტყეით და ყუმბარებით იყო დაცხრილული, — თქვა და იქვე ხავსოკიდებულ მორზე ჩამოვდა. — აჲ კი, — ხელით აწვეს ტიშჩენკომ კომკავშირელებს, — ჩვენი საყვარელი მეტაფორი დავტოვებ.

სამ მუხას შორის გამქრალიყო მიწაყრილი. იქაურობა ბალახებს და ჯაგმავებს დეფარა.

ტიშჩენკო და კომკავშირელები ტყიდან საღამოს დაბრუნდნენ. მეორე დღეს ნოვოიარდარ-

როლანდ ბასილავილი
დასაღვლიანდნენ მუხები

ლებმა ოთარის ნეშტი დენეენიკოვის ძმათა სა-
საფლაოზე დაკრძალეს.

ძმათა სასაფლაოზე ძეგლის დადგმა განიზრ-
ახეს.

ძეგლის გახსნის დღე ოთარის დედას შეატყო-
ბინეს.

ძალის უჭირდა ხანდაზმულ ქალს თბილისი-
დან ნოვოიღარში წასვლა, მაგრამ შვილის სიყ-
ვარულმა დასუსტებული მუხლები გაუმაგრა და
ძალა შეჰმატა. მიდიოდა და ეჩვენებოდა, რომ
დავრძელდა გზა. ერთი სული ჰქონდა, როდის
ჩავიდოდა ნოვოიღარში.

დადგება დღე, რომ სიტყვა ომი ამოვარდება
ადამიანების სასაუბრო ლექსიკონიდან? და თუ
დადგება, როდისა? ასე მგონია, დედამიწა დაი-
წალა ამდენი ბომბებისა და იარაღის ტარებით.
ნუთუ ისევ და ისევ უნდა ეძებოს დედამ შვი-
ლის საფლავი, როგორც ეძებდა კეჩხუაშვილი?
ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი საფლავია დაკა-
რგული, რამდენი დიფთერია ბალახით და ჯაგნა-
რით. ჯერ კიდევ რამდენის ჭირისუფალი მხო-
ლოდ და მხოლოდ ციური მნათობებია, რადგან
მთ მებტმა არავინ იცის დაღუპულ გმირთა ად-
გილსამყოფელი.

ირიყარა. ფანჯრის იქით იბადება ახალი
დღე; არავინ იცის, ვისთვის რა მოაქვს. იქნებ
ამიტომაც ვეუბნებით ერთმეორეს დილა მშვი-
დობისა, საღამო მშვიდობისათ. რა საოცრად
კეთილი ადამიანი იქნებოდა ამ სიტყვების პირ-
ველი მთქმელი...

დაგვერღვა მშვიდობა და ოთარისთანა ვაჟკა-
ციებს სახლისკენ მიმავალი გზა ფრონტის გზით
შეეცვალათ; დაობლდნენ ბუთხუზა ბიჭები და
თვალციმციმა გოგონები. დედამიწას ჯერაც არ
მოუშუშებია ომისდროინდელი ჭრილობები. ვინ
არ ხვდებოდა ომის მწარე სასოვარს, ყავარჯენს
ან ნაიარჯეს.

ჯარისკაცის დედას ლუგანსკის აეროდრომზე
პარტიის რაიკომის მუშაკები ისე შეხვდნენ, რო-
გორც დიდხნის უნახავ ნათესავს ხვდებიან
ხოლმე.

დღის რვა საათზე ოთახის კარებზე ფრთხი-
ლი აკუთნი გაისმა. ოთახში ნოვოიღარას
რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ნატალია
ანდროსოვა და ექიმი მარტა ციბა შემოვიდნენ.
ოღლა მოკითხეს და აცნობეს, რომ შენდა გე-
ლოდებით, დროა დენეენიკოვოში გაემგზავ-
როთო.

— რწო არ გვიშვებდა, გვთხოვდა: ვაცალოთ
ცოტახანს, კიდევ ეძინოსო; რა იცის, რომ მთე-
ლი ღამე არ გიძინია. — თქვა მარტამ და ნატა-
ლიას გადახედა. მერე ოღლასთან მივიდა, მაჯა
გაუხსინჯა.

ოღლამ ნაძალადევად გაიღიმა...

ვიწრო დერეფანი გაიარეს. ერთსართულიანი
სასტუმროს ეზოში გავიდნენ. ნოვოიღარის პარ-

ტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ელაღნერ
პეტლიამ თავისი მანქანა შესთავაზა.

რამდენიმე მსუბუქმა მანქანამ ნიჭიერად
დან გეზი დენეენიკოვოსკენ აიღო.

„ვოლოგებმა“ რვა კილომეტრი თვალისდახამ-
ხამებაში დაფარეს. დენეენიკოვოში დიდი და პა-
ტარა ვარეთ გამოფენილიყო. საშუალო სკოლის
ეზოში შეჩერდნენ. ოღლა გადაღლილი თვალე-
ბით ეძებდა ძეგლს...

სკოლიდან ას მებტრზე ოღლამ დაინახა საყ-
მად მაღალი ძეგლი, რომელსაც ჯერ კიდევ
თეთრი ზეწარი ჰქონდა შემოხვეული. ნელი ნა-
ბიჯით გასწია იქითკენ. აქეთ-იქიდან რძალი მა-
რიაში და ომის ინვალიდი, ძმა სოლომონ ქადა-
გიშვილი მიჰყვებოდნენ.

დედას მუხლები აღარ ემორჩილება. უკანასკ-
ნელ ძალას იკრებს, რომ შვილამდე მივიდეს!

აი, ისიც! სამომ საფლავი ათასფერი ყვავილე-
ბით დაუშევენებით. დვას დედა შვილის საფ-
ლავთან, როგორც მტირალა ტირიფი, და მთელი
სხეულით დახრილა მიწისკენ, სადაც ბრძოლის-
გან დაღლილი გმირი ისვენებს. ძმებმა რეზა და
ნოდარ ქადაგიშვილებმა ოთარს მკერდზე ფრთხი-
ლად მოაბნეს ქართული მიწა. კარგახანს იდგ-
ნენ საფლავთან თავდახრილნი. მერე განზე გა-
ვიდნენ და ტიშჩენკოს გვერდით გაჩერდნენ,
რომელიც დრამად ჩაფიქრებულყოფილ და თვალს
არ აცილებდა ოღლას. დენეენიკოველმა პიონე-
რებმა ოთარის გადიდებული სურათი ყვავილე-
ბიან საფლავზე მოათავსეს და საპატიო ყარაულ-
ში დადგნენ. ამ დროს სახელდახელოდ მოწყო-
ბილი ტრიბუნიდან გაისმა პეტლიას ვეჟაკური
ხმა. პეტლია ადულევებული ლაპარაკობდა ქარ-
ციესლიან დღეთა გმირებზე. სისხლის უკანასკ-
ნელ წვეთამდე რომ იზრბოდნენ სამშობ-
ლოს დასაცავად. სიტყვის დამთავრების შემ-
დეგ ძეგლს თეთრი ზეწარი შემოაცალეს.
ვაშონდა ავტობატანი ჯარისკაცის ფიგურა.
იგი მაღლიდან, ქუდმოხდილი და თავდახრილი,
დაჰყურებს ძმათა სასაფლაოს. აი წარწერა:
„დიდება გმირებს, რომლებსაც გადაეცენ ბრძო-
ლაში სამშობლოს დასაცავად. 1941-1945“. შემ-
დეგ გვარები ა. ნ. ევლოვი, ო. დ. კეჩხუა-
შვილი, მ. ა. კიდალოვი, ე. ლ. კიდალოვი, მ. ლ.
ლაქტინი, გ. თ. იუროკოვი...

სასულე ორკესტრმა ერთნეტელისმომგვრელი
ჰანგები მოჰფინა იქაურობას. ოღლა მუხლებზე
დაცვა და ოთარის მკერდს გადაეფარა, სწორედ
ისე, ერთ დროს მის აკვანს რომ გადაეფარებო-
და ხოლმე; გულსაკლავად აქვითინდა. ქეითა-
ნებდა ყველა. ნიავე არხვედა არყის ხეებს და
დღის ქვითინი დენეენიკოვის მინდვრებსა და
ტუქში გაჰქონდა. სამი მუხა გარინდებულყოფი-
სხვა გმირებთან ერთად ნიღვლობდა ქართული
ვეჟაკის დაქმნას. ვეჟაკისა, რომელსაც ავგრ
ოც წელზე მებტია, მათი ფესვებით მოქსოვილ
ჰამაკში სძინავს!..

ვლადიმერ ხხეკაძე

ყრმობის მემოზარი

გიორგი ნაფეტვარიძე სამტრედიის პედაგოგიურ ტექნიკუმში ვაიციან.

გიორგი ტექნიკუმში შუამთიდან მოვიდა, მე კი — კორმალდიდან. სამტრედია მაშინ ჩვენთვის დიდი ქალაქი იყო. ჩვენ ხომ რაიონის განაპირა, შთის სოფლებიდან ჩამოსული ბიჭები ვიყავით, — ქალაქსა და სწავლაზე მეოცნებენი...

მსატრეული ლიტერატურა ორივეს ვატყებთ გვიყვარდა; ერთად ვკითხულობდით წიგნებს და ვვარჯიშობდით ლექსების თხზვაში.

ძლიერ გვაინტერესებდა ცოცხალი პოეტის ნახვა, რომელიც ჩვენი წარმოდგენით, სავსებით განსხვავებული იქნებოდა ჩვეულებრივი ადამიანისაგან; მას სხვათაირი ექნებოდა სიარულიც, გარეგნობაცა და ლაპარაკიც. მგონობას რაღაც გაურკვეველ, ზეგარდმო ძალას ეუკავშირებოდა... ახა წარმოიდგინეთ, რარიგ ვავიხარებოდით, როცა ჩვენი ტექნიკუმის ღირებურობის, საყვარელი პედაგოგის დავით ლოდობერიძის მოწვევით, საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოსული რუსი პოეტი ვლადიმერ ლუგოვსკოი გვესტუმრა! ლუგოვსკოი მაშინ ახალგაზრდა იყო; მაღალი შუბლი ჰქონდა, უხდებოდა უკან გადავარცხნილი თმა, წაიკითხა ლექსები. კარგი დეკლამატორი იყო; კითხულობდა პათოსით, თავისებური მანერით...

ლუგოვსკოი მიაჯოვსკის თაობისა და სკოლის პოეტი იყო; მასთან შეხვედრამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

წიგნებისადმი სიყვარული, როგორც იტყვიან, აკენიდან ჰქონდა დაყოლილი გიორგის. მის ნათლიას და მამობილს ტარასი ნაფეტვარიძეს ერთი ძველი წიგნი ჰქონდა — „ეფრემ ვერდი“ — რომელიც გიორგისაც წაეკითხა.

გიორგი ვატყებთ მიყვებოდა ერთი მისი ნათესავის „მომზადებულობისა და სიმღერის“ შესახებ მარქსიზმის საკითხებში. იმ კაცს, თურმე, „გულხი კაცის ისტორიაც“ კი ჰქონდა წა-

კითხული! საერთოდ, გიორგი იმთავითვე დიდ ინტერესს იჩენდა პოლიტიკური ლიტერატურისადმი და თავს დებდა ფილოსოფიის ცოდნაზეც! ცხადია, მაშინ ჩვენი წარმოდგენები საზოგადოების განვითარებაზე მეტისმეტად მარტივი იყო.

მეორე კურსზე რომ გადავედით, ბინა ერთად ვიქირავეთ, ვინმე ნიკურაძის ოჯახში. ჩვენ უკვე არ შეგვეძლო უერთმანეთოდ ყოფნა; არც გექონდა რაიმე ერთმანეთისაგან დაფარული.

აქ მინდა ერთი ასეთი ამბავიც გავიხსენო: მეექვსე კლასში ვსწავლობდი. ზამთარი იყო. შუაცეცხლიან სამზარეულოში, კერასთან ახლოს იდგა ჩემი ლოგინი. საღამოობით, სკოლიდან მოსვლის შემდეგ, ცეცხლზე ფიჩხს დავაყრიდი, ალს მკერდით მივეფიცებოდი, ზურგი კი მეყინებოდა; ფიჩხის ალის სინათლეზე ვკითხულობდი წიგნებს. ასე წაეკითხე პროზად ვადმოკეთებული „ვეფხისტყაოსანი“. გიორგის რომ დავუმეგობრდი, „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი მიუთუყვი. მისმინდა და შვიდასშიგ ჩაიციენდა ხოლმე. მისმინა, მისმინა და ბოლოს მითხრა: წაკითხული მაქვს, ჩემო კარგო, და პათეტიურად წარმოთქვა სტროფი — „რომელმან შექმნა სამყარო...“

— იოანე შავთელი ალბათ შუამთელი იყო, მეც რაღაც უნდა დაეწერო და ფსევდონიმად შავთელი ავიარო, — მითხრა ერთხელ გიორგიმ.

თუ რაიმე ახალს წაიკითხავდა, არ შეეძლო ჩემთვისაც არ ვადმოეცა მისი შინაარსი.

ერთხელ, ტექნიკუმის ბიბლიოთეკაში სერგეი ესენინის „ანა სნეგინას“-ს გრიგოლ ცეცხლიძისეულ თარგმანს წავაწყდი. „ანა სნეგინას“

წინ ესენინის ავტობიოგრაფია და სურათი უძღოდა. გიორგიმ ის სურათი ამოჭრა, ჩარჩოში ჩასვა და საწოლთან ჩამოიკიდა. ტიცინის ლექსი კი ძილშიაც აბოლებდა. მაშინ რამდენიმე ლექსი

დაწერა ესენინზე (მხოლოდ ერთი მათგანი, ყველაზე უკეთესი, შევიდა გიორგის ლექსების კრებულში).

აღსანიშნავია, რომ გიორგის ქმნილებებში, განსაკუთრებით პირველ პოეტურ ცდებში, აშკარად ჩანს ესენინის გავლენა ფორმის მხრივ.

გიორგის შემოქმედებაში ისმის რიონის დაბლობებზე ატეგრილი სიმინდის ყანების შრიალი, ჭყვიშის გზაზე ჩამწკრივებული ვერხვებისა და ალვის ხეების ფოთოლთა თრთოლევა. ყოველი მისი ეპიტეტი ან მეტაფორა გაზაფხულის ყვავილობასთან, ზაფხულის აღმურიან დღეებში ცივ წყაროზე ოცნებასთან, შემოდგომაზე მაკროს დღეებთან, ოქროსფერი სიმინდის კალოებთან და ზამთარში რიონზე ვარედის იხეების გადაფერენასთან ორგანულად არის დაკავშირებული.

მისი შთავონების წყარო ახალი ცხოვრება იყო; ლექსებისა და პოემების სიუჟეტები სოფლის კოლექტივიზაციის შედეგად მომხდარი ძვრების ფონზე იშლებოდა.

გიორგის საყვარელი პოეტები ცისფერყანწელები იყვნენ. „ყავრის წვერში ოქროს დანა გაუტყევა დილის მზესა“, — დილით საღამოს მაგვირად ბალო იაშვილის ამ სტრიქონით მხედებოდა ხოლმე...

გალაკტიონი, ტიციანი, ბალო, გოგლა ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვანი გიორგი ნაფეტვარიძის თაობის სათაყვანო პოეტები იყვნენ.

კონსტანტინე ჭარბელიშვილის ხელმძღვანელობით ტექნიკუმში მხატვრულ-ლიტერატურული ხელტნაწერი ეურნალ „ლიტერატურული მომავალი“ გამოვეციით. როგორც მახსოვს, სულ სამი ნომერი გამოვიდა. მეორე ნომერი ამ ეურნალისა დღემდე დაცულია ეურნალ „საბჭოთა მედიცინის“ რედაქტორის, ჩვენი ყრმობის საუკეთესო მეგობრის, ვახტანგ კახიანის ბიბლიოთეკაში (სხვათაშორის, ჩვენს ეურნალსაც ვახტანგი რედაქტორობდა). იქ გიორგის „მორალი იმერეთში“ იყო მოთავსებული. მშვენიერი ლექსია, იმ ნომერში, ჩემი აზრით, ყველაზე უკეთესი.

ტექნიკუმი გიორგიმ წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს და სწავლის გასაგრძელებლად ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში შევიდა. მე კი, ოჯახური მდგომარეობის გამო, იძულებული გახდი უნივერსიტეტში შესვლა ორი წლით გადამეღო და სოფლის სკოლაში მემუშავნა მასწავლებლად. ამ ორი წლის განმავლობაში გიორგის ხშირი სტუმარი ვიყავი ქუთაისში. ამ შეხვედრებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა ზამთრის ერთი ღამე. იმ საღამოს სოფლიდან ვესტუმრე გიორგის. ტიკტორით ჩვენებური „ადისა“ ჩაუტანე. შევზარბოვდი, შევხმატბილდით და დავეწყეთ საუბარი პოეზიაზე. მან დიდი ექსტაზით წამიკითხა „სვანური ბალა-

და“. აღტაცებული დავრჩი — გიორგი უკვე მომწიფებული პოეტი იყო.

„სვანურ ბალადასთან“ დაკავშირებით მინდა აღვნიშნო ჩვენი განსაკუთრებული სიყვარული სენეთისა და სენებისადმი. შეყვარებული ვიყავით სენეთის ბუნებაზე, სვანურ სიმღერებზე. ყველა სვანი გოლიათად გვყავდა წარმოდგენილი და „ლილეს“ ან სხვა სვანურ სიმღერას რომ მოვისმენდით, ვამბობდით, სვანურ სიმღერებში ბანის გარდა, სხვა ხმები ალბათ არ არსებობს! ამ სიმღერებში კავკასიონის მთებზე გადარბენილი გრგვინვის ან თეთნულდის თუ უშუას პიტალოებიდან წამოსული ზვავების ხმა მესმისო, იტყოდა გიორგი. სენებისადმი ჩვენი ასეთი სიმპათიების დასტურად თავიდან არ ვიცოლებდი სვანურ ქედებს. გიორგი განსაკუთრებულ პატივს სცემდა მირზა გელოვანს, მის ნიქს, მასთან მეგობრობაზე ოცნებობდა... ვაგლახ, რომ არ აუხდა ეს ოცნება.

ერთხელ გიორგიმ ინსტიტუტში წამიყვანა ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციაზე. ვახტანგი, თუ არ ვცდები, ფოლკლორთან ერთად დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კურსსაც კითხულობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. კარგად მახსოვს მისი ხუჭუქი თმით შემკული თავი, გამართული, წყაროსავით მომდინარე მერყეველება. ვახტანგი ლიტერატურის ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე, ქართული სიტყვის ვირტუოზი და იმპროვიზატორი იყო. იმ დღეს ბალზაკის შემოქმედებაზე ჰქონდა ლექცია; ლაპარაკის მანერით, სტილითა და ანალიზის უნარით ის აუდიტორიის ყურადღებას ჯადოქარივით იპყრობდა.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა; მე 1937 წელს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დავეწყე სწავლა; უკვე აღარ მრჩებოდა დრო მისგლა-მოსვლისათვის, მიწერ-მოწერა კი მე და გიორგის არ შეგვიწყვეტია. მის ყოველ წერილს, მის სურათებს სასიკეთეს ვინახავდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ის წერილები და სურათები ჩემს ბიბლიოთეკასა და სხვა წერილებთან ერთად დაიკარგა ომის წლებში.

ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებას თვალს არ ვაცილებდი. იქ ხომ ჩემი ძმადნაფცი ჭიორგი მოღვაწეობდა; მესმოდა მის მიერ ინსტიტუტის საბჭო დარბაზში ან მისი თაობის პოეტების წრეში წარმოთქმული ან გაზეთში დაბეჭდილი ლექსების ექო, ომახიანი ხმა. მეც მახარებდა მისი ყოველი ახალი ლექსი, რომელთაც ყოველთვის ახლდა ჩემი მშობლიური იმერეთის მინდორ-ველთა და ბაღთა ყვავილების საამო სურნელი.

გიორგი ნაფეტვარიძის ნიქსა და დიდ პოეტურ მომავალზე ორი აზრი არ არსებობდა.

გიორგის დიდი გული სამშობლოს სადიდებლად დაიფერვლა, მაგრამ ჩვენი ხალხის გულში სამუდამოდ დარჩა მისი ლამაზი პოეზია.



ფილიაე მახარაქი

ლენინური სიტყვა

შესანიშნავ თარიღთა შორის, რომლებიც-
თაც ასე მდიდარია კაცობრიობის ისტორია,
არის ერთი, განსაკუთრებით ძვირფასი და აზ-
რობიერი ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის.
ესაა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადე-
ბის თარიღი.

1970 წლის აპრილში კომუნისტური პარტია,
საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს ყველა ქვეყნის
მშრომელები აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას ძე
ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ჩვენში ლენინზე არ ამბობენ: „ის იყო“.

ჩვენში ამბობენ: „ის არის, ის იქნება“.

ლენინი ყოველთვის ჩვენთანაა—ჩვენს ნათელ
აზრებში, ჩვენს უკვდავ საქმეში, ჩვენს ფიქ-
რებში დიდი მომავალზე.

ამიტომ სწორად გაიგონებთ: „ლენინს რომ
ენახა!“.

ის ნახავდა მძლავრი ინდუსტრიის, აყვავე-
ბული სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტუ-
რისა და მეცნიერების ქვეყანას.

ის ნახავდა, რა მხურვალედ იწონებენ ხალ-
ხები მშვიდობის იდეას, რომლის განხორ-
ციელებისათვისაც მტკიცედ და თანმიმდევრუ-
ლად იბრძვიან ჩვენი პარტია, ჩვენი მთავრობა,
ჩვენი ხალხი.

უკვდავი ლენინი — ეს არის ყოვლად შეუ-
დარებელი, გიგანტური ეპოქა ჩვენი პლანე-
ტის ისტორიაში, მისი საზოგადოებრივი განვი-
თარების ისტორიაში.

უკვდავი ლენინი — ეს არის ეპოქა, რომ-
ლიდანაც დაიწყო სრულიად ახალი, განსაკუთ-
რებული წელთაღრიცხვა.

რევოლუციის გენიალური ტრიბუნი — ვლა-
დიმერ ილიას ძე ლენინი იყო დიდი პროპაგან-
დისტი, ავტორი, ლექტორი. იგი ლაპარაკობ-
და მილიონებისათვის. მისი საჯარო გამოსვლები,

ლექციები, სიტყვები მასების კუთვნილება
ხდებოდა.

ლენინის ორატორული სტილის მკაფიოება წა-
ბროშობილია ლენინიზმის იდეური მკაფიობით.

ტყუილად როდი უყვარდა მას ერთ-ერთი
გერმანელი ფილოსოფოსის აფორიზმის გამოე-
რება:

„ვინც ნათლად აზროვნებს, ნათლად გად-
მოსცემს“.

პროპაგანდის დიდი ლენინური სტილი ჩვე-
ნი ეპოქის საორატორო ხელოვნების ერთ-ერ-
თი მწვერვალია.

ეს კი დაიწყო დიდი ხნის წინათ:

1887 წლის 8 მისს მოხდა ამბავი, რომელ-
საც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვლადიმერ
ილიას ძის შემდგომი ცხოვრებისათვის. მეფე
ალექსანდრე III თავდასხმის მომზადებაში
მონაწილეობისათვის პეტერბურგში სიკვდილით
დასაჯეს მისი უფროსი ძმა ალექსანდრე.

ამ დროისათვის ელოდია ულიანოვი ბევრ
რამეზე უკვე დამოუკიდებლად აზროვნებდა,
იღუმალ წყვეტდა თვითმპყრობელობის წი-
ნაღმდეგ რევოლუციური ბრძოლის აუცილებ-
ლობის საკითხს; ძმის ტრაგიკულმა ზედმა და-
ბრწუნა იგი, რომ ერთეულების ასეთი ბრძოლა
თუმცა თვდადებულ და გამორულია, მაინც
მცირე შედეგს იძლევა.

ძმის დაღუპვამ კიდევ უფრო განუმტკიცა მას
გადაწყვეტილება დამდგარიყო რევოლუციურ
გზაზე. უარყო რა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძო-
ლის ხალხოსნური, ტერორისტული მეთოდი,
ლენინმა ძმის დასჯის შემდეგ მტკიცედ განაც-
ხადა: „არა, ჩვენ ასეთი გზით ვერ ვივლით,
ჩვენ სხვა გზით უნდა წავიდეთ!“

ვლადიმერ ილიას ძემ აირჩია მასობრივი რე-
ვოლუციური ბრძოლის გზა, რომელიც დასა-
ხულია მარქს-ენგელსის რევოლუციურ მოძღ-
ვრებაში.

გიმნაზია რომ დაამთავრა, ვლადიმერ ილიას ძე 1887 წელს შევიდა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

სტუდენტური ცხოვრება მაშინდელ ყაზანში მჩქეფარე იყო: „ზემოაჩსტოვა“, თვითგანათლებისა და ურთიერთდახმარების წრეები, ამ უკანასკნელთა ფართო გაერთიანება „ბიბლიოთეკისა“ და „დეუბატატა“ კრებებში — ყოველივე ეს, ცხადია, იყო იატაკქვეშ, რადგან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სასტიკად კრძალავდა სტუდენტების მონაწილეობას რომელიმე „საზოგადოებაში“.

ყაზანში სტუდენტთა მღვლეარების ერთერთი მონაწილე ნიკოლოზ ალექსევი თავის მოგონებებში აღწერს სტუდენტთა ერთ საღამოს, რომელიც გაიმართა კოველკის სახლში ვოზნენსკის ქუჩაზე. კიქა ჩაიზე შეკრებილ ვიწრო წრეში კამათობდნენ და აი, ამ დროს ვლადიმერ ილიას ძე მგზნებარე და დამაჯერებლად ლაპარაკობდა მარქსის მოძღვრებაზე და კითხვობდა ცალკეულ ადგილებს იმ დროს პოპულარული ბროშურიდან, რომელსაც დევიზად ჰქონდა ნეკრასოვის სიტყვები: „მსოფლიოში ერთი მეფეა, ეს მეფე უღმობელია — შიმშილი ჰქვია მას“.

1887 წლის სექტემბერში ვლადიმერ ილიას ძე შევიდა „უიარესად მანე მიმართულების“ წრეში (ასე დაახასიათა ეს წრე პოლიციის დეპარტამენტმა), რომელშიც იყვნენ აგრეთვე ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტები. წრე ძლიერ კონსპირირებული იყო და იკრიბებოდა საბაჩის შესახვევში მღვებარე ერთ-ერთ სახლში, ისეთ ადგილას, სადაც იშვიათად შეიხედვდა ხალხი პოლიცია.

რას აკეთებდნენ ამ წრის წევრები? ეს იყო ტიპური „თვითგანათლების წრე“. საიდუმლოდ იკრიბებოდნენ ჰერზოში, სადაც განცალკევებული კიბით აღიოდნენ. იქ სტუდენტები კითხულობდნენ და არჩევდნენ მარქსის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევისა და სხვათა ნაწარმოებებს. ცხარე კამათი ჩადებებოდა. ახალგაზრდა აზრი თამამად იჭრებოდა სოციალურ-ეკონომიური მეცნიერების სიღრმეში, უარყოფდა ერთს, აღიარებდა მეორეს, გაბედულად ეძებდა თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ, ეფემტურ გზებს.

მეფის თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, 1887 წლის 4 დეკემბერს გაიმართა უნივერსიტეტის სტუდენტების შეკრება. წრის ყველა წევრი შეკრების აქტიური ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო.

ახალგაზრდა ვალერიან ულიანოვმა გაყოლია სტუდენტები და საქმეც დარბაზში შეიჭრა. აქ მან წარმოთქვა თავისი პირველი საჯარო სიტყვა, მხურვალე, რევოლუციური პათოსით აღსავსე სიტყვა.

შეკრების მონაწილეთა მოთხოვნები მიმართული იყო არა მარტო სასწავლებელთა აღმინისტრაციების, არამედ მთავრობის მიმართ. „ჩვენ აქ შეგვკრიბა იმის შეგნებამ, რომ აუტანელია ის პირობები, რომლებშიც ჩაყენებულია საერთოდ რუსეთის ცხოვრება“.

ყაზანის გუბერნატორის განკარგულებით ლენინი, როგორც შეკრების ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგამელი და ყველაზე აქტიური მონაწილე, დაამატირეს და უნივერსიტეტიდან გაირიცხეს, ხოლო შემდეგ სოფელ კოკუშკინოში გადასახლეს.

„...საბატმროს გზაზე ლენინსა და მის გამყოლ პოლიციის ბოქაულს შორის გაიმართა საგულისხმო საუბარი: „რას ჩანდებოდა, ყმაწვილო, — თქვენს წინ ხომ კედელია!“, — დამრიგებულად უთხრა ბოქაულმა. „კედელია, მაგრამ დამბალი, — ხელი ჰკარ, და ლიანგრავა“, გაბედულად უპასუხა ახალგაზრდამ“.

ეს სიტყვები გამოხატავდნენ ახალგაზრდა ლენინის ურყევ რწმენას რევოლუციის გამარჯვებისადმი.

ეს იყო ახალგაზრდა ლენინის პირველი შეჯახება მეფის ხელისუფლებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ეანდარმებო ჰალღონის დაუზოგავად მეთვალყურეობდნენ ახალგაზრდა ლენინს, ამ ხელი ვერ შეუშალა მას აქტიური მონაწილეობა მიეღო ყაზანის რევოლუციური წრეების მუშაობაში.

ლენინი შევიდა ნ. ე. ფედოსევის — ნიკიერა მარქსისტ-რევოლუციონერის მიერ დაარსებულ ერთ-ერთ წრეში.

ამ წრეების კრებებზე რეფერატებით ხშირად გამოდიოდა ახალგაზრდა ულიანოვიც.

სულ უფრო და უფრო ვწროვდებოდა მარყუი ფედოსევისა და მისი თანამზრახველების ირგვლივ. მარია ალექსანდრეს ასული შიშობდა, ვაი თუ ვალოდია ისევ ჩავარდესო. სწორედ ამ შიშმა აღიქრებინა, ეყიდა. პატარა ხუტორი სამარის გუბერნიამი. ულიანოვთან ოჯახი 1889 წლის შემოდგომაზე სამარაში დაბინავდა. ყაზანთან შედარებით სამარა მიყრუებულე ქალაქი იყო, და ეს ვლადიმერ ილიას ძეს მშვიდად მუშაობის შესაძლებლობას აძლევდა.

სამარაში, ყაზანში შედარებით, ნაკლები იყო რევოლუციური ახალგაზრდობაც, სამაგიეროდ ხშირად შეხვედებოდი ხანდახმულ ადამიანებს — ყოფილ გადასახლებულთ, რომლებიც ციმბირიდან ბრუნდებოდნენ; მეთვალყურეობის ქვეშ მყოფთ — სწორედ ასეთ ადამიანებს ვაეცნო ვლადიმერ ილიას ძე.

ვ. ი. ლენინის ყურადღება მიიპყრო ა. პ. სკლიარენკოს წრემ, რომელიც უმთავრესად სემინარისტებისა და საფერშლო სკოლის მოსწავლე გოგონებისაგან შედგებოდა. წრის ხელმძღვანელი მანცადამინც დიდ ყურადღებას

როლი აქცევდა წრის წევრთა თეორიულ განათლებას.

ვლადიმერ ილიას ძის გავლენით სკლიარენკოს ნაოროდნოვოლტურმა წრემ მალე იცვალა პარტიული ელფერი და მარქსისტული გახდა. წრის წევრები არჩევდნენ თეორიისა და პრაქტიკის ურთულეს საკითხებს, ეუფლებოდნენ დიალექტიკურ მეთოდს.

ვლადიმერ ილიას ძემ ოთხნახევარ წელიწადს იცხოვრა სამარაში. ამ პერიოდში ის გაეცნო რუსულ და უცხო ენებზე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ყველა ძირითად თხზულებას და ზოგ მათგანზე რეფერატივ წაიკითხა ახალგაზრდობის წრეში. აქვე თარგმნა რუსულად „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

1894 წლის დამდეგს ერთ-ერთ არალეგალურ საღამოს წვეულებაზე მოსკოვში მოხსენებით გამოვიდა ცნობილი ხალხისანი ვორონცოვი. აქ გავლით მყოფმა 23 წლის ლენინმა ჯერ რამდენიმე თამამი ირონიული რეპლიკა ისროლა მომხსენებლის მისამართით, მაგრამ ისინი დამსწრეთა უმრავლესობას არ მოეწონა. მაშინ ვლადიმერ ილიას ძემ აიღო სიტყვა და ოსტატურად დაიწყო მომხსენებლის მსჯელობათა ერთმობიარის მიყოლებით გაბათილება. კაბუტკის სითამამისადმი მტრული განწყობილება თანდათან შეიცვალა პატივისცემით, როგორც სერიოზული მოწინააღმდეგისადმი. დასაწყისში ვორონცოვი მედიდურად იგერბებდა ლენინს დარტყმებს, მაგრამ შემდეგ მეცნიერული საბუნთიანობის ზეგავლენით, რასაც ლენინი იყენებდა, დაიწყო ტონის შერბილება და ბოლოს დაიბნა. მარქსისტული ახალგაზრდობა ზეიმობდა გამარჯვებას. ჯამუშმა, რომელიც შეკრებას ესწრებოდა, ახალგაზრდა ლენინი პოლიციის დეპარტამენტში დაასმინა.

სამარაში ყოფნისას ლენინმა ვაშალა მძიმე ბრძოლა ხალხოსნების წინააღმდეგ და შექმნა სამარული მარქსისტების პირველი არალეგალური წრე. მან დაამყარა კავშირი ნიენი ნოვგოროდის, ვლადიმირის, პეტერბურგის, მოსკოვის მარქსისტებთან. მაგრამ პროლეტარული ცენტრებისაგან შორს მყოფ ქალაქში საქმიანობა ვერა და ვერ აკმაყოფილებდა ლენინს.

სამარა რომ დატოვა, ახალგაზრდა ლენინმა გადაწყვიტა დასახლებულიყო არა მოსკოვში, სადაც ვაიმგზავრა ულიანოვების ოჯახი, არამედ უფრო ცოცხალ რევოლუციურ ცენტრში — პეტერბურგში. ამასთან რევოლუციურ მუშაობაში ჩაბმის მისწრაფება, ალბათ, იძულებდა ეცხოვრა დამოუკიდებლად, ოჯახისაგან განცალკევებით, რათა საფრთხეში არ ჩაეგდო ოჯახის სხვა წევრები.

1893 წლის შემდეგ ძირეულად შეიცვალა მარქსისტული მუშაობა წრეების მუშაობა. ეს დაკავშირებული იყო პეტერბურგში ვ. ი. ლენინის ჩასვლასთან.

ვ. ი. ლენინის ჩასვლამ პეტერბურგში ცვლიდეს გავლენა მოახდინა მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაზე, ყველა სოციალდემოკრატიული წრის საქმიანობაზე.

საკმარისი გახდა ვლადიმერ ილიას ძის გამოჩენა, რათა მას თავისი შეხედულებების გავლენაში უმაღლეს მოექცია მოწინავე ახალგაზრდობა. ნ. კ. კრუპსკაია იფრინებდა, თუ როგორ გაიგო მან 1893 წლის შემოდგომაზე ამხანაგებისაგან, რომ „ვოლგიდან ჩამოვიდა რომელიღაც დიდი პიოდენ მარქსისტი“.

ლენინის პირველი თეორიული გამოვლა პეტერბურგის მარქსისტთა წინაშე მოხდა 1893 წლის ნოემბერში ზ. პ. ნევეროვთან (კრკიჟანოვსკაიასთან). აქ მარქსისტების ჯგუფის არალეგალურ კრებაზე ვლადიმერ ილიას ძე გამოვიდა რეფერატივ „გერეთოღებული ბაზრების საკითხის შესახებ“, რაც წარმოადგენდა ბაზრების შესახებ გ. ბ. კრასინის რეფერატის პასუხს.

ვლადიმერ ილიას ძის ამ რეფერატმა უდიდესი როლი შეასრულა მარქსისტთა წრის წევრების თეორიულ და პოლიტიკურ შეხედულებათა შემდგომ განვითარებაში. რეეული ლენინის რეფერატით, ხელთ გადაწერილი, გავრცელდა პეტერბურგისა და რუსეთის მთელი რიგის სხვა ქალაქების მარქსისტულ წრეებში და გადაიქცა რუსი მარქსისტების თეორიულ იტარად ხალხოსნობისა და წარმოშობის პროცესში მყოფი „ლეგალური მარქსიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინი დაუკავშირდა იტაქქეემა მარქსისტულ წრეებს, რომლებიც პროპაგანდას ეწეოდნენ მუშებში, პირველ რიგში იმ წრეს, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ს. ი. რადჩენკო, გ. ბ. კრასინი, გ. მ. კრკიჟანოვსკი და სხვები. მარქსიზმის ღრმად ცოდნამ, იმდროინდელი რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებისადმი მარქსიზმის გამოყენების უნარმა, უძლეველმა რწმენამ მუშათა კლასის გამარჯვებისადმი, საუცხოო ორგანიზატორულმა ნიჭმა — ყოველივე ამან ახალგაზრდა ლენინი უმაღლეს აქცია პეტერბურგის მარქსისტების აღიარებულ ხელმძღვანელად.

ვლადიმერ ილიას ძემ გააკრიტიკა რადჩენკოს წრის მოწყვეტილობა მასებისაგან, მისი აკადემიზმი და პეტერბურგის მარქსისტების ჯგუფის მუშაობა წარმართა მასობრივ მუშათა მოძრაობასთან მეცნიერული სოციალიზმის შეერთების ვით.

ვ. ი. ლენინი პეტერბურგელ მარქსისტებს მოუწოდებდა დეტალურად შეესწავლათ მუშების მდგომარეობა, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. თვითონ ლენინი მტკიცედ, დაყენე-

ფილიპე ახსნაბაძე
ლენინური სიტყვა

ბით, სისტემატურად ეცნობა ვეებერთელა ქნ-
 ლაქის განაპირა უბნების მუშათა ცხოვრებას,
 პეტერბურგის მსხვილ ქარხნებსა და ფაბრი-
 კებში არსებულ წესებს. ის სწავლობდა იმის
 გაგებას, თუ რით სუნთქავდა, რით ცხოვრობდა
 მუშა, და არწმუნებდა თავის ამხანაგებს, დაუფ-
 ლებოდნენ ამ ხელოვნებას, რომელიც ძლიერ
 საჭიროა პარტიული პრობაგანდისტისა და აგ-
 ტატორისათვის. განსაკუთრებული მისტატობია
 პოსლობდა ლენინი პეტერბურგის მუშათა სხვა-
 პასულა ფენასთან მჭიდრო კავშირის გზას. და
 მისი ყველაზე მძლავრი იარაღი იყო თეორიი-
 სა და პრაქტიკის ორგანული შეხამების უნარი.
 ეყრდნობოდა რა მუშათა ინტერესებსა და სა-
 ჭირობებს, მას მუშები მიჰყავდა ქლასობრივი
 ბრძოლის გაგებაზე, უსახავდა ძლევამოსილი
 რევოლუციური გზის პერსპექტივას.

1894 წლის შემოდგომაზე ვ. ი. ლენინმა
 დაიწყო პრობაგანდა მუშათა წრეებში. 1894-
 1895 წლებში იგი ორ წრეში — მელითონეთა
 და ფეიქართა წრეებში ატარებდა მეცადინეო-
 ბას. ის მიდიოდა აგრეთვე წრეებში პეტერბურ-
 გის მხარეში, ებორავის მხარეში და უფრო
 გვიან, 1895 წლის შემოდგომაზე, ვასილევის
 კუნძულზე მუშა ფედოროვის ბინაზე.

მელითონეთა წრეში, რომელიც ორგანიზებუ-
 ლი იყო ვ. ა. შელგუნოვის მიერ, მსმენელთა
 შორის ცოდნის წყურვილითა და ენერგიით გა-
 მოიჩიოდა ი. ე. ბაბუშკინი.

შელგუნოვის წრეში მეცადინეობა ვ. ი. ლე-
 ნინმა კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის
 გადაცემით დაიწყო. „ამ მეცადინეობას ლექ-
 ტორი აწყობდა სიტყვიერად, ყოველგვარი რვე-
 ულის გარეშე. ხშირად ცდილობდა გამოეწვია
 ჩვენში ან შეპასუება, ან კამათის სურვილი
 და მამინ გვაქვებდა, აიძულებდა ერთს დაემ-
 ტაკებინა მეორისათვის მოცემულ საკითხზე
 თავისი შეხედულების სისწორე. ამრიგად, ჩვენს
 ლექციებს ჰქონდა ძლიერ ცოცხალი, საინტე-
 რესო ხასიათი იმის პრეტენზიით, რომ მოეცათ
 ორატორად განდომის ჩვევები. მეცადინეობის
 ასეთი ხერხი იმის საუკეთესო საშუალება იყო,
 რომ მსმენელები გარკვეულიყვნენ მოცემულ სა-
 კითხში. ჩვენ ყველანი ძლიერ კმაყოფილი ვი-
 ყავით ამ ლექციებით და მარად აღფრთოვანე-
 ბული — ჩვენი ლექტორის გონებით... მაგრამ
 ამ ლექციებმა დამოუკიდებელ მუშობას, მასა-
 ლების მოპოვებასაც მიგვაჩვია. ჩვენ ლექტორა-
 საგან ვიღებდით ფურცლებს დამუშავებული
 საკითხებით, რომლებიც ჩვენგან მოითხოვდნენ
 ქარხნისა და ფაბრიკის ცხოვრების ყურადღე-
 ბით გაცნობას და მასზე დაკვირვებას.“

ასე ჰყვებოდა მუშა-რევოლუციონერი ივა-
 ნე ბაბუშკინი იმაზე, თუ როგორ ატარებ-
 და მეცადინეობებს მუშათა წრეებში ლენინი
 რევოლუციური მოძრაობის გარიგრაჟზე (მოგო-

ნებანი ვ. ი. ლენინის შესახებ, ტ. I, გვ. 131-
 132.)

ლენინს შეეძლო გასაგები გაეხდა უცხოეთის
 სის პოლიტიკური საკითხები ნალებ განვითა-
 რებული მუშებისათვის. ამ წრეში ლენინი იყე-
 ნებდა მხატვრულ ლიტერატურასაც: ის ხმამაღ-
 ლა კითხულობდა ვ. გ. ჰაუსტმანის დრამას
 „ფეიქრები“, რომელიც იმ ახლო ხანებში თარ-
 გმნა ლენინის დამ ა. ი. ელიზაროვი და გამოს-
 ცა არალგავალურად.

მუშებს ატყვევებდა ლენინის სიტყვა, ძალო-
 ეანი, უბრალო, დამაჯერებელი, უჩვეულოდ ნა-
 თელი და მკაფიო, რომლითაც ის გადასცემ-
 და მარქსისტული თეორიის ძნელ საკითხებს.
 ვლადიმერ ილიას ძე ძლიერ მალე და მოლია-
 ნად იმორჩილებდა მსმენელთა ყურადღებას.
 ის იყენებდა ცხოვრებისეულ ფაქტებს, რომ-
 ლებსაც ისინი კარგად იცნობდნენ, შემდეგ კი
 მათთან ერთად აკეთებდა დასკვნებს, რომლე-
 ბიც უცილობლად გამოიმდინარებოდა ამ ფაქ-
 ტებიდან. წრის წევრები მიჰყვებოდნენ მას,
 გატაცებულნი ლენინის უძლეველი ლოგიკით.
 მათ წინაშე ისახებოდა ფართო პერსპექტივები.

შემდგომ წლებში, 1921 წელს კომინტერნის
 კონგრესზე ვლადიმერ ილიას ძის სიტყვა რომ
 მოისმინა, კლარა ცეტკინი მივიდა მასთან
 ფრიად აღტაცებული.

— მოსმინეთ, ამხანაგო ლენინ, — უთხრა მან,
 — ჩვენი რომელიმე სამაზრო ქალაქის რი-
 მელიმე კრების თავმჯდომარეს შეეშინდებოდა
 ელაპარაკა. ისე უბრალოდ, ისე თავმოუწონებ-
 ლად, როგორც თქვენ. მას შეეშინდებოდა თავი
 ეჩვენებინა „არასაკმაოდ განათლებულად“. მე
 თქვენი ლაპარაკის ხელოვნება შემიძლია შეკა-
 დარო მხოლოდ ერთს — ტოლსტოის დიდ ხე-
 ლოვნებას. თქვენ იგივე დიდი, მიზნობრივი,
 დამთავრებული ხაზი გაქვთ, იგივე უდრეკი
 გრძნობა სიმართლისა. ამაშია სიღამაზე. იქნებ
 ეს სლავური ბუნების სპეციფიკური დამახა-
 სიათებელი ნიშანია?

ლენინმა უპასუხა:
 — ეს მე არ ვიცი, მე ვიცი მხოლოდ ის, რომ,
 როცა გამოვიდოდი „როგორც ორატორი“, მე
 სულ ვფიქრობდი მუშებსა და გლეხებზე, რო-
 გორც ჩემს მსმენელებზე. მე მინდოდა, მათ
 ჩემი გავგოთ. სადაც უნდა ილაპარაკოს კომუ-
 ნისტმა, ის უნდა ფიქრობდეს მასებზე, მან უნ-
 და ილაპარაკოს მათთვის (იხ. მოგონებანი ვ. ი.
 ლენინზე. ნაწ. 2, გვ. 471).

1895 წლის 20 დეკემბერს დამით დააპატიმ-
 რეს კავშირის ხელმძღვანელობა ვ. ი. ლენი-
 ნის მეთაურობით, აგრეთვე კავშირის ორმო-
 ცამდე აქტიური მუშაკი. ა. ა. ვანევის გაჩხრე-
 კისა და დაპატიმრებისას პოლიციამ კონფისკა-
 ცია უყო გაზეთ „რამოჩეე დელოს“ პირველი
 ნომრის დასაბეჭდად გამოადებულ მასალებს.
 ვ. ი. ლენინი საპყრობილებშიც არ წყვეტდა

რევოლუციური ბრძოლას. მან კავშირი დაამყარა თავისუფლად დარჩენილ პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის“ წევრებთან, ეხმარებოდა მათ რჩევა-დარიგებით, უგზავნიდა დამოუკიდებელ წერილებს, ბროშურებს, სტატიებს.

1897 წლის 13 თებერვალს ლენინის გამოცხადება განაჩენი აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლების შესახებ.

1897 წლის 4 მარტს მოსკოვიდან, კურსკის სადგურიდან ლენინი გაემგზავრა გადასახლებაში — ციმბირში, შორეულ სიფელ შუშენსკოეში.

სასჯელის მოხდის შემდეგ ვ. ი. ლენინი მოსკოვზე გავლით 1900 წლის 23 თებერვალს არალეგალურად ჩავიდა პეტერბურგს და დაბინავდა რევოლუციური მოძრაობის მონაწილის ა. მ. კალმიოვის ბინაზე.

ამ პერიოდში ვლადიმერ ილიას ძე ხშირად გამოდიოდა სიტყვით მუშების წინაშე.

ლენინის განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობდა პეტერბურგის მუშათა დემუტატების საქმიანობა. იგი ესწრებოდა პეტერბურგის საბჭოს კრებებს. 1905 წლის 13 ნოემბერს ლენინი გამოვიდა საბჭოს პლენუმზე და შეიმუშავა რევოლუცია „ლოკალური ბრძოლის საშუალებები“, რომელიც საბჭომ მიიღო.

მოსკოვში დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების აფეთქებისთანავე ლენინმა ყველა ზომა მიიღო აჯანყების ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად. არალეგალურმა მდგომარეობამ და გაძლიერებულმა დევნამ ლენინს შესაძლებლობა არ მისცა პირადი მძღოლ მონაწილეობა შეიარაღებულ აჯანყებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს შეიარაღებული ბრძოლის განვითარებას.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობაზე ქვეყნის მნიშვნელოვან პუნქტებში და მოითხოვდა მის გადაქცევას საერთო-სახალხო აჯანყებად. პეტერბურგის მუშათა კლასის აჯანყება ვერ მოხერხდა. დედაქალაქის პროლეტარიატი გადაიღალა ხანგრძლივი ბრძოლით. ბოლშევიკური პარტიის ბევრი ხელმძღვანელი მუშაი დაპატიმრეს, ხოლო მენშევიკები, რომლებიც საბჭოს სათავეში იდგნენ, ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკას ატარებდნენ.

მეფის მთავრობამ შეძლო დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ჩაქრობა.

ლენინი მოუწოდებდა პარტიას, არ მისცემოდა სასაზარკვეთილებას, მიუთითებდა, რომ, მიუხედავად შეიარაღებული აჯანყების დამარცხებისა, რევოლუცია ჯერ კიდევ არ იყო ჩახშობილი. ამ მძიმე პერიოდში პარტიის ამოცანა მდგომარეობდა პარტიული კადრების შენარჩუნებაში, მის კავშირში მასებთან და მათ მომზადებაში რევოლუციური ბრძოლის ახალი აღ-

მავლობისათვის. რევოლუციის დამარცხების პერიოდში ვ. ი. ლენინი დიდ მუშაობას აწარმოებდა პეტერბურგის პროლეტარიატის მოსწავლეობად ცარიზმის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლისათვის.

პეტერბურგში ვ. ი. ლენინის ყოფნა საშიში ხდებოდა. 1906 წლის თებერვალში ვ. ი. ლენინი გადავიდა ფინეთში, სიფელ კუთხალაში (ახლანდელი რეპინი), შემდეგ ისევ პეტერბურგში, მაგრამ 1907 წლის დეკემბერში იგი იძულებული გახდა სახლვარგარეთ გამგზავრებულიყო.

როდესაც რუსეთში 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზულ-დემოკრატიული რევოლუცია მოხდა, ვ. ი. ლენინი ემიგრაციაში იმყოფებოდა. ცარიზმის დამხობის ამბის გაგებისთანავე იგი ყოველგვარ ზომებს იღებს სამშობლოში დასაბრუნებლად.

გამომგზავრების მძიმე პირობების გამო ლენინმა გადაწყვიტა ესარგებლა მეომარი ქვეყნების უთანხმოებით და აირჩია გზა გერმანიაზე გავლით. შვეიცარიელი სოციალ-ინტერნაციონალისტის ფრიც პლანეტის დახმარებით ლენინმა შეძლო აეღო გერმანიით რუსეთში გამგზავრების ნებართვა.

დიდი ტორნეოდან მოსული ჩქარი მატარებელი ფინეთის ვაგზლის ბაქანთან გაჩერდა. გამოჩნდა ვ. ი. ლენინი, მისკენ სწრაფად წავიდნენ ცენტრალური კომიტეტისა და პეტროგრადის კომიტეტის წევრები და მახლობლები. ჯარისკაცები და მატროსები სმენაზე დადგნენ, ხოლო სამხედრო ორკესტრმა „მარსელიოზა“ დაუკრა. ვ. ი. ლენინმა წარმოთქვა ჯარისკაცებისა და მატროსებისადმი მიმართული მისასალმებელი სიტყვა. შემდეგ საბატო ყარაულმა ის შეიყვანა ვაგზლის შენობაში, ყოფილ მეფის მოსასვენებელში, სადაც შეკრებილიყვნენ მუშებისა და ჯარისკაცების დემუტატა პეტროგრადის საბჭოს წარმომადგენლები.

მენშევიკები ჩხეიძე და სკობელევი შეეცადნენ პეტროგრადის საბჭოს სახელით წარმოეთქვათ ჭკუისდამრიგებლური სიტყვები, ისინი იმედოვნებდნენ, რომ ლენინი მათთან ერთად ერთი გზით წავიდოდა.

ლენინმა მათ ზურგი შეაქცია და წარმოთქვა სიტყვა: „ძვირფასო ამხანაგებო, ჯარისკაცებო, მატროსებო და მუშებო! მე ბედნიერი ვარ თქვენს სახით მივესალმო რუსეთის გამარჯვებულ რევოლუციას. მოვესალმებით თქვენ, როგორც მსოფლიოს პროლეტარულ არმიის მოწინავე რაზმს... მძარცველური იმპერიალისტური ომი არის დასაწყისი სამოქალაქო ომისა მთელ ევროპაში... შორს არ არის ის საათი. როცა ჩვენი ამხანაგის კარლ ლიბკნეხტის მო-

ფილიპე ხახარაძე
ლენინური სიტყვა

წოდებით ხალხები იარაღს მიმართავენ თან
ვიანთი ექსპლოატორების — კაპიტალისტებ-
ის წინააღმდეგ... მთავლიოში სოციალისტური
რევოლუციის განთიადი უკვე დაიწყო... გერმან-
იაში ყველაფერი დღეს... დღეს თუ არა, ხვალ.
ყოველ დღეს მოსალოდნელია მთელი ევროპის
იმპერიალიზმის კრახი მოხდეს. მის დასაწყისი
მისცა და ახალი ერა გადაშალა რუსეთის რე-
ვოლუციამ, რომელიც თქვენ მოახდინებ. ვალ-
მარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუ-
ციას!“.

ლენინი გამოვიდა მოედანზე. იგი პროექ-
ტორებმა გაანათა. გაისმა მრავალათასიანი „ვა-
შა“. სცადეს ილიჩის ჩასმა მსუბუქ მანქანაში,
მაგრამ ვარშემო ისმოდა ვანწყვეტელი ტაში
და „ვაშას“ ძახილი. მაშინ ამხ. პოლდოისკიმ
სთხოვა ლენინს სიტყვით გამოსულიყო ჯავშნო-
სნიდან. მუშებმა იგი ჯავშნოსან მანქანაზე
აიყვანეს, საიდანაც წარმოთქვა თავისი ცნო-
ბილი სიტყვა. ლენინი მოუწოდებდა მსგებს
სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათ-
ვის ბრძოლისაკენ. ლენინმა სიტყვა დაამთავრა
ლოზუნგით: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევო-
ლუციას!“

ჯავშნოსანზე, ხალხის მასის თანხლებით, ვლა-
დიმერ ილიას ძე გაემართა კშესინსკის ყოფილ
სასახლეში, სადაც იმყოფებოდა პარტიის ცენ-
ტრალური და პეტროგრადის კომიტეტები. გზა-
დაგზა ილიჩს ესალმებოდნენ მუშები. ქუჩებში,
რომლებზეც ლენინს უნდა გაეელო, ხალხთა
იყო საესე. ყოველი მხრიდან ისმოდა „ვაშას“
ძახილი.

ეს იყო მშრომელების დაუფიწყარი შეხვედ-
რა თავის დიდ ბელადთან.

ამ პერიოდში ბელადი ხშირად გამოდის სიტ-
ყვებით, მოხსენებებით, განსაკუთრებით აღსა-
ნიშნავია მისი მჩქეტარე მოღვაწეობა დიდი
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გა-
მარჯვების შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში,
როცა ქვეყანას განსაკუთრებით რთული საში-
ნაო და საერთაშორისო პირობები ჰქონდა,
მეტად მნიშვნელოვანი იყო, რომ მსგებს სწო-
რად გაეგოთ შექმნილი ვითარება და სოცია-
ლისტური რევოლუციის ამოცანები. ამისათ-
ვის განსაკუთრებით საჭირო იყო პარტიის
საკუთრის ძალების გამოსვლა მუშების, ჯარ-
ისკაცების და გლეხების წინაშე.

1918 წლის გაზაფხულიდან ვ. ი. ლენინის
წინადადებით რკ(ბ) ცენტრალური კომიტე-
ტის წევრები, სრულიად რუსეთის ცენტრალუ-
რა აღმასრულებელი კომიტეტის, პარტიის მოს-
კოვის კომიტეტის წევრები, სახალხო კომისრე-
ბი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები რევო-
ლარულად (პარაკევიანთ) პარტიის მოსკოვის
კომიტეტის საგზურებით გამოდიოდნენ ქარხ-
ნებში, ფაბრიკებში, ჯარისკაცების წინაშე.

იქ, სადაც ლენინი სიტყვით გამოდიოდა,
ჩვეულებრივ, ხალხმრავალი აღუდგრობა იყო
ბეზოდა. ყოველ ბელადთან შეხვედრის შემს-
რული ყოველთვის იმაზე მეტი იყო, ვიდრე
იტყვია, მაგალითად, ისეთი ვეებერთელა შე-
ნობა, როგორც იყო აღუქმევეის მანეჟი (აღუ-
ქმევეის მანეჟში მიტრნეს მ ათასამდე აღამი-
ნი ესწრებოდა).

1918 წლის 30 აგვისტოს, ვლადიმერ ილიას
ძის სიცოცხლის ხელყოფის ტრაგიკულ დღეს,
რომელიც ყველას მესხიერებაში ჩაიქვია, ლე-
ნინი ორჯერ გამოვიდა სიტყვით.

ლენინი ყოველთვის გულმოდგინედ ამუ-
შავებდა თავისი ზეპირი გამოსვლების, მოხ-
სენებების, სიტყვების, საუბრების გეგმებს.

ჩვენამდე მოაღწია მისი შენიშვნების, კონს-
პექტების, სიტყვათა გეგმების დღმა რაოდენ-
ობამ. ა. ა. ანდრეევის თქმით, ვლადიმერ
აილის ძე, ჩვეულებრივ, სიტყვის ან მოხსენე-
ბის მოკლე კონსპექტს ადგენდა, „თუმცა სიტ-
ყვის წარმოთქმისას მასში იშვიათად იხედება,
მაგრამ ყველაფერი იმას მოწმობს, რომ მისი
მოხსენება ექსპორტი კი არა, გონების წინას-
წარი დიდი მუშაობის შედეგი იყო. ყველა ძი-
რითადი დებულება მას წინასწარ მოფიქრებუ-
ლი ჰქონდა...“

მომავალი გამოსვლისათვის მკაფიო გეგმის
შედგენა ლენინს უთუო საჭიროებდა მიაჩნდა
ყოველი პროპაგანდისტული თუ მეცნიერული
მუშაობისათვის. წერილში ინესა არმანინისადმი
იგი წერდა: „...გეგმა ხომ მეტად მნიშვნელოვა-
ნი რამ არის“ (თხზ., სრ. კრებ., ტ. 49, გვ.
57. რუს).

ლენინის გამოსვლების გეგმები ჰგავს მოკლე
კონსპექტებს, რომელთა თითოეულ ფრაზაში
ღრმა აზრია.

ვ. ი. ლენინი გადაჭრით გმობდა უცხო სი-
ტყვებით გატაცებას. იგი არ ტვირთავდა თავის
სიტყვებს ციფრობრივი მასალით, თუმცა მის
ცალკეულ ნაბეჭდ ნაშრომებში ისინი უხვდაა.
ის ამბობდა, რომ უნდა შეგვეძლოს ციფრების
პროპაგანდისტული დანიშნულებით გამოყენე-
ბა. საჯარო გამოსვლებში ლენინი იყენებდა
მხოლოდ შეჭამებულ ციფრებს, რომლებიც
ორატორს არგუმენტაციაში ეხმარებოდნენ.

სულ უფრო და უფრო მიცირდება იმ აღა-
მიანთა ოცნები, რომლებსაც ბედნიერება ჰქო-
ნდათ. ეს ხოლო ლენინი და მოესმინათ მისი ხმა,
მისი გამოსვლები.

ლენინის სიტყვების ზემოქმედების ძალაზე
ბევრი დაიწერა და კიდევ ბევრი დაიწერება.
ჩვენამდე მართო მოგონებებმა და ლიტერატუ-
რულმა ცნობებმა როდი მოაღწიეს. დრომ შე-
მოუნახა ისტორია ამ დიდი აღამიანის თვით-
ცოცხალი სიტყვა.

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუ-
ზეუმში მრავალ ათას უნიკალურ დოკუმენტსა-

და ხელნაწერს შორის საყრველთაო ყურადღე-
ბას იპყრობს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი
გრაფიკული ფორმები.

ფურცელის დარბაზებში ინახება ეს ძვირფა-
სი ფირფიტები, რომლებზეც აღნიშნულია:
„ლენინის სიტყვა“, „ა.ბ. ლენინის გამოსვლა“.

დიდი ლენინის ნამდვილ ხმას რომ ვუს-
მენთ, გვებალება სურვილი, გავივით ფირფიტზე
ჩაწერილი მისი სიტყვების წარმოშობის ის-
ტორია.

როდის და რაზე ლაპარაკობდა ბელადი
რუპორთან? რატომ მიმართა მან ხმის ჩაწერ
აპარატს? სად, როდის და როგორ ხდებოდა ჩა-
წერა?

ამ კითხვებზე საინტერესო პასუხს იძლევა
ლორენდ ვოლკოვ-ლინინტის ნაშრომი „ხმა შე-
მონახული საუკუნოდ“.

გლადიმერ ილიას ძემ ცამეტი სიტყვა წარ-
მოთქვა ხმის ჩაწერა აპარატთან.

მოთხოვნილება ფირფიტებზე „ა.ბ. ლენინის
სიტყვა“ მეტად დიდი იყო.

ასობით და ათასობით აღმამიანს ლენინი მაშინ
სურათზეც არ ენახა, მაგრამ უკვდავი აღამიან-
ნის სახელი მათს პირს არ სცილდებოდა. და აი
გამოჩნდა საშუალება მოესმინათ მისი ნამდვი-
ლი ხმა...

ცამეტი სიტყვა, რომლებიც თავდაპირველად
გრაფიკული ფორმის სახით გაჩნდა, რამდენჯერმე
გამოცა ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში. ამ
ფირფიტებმა გადასერეს ოკეანეც, მათ ამერიკის
კონტინენტზეც ისმენდნენ.

ე. ი. ლენინის ყოველი გამოსვლა წარმოად-
გენდა მარქსისტული თეორიის შემდგომ გან-
ვითარებას, მისი ძირითადი დებულებების მეც-
ნიერულ დასაბუთებას. მხურვალები მოყოლებას
მთელი მსოფლიოს მშრომელთა მსხვერპლად ამდგა-
რიყვენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარ-
ჯებისათვის საბრძოლველად.

სადაც უნდა გამოსულიყო, რა საკითხსაც უნ-
და შეხებოდა, ლენინის სიტყვები ყოველთვის
ღრმად პარტიული იყო. ის ყოველი ორატორი-
საგან მოითხოვდა ესწავლა მასების ორგანიზე-
ბა, ყოფილიყო ყოველთვის სიმართლისმოყვარე-
რული, არ შეელამაზებინა, არ მიეჩქვალა სიმ-
ნელები და ნაკლოვანებანი.

ლენინი ყოველთვის აღმავლობით ლაპარაკო-
ბდა, ტრიბუნაზე მუდამ მოძრაობდა და აღფრ-
თოვანებული იყო, ცდილობდა უბრალო სიტ-
ყვებით და ექსტრემით დაერწმუნებინა მსმენე-
ლები, განემარტა პარტიის პოლიტიკა. თავიდან
ბოლომდე სიმართლით გამსჭვალული მისი
სიტყვა აღწევდა მსმენელთა გულამდე; აღფრ-
თოვანებდა აღამიანებს იმ ამოცანათა გადაწ-
ყვებისათვის, რომლებსაც ის უსახავდა.

ლენინის სიტყვიერ გამოსვლებს რომ ეაწი-
ლიზებოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ არა მარ-
ტო ის, თუ რას ლაპარაკობდა ილიჩი, ე. ი. მი-

სი გამოსვლის შინაარსი, არამედ ისიც, თუ
როგორ ლაპარაკობდა ის, როგორ გამოთქვამდა
სიტყვებს, მისი ინტონაცია, მიმოცა. ისინი
საე წილად ხელა ბედნიერება, მოესმინა ტრი-
ბუნაზე მყოფი ლენინისათვის, მოწმობენ, რომ
გამოსვლის ფორმა უდიდეს როლს ასრულებ-
და, მნიშვნელოვნად ავლენებდა შინაარსს.

ოფიციალურ მოხსენებებს, სპეციალურ ლექ-
ციებს, რეფერატებსაც კი ვლადიმერ ილიას ძე
კათედრასთან მხოლოდ იწყებდა, თხრობის
მსვლელობაში კი ჩამოდიოდა და რამასთან
ჩერდებოდა, რათა ახლოს ყოფილიყო მსმენე-
ლებთან, ახლო კონტაქტს ამყარებდა აუდიტო-
რიასთან. გამოსვლის თემას რომ ავითარებდა,
ლენინი არ იმეცა ერთ ადგილზე, ის მიმოდიო-
და მოკლე დინამიკურად.

სიტყვას რომ დაამთავრებდა, ე. ი. ლენინი
თავის მოვალეობად თვლიდა, ამოწურავი პასუ-
ხი გაცეა მსმენელთა შეკითხვებზე. ეს მისი ყო-
ველი გამოსვლის განუყოფელი ნაწილი იყო. ზო-
გჯერ შეკითხვებზე პასუხის გაცემის უფრო მეტ
დროს ანდობებდა, ვიდრე თვითონ წარმოთქ-
მულ სიტყვას. ეს მოწმობს, თუ რა დიდი ყურ-
ადღებით ეკიდებოდა ის აუდიტორიას.

1922 წლის 20 ნოემბერს მოსკოვის საბჭოს
პლენუმზე უკანასკნელად გამოვიდა ლენინი.

...20 ნოემბერს დიდი თეატრის შენობაში
დანიშნული იყო მოსკოვის საბჭოს პლენუმი
რაისაბჭოების დებუტატებთან ერთად.

აი რას მოგვითხრობენ ამ ისტორიული მო-
ვლენის შესახებ „პრავდისა“ და „იზვესტიას“
საგაზეთო ანგარიშები და მისი მონაწილეთა მო-
გონებანი.

რადგან ფიჭობდნენ, რომ პლენუმზე იქნე-
ბოდა ილიჩი, ხალხი სხდომის გახსნის დანიშ-
ნულ დრომდე დიდი ხნით აღრე მოვიდა. თეა-
ტრის უზარმაზარ დარბაზში ტევა არ იყო.
რიგებში ისმოდა მხოლოდ „ლენინი“, „ილი-
ჩი“. ყველა გულისფანქვალთ შესცქეროდა
სცენას.

დაიწყო სხდომა. განიხილავდნენ დღის წეს-
რიგის საკითხებს, ლენინი არ ჩანდა პრეზი-
დიუმში. იგი მოგვიანებით მოვიდა. და როცა
გამოჩნდა, დარბაზში დაიწყო აღფრთოვანებუ-
ლი ოვაცია, რომელმაც დაასრულა იმ წუთს
გასტანა. მძლავრი „ვაშა“ და ტამი აზანარაგუ-
და თეატრის კედლებს, შემდეგ იმღერეს „ინ-
ტერნაციონალი“, და კვლავ დაიწყო ოვაცია.

აი, დიდი ბელადი ტრიბუნაზე და ხელში
უჭირავს თავისი სიტყვის კონსპექტის ფურც-
ლები. დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა,
რომ ბუზის გაფრენას გაიგებდით. მისი უაღრე-

ფილიჩე მახარაძე
ლენინიზმი სიტყვა



სად ხალისიანი, ოპტიმისტური, შთამაგონებელი სიტყვა გამსჭვალულია კომუნისტების საქმის საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენით.

ვლადიმერ ილიას ძე ანალიზებს ახალ პირობებს, რაც შეიქმნა უცხოეთის ინტერვენციის განდგურების შემდეგ, ჩვენი მიწა-წყლიდან განდევნილი არიან უკანასკნელი დამპყრობნი—იაპონელები. „ახლა ჩვენ მივადწიეთ იმას, რომ ჩვენი მტრები ცნობენ ჩვენს უფლებებს როგორც ეკონომიურ, ისე სავაჭრო პოლიტიკაში“.

ილია ამბობს გულში ჩამწვდომ სიტყვებს პარტიის შესახებ, კომუნისტთა ახალი ამოცანების შესახებ სოციალიზმის ყოველდღიური მშენებლობის პირობებში. იგი ლაპარაკობს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, რომელიც შემოღებულია ერთი პირობით: ჩვენ უკან დავიხიეთ, რათა გამოვქანდეთ და უფრო შორს გადავზტეთ.

ბელადის გამოსვლა 30 წუთს გაგრძელდა. ეს იყო ბელადის უკანასკნელი გამოსვლა თავისი ხალხის წინაშე.

ლენინი ცოცხლობს მილიონობით მუშათა, კომუნურთა, ინტელიგენტთა გულში. ის ცოცხლობს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ, ძმურ მეგობრობაში, მათს დღევანდელ შემოქმედებითს შრომასა და მომავლის ოცნებებში.

უკვდავი ლენინის სიტყვა მოუწოდებდა საბჭოთა აღამიანებს სოციალისტურ გარდაქმნათა გრანდიოზული გეგმის განხორციელებისათვის საბრძოლველად.

დიდი სამამულო ომის დღეებში ნაღარასავით გაისმოდა უკვდავი ლენინური პარტიული პროპაგანდის სიტყვა. ის შეტევისათვის აღაგზნებდა დალილთ, ჭრილობებს უშუშებდა დაჭრილთ,

ის ალაფროთოვანებდა მუშების, კომუნისტების, მოსამსახურეთა მილიონიან მასებს. მათსათვის თო სოციალისტური შრომისათვის მტერზე გასამარჯვებლად.

ლენინი ცოცხლობს კომუნისტური პარტიის დიად საქმეებში, პარტიისა, რომელიც მუდამ იმარჯვებდა და იმარჯვებს ლენინიზმისადმი თავისი ერთგულებით.

საკვ ცენტრალური კომიტეტი დადგენილებაში „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ აღნიშნავდა:

„ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, რომლებიც გამოწრთობილი არიან რევოლუციურ ბრძოლებში, ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში, მტკიცედ და ურყევად აქვთ გადაწყვეტილი განუხრელად შეასრულონ თავიანთი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დიადი ანდერძი.

„შემდგომშიც ვიმუშაოთ და ვიცხოვროთ ლენინურად, შევქმნათ ვლადიმერ ილიას ძის შესანიშნავი ძეგლი — კომუნისტების შენობა, მისი უკვდავი იდეების დიადი და ღირსეული განსახიერება. კიდევ უფრო შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები! გამოვიჩინოთ მეტი შეუპოვრობა და თავდადება, დისციპლინა და ორგანიზებულობა! გამოვიჩინოთ მეტი შემოქმედებითი ინიციატივა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე! უფრო მაღლა ადვართოთ კომუნისტებისათვის ბრძოლის რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური დროშა!“



სამოცდაათი წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მწერალს ალექსანდრე ქუთათელს. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია და რედკოლეგია, მრავალათასიან მკითხველთან ერთად, სულითა და გულით ულოცავს მწერალს ამ სახელოვან იუბილეს და უსურვებს მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს მშობლიური კულტურის საკეთილდღეოდ.



გიორგი ნაგროვილი

სიტყვის გამოჩენილი ოსტატი

არაერთხელ აღვნიშნავთ, რომ ხალხის ცხოვრების ისტორია — ეს არის წინსვლითი მოძრაობის განუწყვეტელი პროცესი, მუდმივი გადასვლა დაბალი ფორმებიდან მაღალი ფორმებისაკენ. ამ ისტორიულ გზაზე ადამიანს წინსვლისათვის აუცილებელი სტიმულები სჭირდება, სჭირდება გათვალისწინება განვითარების ამ კანონზომიერებისა, სჭირდება სულიერი სიმხნევე და სიძლიერე; წინსვლის ამ სტიმულთა შორის მხატვრულ ლიტერატურას მუდამ უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. ჩვენმა ლიტერატურამ ჰემშარიტად გაამართლა თავისი ეს ისტორიული მისია ხალხთა ცხოვრების დიდ გზაზე. ის მუდამ მხარში ედგა ადამიანს, მუდამ წინ ეძახდა, სიცოცხლის მშვენიერებისადმი ტრფიალის დიდ სიბრძნეს უნერგავდა.

ჰემშარიტი მწერლობა მუდამ იყო ტრფიალი სიცოცხლისადმი, მიწისადმი,

ადამიანისადმი. ეს დედაზრი თავიდანვე თან დაჰყვა ალექსანდრე ქუთათელის შემოქმედებასაც. რა იქცევს მთავარ ყურადღებას მის ოთხტომიან რომანში — „პირისპირ“, მის მოთხრობებსა და ლექსებში? სიცოცხლისადმი დაუძლეველი, ამოუწურავი და დაუშრეტელი ტრფიალი; ადამიანები აქ აღსავსენი არიან სიცოცხლის ამ დიდი ძალითა და ვნებიანობით.

პოეტი პირველად მოჩენია ქვეყნის სილამაზისა, და აი ეს დიდი გრძნობა, საფუძვლად რომ უდევს სამყაროს ესთეტიკურ ხილვას — არის პირველი, რითაც იწყებს პოეტი თავის გზას, თავის შემოქმედებითს ბიოგრაფიას. ასე დაიწყო თავისი სამწერლო გზა ალექსანდრე ქუთათელმაც, დაიწყო შფოთიან და მრისხანე წლებში, გარდატეხათა წლებში; 1919 წელს ოცდაერთი წლის ჰაბუკი პოეტი წერს თავის

პირველ ლექსს, რომელიც აღსავსეა დიდი გაზაფხულის წინაგარბნობით და გამსჭვალულია სამშობლოს სილამაზისადმი ტრფიალის უწმინდესი გრძობით:

დღეს მერცხალმა შეაქო
ლურჯ რიონის ბაღები,
ცას ნისკარტი შეახო,
დაუკონა თაღები.
გული ტრფობით აივსო,
სურვილების მბუფველი,
მოდის ვით სამაისო
ვარდისფერი ღრუბელი.

ვარდისფერი ღრუბლები ლურჯი რიონის თავზე და ცაში გაჭრილი მოკიკიკე მერცხალი — ეს სახეები უცნობი და უცხო არ იყო ქართული პოეზიისათვის, მაგრამ იმ დღეებში მაინც ახლებურად აღერდნენ — თვით ჰაერში იყო გამდგარი გაზაფხულის სურნელი და იგი ბუნებრივად პოულობდა გზას პოეტის გულისაკენ. ამასთან, ახალგაზრდა პოეტი უკვე ბუნებრივად და უშუალოდ ისწრაფოდა ეროვნული ფესვებისაკენ და ბუნებრივია, რომ თავის პირველ ლექსში გაზაფხულიც მან დიდი აკაიის თვალთ დაინახა, როცა რიონის ცაზე გაჭრილი მერცხლის კიკიკეში ქვეყნის განახლების ხმაური შემოესმა. თავის იმდროინდელ ლექსებში პოეტი თითქოს ინსტინქტურად ესწრაფვის მშობლიურ ფესვებს და აცხადებს, რომ პოეზია, მოწყვეტილი ეროვნულ საწყისებს — დაქანება, ჩაქრება და ვერ გაიხარებს, რომ პოეტი არ შეიძლება დარჩეს „სხვა ცის ამარა“, რაც არ უნდა მომხიბვლელნი იყვნენ

მიძინებული მიქელ ანჯელო
და დიდებული დანტეს სამარე...
კასტელამარე!
კასტელამარე!

იმავე ლექსში პოეტი ამბობს, რომ ის ვერსად გაექცევა არმაზის მუხების დაგრაგნილ ფესვებს. ამ ფესვების წიაღისეული ძალის შეგრძნობა მუდამ შინაგანად ჩანს ალ. ქუთათელის პოეზიაშიც და პროზაშიც. შემთხვევითი არ არის,

რომ თავის რომანში „პირისპირ“ მწერალი მოხუც გლენს გოჯასპიტელს ბერაზ მუხას აღარებს, ათასწლოვანი ფესვები რომ აქვს გადგმული მიწაში; იგი სიმბოლოა მთელი ჩვენი ხალხისა და მწერალიც მისი სიცოცხლის მოტრფიალვა.

ეს აძლევდა ძალას მწერლის შემოქმედებას, ეს იყო სათავე იმ ოპტიმიზმისა, იმ დიდი რწმენისა ნათელი მომავლისადმი, რომლითაც თავიდანვე გამსჭვალული იყო ალ. ქუთათელის შემოქმედება.

ადამიანისადმი უღრმესი სიყვარულითაა გამსჭვალული პოეტის ის ლექსები, სადაც იგი ურთულეს საკითხებს — სიკვდილ-სიცოცხლის თემას შესვლილებია. ჩვენ აქ გვინდა გავიხსენოთ მისი ერთი ადრინდელი ლექსი „ის აღარ მოვა“.

სძინავს მარადის ღუმლით
მწუხარე მკვდართა ქალასა.
გაუმძლარი მიწა სკამს
იქ ერთი ქალის დაღალსა.
ყელს შემოეჭოდ სიკვდილი
შინის მაგვარი მივიტია,
მხრებაწურულსა ქალწულსა,
ასვეტილს ქაშვეთივითა.
ლოდი აწეება და სტივია
მარმარი გულის ფიცარე —
ვთქვი და ერთბაშად დაღამდა,
ღამეში ვეღარ ვიცანი.
მხოლოდ კაეშნით მოცული,
ტურფა, უბიწო თვალებით
ორი ვარსკვლავი მიცქერდა —
ნიშანი ფერისცვალების.
გაშტერებული სახითა,
ციმციმით გაოცებულნი,
ვით მარგალიტი უსახო,
ანგელოზთაგან ქებულნი.
და მივხვდი, რისთვის ვერ მოვა
ამ სოფლად იგი, ასული,
უცხო შორეთის სიმშველით,
უხანოდ შემოვარსული.
ის აღარ მოვა არაადროს,
ვთქვი და ერთბაშად დაღამდა,
და უმაღ ჩაქრა უარსკვლავი,
გულს რომ კაეშნით დაღავდა.

როგორც მკითხველი ხედავს, ალ. ქუთათელისათვის უცხო და უცნობი არ ყოფილა, ძველად რომ იტყოდნენ, „იმა

ქვეყანათა ხელშეხება“. მწარე სულიერი ტკივილები, რომელიც გამოხატულია ამ ლექსში, გამოიწვია იმ ჰარმონიის დარღვევამ, რომელიც ადამიანთა ცხოვრებაში სიკვდილსა და ბოროტ ძალებს შეაქვთ.

ამავე თემას უბრუნდება მწერალი თავისი ვრცელი რომანის იმ თავში, რომელსაც „მკვდრის მზე“ ეწოდება.

ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ალ. ქუთათელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა იმ წლებს, როცა იბადებოდა ახალი, საბჭოთა საქართველო. ალექსანდრე ქუთათელი — თვითმხილველი და მონაწილე ამ ისტორიული პროცესებისა — იქცა ამ დიდი გარდატეხის უბრწყინვალეს მემკვიდრედ. მისი ოთხტომიანი ეპოპეა — „პირისპირ“ დიდი ხანია აღიარებულია, როგორც მართალი და ზუსტი მატრიანე თავისუფალი საბჭოთა საქართველოს დებადებისა. ესაა წიგნი, რომელიც განეკუთვნება მთელი საბჭოთა ლიტერატურის ყველაზე უკეთეს ქმნილებათა რიცხვს, იმ ფუძემდებლურ წიგნთა რიცხვს, რომელთაც ტრადიცია დაუდეს და თავისი სახე მისცეს ახალ საბჭოთა პროზას; ამ წიგნში მთელი ძალით გამოჩნდა საქართველოს მეტროპოლი მუშა კლასი, მშრომელი გლეხობა, მოწინავე ინტელიგენცია, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ მენშევიკური რეჟიმის დასამხობად, იბრძოდნენ საქართველოს ოქტომბრისათვის.

მძიმე და რთული იყო ეს ბრძოლა. და მწერლის გამარჯვებაც სწორედ ის არის, რომ მან წარმატებით გაართვა თავი ეპოქალურ მოვლენათა ჭეშმარიტად რეალისტურ ასახვას.

ალ. ქუთათელის რომანი მკითხველს ხიბლავს, პირველ რიგში, თავისი უშუალობით; ავტორმა გულწრფელად თქვა სიმართლე იმ შინაგანი სულიერი ბრძოლის შესახებ, რომელსაც განიცდიდა ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი, აზნაურული ბუდეების შთამომავალი, როცა ის სცილდებოდა თავის კლასს, თავისი წრის ტრადიციებს

და რევოლუციური შემობრუნებისა და გარდატეხის წლებში ეძებდა ახალ გზას. რომანის მთავარი გმირი კორნელი, ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენცია, რომელიც გარდატეხის წლებში თითქოს ფხიზლობდა, პირისპირ დგებოდა რევოლუციის, ეპოქის, სამშობლოს წინაშე და მართალ გზას ეძებდა. როგორ იპოვნა მან ეს სიმართლე, რა სულიერი ტანჯვა განიცადა მის ძებნაში, როგორ დადგა იგი თავისი ხალხის მხარდამხარ, როგორი ძნელი და რთული იყო მისი იდეური და მორალური გადადუღების პროცესი, — აი ამაზე მოგვითხრობს ალ. ქუთათელი ვრცელი ეპოპეა.

რომანის ყურადღების ცენტრში დგას პრობლემა მთელი სოციალური გარემოცვის გამოსახვისა, რომელიც განუყრელად და ორგანულად არის დაკავშირებული გმირის ინდივიდუალურ ბედთან და ვნებებთან. დიდმა რეალისტურმა ალდომ მისცა მწერალს ძალა ყოველი ეპიზოდი მტკიცედ ჩაეჭოვა სიუჟეტში, ყოველი უბრალო მოვლენა აქმაღლებინა აუცილებლობამდე. ეპოქასთან რომანის გმირს აკავშირებს თვით გმირისავე ინდივიდუალური სასიცოცხლო მისწრაფება. აქ კავშირის სათავე თვით ადამიანის სულშია ჩამარხული. ეს თვით მისი ბიოგრაფიაა. ამიტომ ეს მთლიანობაც ცოცხალი და ყოველისმომცველია. ეს ღრმა შინაგანი კანონზომიერება სახისა აქცევს გმირს ნამდვილ ადამიანურ ქმნილებად, ამ მიდგომით დახატა მწერალმა ცოცხალი ცხოვრება თავისი მთავარი გმირის კორნელი მხეიძისა.

რთულია ფსიქოლოგიური ქვეყანა ქუთათელის რომანის მთავარი გმირისა. მისი სულიერი ბიოგრაფია დახატულია პოლიტიკურ მოვლენებში, პირადი ვნებების ქაოსში, ნაწილობრივ დაძლეულ და ნაწილობრივად ჭერ კიდევ დაუძლეველ სოციალურ ცრუ-რწმენებ-

გიორგი ნაბროზვილი

სიტყვის ზამოჩინილი ოსტატი

ში და ტრადიციებში. მაგრამ საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა ინტელიგენტი სწორ გზას თავისი ხალხის წიაღში პოულობს. მწერალი გვიჩვენებს კორნელის ურთაერთობას ხალხთან და ჰაბუის ბუნებაში აქაც ჯანსაღი საწყისები იმარჯვებენ. ის აქაც მაღლა დგება იმდროინდელ სინამდვილეზე, რადგან მისი გული გამთბარია იმ დიდ კერაზე, რომელსაც წარსულში საქართველოს დიდი ადამიანები ანთებდნენ და აღვივებდნენ თაობათა აღსაზრდელად. ეს იყო სიყვარული ხალხისადმი. და აი, კორნელის უკვე ისე ესმის ცნება სამშობლოსი, როგორც მისი მშობლიური სოფლის გლეხკაცებს. მთელი ეს ვრცელი ეპოპეა გვიხატავს ჭეშმარიტად ხალხურ ხასიათებს, გვიხატავს ადამიანებს, რომლებიც განასახიერებენ ჩვენი ხალხის დიდებულებობას, სულიერ სიძლიერეს, ჭირში გაუტეხელობას. და რომანის მთავარი გმირი, კორნელი ქართველი ინტელიგენციის ისტორიულ მისიას უკვე იმაში ხედავს, რომ ის თავის ხალხთან უნდა იყოს, საქართველოს მუშებთან და გლეხებთან.

ხალხურობის პრინციპმა, მაღალი რეალიზმის და ცხოვრების ბრძნული დაკვირვების უნარმა მისცა მწერალს ძალა ესოდენ მართლად გამოეხატა ეპოქის ყველაზე მთავარი ტენდენციები.

ალექსანდრე ქუთათელმა ვრცელი შემოქმედებითი გზა გაიარა. გარდა ამ ფართოპლანიანი რომანისა, იგი ავტორია მრავალი მოთხრობის, რომლებშიც ასახულია საქართველოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები, ნაჩვენები არიან ადამიანები, რომლებიც ჰქმნიან ერის სულიერ საგანძურს. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვრცელი მოთხრობა „აბესალომ და ეთერი“, რომელშიაც ავტორმა შექმნა ცოცხალი პორტრეტი დაუვიწყარი ვანო სარაჯიშვილისა.

ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ალ. ქუთათელის მოთხრობების ციკლმა

„იონა და მანანა“; აქ მწერალი კვლავ ძერწავს ცხოველმყოფელ ხალხურ ხასიათებს, აღწევს რეალისტური მიხედვით მაღალ ოსტატობას.

ალექსანდრე ქუთათელმა გაამდიდრა არა მარტო ახალი ქართული პროზა, მას დიდი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის ჩვენი ლირიკის წინაშეც. თავის ლექსებში ის უმღერის ჩვენს დიდ საბჭოთა ეპოქას, ხალხთა ძმობას და მეგობრობას; მისი პოეზია — მკითხველს განუმტკიცებს ხალხისა და სამშობლოსადმი, ადამიანისადმი სიყვარულის უწყინდეს გრძნობებს.

ალ. ქუთათელის შემოქმედების გამარჯვების მთავარი საწინდარი იყო და არის ბრწყინვალე ტალანტთან შეერთებული მაღალი ინტელექტუალური კულტურა, ურომლისოდაც ჭეშმარიტად ეპოქალური შემოქმედება არ წარმოიდგინება. ეს ფართო ჰორიზონტი იგრძნობა მის პროზაშიც და ლირიკაშიც. ალ. ქუთათელმა ძველბერძნულიდან თარგმნა ესქილეს „პრომეთეოსი“, გერმანულიდან თარგმნა გოეთეს „ფაუსტი“; იგი, იმავე დროს, ავტორია მრავალი მხატვრული ნარკვევისა თუ პუბლიცისტური წერილისა, რომლებშიც აღძრულია ჩვენი ცხოვრებისა და ლიტერატურული განვითარების ძირეული პრობლემები.

ალ. ქუთათელს სამოცდაათი წელი შეუსრულდა. მაგრამ ის კვლავ აღსავსეა ჰაბუკუთი ენერჯითა და ძალღონით.

გუსტროვით ქართული სიტყვის გამოჩენილ ოსტატს, ჩვენს მუდამ კარგ და საყვარელ საშას დიდხანს და დიდხანს შერჩენოდეს ეს სულიერი სიმხნევე და სიჰაბუკე, ეს დიდი და დაუცხრომელი ხალისი და ტრფიალი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი, გუსტროვით მას ხანგრძლივი სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენი ხალხის და ჩვენი მწერლობის საკეთილდღეოდ.



გიორგი ავალიანი

ლექსები საბრძოლო თანამეგობრობაჲ

რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, რომელსაც დასაწყისი შუა საუკუნეებში აქვს, განსაკუთრებით საგრძნობი და ქმედითი გახდა მე-19 საუკუნის დასაწყისში და კერძოდ, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა.

ქართველი ხალხის მხედრულ ისტორიას და მის ღვაწლს რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში ასე ახასიათებდა ილია ჭავჭავაძე: „ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელითა და დიდებით ხელში ჰსჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუწიველად და უჩირქოდ გადაუღოცნია: გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვარობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად“.¹

ქართველი ხალხის მიერ რუსთმხედრობასთან ერთად ბრძოლებში გამოჩენილი თავგანწირულება გულახდილად უღიარებია მე-19 საუკუნის ბევრ რუს საზოგადო მოღვაწეს, მწერალს, მეცნიერს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. პოტოვს, ვ. სოლოგუბის, ე. ვერდერეჟსკის, ი. ელიხოვსკის, ე. მარკოვის, ნ. ვოლკონსკისა და სხვათა ნაწერები.

რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიული ტრადიციების ცალკეულები, განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი ფაქტები ხშირად გამხდარა მხატვრული ასახვის ობიექტი, როგორც ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ისე ეურნალისტიკაში. მართალია, შედარებით სისტემატური ხასიათი ამ ასახვამ მე-19 საუკუნეში მიიღო, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ბევრად უფრო ადრე დაიწყო.

აღნიშნულ თემზე თავის დროზე უწერიათ: თეიმურაზ პირველს, არჩილს, დავით გურამიშვილს, თეიმურაზ მეორეს, ბესიკს, მამუკა ბარათაშვილს და სხვებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ამ მხრივ დ. გურამიშვილის პოემა „ქართლის ჭირს“, ავრთვეუ ბესიკის პოემას „ასპინძისათვის“.

რუსეთის ძღვევამოსილი არმიის სიძლიერესა და წყობას დავითი იმთავითვე მოუხიბლავს. პოეტს შეგნებული აქვს რუსეთის სამხედრო ძლიერების მნიშვნელობა საქართველოსათვის. მას ახარებს პეტრეს მიერ შექმნილი ძლიერი არმიის ორგანიზებულობა და დისციპლინა, რააც ასე გამოხატავს:

არს მოსაწონი მნახველთა განწყობა რუსის
ჯარისა,
ათას ხუთას კაცთ ერთფერად ტანთა ცმა
სხმა აბჯარისა,
მწყობრ-რიგად შესვლა-გამოსვლა, ქცევა
ვით ბრუნვა ჯარისა,
დამუსვრა ციხის მოქლოთა, მაგროვნად
დანაჯარისა.

გურამიშვილის თანამოიარაღე ქართველებს თავი არ შეურცხვენიათ რუსეთის ჯარის ნაწილებში სამსახურის დროს. მათ მამაცური მონაწილეობა მიუღიათ იმ პერიოდში ჩატარებულ ყველა ბრძოლაში. პოეტი ამის შესახებ გვამცნობს:

ჩენი ვითხრა სამსახური, სხვა რა გვექნა
ამის მეთი:
ათას შეიდას ოცდა ცხრამეტს ხოთინის კარს
ვთხოლშეთ კეტი,
ორმოცდაორს ფიდრიღავანს ცეცხლით
გამოვბუგეთ შვეტი-
ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კაროლს
შეურყვიეთ ტახტის სვეტი.

¹ „ღრობა“, 1882 წ. № 40.

პოემაში „ასპინძისათვის“ ბესიკი ხატოვნად აღწერს ქართველი მხედრებისა და რუსი ჯარისკაცების ერთობლივ ვალაშკრებას ასპინძის ბრძოლის წინ და ამ სასურველ სურათს ასე ხატავს:

ასპინძის მიწა გიწამებს, ურგებ არს ჩემგან
თქმულები,
რუს-ქართველ-კახნი მოადგენ აწყურსა
დარაზმულები.

პოეტი კიცხავს ავანტურისტი გენერლის ტოტლებენის მოქმედებას, რომელმაც არ შეასრულა პირობა და ვადამწყვეტ წუთს ზურგი შეაქცია ერეკლეს ჯარს, მაგრამ იწონებს რუსების არმიის საბრძოლო წყობას და მათს გარეგან ელფერს ასე აღწერს:

რუსნიცა წითელ-მწვანითა და ლურჯად
შეხამდებოდნენ,
თითბრის ჩანთანი ბრწყინვიდნენ,
ვარსკვლავთა ეგვანებოდნენ;
ზარბაზნის გვრგვინვა და თოფის ცის კიდეთ
ეუბნებოდნენ;
თვით მეფე, ქართველ და კახნი ომი
ხალისით ხლდებოდნენ.

მე-19 საუკუნეში რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობის თემა ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ყველა ჟანრში მეტ-ნაკლებად გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით გამოკვეთილი სახე მას პოეზიაში აქვს. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ დიდი ისტორიული მოვლენების ასასახავად, რომელთაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის საქართველოს სინამდვილეში, უკიდურესად მცირედ გვეჩვენება იმ პოეტური ნაწარმოებების რიცხვი, რომლებიც ქართველმა პოეტებმა ხსენებულ თემას გასულ საუკუნეში მიუძღვნეს.

აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის თემამ ასახვა ჰპოვა იმ დროის წამყვანი პოეტების ლექსებსა და პოემებში.

1810 წელს რუსების მიერ ფოთის სიმაგრის დანადგარების განდევნას საგანგებო ლექსი მიუძღვნა ცნობილმა პოეტმა ბეგლან ორბელიანმა. პოეტს ლირიკულ გმირად გამოყვანილი ჰყავს საქართველოს განსახიერება, მოხუცებული „ქართლოსი“. ქართლოსი თანამემამულეებს მოუწოდებს, რუს ძმებთან ერთად დაუზარებლად ებრძოლონ საერთო მტრებს:

იბრძვის ჩრდილო, დასავლით დღეს
გამოჩნდა მხედარი,
მოხუციაა მამისა ისმინეთ მცნება ძეთა,

მამულსა ერთგულებით, სისხლი დასთხივთ
მხნეთ,
დიდი მფარველი გივისთ, ძეთა უმცირესო
ამცნეთა,
ამიერ სახელი და მტერთ რისხვა მიაგეთა.

1812 წლის სამამულო ომში დაღუპულ სახელოვან ქართველ მამულიშვილს, რუსეთის არმიის ერთ-ერთ უდიდეს მხედართმთავარს პ. ი. ბაგრატიონს პოეტმა დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონმა უძღვნა ლექსი, რომელშიც ხოტბას ასხამს პეტრე ბაგრატიონის გმირობას. პეტრე ბაგრატიონის ლეგენდარული სიამაყე ბევრი რუსი პოეტის სახოტბო თემა ყოფილა და ამიტომ დიმიტრი ბაგრატიონი აღნიშნავს:

მეც აღმძრეს შენდა სამკობლად, ჩრდილოეთ
მოშაირეთა,
ომგადახდილსა გიქებენ სიმხნეთა
გასაკვირვეთა,
არა რად რაცხდი ლომგული, რაზმთა
მეპიროსპირეთა,
აწ ამაღ ძლევის გვირგვინი თავს გადგეს
უგმიროთგმირესა.

ალექსანდრე ქავკავაძე თავის ცნობილ ლექსში „კავკასია“ ასე ასახავს რუსთმხედრობის შემოსვლას საქართველოში:

მთა რეცა განგებ ზღუდულ აღმშენებელი
სალად,
დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუვალად,
გარან რომელს ბოლოს და, როსსთ
მხედარად აღზრდილი,
მიებჯინა უდრეკლად მამაცი ციციშვილი,
შეიწრებულმან თერგმან, კრძალვით იცნო
სამძლვარი
და ტინამან შარა გზათ ფართოდ განულო
კარი.

რუსეთ-საქართველოს დამეგობრებისა და ურთიერთ საბრძოლო მხარდაჭერის კეთილ შედეგებს უკვე ხედავს პოეტი და ლექსს ასე ამთავრებს:

გიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს, მათ შორის
განათლება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში „ომი საქართველოს თავადაზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტინისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს მიძღვნილობისა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი ორბელიანისა“, ნიშნს უკებს საქართველოს არაერთგზის ამოხრებელთ და მოხარულია, რომ საქართველოს

შვილებს რუსი ძმების დახმარებით საშუალება მიეცათ შური იძიონ წარსულში მიყენებულ კრილობების გამო:

სილიერისა, იგი დარწმუნებულია რუსეთის გამარჯვებაში, რასაც ასეთი სიტყვებით მუნება:

ძრწოდე კავკასო! ახლო არს დღე შენის
აღსასრულისა,
შეთქმულან შენზედ ერთბირად ძენი
ქართლისა სრულისა:
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ
დაქვეულისა
და აღმორთმევად უწყალოდ შენა შორის
ბოროტ სულისა.

ვერას მაოცებს ანგლო-ფრანცები მათთან
ხვანთქარი,
მობრძანდნენ, ნახონ ჩვენი რუსეთის გმირი
ლაშქარი.
ამ ჩემს მთებს ხედამ? როგორც ეგენი არია
მაგარი,
ეგრეთვე თითო რუსეთისა არის სარდალი.

რუსეთის მძლავრი არმიის მეშვეობით საქართველოს მტრების ჯაგრის ამოყრა პოეტს საქართველოსათვის გარდაუვალ ისტორიულ მოვლენად მიაჩნია, რისთვისაც იგი პოემაში „ბელი ქართლისა“ ერეკლე მეფეს ათქმევინებს:

რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წლების ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის მხატვრული ასახვის საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია გრიგოლ შაბურიშვილის ლექსები. გრიგოლ შაბურიშვილის ცხოვრების შესახებ, სამწუხაროდ, რაიმე სხვა ცნობა ჯერჯერობით არ ვაგვაჩნია. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მისსავე ლექსებში გვხვდება, იგი დოსტაეპარი ყოფილა და გურიის რაზმში შემავალ მეგრულთა ჯარში ექიმად უმსახურნია. წარმომობთ გრიგოლ შაბურიშვილი კახეთიდან, კეპოძედ, სიღნაღიდან ყოფილა.

ახლა კი დროა სოლომონ რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა,
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის,
ამოიყაროს ჯაგრი სპარსეთის.

გ. შაბურიშვილმა 1854 წლის 4 ივნისის ჩოლოქის ბრძოლას, რომელშიც რუს-ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა გენერალ-ლეიტენანტის ივანე მალაზხის ძე ანდრონიკაშვილის მეთაურობით თურქთა ჯარებზე ბრწყინვალედ გაიმარჯვეს, ორი ლექსი მიუძღვნა. ეს ლექსები მან გაზეთ „კავკასი“ მოათავსა. მეტად თავისებური ფაქტია, რომ რუსულმა გაზეთმა ქართულ ენაზე დაწერილი ლექსები ქართულად ვერც ერთი მოათავსა თავის ფურცლებზე და ამრიგად შემოინახა ისინი. გ. შაბურიშვილი ერთადერთია, ვისი ლექსებიც დასახელებული ომის პერიოდში ქართულ ენაზე გამოქვეყნდა.

თავის ამ შეხედულებას მეფის პირით პოეტი იმითაც განამტკიცებს, რომ საქართველოს და რუსეთს:

გ. შაბურიშვილის პირველ ლექსს ეწოდება „თუშთაგან გურიის მოსვლა და რჩევა ვითარ იომონ ოსმალთან, მითებრ ლექსად თქმული მენგრელთა ჯარის ექიმის გრიგოლ შაბურიშვილისაგან“.

დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი — სარწმუნოება.

პოეტი მოუწოდებს შორიდან მოსულ თუშებს, ამჯერადაც ისევე ასახელონ თავიანთი ხმალი და მარჯვენა, როგორც მრავალჯის უსახელებით წინათ:

გრიგოლ ორბელიანი ყოველთვის დიდად აფასებდა რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობას. ამ თანამეგობრობაში გაატარა მან მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება. რუს-ქართველთა გაერთიანებული ძალების ბრწყინვალე გამარჯვებამ განაწყო პოეტი პოემა — „საიდევრძელს“ დასაწერად. იმ ქართველ მხედრებს, რომელთაც რუსეთის არმიის დროშებქვეშ გაითქვეს სახელი, გრიგოლ ორბელიანმა ასეთი სტროფი უძღვნა:

მამანი თქვენნი, თავის დროს ძენი
თავის დროს იყენენ სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები, დაღისტინის მთები
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!
(ბასუხი შვილთა)

ძმო, შენ ვახსოვს წითელი, გაქვს
სიყმაწვილის ზნეობა,
აქ მოდი, შეიკრიბენით, გემართებს საქმიასა
რჩეობა,
ბიჯად ყოველი მჯობიხართ, გიციით ლეკთა
მტერობა,

1853-1856 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებასთან დაკავშირებით ვიორგი ერისთავმა დაწერა საგანგებო ლექსი „კავკაზი და უხანები“.

ვიორგი ავალიანი
ლექსები საბრძოლო თანამეგობრობაზე

გ. ერისთავი სიამაყით იგონებს 1812 წლის სამაშულო ომს და სურს შეახსენოს ისტორიის ის შროსბანე ვაკეეთილი რუსეთთან შერკინების მოწადინეთ. მიუხედავად კოალიციის



და სახელი დაგვრჩეს გურიას, თუშებთა
ქმნესო მხნეობა,
ომის დრო არის, ვაჟკაცო, ცხენთა
დავაკრათ ნალია,
სადილი ვჭამოთ ადემით, ყველამ
დავიჩარხოთ ხმალია,
ვინც უკან დარჩეს ამხანავს, იყოს ახმეტის
ქალია,
და თუ მოკედეს, ქვაზე დაეწერთ:
სიციცხლით იყო მფრთხალია.

მყარლთა დიაცთა ოსმალთა, ბევრთა
ჩავაცედი შეფრთხული
და სხვათა მდინარეთ მათ სისხლს, ვუკრთ
ერთად შენართავო.

გამოსალმებით დავკოცნოთ დღე არის
საომარია,
რახშით მივმართოთ ერთიან, საცა რომ
ურდო ჯარია,
ცეცხლად გავუჩნდეთ შუაში, ავტეგხოთ
სისხლის ღვარია,
და ვაჟკაცთ ვინცა მოკედება, ღმერთო,
აცხოვენ მეყდარია.

ლექსში საგანგებოდ ხაზგასმულია, თუ რა
სიხარულით მიუღია რაზმის საერთო სარდალს
ა. ანდრონიკაშვილს თუშთა ლაშქარი, იცოდა
რა ამ უკანასკნელთა სიმამაცე და შეუპოვ-
რობა ბრძოლაში:

თავის მეორე ლექს „სიმღერა ჩოლოქის
სპასპეტსა ზედა“ გრიგოლ შაბურიშვილი
უძღვნის გურიის რაზმის სარდალს გენერალ
ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს. პოეტი
ხოტბას ასხამს ანდრონიკაშვილის სასახელო
მხედრულ საქმეებს ახალციხისა და ჩოლო-
ქის ბრძოლებში თურქთა წინააღმდეგ.

ვინცა გავგზავნეთ მოვიდა, სარდალმა
ვაიციანო,
ებრძანა: ჩემო თუშებო, ხვალ ნახოთ
მტერთა ბინაო.
მეორეს დილით ივანე ჯართა წაუძღვა
წინაო,
და უღვაშის გრეხით თამამად, საყურვლად
მოიღინიაო.

ი. ანდრონიკაშვილის პიროვნება პოეტს დი-
დი მონღოლებით აქვს დახატული:

ძალით მოსილი მობრძანდა სპასპეტი
სახელოვანი,
ქიზყთა დიდი თვადი მხნე, მძლე და
ძალგულოვანი,
მალხაზის ძეი ივანე გვარად ანდრონიკოვანი,
და ცეცხლი აწვიბა ოსმალზედ, მით მისცა
დიდი გლოვანი.

თუშებს გადაჭრით მოუთხოვიათ, რომ ისი-
ნი პირველნი გაეშვათ მტერთან შეტაკებაში
და ამის შესახებ სარდლისათვის ასე მოუხსე-
ნებიათ:

შემდეგ პოეტი კმაყოფილებით აღნიშნავს
გათათრებული ქართველების რეშეთ მაჰკავა-
რიანისა და ჰასან თავდგირიძის სასტიკ და-
მარცხებას 1854 წლის 17 მაისს ნიკოთთან
გამართულ ბრძოლაში, სადაც მათი მრავალ-
რიცხოვანი ავანგარდი ვანადგურა პოდპოლ-
კოვნიკ ნიკო ერისთავის რაზმმა. ამ ბრძოლა-
ში მოკლულ იქნა ჰასან-ბეგ თავდგირიძე,
რომლის გამოც შეუთხოვეთ გურიაში დღესაც
ფართოდ გავრცელებული სიმღერა „ჰასანბე-
გურა“.

ბატონო, ჭირიმე მოგვამეთ, თუშთა ცხენები
მალია,
მეწინაეთა გვიბრძანეთ, გავცურავთ საცა
წყალია,
შორით მოვსულვართ, რიგია, პირველ
ვაცნობოთ ძალია,
და თუ ვარგა შენი თუშები ან მათი გორდა
ხმალია.
ვითხოვთ პირველად მივიდეთ, ეს არის
ჩვენი თხოვანი,
შენი ვართ ალვანი თუშები
კახულ-იარაღოვანი,
თუში თუ უკან მოკედება, ვისგან ედირსოს
გლოვანი,
და მკვდარსაც დაგვძრახავს მესაზღვრე,
ფშვანი, ხეესურნი, წოვანი.

თურქთა ავანგარდის ამ პირველ დიდ და-
მარცხებას, რასაც მალე მათი სრული განად-
გურება მოჰყვა ჩოლოქთან, გრ. შაბურიშვი-
ლი ხატოვანად გადმოგვცემს თავის ლექსში:

ჩანს, ივანე ანდრონიკაშვილს დაუქმყოფ-
ილებია თუშების თხოვნა და ეს უკანასკნე-
ლნიც თავის სიხარულს პოეტის შორით ასე
გამოთქვამენ:

რიცხვით თორმეტი ათასი, რეგულის ჯარი
ქებული,
მმართველი მათი ფაშაი, შორის სხვათ
პატივდებულო,
მექონე წმინდა სჯულისა აწ არის
გათათრებულო,
და ტომობით მაჰკავარიან, რეშითად
სახელდებულო.

მივიდეთ ანდრონიკოვთან, ყველამ
დავუკრათ თავიო,
მეხათ დაეცეთ თათართა, დღე დაეყენოთ
ავიო,



მეორე ფაზა სხვა იყო გურიის თავად ძენი, თავდგირაძე და წოდებულ ხასანი კაცი ბრძენი. სარწმუნოება მანცა ჰგომ, ტაძარს უგინა ბეჭენი, და სჯულის მგომბელმან ჯილდოთა ჰპოვე მუნ შენაძენია.

ეს ფაზა ნიგოთითა განდევნეს მრავალყმიანი, ხასან ფაშაძე მუნ მოკვდა, მოჰყვეთეს თავი თმიანი, წარუღეთ ზარბაზანები დააჩნდათ დიდი ზიანი და ეაქებდეთ ნიკო ერისთავს, ომი არ იცის გვიანი.

გრ. შაბურიშვილი ამ ლექსში ქებით იხსენიებს აგრეთვე გრიგოლ ლევანის ძე დადიანს. გრიგოლ დადიანის ქება ხატოვანდ აქვს მოცემული ავტორს:

ჩვენთ მილიციათ უფალი ეს არის უდიდესია, მენგრელთ მთავრის ძე გრიგოლი ბრძანდება ჩვენი მწყემსია, და არ ეაქებ ღენერლობითა, ჰკავთ ბევრზედ უკეთესია...

ლექსის დასასრულს პოეტი სთხოვს რედაქციას დაბეჭდონ მისი ლექსები ქართველი მემორებისა და რუსი ჯარისკაცების საგმირო საქმეთა უკვდავსაყოფად, რათა ისინი დარჩნენ შთამომავლობისათვის მისხამ მავალითად:

მწერალი ამას გვევლით ჰბრძანოთ ბეჭდვისა ნებანი, სამავალითო მხნეობას ექმნესცა მოგონებანი, აღმომკითხველთა ანბავთა ჩვენს ჯარს მიუძღვნან ქებანი, და დარიგდეს შორის ქართველთა, ისწავლონ თქვენი მცნებანი.

იქვე ავტორი გვამცნობს თავისი ვინაობის შესახებაც:

მიბრძანებ დაეწერ ვინ არის, ამა ამბავთა მოხზველია, ვარ მენგრელთ ჯარის ექიმი, მათის სიმრთელის მცველია, შაბურის შვილი გრიგოლი, თქვენც უწიით სიღნაღელია და მორჩილი თქვენის ბრძანების და ერთგულების მცდელია.

ასეთია შინაარსი გრიგოლ შაბურიშვილის დასახელებულ ორი ლექსისა. რა შეიძლება

ითქვას ამ ლექსების, როგორც მხატვრული ნაწარმოებების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, საქართველოში ავტორის შესახებ, მოქმედებითი მიზანდასახულობის სიტყვად, შთავარი ძარღვი, იდეა, რამაც აამღერა დასტაქარი, შთავაგონა, კალმისათვის მოეკიდა ხელი და მხატვრულად გაეშუქებია თავის თანამედროვეთა და თანამებრძოლთა თავდადება ბრძოლაში. აქ ჩვენ მოვიწველებით თვით ავტორისავე სიტყვაჯამულ განცხადებას, რომ:

სამავალითო მხნეობას ექმნესცა მოგონებანი, აღმომკითხველთა ანბავთა ჩვენს ჯარს მიუძღვნან ქებანი.

გასაგებია, რომ გრ. შაბურიშვილის მიზანია საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოაქციოს ქართველ მოლაშქრეთა თავგანწირული ბრძოლა თურქ აგრესორთა წინააღმდეგ.

როგორც პირველ, ისევე მეორე ლექსში ავტორის ყურადღების ცენტრშია სარდალი ი. ანდრონიკაშვილი. აქაც ისევე, როგორც სხვა იმ პერიოდის საგაზეთო მასალებში, აშკარაა ი. მ. ანდრონიკაშვილის დიდი ავტორიტეტი და სიყვარული, რაც მას თავისი დროის ქართველ საზოგადოებრიობაში მოუპოვებია.

გრ. შაბურიშვილი კარგად ერკვევა ომის პერიოდის პოლიტიკურ ვითარებებში, მავალითად, მისთვის სრულიად ნათელია კოალიციის ძირითადი მიზნები, მისი შემადგენლობა, ომის გამოწვევი მიზეზები და სხვა. რუსი და ქართველი მხედრების საბრძოლო თანამეგობრობა პოეტს ლაყონურად, მაგრამ უტყუარო კონკრეტულობითა და უშუალოობით აქვს მოცემული. მას უხომოდ ახარებს რომ:

ლომნი რუსეთის მხედრობა თავგანწირულად ომობდნენ, იმერთან ჩვენი თუშებიც თამამად ხმალ და ხმალობდნენ, მათ შორის კახთა თავადნიც ჩვეულებრივად ძალობდნენ,

ან კიდევ:

რუსთ ქვეშევრდომნი მხედრობა მამაცობისა მქნელია, თავი შესწირონ მამულსა ყოველი ამის მცდელია.

გრ. შაბურიშვილის ლექსების ზომა 16 მარცვლიანი შაირია, ე. ი. კლასიკური ქართული ლექსის ზომა, ყველა ტაების გარითმვით. რით-

გიორგი ავალიანი
ლიმსაში საბრძოლო თანამეგობრობაზე

მის პრიმიტიულობის მიუხედავად, ლექსები ემოციურობას მინც ინარჩუნებენ.

ლექსების ენა ხალხურია, გვევლება ბარბარისტებშიც, მაგალითად: ანგლია, ფრანცია, ბოლოტი და სხვა, მაგრამ, საერთოდ, კი შაბური-შვილის პოეტური ენა თავისუფალია მისი დროის არისტოკრატ პოეტთა ენის მაღალ-ფარდოვანობისაგან. ამ მხრივ მისი ლექსები მკვეთრად განსხვავდებიან ბარბარე ჯორჯის, გიორგი ვრისთავის, დავით მანაბლისა და სხვათა ლექსებისაგან.

გრიგოლ შაბურიშვილის ნათელი პოეტური ნიჭი აშკარაა, სწორედ ის უნდა იყოს მიზეზი, რომ დიდი ყურადღებით მოპყრობია შაბური-შვილის ლექსებს ვახუტ „კავკასის“ რედაქცია, დაუბეჭდავს რა ისინი რუსულ ვახუტში ქართულ ენაზე და ქართული ანბანით. უნდა ითქვას, რომ მსგავსი შემთხვევა მე-19 საუკუნის საქართველოში არსებული რუსული პერიოდიკის ფურცლებზე არ შეგვეხვედრია.

1880 წელს ვინმე მ. ნაკაშიძემ გამოსცა ორი ლექსისაგან შემდგარი ბროშურა სახელწოდებით: „ლექსნი ომიანობის დროს“. ხსენებულ ლექსთაგან ერთი დაწერილია 1853-56 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს მძვლვლის ვინმე ივანე შარაშიძის მიერ, ხოლო მეორე კი რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის დროს გურიის რაზმის მებრძოლის, ვინმე ესტატე ანთაძის მიერ. დასახელებული ბროშურა ინახება რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში, რაიმე სხვა ცნობა ამ ლექსების ავტორების შესახებ არ მოგვეპოვება.

ივანე შარაშიძის ლექსი „ჩრდილო იბრძვის“, წარმოადგენს „ჩრდილოს“, ესე იგი, რუსეთის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების ხოტბას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის სავსებით გასაგებია რუსეთის მონარქის ძირითადი მიზნები ყირიმის ომში, ივანე შარაშიძის, როგორც სასულიერო პირის, ასეთ მხურვალე მოწოდებას, მიმართულს ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად, აღვივებთ, როგორც სრულიად კანონზომიერ მოვლენას.

ლექსში შეტებულია რუსეთის არმიის სიძლიერე და გამოთქმულია ქრისტეს სჯულის მტერთა წყევლა. ავტორი მოუწოდებს ურჯულ თურქებს ქედი მოიხარონ რუსთხელმწიფის ძლიერების წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში განადგურებას უქადის მათ. ლექსში ამის თაობაზე კეთიხულობთ:

მერწმუნეთ თუ არ გარგიათ, ერთმანეთის გადაყოლა,
კი შეიტყვეთ რუსმა რა ქნა, სადაც ჩხუბი ავაყოლა,
რაც შეიპყრა თქვენი ჯარი, ზარბაზნებიც გავაყოლა,

ქათიბები დაკარგვია, ოხ, რა საწყულად
ყვეთის მფრულეული
განგაზრებულა

ავტორი მოუწოდებს ხალხს აქტიურად და თავდადებულად იბრძოლოს სამშობლოსა და ქრისტიანულ სარწმუნოების დასაცავად. მას სჯერა, რომ ამ დიდი საქმისათვის თავგანწირულთა სული სამოთხეში მოხვდება, ხოლო ცოცხლად დარჩენილთ უმადლეს პატივსა და დიდებას პირდება. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დაწერიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ იგი პირველად დაიბეჭდა, ხოლო გამოცემულმა იმთხოციან წლებში შეიტანა გამოსაცემ წიგნში.

ესტატე ანთაძის ლექსს ეწოდება „ომის ლექსი“, რომელიც დაწერილია 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე ავტორის პირადი შთაბეჭდილებების საფუძველზე.

ავტორი ხოტბას აახამს გურიის რაზმის გმირულ მონაწილეობას თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. გურულების მამაცური ბრძოლა რუსული რევულუარული ჯარის ნაწილებთან ერთად ავტორს ორიოდე ტაეპით აქვს გამოხატული:

გურულებს წინ წასვლა გვითხრეს,
ორი როტა უკან ვეყვება, — კეთიხულობთ ლექსში.

პირველ ცხარე შეტაკებას თურქებთან, რომელიც ავტორის მონაწილეობით მომხდარა, იგი ასე წარმოგვიდგენს:

მეგრელიძის სერს მივდექით, იქ აგვიტყდა
ბროლა დიდი,
თათრებმა კივილი შექმნეს: „წინ ნუ
ფიქრობ, უკან მიდი“,
ჩვენ დავძახეთ „თქვენ ძაღლეთ, ანასუნი
სასტიქინი“,
ეხოცილთ და უკან ვსტოვებდით, გულს
გვაკლია თავს არ ასკრიდით.

შემდეგ ლექსში თანმიმდევრულად გეოგრაფიული გარემოს დასახელებით, დახატულია ბრძოლის მიმდინარეობა, თურქების უუქცევია და გურიის რაზმის მიერ მათი დევნა. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი მეტად იოლ ფორმებში წარმოგვიდგენს მოპოვებულ გამარჯვებას. ლექსში არ ჩანს თურქების ის მაჟორი წინააღმდეგობა, რაც მათ სინამდვილეში გაუწიეს რუს-ქართველთა გაერთიანებულ რაზმს აღნიშნულ ბრძოლებში. ამით ლექსის დამაჯერებლობაც საგრძნობლად მოიხსუსტება.

თურქთა საბოლოო დამარცხებას და მათს განდევნას აჰარის ტერიტორიიდან ავტორი ხატოვანად გადმოგვცემს ლექსში:

ალი-ფაშა გაქაფიეთ, უკან მისდევს თავის
მოლა;
შანჭის ბევი მოვკალით, ოსმან ბევის თან
წყაოლა,
სამიღდემჩიოდ ვანანეთ, ქრისტიანზედ
თოფის სროლა.

ესტატე ანთაძის ზემოგანხილული ლექსი
მკაფით ნიშნა თავისი მიწა-წყლის უსაზღვ-
როდ მოყვარული ქართველი კაცის პატრიო-
ტული სულისკვეთების გამოვლინებისა. ეს
არის აღამიანის გულში დაგუბებული, პირადი
განცდებით გამოწვეული მძაფრი ემოციის გა-
მოხატვა, ემოციისა, რომელიც სამშობლოსთე-
ვის თავდადებულ მამულიშვილებისადმი სიყ-
ვარულსა და პატივისცემას გვგვრის, ხოლო
ლანჩარათა და საქვეყნო საქმისადმი თავამი-
ღებლისადმი — ზიზღსა და სიძულვილს.

ავტორის პოეტური ნიჭიერება უდავოა, მაგ-
რამ ასევე ნათელია მისი, როგორც პოეტის
დაუხვეწელობა და გამოუცდელიობა. განსა-
კუთრებით კი ლექსი ენის მხრივ მოიკოტლებს.
გურული დიალექტების ჭარბი გამოყენება
ლექსს ამძიმებს და ატლანქებს, მაგ: ჯუმა დდე,
ჩხუპი, მდნალი, უჩივია, სიმსწრაფლე და სხვა
მრავალი.

1853-1856 წლების რუსეთ-თურქეთის ომში
ქართველი ხალხის მამაკურ მონაწილეობას და
ამ ომში რუს-ქართველთა საბრძოლო თანა-
მეგობრობას ხატოვნად ასახავს პოეტი დავით
ბარძიმის ძე მაჩაბელი თავის ლექსში „ქართ-
ლოს“.

ლექსის ლირიკული გმირი საქართველოა,
რომელიც ჯერ ასეთი ეპითეტებითაა წარმოდ-
გენილი: „ღვწლით მოსილი“, „მარსის ველს
დაბერებული“, „გამართლებული“, „დაწყ-
ლულეული“, „მრავლად მოწყულს“, „და-
ფიქრებული“, „მოხუცებული“ და სხვა. მან
შემდეგ კი, რაც ამ „მოხუცებულს“ მისცა
აქ მის რუსეთმა შეწვევისა ხელი“, იგი კვლავ
დაგას: „განმხნეებული“, „ჯვართ ხელთ
მძღვენებული“, „ძღვეთ ამადღებულს“, „თა-

1 დ. ბ. მაჩაბლის ცხოვრებისა და მოღვა-
წეობის შესახებ დაწერილებით იხილეთ აბ.
მახარაძე, „ქართული რომანტიზმი“, 1967 წ.;
ლ. ნანიტაშვილი, „ქურნალ ცისკარის პოეტე-
ტი“, 1967 წ.

ვის კვალად მტკიცედ მპყრობელი“, ამის შემ-
დეგ საქართველო ყოველმხრივ წარმატებულ-
იგერიებს მტრებს, „ვითა ლომი, მყვირალი,
არ თუ მკრთალი მჩმუნავი, დაჭრით გამედგ-
რებელი, ლევთ დაფარვის მზრუნავი“. მო-
ხუცი ქართლოსის ეს სიკეთისა და სიძლიე-
რისაყენ გამოხული სახეცვლილება ლექსს აძ-
ლევს საოცრად ოპტიმისტურ ძალს და დიდი
პატრიოტული სულისკვეთებით აღინათვს მის
ყოველ სტრიქონს.

დ. მაჩაბელის ლექსი „ქართლოსს“ პირვე-
ლად დაიბეჭდა ქურნალ „ცისკარში“, 1857
წლის მე-7 ნომერში.

რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრო-
ბაზე მე-19 საუკუნის ქართულ პერიოდიკას
ფურცლებზე გამოქვეყნებულ ლექსებს შორის
აღსანიშნავია აგრეთვე: პოეტ დიმიტრი ზერია-
შვილის ლექსი, დაწერილი არჩილ ივანეს ძე
ანდრონიკაშვილის ჩეჩნებთან ბრძოლაში და-
ღუპვის გამო და დაბეჭდილი ქურნალ „ცისკ-
რის“ 1863 წლის №11-ში, პოეტ დავით გი-
ვიშვილის ლექსი, „ბრძოლის ველზედ გარდაც-
ვალეულ თაედ ი. ზ. ჩოლოყაშვილზედ“,
გამოცემული ცალკე წიგნად 1877 წელს, რო-
მელშიც 1877 წელს თურქებთან ბრძოლაში
ქართველი გენერლის ილია ზაალის ძე ჩოლო-
ყაშვილის გმირული აღსასრულია გალექსილი.
და პოეტი ქალის ბარბარე ჯორჯაძის ლექსი,
მიძღვნილი 1877-1878 წლების რუსეთ-თურ-
ქეთის ომში გმირულად დაღუპული ქართველი
ქალის ანა დავითის ასულ ქაუჭავაძისადმი,
დაბეჭდილი გაზეთ „დროების“ 1878 წლის
№-173-ში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსები გარ-
კვეულ პირთა გმირობასა და მათს სამაგალი-
თო თავდადებას ასახავენ, ისინი შეიცავენ
ორი მომე ხალხის საბრძოლო თანამეგობრო-
ბის მკაფიო მაგალითების მხატვრულ ასახვა-
საც, რამდენადაც ლექსებში აღიარებული
გმირები რუსეთის არმიის რიგებში იბრძვიან,
რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვერდით
იჩნებიან სამაგალითო სიმამაცეს და ერთად სწი-
რავენ თავს საერთო მტერთან ბრძოლას.

ასეთია, მოკლედ, მეცხრამეტე საუკუნის
ქართულ პოეზიაში რუს-ქართველთა საბრძო-
ლო თანამეგობრობის ასახვის ცდები, რომ-
ლის საუკეთესო ნიმუშების განხილვას ჩვენ
ზემოთ შედარებით დაწვრილებით შევცა-
დეთ.



ნაგალია ოკლოსკაია

კიდეჲ ერთი ცნობა საქართველოზე

აღმოსავლეთთან საფრანგეთის ურთიერთობა მე-18 საუკუნეში გარკვეულ ინტერესს იწვევს. ეს საკითხი არა ერთხელ ყოფილა განხილული სპეციალურ ისტორიულ გამოკვლევებში. მაგრამ პირველი ელჩობა, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ გამართა სპარსეთში და აქ ელჩობაში მონაწილე ფრანგი ქალის, მარი პტის მოგზაურობა იმდენად უჩვეულოდ წარიმართა, რომ ეს ისტორიული მასალა ორი საუკუნის შემდეგაც კი შესანიშნავი თემაა ბელეტრისტული თხზულებისათვის. 1896 წელს, პარიზში ფრანგმა ავტორმა დე მოლდ ლა კლავიერმა გამოაქვეყნა წიგნი „ლუი XIV დეს-ბანის 1001 დამე“. თვით წიგნის სათაური მაგვითითებს აღმოსავლეთთან კავშირზე და წიგნში აღწერილ თავგადასავალთა უჩვეულობაზე. ამასთანავე ავტორი ერთი ნაბიჯითაც არ სცილდება ჭეშმარიტებას. იგი სათანადო წყაროებზე დაყრდნობით ზუსტად აღწერს ისტორიულ ფაქტებს.

ცნობილია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში საფრანგეთი ცდილობდა გაეფართოებინა სავაჭრო ქსელი და განემტკიცებინა თავისი პოზიცია აღმოსავლეთში. ამ მიზნით მე-18 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მთავრობა სპარსეთში აგზავნის ელჩობას, რომელსაც სათავეში უდგას კომერსანტი ჟან ბატისტ ფაბრი. ფაბრა ენერგიული, მაგრამ გაქნილი ავანტიურისტი იყო. იგი რამდენიმე წელიწადს კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა. აქ გაკოტრდა და იძულებული გახდა მევალებს გაქეოდა. პარიზში მან მოახერხა აღმოსავლეთის ღრმა ცოდნით განეციფრებინა ყველა. სწორედ ამის გამო მას მიანდეს დიპლომატიური მისია სპარსეთში. ფაბრის ცოლ-შვილი კონსტანტინოპოლში დარჩა, ფაბრი კი აღმოსავლეთში ახალგაზრდა

ფრანგ ქალთან, მარი პტისთან ერთად გაემგზავრა.

მთელი რიგი დაბრკოლებებისა და სიძნელების გადალახვის შემდეგ ელჩობამ 1706 წელს ერევანს მიიღწია. აქ ფაბრი მთულოდნელად ვარდაიცვალა. ამ ტრაგიკულ ვითარებაში გამაშვარავდა მარი პტის მტკიცე ხასიათი და არანვეულებრივი ენერჯია. მან იკისრა ფაბრის მისიის გაგრძელება და, როგორც საფრანგეთის პრინციპებსაც წარმომადგენელი, შაჰის კარზე გაემგზავრა. ამ დროს ფაბრის ნაცვლად კონსტანტინოპოლიდან ჩამოვიდა საფრანგეთის ახალი წარმომადგენელი ლუი მიშელი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა თავისი მეტოქისათვის. საფრანგეთში იგზავნებოდა ბრალდებები პტის წინააღმდეგ. უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, პტიმ თავისი გაიტანა: მიიღწია სპარსეთს, მიღებულ იქნა შაჰის კარზე და მხოლოდ თავისი მოგზაურობის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საფრანგეთში.

საფრანგეთში დაბრუნებისას მან გზად საქართველოში გამოიარა. კლავიერი წიგნში წერს, რომ მარი პტი ერევნიდან გამოემგზავრა 1707 წლის ივლისში. მას თან მოჰქონდა სარეკომენდაციო წერილები თბილისის მისიონერებთან. საქართველოში იგი კარგად მიიღეს, მრავალი სიძნელის გადალახვით დალილს მხოლოდ აქ მიეტა დასვენების საშუალება და აღარც თვითონ ჩქარობდა გზის გაგრძელებას. „გეგონებოდათ, ეს ქალი იმისათვის იყო დაბადებული, რომ კავკასიის მშვენიერი ცის ქვეშ ეცხოვრა“, — წერს ავტორი (გვ. 157). მარი პტის საქართველოში შეყოვნებამ მისი მოწინააღმდეგეები შეაშფოთა. მიშელმა ერევნიდან (სადაც იმხანად თვითონ იმყოფებოდა) თბილისში



ორი კაცი გამოაგზავნა საქართველოს უფლისწულთან, რომლის დახმარებითაც მათ უნდა დაეჩქარებინათ მარი პტის სამშობლოში გამგზავნება. წიგნში საქართველოს განმგებელი „ქართველ უფლისწულად“ იხსენიება; საუბარია ვახტანგ VI-ზე, რომელიც იმ ხანებში მხოლოდ მართავდა სახელმწიფოს გიორგი XI ნაცვლად, ამ უკანასკნელის სპარსეთში ყოფნის გამო. ასე რომ, კლავიერის წიგნში ნახბარი ტერმინი „ქართველი უფლისწული“ სინამდვილეს შეესაბამება და ამდენად გამართლებულია.

აღწერს რა თავისი გვირის საქართველოში ყოფნის ამბავს, ავტორი წერს „ღვთისმოსავი, თითქმის ასეკეტური სასახლის სუფთა და მშვიდი ატმოსფეროს შესახებ“. (გვ. 157). იმხანად საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობა მეტად დაძაბული იყო. ამიტომ „წყნარი ატმოსფერო“ საქართველოს სამეფო კარზე ვერ იქნებოდა. ამ ფრანგში ავტორი, როგორც ჩანს, ზახს უსევამს ქართლის სამეფოს თავისებურებას, კერძოდ იმ გარემოებას, რომ საქართველო ქრისტიანული რელიგიის ცენტრია მაშინდელი სხვა სამეფოებთან შორის. დასავლეთში კარგად იყო ცნობილი საქართველოს ბრძოლა ქრისტიანული რწმენის შესანარჩუნებლად, რადგან ეს იყო მისი დამოუკიდებლობისა და კულტურის საფუძველი. თავის დროზე მრავალმა ავტორმა აღწერა ქეთევან დედოფლის მოწამობრივი სიკვდილი. შესაძლებელია, მე-18 საუკუნის დოკუმენტებში ამოიკითხა კლავიერმა ვახტანგ VI ქება.

1707 წლის სექტემბერში მარი პტიმ დატოვა თბილისი. როგორც დე მოლდ ლა კლავიერა წერს, საქართველოდან ტრაპიზონამდე ფაშის ცოლმა მას რამდენიმე ქართველისაგან შემდგარი ამაღა გააყოლა. ფრანგულ ტექსტში ეს ფაშა იხსენიება, როგორც Padha de Kalsekie (გვ. 162). სხვა წყაროების დაუხმარებლად საკმაოდ ძნელი მისახვედრია, რომ ეს სახელწოდება ახალიციხეს უნდა აღნიშნავდეს. ასე, მაგალითად, ბროსე, რომელმაც პარიზის აზიური საზოგადოებას ეურნალში გამოაქვეყნა მასალები მარი პტის საქართველოში ყოფნის შესახებ. წერს: ჩვენმა გვირმა თბილისიდან ახალიციხემდე მიადგინა. იქ მისი ბედით დაინტერესდა ახალიციხის ფაშის ცოლი და მას გააყოლა მცირეხრიცხოვანი ამაღა (ეურნალ „აზიატიკი“, 1832, ტ. IX, გვ. 203-204). ტრაპიზონიდან მარი პტიმ დიდი ვაკირვებით მიადგინა კონსტანტინოპოლამდე. როგორც წიგნის ავტორი გვაცხობინებს, ამ მოგზაურობაში მას დიდად დახმარებია მისი თანხმლები ქართველი ოფიცერები.

სამშობლოში დაბრუნებისას მარი პტი თავისი მტრების ბრალდებით დაპატიმრეს. მისმა მოგზაურობამ აღმოსავლეთში, ელჩობამ სპარსეთ-

ში, თვითნებურმა პრინციპობამ დიდი აზროვნაური შექმნა და ზოგიერთი ფრანგი დიპლომატისა და აღმოსავლეთში მყოფი მისიონერების უკმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ მარი პტი მტკიცედ იცავდა თავს. ის წერდა წერილებს. სადაც ამტკიცებდა თავისი მოქმედების სისწორეს; თავის ვასამართლებლად მოჰყავდა ავტორიტეტული პირების წერილები, მათ შორის „ქართველი უფლისწულის“, ე. ი. ვახტანგ VI წერილიც. კლავიერის წიგნში ამ წერილის შესახებ მხოლოდ მოთხრობილია. თვით ვახტანგ VI წერილის ტექსტი ცნობილი იყო ფრანგი მეთხველისათვის ჯერ კიდევ 1832 წ. ბროსეს ნაშრომის მიხედვით. მან გამოსცა ამ წერილის ორიგინალი ფრანგული თარგმანის ცართვით. მარი პტი პატიმრობაშიც კი იქცეოდა საზოგადოების ყურადღებას. ინტერესი აღმოსავლეთისადმი ამ პერიოდში უფრო იზრდებოდა. ითარგმნება აღმოსავლური ზღაპრები; ფრანგი მოგზაური ქალის ბედიც ხომ ზღაპრის წაგავდა — და როგორც ფრანგი ავტორი წერს — ფრანგი ქალბი დიდი ყურადღებით ექვეყდნენ მას, ნახულებდნენ პატიმრობაში მყოფს და დიდი სიამოვნებით ისმენდნენ მის არაჩვეულებრივ მოთხრობებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მარი პტი გაამართლეს და გაათავისუფლეს. მინისტრ პონშარტრენის აზრით, ამ მოგზაურობის მასალები შესანიშნავი თემას წარმოადგენს რომანისათვის. ამიტომ მან ისინი გადასცა გამოჩენილ მწერარს — ლესავს. სამწუხაროდ, მწერარს ამ თემაზე რომანი არ დაუწერია, რადგან მოვლენები იმდენად ახლო წარსულს ეხებოდა, რომ მიუყვარებლად ამ ისტორიული ფაქტების განხილვა შეუძლებელი იყო. თუ კლავიერს კი უყვთესი ვითარება შეექმნა. მან თითქმის ორი საუკუნის შემდეგ დაწერა თავისი თხზულება. კლავიერს ჰქონდა შესაძლებლობა გულდამწვრდებით შეეფასებინა როგორც ელჩობის მონაწილეობა, ისე ამ ელჩობის მომწყობი ფრანგი დიპლომატების მოქმედება.

1715 წელს სპარსეთიდან საფრანგეთს საპასუხო ელჩობა ჩამოვიდა. კლავიერი ამაზეც წერს თავისი თხზულების ბოლოს. ელჩობის მოწყობაში მონაწილეობას იღებდა ფრანგი მისიონერი ჟან რიშარი. სპარსეთიდან რიშარს მოჰქონდა როგორც შაჰის დავალებები, ასევე იმ ხანებში სპარსეთში მყოფი ვახტანგ VI წერილები საქართველოში გადასაცემად და მასივე წერილობითი მიმართვა საფრანგეთის მეფისადმი. საქართველოს მეფის ელჩად საფრანგეთს რიშართან ერთად გაემგზავრა ვახტანგ VI ბიძა, სულხან-საბა ორბელიანი.

კლავიერის წიგნში პიროვნებები არ არის

ნათალია ორლოვსკაია

პილდვ მართი ცნობა საპარტოველოში

დასახელებული, მაგრამ ნათქვამია, რომ რიშა-
რი „ქართველი უფლისწულის“ ბიძასთან ერთად
გაემგზავრა კონსტანტინოპოლში“ (გვ. 216).
ამასთან ერთად ავტორი დაინტერესებულია
ქართველი ელჩის ბედით და გვატყობინებს,
დაქვრივების შემდეგ იგი წმიდა ბასილის ორ-
ღუნის ბერი გახდაო.

ცნობილია, რომ სულხან-საბამ, რომელიც
ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნის დროს ბერად
შეღვა, ევროპაში, კერძოდ, სან ბაზილიოს მონა-
სტერში მიიღო კათოლიკობა. ამიტომ დიპლო-
მატურ მიმოწერაში, რომელიც დაკავშირებუ-
ლია ქართველი ელჩის ევროპაში ყოფნასთან,
ის იხსენიება, როგორც წმ. ბასილის ბერი.
რასაკვირველია, კლავიერი ამ ცნობას წააწყდა
იქ დროის საარქივო მასალებზე მუშაობისას.
თვით სულხან-საბამს დიპლომატური მისია არ
შეეძინა ჩვენს მიერ განხილული წიგნის სფერო-

ში და ამიტომ ქართველი ელჩის მოგზაურობა
მოიხსენიება მხოლოდ აბაჯ რიშარის ხელნაწერში
ბასთან დაკავშირებით.

წინასიტყვაობის ნაცვლად წიგნში დაბეჭდი-
ლია გამოჩენილი ფრანგი რომანისტის ფრან-
სუა კოპეს წერილი. კოპე მადლობას უხდის
ავტორს მართალი და მომხიბვლელი თხზულე-
ბისათვის, რომელიც რომანივით მშვენიერია.
ის აღფრთოვანებულია ფაბრისა და განსაკუთ-
რებით მარი ბტის სახეებით.

მოლდ ლა კლავიერის წიგნი კარგი მავალითია
იმისა, თუ როგორ ეკიდებოდნენ მე-19 საუკუ-
ნის ფრანგულ ლიტერატურაში ისტორიულ
თემატიკას.

ნამდვილი ამბების ოსტატური გადმოცემა,
თხრობის ცოცხლად და ნათლად აგება წიგნს
საინტერესოს და თავშესაქცევს ხდის.



თომას მანი და ფრანც კაფკა

(თომას მანისა და ფრანც კაფკას მხატვრული მემოდიის
შეპირისპირებითი დახასიათება).

თომას მანი კლასიკური, ტრადიციული პროზისა და რომანის სფეროში გარკვეული კორექტივები შეიტანა, ფრანც კაფკამ კი პრინციპულად ახალი გამოშახველი საშუალებანი დანერგა ევროპულ ბელეტრისტიკაში. თომას მანმა ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნა ტრადიციული ეპიკური ფორმები, იმ დროს, როცა კაფკამ უნაშთოდ და რადიკალურად დაამსხვრია ძველი პროზის ესთეტიკისა და პოეტიკის ძირითადი კანონები.

თომას მანიცა და ფრანც კაფკაც ბიურგერული ეპოქის მიწურულის სულიერ, კულტურულ, ფილოსოფიურ, მსოფლმხედველობრივ და ა. შ. კრიზისს გამოსახვენი. ისინი არ გვიჩვენებენ სოციალურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ და ა. შ. სიტუაციებს. არც ერთის შემოქმედებაში არ ვხვდებით სოციალური ინსტიტუტების პირდაპირ, უშუალო კრიტიკას, მაგრამ მათ ამ სულიერი კრიზისის სხვადასხვა ასპექტები აინტერესებთ. დასავლელი, ბიურგერული ბუნებისაგან მოწყვეტილი, ადამიანის განმარტობა, გაუცხოება და გაუბედურება თანამედროვე ტექნიკურ-ცივილიზატორულ, მერკანტილურ-უტილიტარულ, მექანიზირებულ-უსაზოდეტყულ, კომფორტის გამადმერთებელ საზოგადოებაში — ეს კაფკას ასპექტია. ხელოვნება, რომელიც გაურბის ცხოვრებას და ცხოვრება, რომელიც გაურბის ხელოვნებას; ანდა, პაულ რილას სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი ხელოვნება და ხელოვნებისაგან მოწყვეტილი ცხოვრება — ეს არის თომას მანის ასპექტი (პაულ რილას სიტყვები ქართულად უფრო ზუსტად იქნებოდა: „ხელოვნებისაგან გაქცეული ცხოვრება“ და „ცხოვრებისაგან გაქცეული ხელოვნება“).

ორივეს შემოქმედება გამსჭვალულია დრმა

და ტრაგიკული მორალური პათოსით (მაგრამ ეს პათოსი ზედაპირზე ამოსული არ არის — ის სიღრმეშია) და ორივეს შემოქმედება წარმოადგენს ინდივიდუალიზმის, სუბიექტივიზმის, ეგოცენტრიზმის დაძლევის ცდას. ორივეს შემოქმედება — ეს არის ბრძოლა (რასაკვირველია, სხვადასხვაგვარად გამოვლენილი) მარტოხელა ადამიანისა საზოგადოებასთან, სხვა ადამიანებთან გაერთებისათვის, „მე-ს“ „ჩვენში“ გადასვლისათვის, ადამიანის ბუნების წიაღში დაბრუნებისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ კაფკას პალიტრა გაცილებით მკმუნებარე და მუფრია, ხოლო მისი სკეპტიციზმი გაცილებით რადიკალური, ვიდრე თომას მანისა. კაფკა გამოსახავს თანამედროვე ადამიანის ტოტალურ და აბსოლუტურ უმწეობასა და უსუსურებას ყოფიერების ყველა ასპექტში. კაფკას მესიმიზმი ფუნდამენტური და ყოვლისმომცველია.

თომას მანმა ნაწილობრივ, ხოლო ფრანც კაფკამ აბსოლუტურად, ფაბულას, სიუჟეტს, ამბავს, მომხდარს დაუკარგა ტრადიციული მნიშვნელობა და ფუნქცია და ყოველივე ამას სიმბოლურ-პირობითი როლი დააკისრა.

ამასთანა დაკავშირებული ფრანც კაფკას მიერ აბსოლუტური, ხოლო თომას მანის მიერ მხოლოდ ნაწილობრივი უარყოფა — უგულვებლყოფა ყოფიერების, „უარსულობის“, „ეთნოგრაფიკობის“ და ა. შ.

XX საუკუნის დასავლეთევროპული პროზისათვის დამახასიათებელია ემპირიული ნამდვილობის, ემპირიული ყოფითი სიზუსტის უარყოფა და პირობითობის, მკითხველთან თავისებური „შეთანხმების“ დადება. ნატალი საროტი კლასიკური რომანის პერსონაჟებს ცვილის თოჯინებს აღარებს, რომელთა ბუნებრიობა, ნამდვილობა მკითხველში სურვილს ბადებდა —

ხელით შეხებოდა მათ. ამის გამო კავკასია და თ. მანის შემოქმედებაში გამოსახული ქვეყანა მტრნაკლებად ასევეტური, „სტერილური“, აბსტრაქტულ-სტატიკური და ჰომეროსისეულ ფეოდალებს, სხვითა თამბის და სისავესს მოკლებულია (ფრანც კავკას შემოქმედებაში აბსოლუტურად გამორიცხულია ლანდშაფტი, თომას მანის ზოგიერთ ნაწარმოებში აქაიქ ვხვდებით ბუნების სურათებს, რომელთაც იშვიათად ნაქვთ თვითმარი მნიშვნელობა. ფრანც კავკას ნატურ-პორტრეტი კი არა აქვს. შემწინეულია, რომ კავკას ფერების გრანობა ნაკლებად ჰქონდა განვითარებული: ის მეტწილად კმაყოფილდება შემდეგი ზედსართავებით: „ბუნელი“ და „ნათელი“). ჰომეროსი, როგორც ჰინრიხ ბილი ამბობს, ევროპული ეპიკური ლიტერატურის მამამთავარი და თანამედროვე ბიუტგაურს პროზას კი — სწორედ ეს ჰომერული ელემენტი, ჰომერული „ეტიკამინი“ დააკლდა. მოდერნისტები სიუჟეტსა და მოქმედებას ატავისტურად მიიჩნევენ.

თომას მანსა და ფრანც კავკას თავის ნაწარმოებებში შეოპაქეთ ორი სინამდვილე, ორისიბერტე, ორი პლანი: გარეგანი და შინაგანი, ემპირიული და ფილოსოფიური, ფაქტობრივი და სიმბოლურ-ალეგორიული.

წინა, გარეგანი და ა. შ. პლანი ისაა, რაც მასლით, ფაქტურით, „ემპირიული“ ცოცხლად, უშუალოდ გვემსახურებს, ხოლო შინაგანი, ფილოსოფიური და ა. შ. სიბრტე ის არის, რა აზრით, რა მნიშვნელობაც, რა დატვირთვაც ენიჭება ამ ემპირიულ ფაქტებს. ეს თავისებური დულაიზმი დამახასიათებელია როგორც თომას მანისათვის, ასევე კავკასათვის. მაგრამ აქვე იღებს დასაბამს მათ შორის პრინციპული სხვაობა, რის შესახებაც შემდეგ ვიტყვით.

როდესაც მკითხველი თომას მანისა და ფრანც კავკას შემოქმედებას ეცნობა, მაშინვე რწმუნდება, რომ რაც მათ ნაწარმოებებში მოთხრობილია, ნათქვამია, გადმოცემულია, არ უნდა გავივით ისე (კავკას შემთხვევაში) ანდა მხოლოდ ისე (თომას მანის შემთხვევაში), როგორც მოთხრობილია, ნათქვამია და ა. შ. არ უნდა გავივით მხოლოდ პირდაპირი აზრით და მნიშვნელობით; ამ პირდაპირი ნათქვამის უკან სხვა აზრი, სხვა მნიშვნელობა იმალება, პირდაპირ მონათხრობში კიდევ სხვა რაღაც ანდა მხოლოდ სხვა რაღაც იგულისხმება, უშუალოდ ნათქვამი რაღაცის ნიშნავს, აღნიშნავს. — ეს არის თომას მანისა და ფრანც კავკას შემოქმედების „გადატანითობა“. მაშასადამე, აქ ორი სინამდვილე „მოქმედებს“: ერთი მხრივ, კონკრეტული, ყოველდღიური ცხოვრება, ფენომენების ქვეყანა, ემპირიული სინამდვილე, რეალობა, „ემპირია“; „გამოცდილების სფერო“ და, მეორე მხრივ, აზრის, მნი-

შენელობის, „შინაგანი“ სინამდვილის პლანი, ფენომენტა არის სამყარო.

თომას მანისათვის ნაწილობრივ, სწორედ ფრანც კავკასათვის აბსოლუტურად უცხოა სინამდვილის, ბუნების მიბაძვის, მიმსგავსების ტენდენცია — ე. ი. „მიმზისის“ მეთოდი. კავკას მთლიანად, თ. მანი ნაწილობრივ, ახდენს „ბუნების“, სინამდვილის „კონდენსირებას“, „დაკონცენტრირებას“, „დაკრისტალებას“; თვით ცხოვრებისავე ფორმებით კი არ გადმოგვეცემენ ცხოვრებას, არამედ ცხოვრებას გამოსახვენ თავისებური „აბრეჯატურებით“ და სიმბოლურ-ალეგორიებით (ხაზგამოთხეული უნდა იქნეს). თ. მანის შემოქმედებაში მთლიანად უგულებელყოფილი არ არის ბუნების „მიბაძვა“. კლასიკური რეალისტები ძირითადად „მიმსგავსების“, „მიბაძვის“ მეთოდით მუშაობენ. სინამდვილის მიბაძვა, ფართო აზრით და არა ნატურალისტური გაგებით, ნიშნავს ქვეყნის, ბუნების, ჩვენს გარშემო არსებული რეალობის ასახვას კონკრეტულ-გრძნობადი, ინდივიდუალური ნიშნებით, გრძნობადი გამოცდილების, გრძნობადი განცდილის რეპროდუცირებას).

კავკას მხატვრული სინამდვილე არ არის ნეიტრალი, საგნობრივი, მატერიალი — კავკას არ გამოსახავს ხილული სინამდვილის ფიზიკურ მოვლენებს — მისი მიზანია ქვეყნის, სინამდვილის აზრის, მნიშვნელობის, ღირებულების კონდენსირებული და დაკრისტალებული გადმოცემა.

ასე გვესახება დაახლოებით თომას მანსა და ფრანც კავკას შორის საერთო ხაზები, მაგრამ ამას იქეთ მნიშვნელოვანი, ზოგჯერ პრინციპული სხვაობა იწყება.

ფრანც კავკას შემოქმედებაში ეპიზოდები, ამბები, შემთხვევები ერთმანეთთან დაუკავშირებელია, გამქარაღი მიზნუ-შედგებობრივი და ფსიქოლოგიური მოტივირება, ამბები არ ლაგდება დროული და ეტიკული თანამდევრობით; თხრობას არა აქვს ეტიკურად წინმსწარმი განვითარება და დაძაბულობა, არა აქვს მიზნის შემცველი ურდები, არა აქვს ფაქტიურად არც საწყისი, არც ბოლო.

თომას მანის პროზას შენარჩუნებული აქვს (ძირითადად) სინამდვილის აღქმის მთლიანობა, მოქმედების წინმავალი (მართალია ძალიან მდორე და შეფერხებული) განვითარება. თომას მანის ნაწარმოებების კომპოზიცია მეტწილად მწყობრია და რაციონალურადაა აგებული. თომას მანის რომანებს არ ახასიათებთ ფრაგმენტულობა, დაქუცმაცებულობა, ესიკურულობა და უმთავრებლობა, კომპოზიციის ამორფულობა და მკვეთრი დისპროპორციულობა.

არ შეიძლება თომას მანის შემოქმედებაში ეპიკური ნაკადის, ეპიკური სისრულის, სიფართოვის და ტოტალობის უარყოფა, საპირისპიროდ თანადროული ევროპული ბურჟუაზიული



პროზისა და რომანისტიკისა; მაგრამ კლასიკური რეალიზმისაგან განსხვავებით, ეს არის არა იმდენად და უბირატესად მოქმედების, ამბის, ობიექტური პროცესების, მომხდარის ეპიკური სისტულე და სიფართოვე, არამედ სულში, „ფსიქეში“ ტრანსპონირებული სინამდვილის მრავალსიმოცველობა.

კავკას რომანებსა და მოთხრობებში კი ქვეყანა, სინამდვილე განცდილი და აღქმულია არა როგორც ერთიანობა, მთლიანობა, ურთიერთკავშირი, არამედ როგორც ერთიანეთთან დაუკავშირებელ შოვლენათა მექანიკური თავყრდობა. კავკას სამყარო დისპარმონიულია, ფრაგმენტული და ქაოტური.

თომას მანის ყველა ნაწარმოებში ბატონობს გარკვეული წესრიგი, გარკვეული კანონზომიერება, რაც იმითაა განსაზღვრული, რომ თომას მანი ობიექტურ სინამდვილეში ქაოსს, სრულ ანარქიას არ ხედავს; თუ კავკასათვის აბსოლუტურად უცხოა კუჭხალური თხრობა, თომას მანი მირითადად არ გამოდის კუჭხალური თხრობის ფარგლებიდან.

თომას მანის შემოქმედება აშკარად სიმბოლურია, კავკას ნაწარმოებები წმინდა სახით არც სიმბოლურია და არც ალგორითული. ისინი შეიცავენ როგორც სიმბოლიკის, ასევე ალეგორიზმის ნიშნებსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ თომას მანის ნაწარმოებებში ყოველი ემპირიული ფაქტი რაღაცას ნიშნავს, აღნიშნავს, რაღაცას მოიცავს იმაზე მეტს, რაც თვით მასში უშუალოდ გვეძლევა. მაგრამ ავტორის და მკითხველის ინტერესი არ არის მიმართული მხოლოდ იმისადმი, რასაც ეს ფაქტი აღნიშნავს, რასაც ის ასიმბოლოებს, არამედ თვით ფაქტისადმიც — ჩვენ ეს ფაქტი გვაინტერესებს თავისი ინდივიდუალური ნიშნებითა და თვისებებითაც. მაშასადამე, თომას მანის შემოქმედებაში დაახლოებით თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება „გარე“ და „შინაგან“ სინამდვილეს, ემპირიულ და ფილოსოფიურ პლანს, ფაქტობრივ და „გადატანით“ სიბრტყეს. ე. ი. მნიშვნელოვანია ის, რაც ემპირიულად, გრძნობად-კონკრეტული სახით გვეძლევა და ისიც, რასაც ეს გრძნობად-კონკრეტული საგანი ასიმბოლოებს (გულსიმბომა, აღნიშნავს, ნიშნავს). თომას მანის გამოსახაბი ობიექტი, ერთი მხრივ, არ ს ე ბ ო ბ ს, არ ის, მეორე მხრივ, ა ნ შ ნ ა ვ ს (რაღაცას, რამეს). თომას მანის ნაწარმოებს „შინაგანი“ პლანი რომ „გამოთფიშო“, ნაწარმოები, მართალია, გაღარბდება, მაგრამ მნიშვნელობას, ღირებულებას მთლად არ დაკარგავს, უპრობად არ იქცევა, „ცალი ფილტვით“ მინც იარსებებს (მაგალითად, „სასაფლაოს ვზაში“ ლობგოტ პიბზამისა და ევლოსიპედისტის შეხვედრას სიმბოლური აზრი რომ გამოეცალოთ, ნაწარმოები არ დაიშლება, მთლად არ დაიკლება შინაარსისაგან, ემპირიული პლა-

ნის მეშვეობით ნაწარმოები მინც „იცოცხლებს“).

ფრანც კავკას შემოქმედების შინაარსის „გადატანითობა“ ალეგორიზმს იმით უახლოვდება, რომ მასში ემპირიულ პლანს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ინდივიდუალურ თვისებებს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა, ხოლო, მეორე მხრივ, სიმბოლურობასთან საერთო ისა აქვს, რომ კავკას შემოქმედების ერთმნიშვნელოვანი ახსნა, „ამოხსნა“, „გასაღების მორგება“ შეუძლებელია — ის მრავალმნიშვნელოვანია, შინაარსის გაფართოების საშუალებას იძლევა და ა. შ. კავკას ნაწარმოებს გადატანითი აზრი და მნიშვნელობა რომ ჩამოეპრობოთ, მაშინ ეს ნაწარმოები მთლიანად დაიკლება შინაარსისაგან, დაკარგავს საერთოდ ყოველგვარ მნიშვნელობას და იქცევა აუხსნელ უაზრობად. კავკას მიერ გამოსახული სავანი, ის, რაც ჩვენ უშუალოდ გვეძლევა, არ არსებობს, არ არის, ის მხოლოდ ნიშნავს, აღნიშნავს (რომელიმე სულიერ სიტუაციას). მაგრამ ყოველი დეტალის, ყოველი სიტუაციის დაყვანა თავის საწყისამდე, თავის ნამდვილ აზრსა და მნიშვნელობამდე შეუძლებელია. ალბერ კამიუ მართლად შენიშნავდა, რომ აზრი არა აქვს, საჭიროც არ არის კავკას ნაწარმოებში ყველადრის ამოხსნა-გამოფრევა, ყოველი წერილმანის სიმბოლურობა-ალეგორიულობის ზუსტი დადგენა. მაგალითად, მართლაც შეუძლებელია ზუხტად თქმა იმისა, თუ რა ივლუსხმება იოხუკ-ის ლენისთან („პროცესი“) ანდა კ-ის ფრიდასა თუ ოლგასთან („კოშკი“) ეროტიულ ურთიერთობაში.

სიმბოლო-ალეგორიების მთელი სისტემა, მათი ერთობლიობა შეესაბამება გარკვეულ სულიერ სიტუაციას.

კავკას პერსონაჟებს, მისი შემოქმედების სწორედ ალეგორიული ელემენტის მეოხებით, არა აქვთ რეალობა, გრძნობად-კონკრეტული, ემპირიული არსებობა, არა აქვთ სინამდვილე; მათ აქვთ მნიშვნელობა, მნიშვნელოვანება, წარმომადგენლობითობა. თომას მანის პერსონაჟებს აქვთ სინამდვილაც და ამავე დროს მნიშვნელოვანებაც. კავკას პერსონაჟები, მაშასადამე, ხასიათები არ არიან; ეს კიდეც ცოტაა, ისინი ტიპებიც კი არ არიან. ისინი არ არიან ფსიქოლოგიურად დახასიათებულნი (მათ არა აქვთ ინდივიდუალური ფსიქოლოგია). მოკლებულნი არიან ინდივიდუალურ თვისებებს და ნიშნებს. ავტორი არ აღწერს მათ გარეგნობას, მათ ჩაცმულობას და საერთოდ, მათ ჰაბიტუსს. ჩვეულებრივ, არ ვიცით არც მათი ეროვნება, ზოგჯერ არ ვიცით პერსონაჟის არც სახელი და

ნოდარ კაკაბაძე

თომას მანი და ფრანც კავკას

არც გვარი — ვიცნობთ მხოლოდ ინიციალებით (არ ვიცით არც რობერტ მუზილის „უთვი-სებო კაცის“ მთავარი მოქმედი პირების ულ-რაიბისა და აგატეს გვარი); ამიტომ მეთხველის წარმოდგენაში ისინი არ შემოდინან პლასტიკურ ენი გამოკვეთილობით. კაფკას ანტიტრეპებს არა ის თავისებურებანი, რაც გააჩნიათ ამა თუ იმ კლასის, ფენის, სახელმწიფოს, ეროვნების და ა. შ. ადამიანებს, არამედ ის, რაც საერთოა ყველა თანადროული ადამიანისათვის — ე. ი. ზოგადადამიანური. კაფკას ადამიანები წარ-მოდგენენ, თუ შეიძლება ასე თქვათ, ადამი-ანის სტრუქტურამდე, მოდელამდე დაყვანილ ადამიანებს, ხორცშემოცილი ჩონჩხებს — კაფ-კას პერსონაჟებს არა აქვთ ემპირიული და ფსიქო-ფიზიკური ინდივიდუალობა (ყველაფ-რის სტრუქტურამდე, მოდელამდე დაყვანა-აბ-სტრაქტურება საერთოდ თანამედროვე პურფუ-ზიული ხელოვნების ტენდენცია).

ფაქტია, რომ მეთხველი არ ახდენს კაფკას პერსონაჟებთან საკუთარ თავის იდენტოფიცი-რებას — კაფკას პროზისათვის არ არის დამა-ხანათებელი ამ აზრით, „ილუზიონიზმი“ და „იდენტოფიაცია“. მეთხველი აღარ თანავანიც-დის კლასიკური პროზის მეთხველივით, პერ-სონაჟების სიტუაციებს, კონფლიქტებს, კოლი-ზიებს, სიხარულსა და ტანჯვას.

კაფკა თავის ნაწარმოებებში არ აკონკრე-ტებს არც ავტორს და არც დროს. შეინიშნება მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი, როცა აღ-ნიშნული გარკვეული ქვეყანა, მაგრამ „ამერი-კაში“ გამოსახული ამერიკა ანდა ზოგი-ერთ შოთხრობაში დასახლებული ჩინეთი არ არის რეალური, ემპირიული ამერიკა და ჩინეთი. კაფკამ არ იცის, არც ანტიტრე-რებს ამერიკის გეოგრაფია, შეუძლებელი უშ-ვებს ნიუ იორკის გარეუბნების ტოპოგრაფიაში; მცდარად აღნიშნავს სან ფრანცისკოს მდებარე-ობას; ნიუ იორკის თავისუფლების ქანდაკებას კაფკა მახვილს აჭერინებს ხელში ჩირაღდნის ნაცვლად და ა. შ. კაფკას არ ანტიტრეებს ლო-კალური კოლორიტი, ეროვნული, ეთნიური, გეოგრაფიული სპეციფიკა, ამა თუ იმ ერის ხა-სიათი და ფსიქოლოგია (აქ ერთმანეთს ზედე-ბიან კაფკა და ბრეტკტი). კაფკას ადამიანის მო-დელი „მოქმედებენ“ საღდად და ოდესღაც.

პლასტიკურად გამოუკვეთილი და მხოლოდ სილუეტებად მოხაზულნი არიან ჯოისის „ულის-სის“ პერსონაჟებიც; არც სტივენ დედალისი და არც ლეოპოლდ ბლუმი ხასიათები არ არი-ან, მათი „ნატურალისტური“ და „ბიოლოგიურ-ი“ აღწერის მიუხედავად. მაგრამ კაფკას პერ-სონაჟები მინც უფრო არიან ინდივიდუალური ნიშნებისაგან განმარტულნი, ვიდრე ჯოისის მო-ქმედი პირნი. ჯოისის პერსონაჟები ირლანდიე-ლები არიან, ისინი აღჭურვილნი არიან გარ-კვეული ეროვნული კოლორიტით; ამას გარდა,

ისინი მთლად მოკლებულნი არ არიან ინდი-ვიდუალურ ფსიქოლოგიას. ჯოისის პერსონაჟე-ბი მოქმედებენ „ატმოსფერულ“ და „კონკრეტ-რიტულ“ დუბლინიში, კონკრეტულ, ვგვაქტუ-რად აღწერილი ქალაქში, თუმცა მას კოსმიური, უნივერსალური და სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება (დამახასიათებელია ჯოისისეული დუბ-ლინის გამო ასეთი ნათქვამი: დუბლინი რაიმე მიზეზის გამო რომ დინგრეს, მისი აღდგენა „ულისის“ მიხედვით იქნებოდა შესაძლებელი, ისეთი უსტილი და ზედმიწევნითაა ჯოისის რო-მანში ამ ქალაქის ტოპოგრაფიით).

თომას მანის პერსონაჟი ერთდროულად ტი-პიცია და სიმბოლოც. შესაძლოა, კლასიკური რეალიზმის თვალთახედვით, თ. მანის ადამი-ანები ფერმკრთალ, სუსტად მოხაზულ ტიპებს წარმოადგენენ, მაგრამ არსებითად ისინი ინ-დივიდუალური თვისებებით აღჭურვილი ადამ-იანებია, რომელთაც ვხედავთ, ვუსმენთ, შე-ვიგრძნობთ (ამ მხრივ საინტერესოა კაფკას და თომას მანის ამერიკელი ქალიშვილების — კლა-რას — „ამერიკა“ და იმა სპოლმანის — „სამედიკო უნივერსიტეტი“ შედარება).

თომას მანის პერსონაჟებს გაცილებით მეტი აქვთ ეპოქალური, ისტორიული, კლასობრივ-სოციალური, ემპირიული ნიშნები, ვიდრე კაფ-კას ადამიანებს.

კაფკა ახდენს სულიერი პროცესების, სი-ტუაციების, კონფლიქტების, კოლიზიების და ა. შ. გასაგნებას, გასხულებას, გამატრიულე-ბას, განიფთებას. ხდება ადამიანის შინაგანი ცხოვრების ობიექტივაცია, ე. ი. კაფკა არ აღ-წერს თავისი გმირის გრძნობებს, ფიქრებს, აზ-რებს, არამედ ამ ფიქრებს, გრძნობებს და ა. შ. ასხულებს, ამატრიულებს და მათ უქ-მისს „თვავდასავალს“, მათ „ამოქმედებს“. და ეს ობიექტივირებული შინაგანი სამყარო უპი-რისპირდება თვით გმირს, როგორც მისთვის უცხო, მტრული სინამდვილე (ასე მაგალი-თად, „პროცესში“ იოზეფ კ-ს შინაგანი სუ-ლიერი პროცესი გარდაქმნილია, „გდაყვანი-ლია“ გარეგან, ობიექტურ, საშინელ სინამდვი-ლედ, რომელიც სასამართლო პროცესის სახით ვლინდება). კაფკას გმირები საკუთარი შინე-განი სამყაროს წინაშე ისე დგანან, როგორც უცხო საგნობრივი, ობიექტური სინამდვილის წინაშე, რომელიც გაკვეთებით ემტრება მათ. კაფკას შემოქმედებაში გამოსახული სინამდვი-ლე არ არის ობიექტურად არსებული რეალ-ობა, იგი არის მწერლის (ანდა: გმირის; აქ ეს სულერთია) შინაგანი სამყაროს თავისებური პროექცია (კაფკას ეს სპეციფიკა ყველაზე გა-მოკვეთილად ვილკემ ემირკმა დაადგინა).

ამდენად, მე ვფიქრობ, კაფკას მიმართაც გა-მოდგება ჰაიმიტო დოდერერის ნათქვამი ჯოის-ზე, რომ ის საკუთარ ჭაში თევზაობს (იხ. ჰაი-მიტო დოდერერი, რომანის საფუძვლები და



ფუნქცია, ნიურნბერგი, 1959, გვ. 36). თომას მანი მხოლოდ საკუთარ ქაში არ თევზაობს. აქვე შეიძლება გავისვენოთ იმავე დოღერების იქვე გამოთქმული აზრი მუხზუნზე, რომ ეს მწერალი ობიექტურ სინამდვილეს, მატერიალურ სამყაროს აბსოლუტურად თქვეფს აზრში. თომას მანი ნაწილობრივ „ააზრებს“ სინამდვილეს, ნაწილობრივ ინარჩუნებს ხილული ქვეყნის სიმშვენიერეს.

ფელიქს ველჩმა საინტერესო გარემოება აღნიშნა: ის, რასაც კაფკა სულიერი პროცესების, სულიერი სიტუაციების გამოსახვად საშუალებად იყენებს, შემდეგ თავისებურ წინასწარმეტყველებად შემობრუნდა. მაგალითად, „პროცესში“ გამოსახული სიტუაცია (იოზეფ კ.-ს უმიზნო დაბატონება) შემდეგ ნაცისტების ბატონობისას ჩვეულებრივ რეალობად იქცა.

თომას მანი და ფრანც კაფკა ურთიერთსაპირისპირო გზებით მიდიან: თომას მანი საგნიდან, საგნობრიობიდან მიდის სულიერ-ინტელექტუალურ კოლიზიამდე; და მის შემოქმედებაში სულიერი, ინტელექტუალური კონფლიქტი ძირითადი ობიექტური სინამდვილის „გამომახილია“. ხოლო კაფკა, პირიქით, სულიერი მოძრაობიდან მიდის საგნამდე, სინამდვილემდე და ისიც არა რეალურ, ემპირიულ, არამედ ფიქტიურ სამყარომდე, რაც გამოყენებულია სულიერ პროცესის გასაგნობრივება-ობიექტივირებისათვის.

იქმნება მეტისმეტად უცნაური სიტუაცია: ერთი მხრივ, კაფკას სამყარო მთლიანად გამოთიშულია რეალური, ობიექტური სინამდვილისაგან; იქ სულ სხვა კანონები მოქმედებენ, ძალაშია სხვა ვანზომილებანი და დრო და ა. შ.

მაგრამ მეორე მხრივ, კაფკა სულერ სიტუაციას, შინაგან სამყაროს აინტენსიურებს, ატრისტალებს საგნებით, ადამიანებით, ცხოველებით, მწერებით და ა. შ., თუმცა ამ მოჩვენებით ემპირიულ მასალას არა აქვს ემოციურ-ფსიქოლოგიური შინაარსი და ინდივიდუალურ-კონკრეტული განუმეორებლობა — ესენი უფრო სტრუქტურები, მოდელბები, „წმინდა“ ფორმებია, რომელნიც არ შეესაბამებიან ჩვენს ადამიანურ წარმოდგენებს და გამოცდილებას; მათი „საქციელი“ ალოგიკური, პარადოქსული, აბსოლუტურად უჩვეულო და ემპირიულად აუხსნელია.

ფრანც კაფკას ზემოთ დახასიათებულ თავისებურების გასათვლასაინიოებლად ავიღოთ ერთი მაგალითი. ასეთ მაგალითად გამოგვადგება მოთხრობა — პარაბოლა „მეტამორფოზა“.

როგორც ცნობილია, ამ ნაწარმოების გვირი გრეგორ ზამზა იქცევა მწერად. ასეა ემპირიული, გარეგანი პლანის მიხედვით. მაგრამ, როგორც აღნიშნეთ, კაფკასათვის გარეგანი, ემპირიული პლანი ფიქტიური, პირობითია. გრეგორ ზამზა მართლა მწერად კი არ იქცა, არამედ ამას მხოლოდ სიმბოლურ-ალეგორიული ფუნქცია

ეკისრება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ „მეტამორფოზის“ I გამოცემას (1926) წ. ყდაზე ახატია (მხატვარი — ოტომარ შტრაკე) არა მწერი, არამედ ასალგაზრდა აკაცია, რომელსაც შლადერკნი აცვია და ფეხი ფლოსტებში გაუყვია. სასოწარკვეთილს ხელები სახეზე მიუფარება და უკან იხევს (თითქოს კარებიდან მეორე ოთახში გასვლისა ეშინავა). ოტომარ შტრაკეს სწორად წაუკითხავს კაფკა. დარჩენილი კაფკას წერილი კურტ ვოლფისადმი, „მეტამორფოზის“ I გამოცემისადმი, რომელშიც მწერალი კატეგორიულად მოითხოვს, ყდაზე მწერი არასგზით არ დაახატინოთ. მოთხრობაში კი პირველივე სტრიქონიდანვე ზამზა მწერად გვევლინება: მაშასადამე, გრეგორ ზამზას მწერად გადაქცევა შეიძლება გავიგოთ. მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლურ-ალეგორიული შრით. საქმე ის არის, რომ ზამზას ნამდვილად არც ეჩვენება, რომ მწერად გადაიქცა, ე. ი. ეს არ არის ფსიქიკურად დაავადებულის პალეცინაცია, გრძნობის მცდარობა — ეს არის საშუალება, თავისებური მეტაფორა, რომლითაც „გამავნობრივებული“, „გამატერიალურებული“ ზამზასადმი ოჯახის, გარემოს, სხვა ადამიანების უსიყვარულობა, გულგრილობა, სიუცხოვე, უგრძნობელობა და ა. შ. მწერობა, მწერად ქცევა თავისებური ალეგორია — სიმბოლოა, რომლის უკან დგას ცივი, უცხო, უგრძნობელი გარემოს დამოკიდებულება ადამიანისადმი, რომელსაც ისე ექცევა, როგორც საზოგადო ლორწოინა მწერს. ე. ი. ადამიანი კი არ არის ამ შემთხვევაში საზოგადოარი მწერი, არამედ სხვა ადამიანების, ქვეყნის, საზოგადოების მიმართება მისდამი არის ისეთი, როგორც ჩვენ ჩვეულებრივ გვაქვს ხოლმე პარაზიტებისადმი, უსარგებლო, გულისამრევი ხოქოსადმი. მაშასადამე, „მეტამორფოზაში“ ადამიანის მწერად ქცევის მეშვეობით დაკარსტალებულია თანადროულ სამყაროში ადამიანის სიმარტოვისა და იზოლირების, ადამიანის ზედმეტობისა და გაუფასურების სიტუაცია. მწერალს მწერი თავისთავად არც აინტერესებს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლოს შერჩევა არ არის შემთხვევითი და თვითნებური. კაფკა აქ მწერის ნაცვლად ლომს ანდა არწივს ვერ გამოიყენებდა. მწერს აქვს თავისთავად შესაბამისობა გასასიმბოლოებელ სულიერ სიტუაციასთან.

სხვა მწერლებიც გამოხატავენ თანადროულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მარტოობის, გაუცხოების (თვითგაუცხოების), იზოლირების და ა. შ. სიტუაციას, მაგრამ ეს მწერლები, მათ შორის თომას მანიც, ამას პირდაპირ აღწერენ, უშუალოდ ახასიათებენ, თვით ამ განცდის მასალოთვე გადმოგვცემენ.

წოდარ კაპაბაძე

თომას მანი და ფრანც კაფკა

რობერტ მუზილი, მაგალითად, თავის გიგანტურ დაუმთავრებელ რომანში — „უთვისებოკაცი“ — წერს: „ბევრი წინასწარმეტყველებდა ევროპული კულტურის აღსასრულს, რადგან აღამიანებში აღარ იყო რწმენა, სიყვარული, უმშულობა, სიკეთე...“ (იხ. რობერტ მუზილი, უთვისებო კაცი, გვ. 40). კაცკაც დაახლოებით ამ სიტუაციას გამოსახავს, მაგრამ არასოდეს ამას ასე პირდაპირ არ ამბობს. აღამიანი რომ განმარტობებულია, ამის გამოსახატავად კაცკაც, მაგალითად, თხუნელას გვიჩვენებს სოროში და იწყებს პირდაპირ თხუნელაზე ლაპარაკს, ისე, რომ აღამიანს არსად არ ახსენებს არც თავში, არც ბოლოში, მაგრამ მოთხრობას თავიდან ბოლომდე გასდევს აზრი (ამას მკითხველი უნდა მიხედვს): აღამიანი თხუნელასავით იზოლირებულია.

მაშასადამე, კაცკაც თავისებურ მეტაფორებს იყენებს. კაცკაც არასოდეს არ იტყვის, რომ ესა და ეს პერსონაჟი მარტოხელაა, გაუცხოებულია და ა. შ., არამედ ამისათვის თავისებურ პარაბოლას და მეტაფორას გამოიყენებს. „მეტამორფოზაში“ კაცკაც ამბობს: აღამიანს ისე ექცევიან, როგორც მწერს, ანდა აღამიანი სხევისაგან, ოჯახისაგან, გარემოსაგან ისეთ სიუცხოვეს, გულგრილობას, მარტოობას გრძნობს, თითქოს საზოგადოარი მწერი იყოს, მაგრამ კაცკაც „როგორც“-ს და „თითქოს“-ს შლის, გამოტოვებს, ოღონდ გულისხმობს, და ვიღებთ ახალ ვითარებას: აღამიანი მწერი ია. ეს არის დაკონსტრუქციული, კონცენტრირებული, „შენივთული“ გამოხატება მარტოობის, იზოლირების სიტუაციისა, რომელსაც თუ გავშლით, მივიღებთ: აღამიანი მწერივით უმწეოა და ბედის ანაბარა მიგდებული.

კაცკაც პირად საუბარში მარტოობის შესახებ ასე ლაპარაკობს: „დიხ, აღამიანი უნდგეშოა, რადგან მასების მზარდი პროცენტის დროს, ის ყოველ წუთში კიდევ უფრო განმარტობული ხდება“ — ე. ი. აქ პირდაპირ ახასიათებს მარტოობის სიტუაციას, ხოლო მხატვრულ ნაწარმოებში ამავე ვითარებას მწერის ანდა თხუნელის სახით „აკონსტრუქტებს“.

დაახლოებით იგივე ურთიერთგაუცხოება ოჯახის წევრთა შორის გამოსახული აქვს რობერტ მუზილსაც „უთვისებო კაციში“, მაგრამ შედარებით ტრადიციული ხერხების გამოყენებით. აქ დამმა ერთმანეთს ხეირიანად არც კი იცნობს, ერთმანეთს წლების განმავლობაში არ ნახულბენ და არც წერილებს სწერენ. მამის გარდაცვალება მათში მცირეოდენ მშუხარებასაც არ იწყებს და ა. შ.

კაცკაცს სინამდვილისათვის დამახასიათებელია ემპირიული ალოგიზმი, ანუ სიზმრის ლოგიკა, რაც ფაქტიურად ულოგიკობას უდრის. აქ არ მოქმედებს ემპირიული სინამდვილის კანონზო-

მიერება, დარღვეულია ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის და ა. შ. კანონები. თომას მანის სამყაროში ემპირიული კანონები დევილის არც ერთი კანონი არ ირღვევა (პირობითობის, სიმბოლოების, პრაპორციების გარკვეული შეცდომის, მასალის დეფორმაციის და ა. შ. არსებობა ამ დებულებას არ უარყოფს). რაციონალისტი თომას მანი ცდილობს ყველაფერში ლოგიკურობა, სიმწყობრე, სინათლე, კანონზომიერება შეიტანოს.

კაცკაცს ნაწარმოებებში ავტორი და მასალა, ავტორი და პერსონაჟი, მოხრობული და სათხრობი გვერთიანებულია, შერწყმულია, მათ შორის არ არის დისტანცია.

თომას მანისაგან განსხვავებით, კაცკაცს ნაწარმოებებში არ იტრება ესეიზმი, შინაგანი მონოლოგები, განსჯები, ვრცელი რეფლექსიები და კომენტარები. თომას მანი მოხრობულსა და სათხრობს შორის ყოველთვის ტოვებს მანძილს, პერსონაჟებს გვერდით მიჰყვება, მათზე მსჯელობს, მათ საქციელს კომენტარებს ურთავს, ავსებს, „ეთამაშება“ პერსონაჟებს, იყენებს მათ მიმართ ჰუმორს, ირონიას; არა-იშეიათად თ. მანი ესეუბრება მკითხველს და ა. შ.

თომას მანის რომანებში ჩართული მედიტაციები, ე. ი. ესეიზმი კი არ აჩქარებს მოქმედებას, ე. ი. ყოველივე ამას კი არ აკისრია ის ფუნქცია, რასაც „ამის პრაგმატიკის“ უწოდებენ, არამედ, პირიქით, თ. მანის ესეიზმი ანელებს, აფერხებს, აყოფნებს ამის, მოქმედების განვითარებას, რასაც „მოქმედების რეტარაცია“ („მოქმედების შეფერხება“) ჰქვია. თ. მანის ნაწარმოებებში ამავე, მოქმედება ზღაპრით, მდორად მიემართება წინ.

ფრანც კაცკაცისათვის აბსოლუტურად უცხოა თომას მანისეული ჩარევა თხრობაში.

მართალია, თ. მანის რომანებში მოხრობული აღარ არის ისეთივე „უმალღესი ინსტანცია“, ისეთივე აღმტებული ეპიკოსი, როგორც იყო თუნდაც ზალზაკი, რომელმაც ყველაფერი იცოდა თავისი გმირებისა და მათი ცხოვრების შესახებ; მაგრამ თ. მანის მოხრობული არც ისეა გათქვეფილი და გათანაბრებული პერსონაჟებთან ანდა ნაწარმოების მასალასთან, როგორც ფრანც კაცკაც. თომას მანის ნაწარმოებებში მეტ-ნაკლებად ყველგან იგრძნობა მოხრობულის წარმმართველი, მომწესრიგებელი ხელი.

არც თომას მანისა და არც ფრანც კაცკაცს პირობა და რომანისტიკა აღარ არის შთაგრძნობის, თანამდობისა და თანაგანცდის ბელეტრისტიკა. თანამდროვე რომანი მკითხველისაგან, ისევე როგორც ბრეჰტის დრამა, მოითხოვს კრიტიკულ, სკეპტიკურ მიდგომას.

დაახლოებით ასე გვესახება თანამდროვე დასავლური ბიურგერული პროზის ორი განშტოების თავისებურება თომას მანისა და ფრანც კაცკაცს შემოქმედების გათვალისწინებით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მივიწყებული ლექსი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფულ ლექსთა კრებულებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციის კრებული № 1115, რომელიც ბარბარე იაკობის ასულ ერისთავის საკუთრებას შეადგენდა.

ხსენებულ კრებულში ლექსები ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ სხვადასხვა დროს არის დაწერილი. ზოგიერთ ლექსში სტრიქონები, სიტყვები წაშლილა, შესწორებული და შეცვლილია.

ერთი სიტყვით, ეს კრებული ბარათაშვილის სამუშაო რვეულია.

დასახელებული კრებულის მეექვსე გვერდზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით ჩაწერილია ორსტრიქონიანი ლექსი, რომელიც სხვაგან არსად არ გვხვდება.

იმის გამო, რომ კრებულში მოთავსებული ლექსები 1843 წელს ზევით არ თარიღდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვემოთოყვანილი ლექსი, რომელსაც პირობითად „კავკასს“ დავარქმევთ, 1843 წლის შემდეგ არ უნდა იყოს დაწერილი.

ხსენებული ლექსი „კავკასზე ლაშქრობის“ ლექსთა ციკლს მიეკუთვნება. ის მეცხრამეტე საუკუნის ორმოციანი წლების დასაწყისს უნდა იყოს დაწერილი, იმ დროს, როცა, თვითონ ბარათაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, შამილის წინააღმდეგ მებრძოლმა ქართველთა „მილიციამ... ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დაიგდო მთელს მხედრობაში“.

ამ ლექსის მიხნევა ბარათაშვილის ლექსის—„ომი საქართველოს თავდაზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს, მძღვანებლობასა ქვეშე ლუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“-ს ნაწილად არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ „კავკასი“ 14 მარცვლიანი ლექსითაა დაწერილი, „ომი საქართველოს თავდაზნაურ-გლეხთა...“-16 მარცვლიან შაირით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ქვემოთ მოთავსებული ავტოგრაფული ლექსი აკად. ე. თაყაიშვილმა მოიყვანა თავის წერილში „ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები“ (ნ. ბარათაშვილი, 1922 წ. გვ. 131).

ეს იყო და ეს, მერე მასზე არსად ჩქამი აღარ დაძრულა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერების დღემდე არსებულ გამოცემათა რედაქტორებს ე. თაყაიშვილის ხსენებული ნაშრომი ყურადღების გარეშე დარჩათ და ამიტომ ეს ლექსი ბარათაშვილის ლექსთა კრებულში არ მოხვდა.

გავეცნოთ ამ ლექსს. ტექნიკური მოსაზრებით სტრიქონებს ვტეხნავთ:

* * *

მოახლებულა აღსასრული
შენიც კავკასო,
თვალ ხარბო გმირო, გულ უმაძღროვ,
ბერო კაპასო.

დღეიდან ეს ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა კრებულებში უნდა შევიდეს.

იხმა ლორთქიფანიძე

ნაბახვევის ძველის დათარიღებისათვის

საყოველთაოდ აღიარებულ მხატვრულ ძეგლებთან ერთად საქართველოში შემორჩა ისეთებიც, რომელნიც არ არიან ფართოდ ცნობილი, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის. ასეთ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება ნაბახტევის მონასტრის კედლები, რომელიც ამჟამად საშუალო ზომის კოხტა ეკლესიის სოფელ ნაბახტევის ზეით გორაკზე (გომიდან 10-12 კმ-ის დაშორებით, მდ. ალისწყლის ხეობაში).

ნაბახტევის ეკლესია სურთომოდერული თვალსაზრისით არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ძეგლს. ესაა დარბაზული ტიპის ნაგებობა (ძეგლის ანაზომები ეკუთვნის არქიტექტორ თ. ქარუმიძეს), შინაშენებით სამხრეთ და დასავლეთ მხარეს, რომლის მსგავსი მრავალი მონაძეებია საქართველოში. ერთადერთი უჩვეულო არქიტექტურული დეტალია საკურთხევლის წინ აღმართული ყრუ კედელი, რომელიც მთლიანად ფარავს მკურთხევისაგან საკურთხევლის ჩრდილოეთ ნაწილს, სამხრეთით კი ტრიუმფალურ თაღში გადადის (ნაბახტევის ხუროთმოძღვრული ძეგლი შეისწავლა და მე-14, მე-15 საუკუნეების მიჯნით დათარიღდა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ი. გომელაურმა).

საუკუნეთა მანძილზე ნაბახტევის ეკლესია ძალიან დაზიანდა; ჩამოინგრა სახურავი, დაინგრა შინაშენები; მხატვრობით დაფარულ კედლებს ათეული წლების განმავლობაში ათოვდა და აწეიმდა; ამის გამო მონასტრობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა.

ნაბახტევის კედლის მხატვრობა შესვლის-

თანვე ხიბლავს მნახველს დახვეწილი ფერადონებით, ღია, ნათელი კოლორიტით, ფერთა უჩვეულო, სადაფისებური ეფერადობით.

ჭეროვნად აფასებდა რა ამ მხატვრობას, მის მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიაში, ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1916 წელს წერდა: „ნაბახტევის ეკლესიის კედლის მხატვრობა უკიდურეს განსაცდელშია და უკვე საგრძნობლად არის დაზიანებული. ხოლო რაჟი ეკლესიას ჭერი აღარა აქვს და წვიმა აფუჭებს, მხატვრობა ახლო მომავალში შეიძლება მთლად ჩამოცივდეს კიდევ, როგორც იქ უკვე ჩამოცივებულია აღექსანდრე მეფეთმეფისა და მისი თანამეცხედრის სურათების მომეტებული ნაწილი, ან როგორც ქუცნა ამირჯიხის მთელი ქვედა ნაწილია ჩამოცილი“ („ძეგლის შეგობარი“, კრებული № 7, 1966, გვ. 47).

ერთხანს გამიზნული იყო ეკლესიის ხელახლა გადახურვა, მაგრამ ვინაიდან არსებობდა უფრო მნიშვნელოვანი ძეგლები, რომლებიც არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში იყო, ამიტომ ეს ვერ მოხერხდა. ივ. ჯავახიშვილისა და ე. თაყაიშვილის ინიციატივით საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ და ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგებამ 1916 წელს ნაბახტევეს გაგზავნა მხატვრები: ლ. გუდიაშვილი, გ. ერისთავი, მ. თოიძე, მ. ჭიაურელი, დ. შვედარდანიძე, რომელთაც გადაეცა პირები თითქმის ყველა შემორჩენილი კომპოზიციიდან. უფრო გვიან ნაწილი ნაბახტევის მხატვრობისა ჩამოხსნეს და მუზეუმში გადაიტანეს (დღეს ნაბახტევის მხატვ-



რობის ფრაგმენტები და პირები საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული: ფრაგმენტების ნაწილი გამოფენილია, მეტი წილი და პირები კი ფონდებში ინახება). რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ აუცილებლობით ნაკარნახევი ღონისძიება იყო, ვინაიდან ცნობილია, რომ საშუალო საუკუნეების „ეკლესიის დღევანდელი თავის უმაღლეს თვისებებს ამკლავებებს მხოლოდ საკუთარ გარემოში, იმ სივრცეში, რომელშიც და რომლისთვისაც იგი არის შექმნილი“ (ო. დემუსი). ჩვეულ გარემოს მოკლებული კედლის მხატვრობა კარგავს ბევრს, თავისთვის აუცილებელ კომპონენტს — იცვლება მასშტაბი, განათება, ირღვევა პროპორციები, მოხატულობის როლი ინტერიერში განყენებულად წარმოსადგენი რჩება. მაგრამ ნაბახტევის საკუთრების მოხატულობა, რომელსაც სახურავი ფარავს და ამიტომ დღესაც ადვილზეა — საშუალებას გვაძლევს ერთგვარად მაინც შევავსოთ ეს ხარვეზები.

ნაბახტევის ეკლესიაში რელიგიური ხასიათის სიუჟეტებზე აგებულ კომპოზიციებთან ერთად (საკურთხეველში — ღვთისმშობელია ყრბა იესოთი და წმინდანები, გამყოფ კედელზე ვხედავთ „ქრისტეს თვალმოუხუტავს“, „აბრაამის სტუმართმოყვარობას“, იოანე ნათლისმცემლის, ეკლესიის მამებს, სიმეონ მესხტეს; ტრიუმფალურ თაღში წინასწარმეტყველებია; დარბაზში დასავლეთის კედელზე წარმოდგენილი იყო „განკითხვის დღის“ გრანდიოზული კომპოზიცია, ჩრდილოეთის კედელზე — წმინდა გიორგები და სხვ.) ვხედავთ საერო ხასიათის გამოსახულებებსაც. ისტორიულ პირთა პორტრეტები, წარმოდგენილი სამხრეთის კედელზე, უმაღლესი მოხვედრითაა ჩრდილოეთის კარიდან შესულ მლოცველს (ქტიტორთა გამოსახვა გამოსაჩენ ადგილას ჩრდილოეთის ან სამხრეთის კედელზე, შესასვლელის პირდაპირ, ტრადიციული ქართული კედლის მხატვრობისათვის). შემორჩენილი ფრაგმენტების, პირების, ძველი ფოტო-სურათებისა და თვით კედლის წყობის შესწავლისა და ერთმანეთთან შეჯერების შედეგად, შესაძლებელი გახდა თითოეული ფიგურის ადგილის დადგენა — იხ. ლ. ბერიძის, ისტორიულ პირთა პორტრეტები ნაბახტევიდან. „ძეგლის მეგობარი“, კრებული № 17, 1968.

სამხრეთი კედელი პლასტრებისა და დეკორაციული თაღების მეშვეობით დაყოფილია სამ, დაახლოებით თანაბარ, დამოუკიდებელ მონაკვეთად. ამათგან ცენტრალური არე ყრუა, ორ კიდურას მალა თითო სარკმელი აქვს შუაში. ისტორიულ პირთა, ეს გამოსახულებები წარმოდგენილი იყო კედლის პირველ ორ მონაკვეთზე, მესამეზე კი ცხნოსაანი წმინდა გიორგის ექსპრესიული გამოსახულება იყო (სამ-

წუხაროდ, მისგან მხოლოდ მცირედი ფრაგმენტები და პირთა შემოგვრჩა).

ქტიტორთა რიგი იწყება ალექსანდრე მეფის გამოსახულებით, რომელიც ძალიან ფრაგმენტირებულია — გადარჩა შარავანდის ნაწილი, ფიგურის მხრები, მკლავები და სხეულის ქვედა ნაწილი. მეფეს ტრადიციული სამეფო სამოსელი აცვია. გამოსახულებას ახლავს ასომთავრული შესრულებული წარწერა — „მეფეთ მეფე ალექსანდრე“.

ალექსანდრეს გვერდით წარმოდგენილ დედოფლის ფიგურისგან (მას ალექსანდრეს მეუღლედ მიიჩნევენ) შემორჩა მხოლოდ ნაზი, დახვეწილი მარჯვენა ხელი და კაბის ფრაგმენტი; წარწერა აღარ იკითხება.

ქუცნა ამირჯიბი გამოსახულია ეკლესიის მოედანით ხელში, რაც მოწმობს, რომ ეკლესიის მაშენებელი და მოხატულობის დამკვეთი სწორედ ეს პიროვნება იყო. იგი საკმაოდ კარგადაა შენახული. დარჩენილია თითქმის მთელი ფიგურა, ქვედა ნაწილის გარდა. ქუცნას სახე, ძლიერ დაზიანებული, მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალური ნიშნების მატარებელია. ქუცნას გვერდით გამოსახული იყო მისი მეუღლე რუსა, მაგრამ ამ გამოსახულებისგან თითქმის აღარაფერი შემოგვრჩა, ქუცნასა და რუსას გვერდით მათი შვილების მეტ-ნაკლებად ფრაგმენტირებული გამოსახულებებია.

ქტიტორთა, ისტორიულ პირთა ეს გამოსახულებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი დიდ სამსახურს გვიჩვენებენ ნაბახტევის მხატვრობის თარიღის დადგენის, უფრო სწორედ, დაუსტების საქმეში.

ძეგლის შესწავლის პროცესში, ისტორიულ მასალაზე მუშაობის დროს, როცა ჩვენ ვცდილობდით გავგეგვიკა ამ მოხატულობის შესრულების თარიღი, ჩვენთვის საუკეთესო გახდა აქამდე დამკვიდრებული დებულება, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს ნაბახტევის ძეგლის კვლევისას: ესაა ნაბახტევის და ულუმბის ძეგლების ურთიერთმიმართების საკითხი. მაშინ, როცა ნაბახტევის შესახებ საბუთები თითქმის არ არსებობს, ულუმბის მონასტრის შესახებ შემორჩენილია მეტად საინტერესო მასალა (როგორცაა, მაგალითად, ქუცნა ამირჯიბის სიგელი: თ. ჟორდანი. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა, წიგნი II, გვ. 207-213), რომელიც ულუმბის ძეგლის თარიღის დადგენის საშუალებას იძლევა. აქამდე აღიარებული მათი იდენტურობა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე, 1943,

ინზა ლორთქიფანიძე
ნაბახტევის ძეგლის დათარიღებისათვის

გვ. 247), შესწავლის პროცესში საეჭვო ვახ-
და.

ა. ხახანაშვილი, რომელმაც პირველმა აღწე-
რა ნაბახტევის მხატვრობა (МАК VII, 1898,
გვ. 65), არაფერს ამბობს მისი და ულუმბის
ძეგლების ურთიერთმიმართების შესახებ. არც
ნ. ტომბაჩიძისკაია წიგნში «Фрески древней
Грузии» და შ. ამირანაშვილი «ქართული ხე-
ლოვნების ისტორიაში», აღწერენ რა შემორჩე-
ნილ მხატვრობას და ახასიათებენ ზოგადად მის
სტილს, ამ საკითხს არ ეხებიან. ივ. ჯავახიშვილი
კი, როცა «კოტაქუმის ისტორიაში» ნაბახტევიში
დაცულ ალექსანდრე მეფის ჩაცმულობას განი-
ხილავს, წერს: «ჩვენ ვიცი, რომ ნაბახტევი ვა-
ნახლა და მოახატვინა ამირეჯიბმა ქუცნამ და
ეს ძეგლია უნდა იყოს სწორედ ის „ულუმბი-
სა ღვთისმშობლის“ სახელობაზე აგებული საყ-
დარი, რომელიც მოხსენებულია მის შეწი-
რულების წიგნში» (გვ. 26). «ქართველი ერის
ისტორიაში» იგი მათ მოიხსენიებს ერთი სახე-
ლით, როგორც «ულუმბო-ნაბახტევის» ძეგლს
(IV, გვ. 170). ამ მოსაზრებას იზიარებს პრო-
ფესორი თ. ყაუხჩიშვილიც, რომელიც მათ აგ-
რეთვე ერთი სახელით მოიხსენიებს და ქუცნა
ამირეჯიბის სიგელში ულუმბის ღვთისმშობლის
ტაძრის შესახებ მოტანილ ყველა ცნობას განა-
კუთვნიებს ნაბახტევის ეკლესიას (თ. ყაუხჩიშვი-
ლი, ზეგანული წარწერები საქართველოში,
1954, გვ. 183). იგი წერს: «თ. ყორღანის
„ქრონიკებში“ (II, გვ. 207 და შმდ). დაცული
ცნობების მიხედვით ნაბახტევის ეკლესია, მას
შემდეგ რაც იგი დაანგრა თემურ-ლენგმა,
აშენებული იქნა ქუცნა ამირეჯიბის მიერ მე-14
ს-ის მიწურულსა თუ მე-15-ის პირველ წლე-
ბში» («ქრონიკებში», მართლაც დაწვრილები-
თაა ლაპარაკი ქუცნას მიერ ულუმბის მშენებ-
ლობის შესახებ, მაგრამ არსად არაა მითითებუ-
ლი, რომ ულუმბა და ნაბახტევი იდენტურ ძეგ-
ლებს წარმოადგენენ).

ამ მოსაზრების სისწორეში ეჭვი აღვიძრა
ა. ხახანაშვილის ერთმა ფრაზამ «В лето-
писях Грузии о построении этой церкви
нет сведений». შეუძლებელია მას არ სცოდ-
ნოდა ის სიგელი, რომელიც 40-იან წლებში აღ-
რეზიონის სინოდალური კანტორის საბუ-
თებში აღმოაჩინა და პირველად გამოაქვეყნა
მარი ბროსემ (მისი ფრანგული თარგმანი კო-
მენტარებით M. Brosset. Rapports sur un
voyage archéologique dans la Géorgie et
dans l'Arménie, exécuté en 1847-48. St.
Petersbourg 1851 გვ. 44-49.

როცა მივმართეთ ორივე ძეგლზე არსებულ
ლიტერატურას, თვალწინ ასეთი სურათი წარ-
მოგვიდგა: პირველად ნაბახტევი და ულუმბა
მოიხსენიება ვახუშტის „საქართველოს სამე-
ფოს აღწერაში“ ერთნაშენის გვერდით. კვათ-
ხულობთ: „ეყავს ზეით არს ნაბახტევი და

ნაიხვარი... ნაბახტევეს ერთვის ალის-წყალს
ბრილის წყალი... ბრილის წყალს შესრბოვს
ზეით არს ალის-წყალზედ, დასავლით, კიდესა
ზედა, ალი, ქალაქი მცირე... აღს ზეით არს ლი-
ხის მთის კალთას, ციხე ალისა. ციხეს უკან
არს სოფელი უწლევნი მთაშ... ამავე ციხეს ზე-
ით ერთვის აღმოსავლიდამ ალის-წყალს ქერათ-
ხევის-ხევი... ამ ხეეს ზეით არს მონასტერი
ულუმბის, ულუმბათო, დიდი, აღმშენი, მიქელ
ამ მამათაგანის ქმნილი და დაფლულ არს მი-
ქელ მუნევე. ზის წინამძღვარი“ (გვ. 80-81). აქ
ნათლად ჩანს, რომ ვახუშტისთვის ნაბახტევი
და ულუმბა ორ განსხვავებულ გეოგრაფიულ
პუნქტს წარმოადგენს. ასევე ჩანს ამირეჯიბთა
სიგელშიც, სადაც ვკითხულობთ: „არს ულუმ-
ბისა ღვთისმშობლისა მამული შეწირულია: ვა-
მოლომა ალი სრულიად ბაყის მესამედი, ორი
კუვამლი შიგ ალში ნასყიდი ურეიბი, ალისთავს
სრულობით უწლევნი, სრულობით ბობოკინი,
ბროლოსანი, იქსუ, სამი კუვამლი ნაბახტევეს,
ითხი კუვამლი დუმატხოს“.

ივ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წელს გამოცე-
მულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე ჩანს,
რომ ნაბახტევეს ზევით მდებარეობს სოფლები
ალი, უწლევნი; უწლევთან გზა ტოვებს ალის
ხეობას და დასავლეთით უხვებს, ულუმბა კი
ზემოთ, ალის-წყლის სათავეებშია.

ამ ზემოთყვანილი ცნობებიდან კარგად
ჩანს, რომ ნაბახტევი და ულუმბა სხვადასხვა
გეოგრაფიულ პუნქტებს წარმოადგენენ; მაგრამ
ულუმბისა და ნაბახტევის ეკლესიების ურთი-
ერთმიმართების საბოლოოდ დადგენა მხოლოდ
აღიგლებ შეიძლებოდა. როცა ჩვენ მოვიბრუნეთ
ალის-წყლის ხეობა, ვნახეთ, რომ ნაბახტევი და
18-იან კმ-ის დაშორებით სოფლებს ალისა და
უწლევს ზემოთ (ისე როგორც აღწერს ვახუშ-
ტი და ჯავახიშვილისეულ რუკაზეა) იყო სო-
ფელი ულუმბა; ამ სოფლის მცხოვრებნი 1950-
იან წლებში სურაშში ჩაასახლეს და ისინი ზაფ-
ხულობით ამოდიან ხოლმე აქ; დგას ეკლესია,
ღვთისმშობლის სახელობისა, „უგუნბათო, დი-
დი“. სამწუხაროდ, ეს აღარაა ქუცნა-ბროსინდე-
ლი ნაგებობა. სამხრეთის კარების თავზე წარ-
წერა გვაძინობს, რომ იგი ხელახლა აუშენე-
ბიათ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში:

„1871 წა წელსა დასამულ ვიქმენ არხი ეპის-
კოპოზის ევსიის მიერ მგელდად ულუმბის
ღვთის მშობლის ეკლესიისა მე ალექსი კველე-
ვი მეცადინობითა ჩემითა შეუღდექ აღშენებას
ამა ტაძრისა და შევასრულე
1871“.

ეკლესია ატარებს გადაკეთების მკვეთარ
გამოვლენილ ნიშნებს; როგორც ჩანს, მე-19
საუკუნეში გამოიყენეს ძველი საძირკველი
(ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მიანც) და
ააგეს ახალი შენობა, ისე რომ ხელუხლებლად
დატოვეს კედლების ქვედა ნაწილი; ფასადებზე,



ნალესობის ქვეშ (ეკლესია მთლიანად შელესილია როგორც შინით, ისე გარეთ) გაირჩევა მთლილი ქვის რამდენიმე წყობა — კვადრების ზომა, ქვა, მისი წყობა — ნაბახტევისას მოგაგონებთ. ახლანდელი სამხრეთის კარი ახალი გაჭრილია, ძველი კი ამავე კედლის დასავლეთ მონაკვეთში — ამოღწეწეწათ.

აღილობრივი მოსახლეობისათვის ეს ორი ძეგლი აბსოლუტურად განსხვავებულია (სხვათა შორის, ულუმბა და ნაბახტევი სხვადასხვა ძეგლებად მიიჩნიათ ვახუშტის „აღწერის“ გამომტყემელთ თ. ლომოურსა და ნ. ბერძენიშვილს, რომელნიც შენიშვნებში ცალკე მითითებენ ლტერატურას ნაბახტევის, ცალკე — ულუმბის შესახებ): ულუმბის ღვთისმშობელი მათ მიიჩნიათ მთელი მხარის უძლიერეს საყდრად, ნაბახტევისა კი — რიგით სიფლის ეკლესიად (ულუმბის ტაძარი რომ ამირეჯიბთა გვარის მთავარი სალოცავი იყო, კარგად ჩანს ქუცნა ამირეჯიბის სიგელიდანაც).

ამგვარად, ჩვენ საკუთარი თვალთ ვნახეთ ულუმბის ღვთისმშობლის ტაძარი, დაშორებული სოფელ ნაბახტევისა და ნაბახტევის ეკლესიას საქამოდ დიდი მანძილით.

მაშ, რა უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ნაბახტევის და ულუმბის ეკლესიები ერთ ძეგლად მიიჩნიეს? ჩვენი აზრით, ამ დასკვნის გასაღები თ. ჟორდანიასთან უნდა ვეძებოთ. იგი წერს — „ქუცნა ცოლითურთ დახატულია აწ დარღვეულს ულუმბისის ტაძარში“ (გვ. 207) და იქვე მითითებებს ბროსეს „მოგზაურობას“, სამწუხაროდ, გვერდის დასახელების გარეშე.

ჩვენ ბროსესთან ეს ცნობა ვერ აღმოვაჩინეთ. პირიქით, არც ბროსეს, არც დი. ბაქრაძეს, რომელიც აგრეთვე აღწერს ულუმბას, როგორც მათი შრომებიდან ჩანს, არ უნახავთ ულუმბა და მათ მიერ მოტანილი ცნობები (ამას თვითონ ისინიც აღნიშნავენ) ვახუშტის „აღწერიდანა“ აღებულა. ბროსე გარკვევით წერს, რომ მან ვერ ნახა თიღის, ოქონის, ატოცის, ულუმბის, იტრიის მონასტრები (დასავლეთ საქართველოდან დაბრუნება მას სურდა ისე, რომ ენახა ყველა ეს ძეგლი; მეორე, უფრო მოკლე გზას იგი იცნობდა) და დასძენს: „Sur les localités que je viens de nommer, je n'ai rien à dire qui ne se trouve déjà dans la Géographie, puisque j'ai manqué l'occasion de les visiter“. დი. ბაქრაძის ფრაზასაც «Сохранились ли там какие-либо древности мне неизвестно» (Кавказ в древних пам. христ., გვ. 151), იგივე დასკვნამდე მიყვებათ.

ამგვარად, ჟორდანიამდე ჩვენ ვერსად ვნახეთ რაიმე ცნობა ულუმბის და ნაბახტევის ძეგლების იდენტურობის შესახებ. როცა თ. ჟორდანიას ამბობს, რომ „ქუცნა და მისი მეუღლე რუსა დახატულნი არიან აწ დარღვეულს ულუმბისის ტაძარში“ — იგი უსათუოდ გულის-

ხმობს ნაბახტევის პორტრეტებს, რადგან ერთდანიას დროს (საუჭვოა, რომ ბროსეს დროსაც) ქუცნასეული ულუმბის ნაგებობა აღარ არსებობს (იხ. ზემოთხსენილი წარწერა) და ცხადია, აღარც პორტრეტები იქნებოდა (თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქუცნა უნდა ყოფილიყო გამოსახული ულუმბის ტაძარში, რომელიც მან აღადგინა, დაქტურად ხელსა ააშენა; იგი უთუოდ შეეცდებოდა თავის გამოსახულება დაეტოვებინა იმ ტაძარში, რომლისთვისაც იგი ასე იღვწოდა და რომელიც ამირეჯიბთა მთავარ სალოცავს წარმოადგენდა. — ცხოვრების უშპიმეს მომენტებში ამირეჯიბთა გვარის წარმომადგენლები დახმარების და მფარველობას ულუმბის ღვთისმშობელს თხოვდნენ. არ უნდა მოგვეჩვენოს უჩვეულოდ არც ტერიტორიულად ახლომდგომ ორ ეკლესიაში ერთიდაიმავე პიროვნების გამოსახვა — ასეთი რამ საქამოდ გავრცელებული იყო; მაგალითად შეიძლება მოვიყვინოთ ამავე ეპოქაში შესრულებული ვაჟე დადიანის პორტრეტები ხობსა, წალენჯიხისა და ბედიანში, უფრო გვიან ლევან დადიანისა — ხობსა, წალენჯიხისა და კორცხელში და სხვ.).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაბახტევის და ულუმბის ეკლესიები ორ განსხვავებულ ძეგლს წარმოადგენენ და მათი გაიგივება შეცდომა იქნებოდა.

იმის შემდგომ, რაც ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, რომ ნაბახტევი და ულუმბა განსხვავებულ ძეგლებს წარმოადგენენ, ჩვენ იძულებული გავხდით უარი გვეთქვა მეტად საინტერესო ისტორიულ მასალაზე, რომელიც ულუმბის ირგვლივ არსებობს და დათარიღებისათვის მხოლოდ აქ გამოსახულ ისტორიულ პირთა პორტრეტებით დავეყვავილებულყვავით.

ნაბახტევის მოხატულობის შესრულების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ა. ხახანაშვილის მიერ წამოყვანებული თარიღი — მე-16 საუკუნე, რომელსაც საფუძველად უდევს არა სტილისტიკურ-იკონოგრაფიული ანალიზი და ისტორიული კვლევა, არამედ მხოლოდ ძეგლისგან მიღებული უშუალო შთაბეჭდილებები, მიუღებელია.

ამას ვარდა, გამოთქმული კიდევ ორი მოსაზრება: ივ. ჯავახიშვილი მას მიაკუთვნებს მე-15 ს-ის დასაწყისს (იხ. ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 170), შ. ამირანაშვილი კი მე-14 ს-ის დასასრულით ათარიღებს (შ. ამირანაშვილი. უბისი, 1930, გვ. 29). აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი სავსებით სწორია, როცა იგი ნაბახტევის მხატვრობას მიაკუთვნებს საერთო სტილისტიკური ნიშნების მატარებელ მე-14

ინგა ლორთქიფანიძე
ნაბახტევის ძეგლის დათარიღებისათვის

ს-ის დასასრულის ძეგლთა გარკვეულ ჯგუფს (წალენჯიხა, ხობის ვამეყ დადიანის ეკედერი და სხვ.), მაგრამ ვერ დავეთანხმებით თარიღის დაზუსტებაში.

აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი მიუთითებს, რომ დათარიღებაში იგი ეყრდნობა თ. ჟორდანიას „ქრონიკებს“. მართლაც, თ. ჟორდანიას მის მიერ აღდგენილ ამირეჯიბთა გვაროვნობით შტოში ქუცნას გარდაცვალების წელად ასახელებს 1398-ს; მაგრამ იმავე ჟორდანიას „ქრონიკებში“ დატული სხვა საბუთები საშუალებას გვაძლევს უარყოთ ეს თარიღი.

საინტერესოა, რომ ცნობები, რომლებიც ეხება ქუცნას ცხოვრების წლებს, წინააღმდეგობებით არის აღსავსე. შენიშვნებში, ულუმბის (ქუცნას სიგელი ამ სახელითაც არის ცნობილი) სიგელს რომ აქვს დართული, თ. ჟორდანიას წერს, რომ ალექსანდრე I-ის დროს (ივლუნიხმება უთუოდ მისი მეფობის წლები) „ქუცნა ცოცხალი ღარ იქნებოდა“ და შემდეგ: „არცა საფიქრებელია, რომ ქუცნა, სიმაჰრი გიორგისი (ქუცნა იყო სიმაჰრი კონსტანტინე მეფისა და არა გიორგისი) და ბაბა ალექსანდრე მეფისა (დედით), უკანასკნელის მეფობის დროს ცოცხალი ყოფილიყოს“ (გვ. 209-210). აქ თითქმის დავიწყებულია ქუცნას გარდაცვალების ზუსტი წელი და დსკენა ვარაუდის სახით არის გამოთქმული. ვარდა ამისა, თვით თ. ჟორდანიას ამ სიგელს, რომელიც ქუცნა ამირეჯიბის სახელით არის დაწერილი, ათარიღებს 1401-1415 წწ-ებით; დასასრულ, განმარტებაში, რომელიც თ. ჟორდანიამ ამ სიგელს წარუძმდვარა, იგი წერს — „ისიც ნამდვილად ჩანს, რომ ქუცნა მკვდარი ყოფილა 1431 წელს“ (გვ. 238) და საბუთად მოჰყავს ალექსანდრე მეფის 1431 წლის სიგელი, სადაც იგი აღას უკვეთავს ქუცნასთვის (!).

გაუგებარია, თუკი ქუცნა გარდაცვალდა 1398 წელს, რად იყო საჭირო ვარაუდის გამოთქმა, რომ ქუცნა ალექსანდრე I-ის მეფობის დროს (ე. ი. 1412 წელს) უკვე ცოცხალი ღარ უნდა იყოს, ან უფრო მეტი, საბუთის მოტანა იმის დასამტკიცებლად, რომ 1431 წელს ქუცნა მკვდარია აღი საუკვოა, რომ მე-14 ს-ის დასასრულს გარდაცვლილი ადამიანისათვის აღას მე-15 ს-ის 30-იან წლებში უკვეთავდნენ.

რომ ქუცნა ცოცხალია მე-15 ს-ის დასაწყისში საეპოქოდ არც აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი მიაჩნია. იგი წერს: „ქუცნა ამირაჯიბის ცნობილი სიგლიდან თითქო ჩანს კიდევ, რომ ამირაჯიბობა ამ გვარში სწორედ ქუცნას დროიდან იწყება მე-15 ს-ის პირველი ათეულიდან“ (აქ სიტყვა „თითქო“ ეკუთვნის ამირეჯიბის თანამდებობის მიღებას მხოლოდ. იხ. ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთ-

ბიდან მე-15 საუკუნეში, მხალეები საქ. უკავ. ისტორიისათვის, ნაკვ. I, გვ. 155-156). მე-14 ს-ის დასასრულისა და მე-15 ს-ის დასაწყისის მოღვაწედ მიაჩნია ქუცნა თ. ყუხჩიშვილსაც (გვ. 183).

ამგვარად, ჩანს რომ ქუცნა ცოცხალია მე-15 ს-ის დასაწყისში მართალია, მისი გარდაცვალების ზუსტი წელი ცნობილი არაა, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1431 წელს იგი უკვე მკვდარია, ეს წელი ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მხატვრობის შესრულების მხოლოდ ზედა ზღვარად. მაგრამ ჩვენ სხვა საშუალება გვაქვს მხატვრობის თარიღის დასაზუსტებლად. ესაა ალექსანდრე მეფის გამოსახულება, რომელიც როგორც უკვე ვემოთ იყო აღნიშნული, პირველია ისტორიულ გამოსახულებათა რიგში. ნაბახტევის მხატვრობას ღირსებას ისიც მატებს, რომ აქ შემორჩენილი ალექსანდრე მეფის პორტრეტი წარმოადგენს ამ საინტერესო პოლიტიკური მოღვაწის ჯვარობით ერთადერთ ცნობილ გამოსახულებას.

ალექსანდრე მეფის გამოსახულებას ახლავს ასომთავრულით შესრულებული წარწერა — „მეფეთ მეფე ალექსანდრე“. ასეთი გამოსახულება ვერ შეიქმნებოდა, სანამ ალექსანდრე მეფედ არ ეკურთხებოდა. ვინაიდან ალექსანდრე ტახტზე მხოლოდ 1412 წელს ავიდა, შეიძლება თავისუფლად დავასკვნათ, რომ მას სამეფო სამოსელში ვერ გამოსახავდნენ ამ წლამდე. მხოლოდ ერთ შემთხვევაში — თუკი მამამისი კონსტანტინე მას თანამმართველად გახდიდა (ანსლოგოური შემთხვევები კი საკმაო საქართველოს ისტორიაში), ეს დასაშვებია იქნებოდა. მაგრამ კონსტანტინეს ხანმოკლე მეფობის დროს მამა-შვილს შორის უთანხმოება იყო და ალექსანდრე არათუ თანამმართველად გამხდარა, არამედ „ხუთსა წელიწადსა ღარბობდა დაჰყო“ და სამეფო კარს მხოლოდ მამის სიკვდილის შემდგომ დაუბრუნდა.

თუ მოვიგონებთ ზემომოტანილ ცნობებს ეკლესიის მაშენებლის და დამკვეთის ქუცნა ამირეჯიბის სიტოცხლის წლების შესახებ, ჩვენ გვაქვს საშუალება დავასკვნათ, რომ ნაბახტევის მოხატულობის ქრონოლოგიური ჩარჩოები 1412-1431 წლებით უნდა განისაზღვროს.

ნაბახტევის მხატვრობის თარიღის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ, თუ მე-14 საუკუნე საკმაოდ მდიდარია მხატვრული ძეგლებით, მე-15 საუკუნის ძეგლებს თითქმის არ ვიცნობთ. ამდენად, დათარიღებული ძეგლის არსებობა უთუოდ შეგვიძლავს სურათს, რომელსაც ისტორიული ლიტერატურა გვისახავს.

ალექსანდრე მეფეს წილად ხვდა თემურლენგის ურდობისაგან გავერანებული ქვეყანა. მაგრამ მან შინაგანი მრწამსის, ნებისყოფის, მიზნადასახულობის წყალობით მოახერხა ქვე-



ყნისათვის დროებით მიიწვინებოდა ძველებური ძლიერების დაბრუნება (მალე ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ, მე-15 ს-ის დასასრულს, საქართველო დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად) და მასთან, ფართო მუშაობა გააჩაღა დანგრეული ციხეების, ეკლესია-მონასტრების აღსადგენად. მეტად საინტერესო ფაქტია, რომ დაცარიელებული ხაზინის პატრონმა ალექსანდრემ დააწესა სავანეებო გადასახადი — „მას ეამსა შემოსავალი ჩუენისა სახლისა არსით რა იყო და ამით საქართველოს კუმლსა ზედა ორმოცი თეთრი მალად განვაჩინე“. 15 წლის შემდგომ, როცა დასახული გეგმა შესრულებულად ჩათვალა, მან ეს გადასახადი გააუქმა — „რაოდენნი საქართველოსა ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან, ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევაშენენ და აწ ჩუენსავე ეამსა შიგან ამოგვიკვეთია“-ო.

როგორც თვით ალექსანდრე მეფე, ასევე ისტორიული წყაროები ალექსანდრეს დაინტერესებას კულტურის ძეგლებით უმაღლიან ალექსანდრეს გამზრდელს, მის ბებიას რუსას. „რუსას ფასაღუდებელ ღვაწლს ისიც შეადგენს, რომ მას თავის შვილიშვილის, ალექსანდრე მეფისათვის — პირადი მაგალითით თუ სიტყვით და აღზრდით ქვეყნის კეთილდღეობაზე და აღმშენებლობაზე ზრუნვის წყურვილი და მო-

ვალეობის გრძნობა ჩაუხუნრავს“ — (ივ. ჯავახიშვილი).

როცა ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ „თემურ-ლენგის გაბრუნების უმალ საქართველოში მიიწვინებოდა განადგურებული ქვეყნის აღსადგენად მუშაობა გაჩაღდა, რომელიც ჯერ კერძო თაოსნობით, შემდეგ კი ფართოდ და თვით სახელმწიფოს მიერ იყო წარმოებული“ — ამ კერძო თაოსნობის ერთ-ერთ ინიციატორად უთუოდ ქუცნა ამირჯები და მისი მეუღლე რუსა უნდა მივიჩნიოთ. რუსა საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. იმ დროის საბუთების მიხედვით რელიეფურად იკვეთება სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი ქალის სახე, რომელსაც ერის კეთილდღეობა სასიცოცხლო მიზნად მიაჩნდა. შედარებით ნაკლებად არის ცნობილი მისი მეუღლის ქუცნას პიროვნება, მაგრამ როგორც ჩანს, ორივე ამ ადამიანმა ამაგი დასდო ქვეყანას. ამის საბუთია თუნდაც ნაბახტევისა და ულუმბის ეკლესიები, რომლებიც აიგო და მოიხატა ამ ადამიანთა ინიციატივითა და მათ ხარჯზე.

ნაბახტევის ძეგლი მეტად საინტერესოა სტილისტიკურად; იგი მაღალი მხატვრული თვისებებით გამოირჩევა. თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლის შექმნა უთუოდ ქართველი ერის დიდ პოტენციურ ძალაზე მეტყველებს.





თომას ჯადისი

ალკატრაჟელი პატიმარი

ცნობილი ამერიკელი მწერლის თომას ჯადისის დოკუმენტური მოთხრობა „ალკატრაჟელი პატიმარი“ მსოფლიო ხალხთა მრავალ ენაზეა თარგმნილი. ეს წარმატება ბევრმა რამემ განაპირობა: აქ ვერ შევხვდებით მწერლის ფანტაზიის ნაყოფს — მან ყველაფერი ისე გადმოსცა, როგორც ნახა, მოისმინა, განიცადა.

ნაწარმოები ეხება ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის რობერტ სტრაუდის ცხოვრებას: იგი 1909 წელს დააპატიმრეს და მთელი 55 წელი (გარდაიცვალა 1964 წელს), ციხეში გაატარა; აქედან 48 წელი ერთკაციან საკანში იქდა.

სტრაუდმა უწყუმანოდ მიიღო ციხის ხელისუფალთა გამოწვევა და თამამად, უშიშრად ჩაება უთანასწორო ბრძოლაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამკლასიანი განათლების მქონე სტრაუდი სიბეჭითით, ნებისყოფის დაძაბვით სახელგანთქმული მეცნიერი გახდა. გამოაქვეყნა ბევრი სამეცნიერო ნაშრომი, რამაც სწავლულების — ორნიტოლოგების აღფრთოვანება და გაცოცხლება გამოიწვია.

რობერტ სტრაუდმა მძიმე, წვალების გზა განვლო. მის თვალწინ გაიხსნა ამერიკული ჭურღმულების საიდუმლო. გადიოდა წლები, იცვლებოდნენ პრეზიდენტები, მაგრამ ამერიკული ციხის მანქანა, რომელიც თავისსავე ქვეყნის კანონებსაც არ ემორჩილებოდა, უმოწყალოდ სრესდა ადამიანებს...

კუნძული ალკატრაში სან-ფრანცისკოს ყურეში, ქალაქსა და „ოქროს ჭიშკარს“ შორის მდებარეობს. შორიდან ეს ნაცრისფერი ქვის უშველგებელი მასა, რომლის ფართობი 13 აკრია, მუშტს მოგაგონებთ. ნისლში, კუნძულს რომ ახვევია, ციხის პირქუში კორპუსები მოჩანს.

იქ ცხოვრობს ადამიანი, რომელიც ამერიკელ ხელისუფალთ 1909 წლიდან ციხის განმარტოებულ საკანში ჰყავთ გამოკეტილი. მაშინ, ჯერ კიდევ, პრეზიდენტის საგარძელი თეოდორ რუზველტს ეგავა, ზოლო ვილჰელმ ჰოქენცლოფერნი აღსავსე იყო ენერჯით, და სარაევოს გასროლამდე რჩებოდა მივლი ხუთი წელი.

ეს ადამიანი ქალს უკანასკნელად „ტიტანიკის“

დალუპვამდე ეამბორა. მაშინ რუსეთის ტახტზე მეფე იქდა. იგი ციხეში მოხვდა მანამდე, სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებში საშემოსავლო გადასახადს შემოიღებდნენ... არასოდეს უნახავს თვითმფრინავი, არასდროს მჯდარა ავტომანქანის საჭესთან; ქუჩებში, სადაც ის დადიოდა, ჯერ არ იყო შუქნიშები.

ციხით გაიქვინა მთელი მისი არსება. მერვდა, ამდენი ხანი განმარტოებულ საკანში გაძლება არ გინდა?! მოკლედ: იგი გახლდათ ყველაზე სტაჟიანი პატიმარი ამერიკის ისტორიაში.

მაინც ვინ არის ეს კაცი? სად და როგორ ცხოვრობდა? რა დანაშაული ჩაიდინა? საერთოდ, როგორ მოექცა კანონმდებლობა?

ეს წიგნი რომ იწერებოდა, ის უკვე 68 წლისა იყო... მოგვძობ სახე და გამჭრიახი ცისფერი თვალები აქვს, რომლებიც საოცრად დიდდებიან რკინის-ჩარჩოვან საფალავში. ჭიდაობა თბა მოკლე შეუკრებიკა. ციხემ საგრძნობლად მოხარა ბეჭებში, მაგრამ წელში რომ გამიპრთება, ეტყობა, საკმაოდ მაღალია.

ბაემანს უკრძალავენ — მასთან იშვიათად უშვებენ ძმას, ადვოკატსა და ციხის მფედელს.

მისი საქმე საიდუმლოდ საბჭუების სისაში ირიცხება. მიმოწერის უფლება თვეში მხოლოდ ერთი წერილით განუსაზღვრეს! არასოდეს აძლევენ ვაზე-თვის, ტელევიზორი თვალითაც არ უნახავს, თქვენ წარმოიდგინეთ, ციხის ეზოში გასეირნებასაც კატეგორიულად უკრძალავენ.

მართლ სამი კლასის განათლება აქვს, მაგრამ რამდენიმე წიგნის ავტორია. თავისი საუკუთესო წიგნი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება ამ ქვეყნის ყველა საჯარო ბიბლიოთეკაში, 5 წლის წინ დაამთავრა, მას კი ციხის ბიბლიოთეკაში შესვლაც აკრძალული აქვს.

ამ ცოტა ხნის წინათ წიგნის ხელახალი გამოცემის მოზადებზე ნებართვა რომ მოითხოვა (სხვათა შორის ამაში თვით გამომცემელი იყო დანტრერესე-ბული), უარი უთხრეს, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ესებოდა ისეთ უწყინარ თემას, როგორიცაა ფრინველთა დაავადებანი.

იქნებ ეს ადამიანი ფსიქიურადა დაავადებული? მაგრამ ციხეების ფედერალური ბიურო ამტკიცებს, რომ იგი ამ მხრივ ჯანმრთელია.

იქნებ საზოგადოებისათვისა საშიში? ფედერალური ბიურო ამაზედაც უარს აცხადებს: 1920 წლიდან, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ვილსონმა სასიკვდილო განაჩინი სამუდამო პატიმრობით შეუცვალა, იგი საზოგადოებრივ პატიმრად ითვლება. მართალია, გასამართლებული იყო ორი კაცის მკვლელობისათვის, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ 1936 წელს გაათავისუფლებდნენ.

ჩვეულებრივ, სამუდამო პატიმრობამისჯილი ათავისუფლებენ 10-14 წლის შემდეგ... ამას წინათ ერთმა ლოს-ანჯელესელმა მოსამართლემ განაცხადა — შეერთებულ შტატებში 200 ათას ადამიანზე მეტია, რომლებიც გასამართლებულნი არიან მკვლელობისათვის და თავისუფლად კი დასეირნობენო. ყველაფრის მიუხედავად, ამ პატიმარს მაინც არ ათავისუფლებენ.

ალკატრაშიც კი — ფედერალური ციხეების სისტემის ამ აუღებელ ციტადელში — იგი მკაცრ იზოლაციაშია. ციხეში მაშინ ათყო თავი, როცა მთელი ეს მკვლელები, ბავშვების მომტაცებლები და სხვა ბოროტკოქმედნი — ალკატრასის ახლანდელი მოსახლენი — ან იბადებოდნენ ან მოკლე შარვლებით დარბოდნენ. იგი მანამ მოხვდა ციხეში, სანამ ალკატრაში სამოქალაქო ციხედ გადაიქცეოდა. ეს იყო განჯეტებების გამოჩენამდე, მშრალ კინონამდე, თვით ციხეების ფედერალური ბიუროს შექმნამდე.

ფედერალური ციხეების ისტორიაში იგი, ალბათ

ერთადერთი კაცია, რომელიც არ შეუშინდა სახელმწიფო ორგანოს დაპირისპირებას და თავისიც გაიტანა. საქმე ესებოდა კანარის ჩიტებს. იყო დრეზდელსაც ჩიტები ამ კაცისთვის გამზადებულ სახარბო-ბელსაც ისდნენ. შემდგომში მხოლოდ ჩიტები, ეს ერთადერთი ცოცხალი არსებანი ინაწილებდნენ მის პატიმრულ მარტოობას. ადამიანებს მოწყვეტილი, იგი თავის სიყვარულსა და სითბოს ჩიტებს ალევდა. მაგრამ უკანასკნელ თექვსმეტ წელიწადს მას ეს სიხარულიც წაართვეს.

ციხის განსაკუთრებულ, მკაცრ რეჟიმში განვლილ-მა ორმოცმა წელმა სულიერად მაინც ვერ გატეხა. რობერტ სტრაუდი, პატიმარი № 594 — ალკატრა-ზის ციხის ერთ-ერთი ცოცხალი პატიმარია, რომელსაც, სიმართლე რომ ითქვას, ცოცხალი კაცისა არაფერი სცხია.

აი, მისი ცხოვრების ისტორია. თუ მართალია, რომ მშობელთა დარდი ეს ჩვენი დარდია, მაშინ რობერტ სტრაუდს ბევრი ჰქონდა სადარდელი. უსიამოვნებანი ოჯახში: მამა, რომელსაც სმა და ხეტიალი უყვარდა, სტოებს ცოლს და სამ ბავშვს. რობერტი ადრე იწყებს ფიქრს ლუკმაპურზე, ეწვეა მოხეტიალე ცხოვრებას. ბევრს მოგზაურობს სამუშაოს ძებნაში. მალე შეეცნო მშვენიერება ამერიკული „კუნუ-ლების“ ცხოვრებას. 1908 წელს მიემგზავრება ალასკაზე, რკინიგზის მშენებლობაზე, სადაც სვდება კიტი ობრაიუსი, რომელსაც თავის ცოლად თვლის.

ერთხელ, შინმოზრუნებულ სტრაუდს სასოწარკვე-თილი კიტი დახვდა. ქალს სახე დასისხლიანებოდა, კისერზე ფართო განაყარვი აჩნდა: დაიარაგა მედალიონი და საფულე.

რობერტი მიხვდა, რომ ეს იყო ბარმენ ჩარლის, კიტის ყოფილი საყვარლის ნახელავი, კიტის რომ სდევდა და მოითხოვდა, მასთან დაბრუნებულიყო. გაცოფებულმა რობერტმა მაგიდის უკრიდან კიტის რეგოლვერა გამოიღო და ჩარლისთან გაიქცა.

რობერტი ჩარლის ამტყუნებდა იმაში, რომ კიტის სცემა. მერე ისიც უთხრა, მედალიონი და ფული დამიბრუნეთო. ჩარლი ეცა ასალგაზრდის და ყელში ხელი წაუჭირა. სტრაუდმა ესრელა ჩარლის, მაგრამ ააცდინა. მეორედ ტყვია პირდაპირ საფუთქელში მოსაგვდრა. ჩარლი იქვე მოკვდა.

სტრაუდმა მაგიდიდან კიტის მედალიონი და საფულე აიღო და შინისაკენ გასწია. კიტის ექინა. მედალიონი მაგიდაზე დააგდო, იარალი ისევ მაგი-დის უკრამი ჩადო და პოლიციამო გამოცხადდა — კაცი იფეკალიო.

იგი ფედერალურ ციხეში გააგზავნეს. მაშინ 1909 წლის იანვარი იყო.

მისი დანაშაული კვალიფიცირებულ იქნა, როგორც არაწინასწარგანზრახული მკვლელობა. მართლაც, არსებობდა იმის საფუძველი, რომ ბრალდება

თომას ჯაფისი

ალკატრაშიელი პატიმარი

დათანმდებოდა საკითხის ამგვარ დაყენებას, თუ მოსამართლეს არაფერი ექნებოდა საწინააღმდეგო.

სტრუდს შეეძლო ორ-სამ წელიწადში თავი დაეღწია პატიმრობისათვის, მაგრამ მუხთალი ბედი მოველინა ფედერალური მოსამართლის, კუმშენის სახით და საქმე საბედისწეროდ შეტრიალდა.

კუმშენი შტატებიდან ჩამოვიდა თუ არა, განაცხადა, გადაწყვეტილი მაქვს, ალასკაზე ბოროტმოქმედებანი აღმოვფხვრაო. ასე იყო თუ ისე, მისი პირველი საბრალდებულო საქმე სტრუდის საქმე აღმონდა.

განაჩენის გამოტანის დრო დადგა და, აი, 1909 წლის ოცდასამ აგვისტოს ახალი მოსამართლე ახალგაზრდა ბრალდებულს უსჯის სასჯელის უმაღლეს ზომას, კერძოდ: 12 წლის პატიმრობას მაკნელი აიღონების ციხეში.

ამ განაჩენმა განაპირობა ორი ბედი—ფედერალური მოსამართლისა, რომლის მკაცრი განაჩენები შემდგომში ლეგენდად იქცა, და პატიმრისა, რომლის ცხოვრებას, მის აუღწერელ სიმამაცეს ბადალი არა აქვს მსოფლიოს ციხეების ისტორიაში.

მაკნელის ციხე მდებარეობს პაჯეტის სრუტეში, ტყიან კუნძულზე, რომელსაც 7 კვ. მილი ფართობი უჭირავს. სრუტის წყალი ციხეს გარკვედლის მაგივრობას უწყევს. 1905 წლამდე ციხე ადგილობრივი ხელისუფალთ ეკუთვნოდა, ახლა კი ფედერალურ კონტროლს ექვემდებარება. 1907 წელს აქ აშენდა დამატებითი ბლოკი, სადაც სტრუდი გადაგზავნეს: პატიმრის ნაცრისფერი ტანსაცმელი ჩააცვეს და 95-პუნქტიანი „ციხის შინაგანაწესი“ მიაჩერეს ხელში.

მაკნელის ციხეში შემოღებული იყო „სირიშის სისტემა“. საკანგარეთ ჭამისას და მუშაობისას იკრძალებოდა ყოველგვარი საუბარი, ციხის ტრაპეზის დროს პატიმრებს აკრძალული ჰქონდათ გვერდზე გახედვაჲ კი. ბურის ქერქი შეიძლებოდა დაგეტოვებინა მხოლოდ თეფხის მარცხენა მხარეს. თუ ციხის ადმინისტრაციის რომელიმე წარმომადგენელი გამოჩნდებოდა, პატიმრები ვალდებული იყვნენ ქული მოესადათ და გაჭიმულიყვნენ.

სტრუდმა ციხის კანონები შეისწავლა. იგი მალე შეერგია თავისი ფესვაცილის დაწყობას საკნის ხარისხის იქით. დილით, როგორც კი გაივიწყნებდა გონების ხმას, ზეზე წამოხტებოდა სოლზე.

ზედამხედველები შეიარაღებულები იყვნენ ხელკეტებით. ციხის რეჟიმი მკაცრი იყო — პატიმარს, რომელიც არღვევდა კანონებს, სცემდნენ და საკნის კარებზე აბამდნენ, თავზეხელაღებულებს კი კარცერში სვამდნენ. ხანდახან პატიმარს ხელის ცერებშითაც ჰჭიმებდნენ.

ციხის უფროსი — პალიგენი ძველი სკოლის პენოლოგი იყო. მან დაცვის უნიკალური მეთოდი შეიმუშავა, რომელსაც ციხეში „სახიჯალო სისტემა“ ეძახდნენ. კერძოდ: როცა მოდიოდა, ორი გაწვრთნილი ტერიერი მიუძღვებოდა წინ. თუ ვინმე დამალულს შეამჩნევდნენ ძალები, მანინე ყფას ასტებდნენ.

გადარჩენისკენ თავგანწირულმა სწრაფვამ პატიმრები გაერთიანა ევროპულდებულ „ნაცრისფერ მობადალ“; მათ საკუთარი ტრადიციები შექმნეს „პატრონობა მართა კანონი“ მათთვის ქცევის რეინისებურ ნორმად იქცა. ექვსი თვის პატიმრობის შემდეგ სტრუდმა მილიანად მიიღო ეს კანონი. უფრო მტკიცებოდა მისი ერთგულება უბედურთა და უპოვართა მიმართ. მომავალი მას არ ჰქონდა, ხოლო ახალგაზრდობა ციხეში შეიწირა.

სულ მალე ევლარ იტანდა „ამ ქვის მოსაკითხებს“ და მის მეციხოვნეთ. ყოველივეს, რაც იყო ვარწმობა, იგი იქრისტიანულ საზოგადოებას ეძახდა. მისი რელიგიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზარდა. იგი სრულიად გაიმიჯნა, გაირიყა საზოგადოებისაგან, მისი ქცევების ნორმებისაგან, მისი მორალისა და კერპებისაგან. სტრუდის სული გამოიწრთა და გაკაფდა ციხის ცხოვრებაში. ჭამბუკი გარდაიქმნა მაღალ, გამხდარ მამაკაცად, რომელსაც ცივი, ცისფერი თვალები ჰქონდა.

მამამისი მასთან არ ჩამოდიოდა. დედა ახლა უკვე ალასკაზე ცხოვრობდა და მისი ნახვა ორ წელიწადნახევარში მხოლოდ ერთხელ თუ შეეძლო. კიტიმ სამუდამოდ დატოვა ალასკა.

ორი წლისა და ოთხი თვის პატიმრობის შემდეგ სტრუდმა კანონების დარღვევა დაიწყო: საშურელოში მუშაობდა და ჩუმად მიჰქონდა საქმელი თავის საკანის ამხანაგთან. ეს შეამჩნია მასთან ერთად სამზარეულოში მომუშავე პატიმარმა და შეწყალების საბჭოს სხდომაზე დააბეზლა სტრუდი, იმ იმედით, რომ პატიმრობის ვადას შემოიკირებუნ.

სწორედ ამის გამო სტრუდს ყველა პრივილეგია მოუხსნეს და ექვსი თვეც დაუმატეს.

ვადაზე ადრე გათავისუფლების იმედი თანდათან ქრებოდა. ნათელი გახდა, რომ თავის დაბადების ოცდაათ წელს იგი ციხეში უნდა შეხვედროდა. პერსპექტივა საკმაოდ უფერული ჩანდა.

ფედერალური ციხეები გაივსო პატიმრებით, რამაც 1912 წელს დიდი აურზაური გამოიწვია — უკვე აშკარად მოითხოვდნენ ციხის რეფორმას. ხელისუფალნი იძულებული გახდნენ, რაიმე ზომები მიეღოთ.

ლივენვორტში (კანზასის შტატი) მრავალ წელს შემდებოდა ახალი ციხე. ახალი კორპუსის დამთავრებისთანავე დაიწყეს პატიმრების ჩამოყვანა განსაკუთრებით გადატენილი ციხეებიდან. მაკნელის ციხიდან გათვალისწინებული იყო შედარებით უფრო გამოუსწორებელი 50 პატიმრის გადმოყვანა. მათ რიცხვში რობერტ სტრუდიც აღმონდა.

პატიმრებს ახარებდათ ხანმოკლე „გასეირნება“. რობერტისათვის ეს მთელ ამ საქმეში იწმინდო პირველი ხილი იყო. მეორე მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ უწყვდა.

ბორკილგაყარული პატიმრები ჩასვეს მატარებელში, რომელმაც ისინი ლივენვორტის ციხის უშუალოდებულ, ორმაგ ჭიშკარს მიაცენა. ციხეს უზარმაზარი კედელი ერტყა. მანამდე მაკნელის პატიმრებს არასოდეს ენახათ ასეთი რამ: იგი შუა სტეპში იყო აღ-

მართული და 16 აკრის ფართობს იტყვდა. ზემოდან აკურსისა და ცემენტის გიგანტურ, ბრტყელ კვადრატულ გველს ჰგავდა კედელი, გარედან გრანიტით იყო მოპირკეთებული. მისი სიმაღლე ათ-ორმეტრეტ მეტრს აღწევდა. ამ ციხის მშენებლობა 1899 წელს დაიწყო; დღედაღამე რამდენიმე ათას პატიმარს ამუშავებდნენ. პატიმრები თვითონ სწავავდნენ თიხას წითელი აკურსისათვის, უახლოეს ქეის კარიერიდან იღებდნენ ქვას და თვითონვე თლიდნენ. პატიმართა ოფლითა და სხსნლით აღმართული ეს კედელი შემოზარადად მოქმედებდა ლივენგორტის ბინადართა ფსიქიკაზე. ხშირად მცველებიც ვერ უძლებდნენ — ბევრი ტოვებდა სამუშაოს, იმ მოტივით, რომ კედელმა „ბოლო მოვიდოთ“.

ციხე ცნობილი იყო უადრესად სასტიკი რეჟიმით, ამის თაობაზე გაქვავებული, უმეტყველო სახეებით უჭირჩულებდნენ ძველი ბინადარნი ახალბედებს.

სტრაუდს საკანში სეიფების გატყვის ოსტატი, 35 წლის ედი დახვდა. ედი ქეარათმინი კაცი იყო, საშუალო განათლების დიპლომი ჰქონდა და ძალიან დიდადაც ამყობდა ამით. მიუხედავად იმისა, რომ ედი ზვიდან დასტეროდა ველური დასავლეთიდან მოვლენილ ნახევრად უწიგურ ბიჭს, სწორედ თვითონ გახდა უნებური მიწეში იმ, ასე ვთქვათ, ინტელექტუალური ბიძგისა, სტრაუდში რომ მოხდა.

ციხის საკანში ძალზე მდორედ მივიდნებოდა ცხოვრება. ედი ახალგაზრდა ამხანაგს ართობდა საკუთარ თავგადასვლებს მისოკოთ, რომელიც ლივენგორტის ციხეში 1910 წელს მომხდარ ამბოხებას შეესებოდა. მაშინ პატიმრებმა ხელთ იგდეს ორთქლ-მაგალი და, რა თქმა უნდა, ადვილად გაარღვიეს შლაგაუმი.

ედიმ წინდახედულად გააფრთხილა სტრაუდი იმ მოსალოდნელ ხაფანგზე, რომელიც შეიძლებოდა დაეგოთ მისთვის. მოუთხრობდა ციხის რეჟიმზე, მკაცრ მცველებზე... დაწერილებით უამროდ ციხის უფროსის სასიათზე, მის მიაღვილზე, აგრეთვე დაკვირვებებს.

ლივენგორტის ციხის უფროსი მაკ-კლარი ძველი სკოლის უკანასკნელი და ყველაზე მკაცრი წარმომადგენელი იყო. 1899 წელს, როდესაც დაუმთავრებელ ციხეს იმარბდა, მას უკვე განსაკრებულად დიდება ჰქონდა მოპოვებული, როგორც ჩიკაგოს პოლიციის, პონტიაკის და ჟოლის ციხეების უფროსს. დიდულვაშიანი, ჭაღარაწვენიანი, გულჩათხრობილი, გამჭვალავი გამომეტყველების მაკ-კლარი რომ განარისხებოდა, წარმოუდგენლად სასტიკი და დაუნდობელი იყო.

მაკ-კლარმა აღმართა ლივენგორტის ციხის ცნობილი კედელიცა და მისი მრავალი კორპუსიც. მცველებს უბრძანა: ესროლოთ ყველა პატიმრისათვის, ვინც კედელს ექვს ნაბიჯზე მიუახლოვდებოდა ან ოცი ნაბიჯით გასცილდებოდა.

პატიმრების ყოველდღიური საჭმელი ნარჩენებს ჰგავდა. თუთუნის მხოლოდ ღვევა შეიძლებოდა, მიწვევა-აკრალული იყო. სერიოზულ დანაშაულად ითვლებოდა თუ პატიმარს ფანქარს უპოვინდნენ. დამ-

რღვევათვის მუდამ მზად იყო კარცერი და ბოჯილი. ბოჯილზე რამდენიმე თვით 25-გირვანქიან რკინის ბურთს აბამდნენ პატიმარს; ეს ბურთი უნდა ეთრია ყოველთვის და ყველგან.

ერთსულ ედიმ სტრაუდს მოუთხრო მაკ-კლარის პირველ მოადგილეზე. ეს იყო სადისტი—პატიმრებს განსაკუთრებული სიამოვნებით სცემდა. სტრაუდი იცნობდა კიდევ ერთ ინდიანელ ბიჭს. თურმე იმ ბიჭმა გაქცევა სცადა და სწორედ ამიტომ მოიყვანეს ლივენგორტის ციხეში. იგი კარცერში ჩასვეს და ხელის თითებით მიაღვირუტეს კარცეზე. მერე ამ მოადგილემ გონების დაკარგვამდე ურტყა, რასაც ის მოჰყვა რომ, მოადგილე იძულებული გახდა გადამდგარიყო, რადგან ზედმადველეებმაც კი განაცხადეს, არ შეგვიძლია პატიმრებისადმი ასეთი მხეცური მოპყრობის ატანაო.

ციხის საჭმელმა მალე სტრაუდის ჟანმრთელობაზეც იმოქმედა. ტვირღების დასაკუნებლად იგი სულ წელზე ზელშემოლებული დაიკაკებოდა. მისი მდგომარეობა სულ უფროდაუფრო უარესდებოდა. ციხის ექიმმა ნეფრიტის დაგონში დაუსვა — ეს თირკმლების რთული დაავადება. ექიმმა წამლებით მოამარაგა და დიეტაზე გადასვლა ურჩია. მაგრამ რაკი ციხის საჭმელი ისედაც ცუდი იყო, დიეტაზე გადასვლა ნიშნავდა „მიშშოლს“ და არა საჭმლის რაციონის „შეცვლას“. სტრაუდი ზეუფლად ჩამოხმა.

გაზაფხულზე ედის, სტრაუდის საკნის ამხანაგს, უცნაური რამ დაემართა — მას რაღაც ხეში ესმოდა. იატაკქვეშეიდან და, გულდასმით დიწყო საკნის ყოველდღიური შესწავლა. სტრაუდი გაკვირვებით აღეწებდა თვალყურს. ერთ დღეს კი თავისი ლუბი დაწვა იმისაგვის, რომ რამეზარად განდევნა იქ დამალული ეშმაკები. იგი სასწრაფოდ გაიყვანეს საკნიდან. ამის შემდეგ სტრაუდი სრულიად მარტო დარჩა.

დედისადმი მიწერილ წერილებში აღარ იგრძნობოდა სიმხნევე, ამას მოსაჩვენებლადაც კი ვერ ახერხებდა. ერთხელ, როგორღაც ისიც მისწრა დედას, სასჯელის მოხდამდე ვერ გავატანო. შვილის წერილი რომ მიიღო, ელისაბედ სტრაუდი ლივენგორტში გამეზავრა და პაემანის ნებართვა გაჭირვებში მიიღო. შვილის დანახვაზე დედა სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ციხის ექიმმა უთხრა, რომერტს ბრაციონის დაადადება აქვს; ეს ავადმყოფობა არ რჩება, ზოგჯერ კი ავადმყოფის ფსიქიკას საგრძნობლად აზარანებსო.

1915 წელს ელისაბედმა შერტებული შტატების გენერალური პროკურორის, გენერალ გრეგორის სახელზე ორიათასი სიტყვისაგან შემდგარი პატივის თხოვნა გაგზავნა, მაგრამ ამ თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

თომას ჯადინი
ალკატრაზელი პატიმარი

ვერობაში გაჩაღებული ომის მიწვევით ცხოვრება ამერიკაში საგრძობლად გაძვირდა, რამაც ციხის ბიუჯეტზედაც იმოქმედა. პატიმრების კვება სულ უფროდაუფრო უარესდებოდა. შესაძრწვევად შემცირდა ციხის დაცვის შტატი. კონგრესში ნარკოტიკებზე ხარკის დაღების კანონი შემოვიდა, რის შედეგადაც ათათბით ნარკომაზნი მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. გასაძარტლების შემდეგ ყველა ეს ბორტოტმოქმედ ლივენვორტის ციხეში ჩაყარეს; ნარკოტიკებმა სწორედ ამ გზით შეადღწიეს საკნებში. ლივენვორტში აღმოაჩინეს ყაღბი ფულის მჭრელების ჯგუფი. კარცერები გაიჭყადა. წესრიგის დამრღვევებს კვლავ ხელის თითებით ლურსმავდნენ საკნის კარებზე. გაუქმდა ციხის რეფორმები. ფედერალური ციხეების ყველა ზედამხედველი ისევ ხელკეტა ატლანტაში, როგორც დასჯის სიმბოლოს, თუქცა მხოლოდ განსაკუთრებული, საგანგებო, მდგომარეობის დროს ჰქონდათ ხმარების უფლება. მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ, რაკი ყველაფერი დამოკიდებული იყო თვით მცველის ხასიათზე.

1915 წლის ივნისში ლივენვორტის ციხეში ატლანტაში გადმოიყვანეს ახალი ზედამხედველი, რომელმაც იქ (ატლანტაში) სულ ერთი წელი იმსახურა.

პატიმრებმა პირობითი ნიშნებით შეატყობინეს ერთმანეთს, ახალმა ზედამხედველმა ატლანტაში რაღაც დასაზავაო. არავინ იცოდა, მართალი იყო ეს თუ არა, მაგრამ ხმა კი დადიოდა, ვითომ თავი გაუხეთქა ვიღაც მოხუც პატიმარს. შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ მისი აქ ჩამოსვლის მიექვსე დღეს ატლანტაში გარდაიცვალა პატიმარი პარი ფერგიუსონი.

ახალ ზედამხედველს ანდრიუ ტერნერი ერქვა. იგი იყო ვეგმა, დაკუნთული ტანისა და დიდი მუშტების პატრონი. პატიმრებმა პირველი დანახვისთანავე შეიძულეს. განსაკუთრებით გრძელვადიანებმა— მათ შორის ავადმყოფმა სტრაუდმაც, სხვაზე მეტ ხანს რომ უწყვედა ყოფნა ციხეში.

ტერნერის მოსვლიდან ერთი თვის შემდეგ, სტრაუდის ჯანმრთელობა სერიოზულად გაუარესდა. სხვა გზა არ იყო და ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. არ უშხელდნენ, რა საშიში სინეც სჭირდა, მაგრამ პატიმარმა ექთანების შენიშვნებიდან თვითონ გამოიტანა ეს სამწუხარო დასკვნა.

როდესაც სტრაუდი საკანში დაბრუნეს, ძლიეს მოძრაობდა, მარცხენა ხელი კი სულ წელის მტკივნეულ ადგილზე ედო.

ტერნერის დამცინავი, სადისტური დამოკიდებულება პატიმრებისადმი ზიზღსა და სასოწარკვეთილებას იწვევდა. განსაკუთრებით იგი სტრაუდა დევნიდა. ერთხელ რაღაც მოუმიზეზა და ძმასთან პეიმანის უფლება არ მისცა, რასაც სტრაუდი წლობით ელოდა.

კვირია, შუადღე. მარტის წვიმით დასველებული, ლურჯტანსაცმელიანი ათას ასი პატიმარი აჩქარებუ-

ლი ნაბიჯით მიჰყავთ ციხის უზარმაზარ სასადილოში. ოთხმოცი პატიმარი—მიმტანი სწრაფად გრძობს საჭმელს. სასადილოში ორას ათი მაგიდაა დასაწყობებული. სინდრემში, ერთ-ერთ მაგიდას სტრაუდი უხის. მისგან 75 ფუტის დაშორებით, სასადილოს შესასვლელთან, ორფუტთან შემადლებაზე დაცვის კაპიტანი პარსელი წამოჭიშულა და თვალყურს ადევნებს პატიმრებს. მაგიდებს შორის კი ხელკეტების ქნევით დადიან ზედამხედველები.

სტრაუდი, თითქოს სიზმარშიაო, ისე ემორჩილება ბრძანებებს და ზარს.

სტრაუდმა თავისი ხელუხლებელი უღუფა გვერდზე გააცურა და ტერნერს შეხედა, რომელიც მაგიდეშუა დაბოტებდა. ტერნერი შერწება და ხელი ასწია, რაც იმას ნიშნავდა, რომ პატიმარი ან ეუდად გახდა, ან გარეთ გასვლას მოითხოვდა. ტერნერმა თავი დაუქუნია და სტრაუდიც წამოდა — ორ პატიმარს გვერდი აუარა და მაგიდებს შორის გავიდა—ტერნერს მიუახლოვდა. სტრაუდი ტრანსში ჩაგარბინდოვით იყო. ზედამხედველი საფთავეს ზემოდან უცქეროდა პატიმარს; ხელკეტი მარცხენა ილლიაში ჰქონდა გამრილი. სტრაუდი გაეჭიმა ტერნერს. მათ წინ უამრავი, გადახორტილი თავი მოჩანდა. კაპიტანი პარსელი არც წამომდგარა, — გულგრილად უცქერდა ყოველივეს.

სტრაუდმა რაღაც უთხრა და ტერნერმაც მაშინვე უპასუხა. უეცრად, ორთავეს სახეზე გაათვრება გამოისახა. ტერნერმა რაღაც იყვირა და მოიქნია ხელკეტი.

სტრაუდმა მარჯვენა ხელი წაატანა მის თავზე აღმართულ ჯოხს. ტერნერმა ღონიერად მოქაჩა თავისკენ ხელკეტი, მაგრამ სტრაუდი ორთავე ხელით ჩაებდატა. შემდეგ სტრაუდის მარცხენა ხელი მოსცილდა ხელკეტს და ქურთუკის უბეში ჩაცურდა. ერთი ძლიერი და პირდაპირი დარტყმით ტერნერს მკერდში გაუყარა დანა და უკან დაიხია. მომაკვდავმა ზედამხედველმა და სტრაუდმა თვალი-თვალში გაუყარეს. პატიმარმა იგრძნო: ეს იყო შემლილის თვალები.

ტერნერი დაბარბაცდა, ასწია ხელი და თავის ხელკეტზე დაემხო.

სტრაუდი გამეშვებული იდგა, მარცხენა ხელში დანა ეჭირა, დანიდან სისხლი მოწვეთავდა.

კაპიტანმა პარსელმა ხელი დაავლო კეტს და ადგილიდან მოწყდა. უზარმაზარი დარბაზი სიჩუმემ მოიცვა.

ციხის ორქესტრი დაკვრას განაგრძობდა. /იგი ასრულებდა სიმღერას: „სამოსუნი“?!

სტრაუდის მაგიდის გვერდით მსდარი პატიმრები წამოდნენ, მაგრამ ზედამხედველებმა ისევ თავიანთ სკამებზე დასდნომა უბრძანეს. კაპიტანი და ხელკეტმომარჯვებული ოთხი ზედამხედველი სტრაუდს შემოეხევივნენ, მაგრამ როცა სახეში შეხედეს, ვერც ერთმა ვერ გაბედა ადგილიდან დაძვრა: სტრაუდს ხორხიდან ჩახლენილი ქვითინი და წყველა-კრულვა აღმოსდა.

— ჩაყუდეთ ეს კაცი კარცერში! — მიუთითა კაპიტანმა სტრაულზე.

დაძაბულ მოლოდინში პატიმართა რიგები გაიყინა. უზარმაზარი დარბაზი ასაფეთქებლად გამაზღვრულ ყუმბარას დაემსგავსა.

სიმღერა დამთავრდა და დადუმდა ორკესტრი. სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ ჭურჭლის ჟღარანი არღვევდა. სამზარეულოდან რომ გამოდიოდა კაპიტანი ჯონი ნელა შეტრიალდა, ათასთვლიანი მასას დააცქერდა. რამდენიმე ციხის მსახურსა და პატიმარს უკედე გაქაქონდათ ტერნერის გვიანი. უცნაურმა ხმამ გადარია დარბაზზე, — იგი უზარმაზარ ამოოხვრას ჰგავდა.

კაპიტანმა, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, ჩვეულებრივი ნიშანი მისცა და პატიმრებიც წამოღუნენ. ადღვევებულმა და შეფიქრიანებულმა ზედამხედველებმა საჩქაროდ დაანაწილეს ისინი თავთავთან საკნებში.

საკნებში ჩამწყვედული პატიმრები გაშვებულნი შეტყუებდნენ ზედამხედველებს. ორივე მხარემ კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა ზედამხედველის მოკვლა. დაძაბულობა ლიგენვორტში ისტერიის და სიძულვილის შავ ნაკადად გადმოიღვრა.

სულ მალე ციხეში საყოველთაო ჩხრეკა დაიწყო. პატიმრებს 26 დანა ჩამოერთვათ. ოცდამეშვიდე დანა კი... სისხლიან ხელახროცი გახვეული ოცდამეშვიდე დანა კაპიტან პარსელს ეღო ჯიბეში.

ციხის უფროსმა სტრაულს წერილების გავაზანის ნება დართო, მაგრამ არც ერთი ამ წერილთაგანი ციხის კედლებს არ გამოვრებია. შემდეგ ისინი მამხილებელ საბუთებად იქცნენ იმ პროკურორის ხელში, სტრაულის საქმეს რომ არჩევდა.

ზედამხედველის სიკვდილიდან მეურთომეტე დღეს სტრაულის დედამ ლიგენვორტის ციხის ახალ უფროს მორგანთან შეხვედრის ნებართვა მიიღო. მორგანმა ურჩია ელისაბედს, დროს ნუ დაკარგავთ, ნუ იწვალეობთ, არაფერი ეშველებათ.

ამ ამბიდან კარგა ხნის მერე ელისაბედ სტრაული წერდა: „როცა ციხის უფროსს ვკითხე, რა მიწეუბნებს შექმლვ გამოუწვია ეს ტრაგედია და, ისიც რომ ვუთხარი, გადაწყვეტილი მაქვს მოვიწვიო ადვოკატი ჩემი შვილის ინტერესების დასაცავად-მეთქი, იგი დატენებით მიითხოვდა, ხელი ამეღო ამ გადაწყვეტილებაზე. მითხრა, ძალიან ვეცდები, მაგრამ ციხის ხელისუფალთ გადაწყვეტიტს, ციხის დისციპლინის გასამაგრებლად სამავალითოდ დასაჯონ სტრაული, ამიტომ ვეღარავითარი ადვოკატი საქმეს ვერ უშველის, ფული კი უაზროდ დაიკარგებაო“.

ელისაბედ სტრაულმა კანზასის შტატის ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატი ბოილი მოიწვია. ბოილი ნიჭიერსა და შეუბრალებელ პროკურორ ფრედ რობერტსონს დაუპირისპირდა. ორივე მხარე დაუყოვნებლივ ჩააფეთ საშუალოში, რათა სასამართლომდე დარჩენილ მოკლე დროში ისე წარმოედგინათ საქ-

მე, როგორც ყველა საჭიროდ თვლიდა. მოწვეები მოძებნეს და დაკითხეს. ციხე ბოხოქრობდა. ამ გასამაურებულმა შემთხვევამ გამაოცოცხლა ციხის დანი და მომამზერებელი ერთფეროვნება.

რაკი სტრაულმა ტერნერს 1.100 კაცის თანდასწრებით მოკლა, მისმა დანაშაულმა საზოგადოებრივი აქტის ხასიათი მიიღო.

პროკურორმა ამ აქტში რაღაც სიმბოლური დანახა და შეაფასა იგი, როგორც წინასწარგანზრახული დარტყმა ციხის თანამედროვე სისტემაზე. სწორედ ამიტომაც მიაქცია განაჯაუთრებული ყურადღება სტრაულს. სჯეროდა და აშკარად დარწმუნებული იყო, რომ ათას ასივე პატიმარი, მის მიერ სამინელი და სასიკვდილო აქტის ჩადენის მოწმენი, აღსდგომოდნენ მის დასაცავად. აი, ეს ამშვიდებდა სულიერად.

მაგრამ პატიმრის ერთადერთი დიდი სურვილი ციხიდან გასვლაა, ცინიდან თავის დაღწევაა. ტერნერის მკვლელობის ყველა მოწმეს საკმაოდ დრო ჰქონდა, ეფიქრა კარცერში მოხვედრის სამიშროებაზე, იმ შემთხვევაში თუ სტრაულის დასაცავად ხმის ამოღების გაბედვლა. ერთი სიტყვით, ციხის ჭერი ისეთ ჭერად გადაიქცა, რომელიც ყველას წამოეცეოდა თავზე. ვინც ვერდოდა ამოუღებებოდა მკვლეს. მოკლულ: სტრაულის მხარდაჭერა ნიშნავდა ციხის ხელისუფალთა წინააღმდეგ გალაშქრებას, ესე იგი, მათ წინააღმდეგ გალაშქრებას, ვინც სახრჩობლას უმზადებდა სტრაულს.

სასამართლოს პროცესზე ყოველი პატიმარი თავისი შეხედულებისა და სურვილისამებრ იქცეოდა. ექვსი მათგანი ჯერ კიდევ სასამართლო პროცესის დამთავრებამდე გაათავისუფლეს ტერნერის სისხლის საფასურად; სხვები — კარცერში ჩასვეს. ზედამხედველები ერთი კაცით ერთი ძალითა და ერთი სათქმელით გამოდიოდნენ. თუ რომელიმე მათგანს სიტყვა მინც დასცდებოდა სტრაულის სასარგებლოდ, ეს იმას ნიშნავდა, მარტო სამსახური კი არა, პროფესიაც სამუდამოდ დაეტოვებინა. ციხის ხელი-სუფალთ გადაწყვეტილი ჰქონდათ ამ არჩევულებრივი პროცესით ბოლო მოეღოთ სტრაულისათვის. ეს მათ სხვების ჭკუის სასწავლებლად სჭირდებოდათ. ციხის უფროსი ამ საქმეს გადაწყვეტილად თვლიდა და უკვე მომავალი ეგზეკუციისათვის ემზადებოდა.

სტრაულის სასამართლო მაისის ერთ თვარა დღეს დაიწყო კანზასში. ამ შტატის კანონმდებლობით სასჯელის უმაღლესი ზომის მისჯა აკრძალულია. მაგრამ აშკარად საქმეს არჩევდა ფედერალური სასამართლო, რადგან ბოროტმოქმედება ფედერალურ ტერიტორიაზე იყო ჩადენილი.

სასამართლოზე უამრავი მოწმე იქნა გამოყვანილი. პატიმრებიცა და ზედამხედველებიც წარმოადგენდნენ ერთ მთლიან მამხილებელ რკინის ჯაჭვს, რომელმაც გაამაგრა წინასწარგანზრახული მკვლელობის ვერსია. დაცვის მიერ მოწვეული ფსიქიატრი ამტკიცებდა, სტრაული სულით ავადმყოფიოა, რასაც

თომას ჯადისი

ალკატრაშილი პატიმარი

ბრალმდებელი ექიმები კატეგორიულად უარყოფდნენ.

ოთხი დღე სწრაფად გავიდა. თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა გამოიტანა გადაწყვეტილება, სტრაუდი დამოუკიდებლად იქნას აღიარებული წინასწარგანზრახულ მკვლელობაში. 1916 წლის 17 მაისს მოსამართლე ჯონ პოლოკმა ჩამოსწრაფა მოუსაჯა სტრაუდს. განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანათ 21 ივლისს.

მაგრამ მოსამართლეს დაეაწყა, რომ 1911 წლის კანზასის შტატის კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც შტატის მსაჯულებს უფლებას აძლევდა, გადაეწყვიტათ საკითხი ბრალდებულისათვის უმადლესი ზომის სასჯელის მისჯის თაობაზე.

ამის გამო სტრაუდის ადვოკატებმა სსსწრაფოდ გაპაროტესტეს განაჩენი საოლქო ფედერალურ სასამართლოში. ოლქის სასამართლომ დაადასტურა შედეგობა და მოკლე ვადაში განაჩენი არასწორად სცნო. ეს იყო 1916 წლის დეკემბერში.

სტრაუდის პროტესტის წარმატებამ ზოგიერთი ციხის ჩინიფიცი ვააფთხრა. მათი აზრით, ეს განაჩენი უარყოფითად იმოქმედებდა ციხის დისციპლინაზე. ერთმა ზედამხედველმა სტრაუდს უთხრა: თუ ვერ ჩამოგანჩენებ, ისეთი გზით მაინც მოგიცილებთ, ვერაფერს ვერაფერი გაიგოსო. სტრაუდმა, თავის მხრივ, ციხის უფროსის მოადგილეს განუცხადა, ამ ზედამხედველის მოტანილ საჭმელს პირს არ დაეკარებო. ციხის უფროსმა, მორანმა მეცნიოვნეს წესრიგისაკენ მოუწოდა და მიიღო სსსწრაფო ზომები ამომედ დაავადებული სტრაუდის ჯანმრთელობის აღსადგენად. მას როზბერტის მიმართ თავისი გეგმები ჰქონდა. რეჟიმის დაცვით სტრაუდი დაეხმარა კიდევ თავის ზედამხედველებს, რადგან საეციკალურმა დიეტამ, როგორი პარადოქსალურიც არ უნდა ყოფილიყო ეს სიტუაცია, მაინც გამოაკეთა მისი ჯანმრთელობა, რადგან ციხის მსახურნი ნიშნისმოგვებით აღნიშნავდნენ.

ბრძოლა პატიმარსა და მათ შორის, ვისაც მისი სახრჩობელაზე აყვანა სურდა, ძლიერდებოდა. არც ერთი მხარე არ იხვედა უკან. სტრაუდის დედამ საჩივარი შეიტანა, აღნიშნავდა, რომ: ერთ-ერთი პატიმარი, რომელმაც სურვილი გამოთქვა მოქმედდებოდა სტრაუდს, მაგრამ უამრ განაცხადა წინასწარ შეტყობინებინა, რის თქმასაც აპირებდა სასამართლოზე, კარცერში ჩასვეს, ხოლო შემდეგ შემოღილად გამოაცხადესო. მეორე პატიმარიც ჩაავდეს კარცერში: თითქოს ვნა მიუტანა ზედამხედველს, ვითომ ვიღაცამ სტრაუდს დანა გადასცაო, მაშინ, როცა სტრაუდმა აღიარა, რომ დანა თვითონ გააკეთა და ატარებდა მთელი ცხრა თვის განმავლობაში.

1917 წლის 22 მაისს, შეერთებული შტატების პირველ იმპერიალისტურ ომში ჩაბმის ექვსი თვის შემდეგ, სტრაუდის მეორე სასამართლო პროცესი დაიწყო. რადგან შემთხვევა უჩვეულო იყო, აუცილებელი გახდა, შეადგენილიყო ნაფიც მსაჯულთა სამი სია.

იმ ფაქტმა, რომ პროკურორმა მიზნად დაისახა სტრაუდისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენი გა-

მოეტანა, კანზასში უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია. 1878 წლიდან ამ შტატში არც ერთი ადამიანი ჩამოუხრჩვიათ. თანგრძნობა სტრაუდის მიმართ რდებოდა. გასუთები აქვეყნებდნენ სხვადასხვა წერილებს; ქალთა კლუბებს გამოქონდათ რეზოლუციები სტრაუდის დასაცავად. ამ საქმით დაინტერესდნენ საზოგადოებრივი წრეები, იოსოვდნენ პენიტენციალური სისტემის რეფორმას. შედგენილ იქნა ფედერალური სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სია. ყოველი მსაჯულის სახელზე მიდიოდა წერილები — მისი ატეორების გამოდნენ სასჯელის უმადლესი ზომის და მოუწოდებდნენ, არ გამოიტანათ სიკვდილის განაჩენი. ეს ამბავი რომ გაიგო მოსამართლე პოლოკმა, გააფთხრა. მან უკვე იცნა სილა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო და ახლა დაუთინებოთ ცდილობდა ძიების ჩატარებას და სასამართლო საქმის აღძვრას წერილების ატეორების წინააღმდეგ.

დაცვა მოითხოვდა, რომ მოსამართლე პოლოკს ამ საქმის წარმოებაზე უარი ეთქვა. მართლაც ასე მოქცა პოლოკი. ამ საქმის გასარჩევად დაინიშნა ახალი ფედერალური მოსამართლე.

მოწინააღმდეგე მხარეები სათანადოდ მოემზადნენ. ელსაბედმა ორი შესანიშნავი ადვოკატი: კიმბრელი და ოლენელი მოიწვია, რაც ძვირად დაუჯდა — მემკვიდრეობით მიღებული მთელი თანხა შემოეხარჯა.

ბრალდების მოწმე ორმა ზედამხედველმა სასამართლოს პირველ სხდომაზე მისცა ჩვენება, ტრენერს სელექტი ეჭირა და სტრაუდმა სწორედ იმ სელექტს უტაცა სელიო. ფრთხილი სახელმწიფო პროკურორი როზბერტსონი ცდილობდა გადაეხედა იმ ოლევიკური დასკვნისად, რომ სტრაუდი მოქმედებდა თავდაცვის მიზნით. ამისათვის პროკურორს ესაჭიროებოდა პატიმართა უცილობელი ჩვენებანი. მისი ძირითადი ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა: როგორმე აეძულებინა ხუთი პატიმარი, მიეღო მათგან ისეთი ჩვენება, რომელიც თვითონ სურდა, ხოლო სხვა ცხრა პატიმარი, სტრაუდის მხარის დაჭერა რომ უნდოდათ, არ დაეშვა სასამართლოზე. პროკურორმა გაომოიყენა სახელმწიფოსაგან მიღებული შეწყალების უფლება, და თავისას მიაღწია.

დაცვამ სთხოვა სასამართლოს, გამოეცახათ დანარჩენი ცხრა მოწმეც. მოსამართლე ვუდრაფმა უარი განაცხადა მათთვის უწყვეტების გაგზავნაზე იმ მოტივით, თითქოს ეს პატიმრები „არ არიან კომპეტენტური“ მოწმეები. მაგრამ პროკურორმა ოთხი დღით ადრე გაგზავნა მოთხოვნა მათ გამოძახებაზე, რის შემდეგ მოსამართლემაც ნება დართო და, პატიმრები გამოცხადდნენ სასამართლოზე.

სასამართლოს საგნის კარიდან მოწმის ადგილამდე ამ პატიმრებს სახელმწიფო პროკურორი შესვლა და ყოველ მათგანს პრეზიდენტის ხელმოწერილი ამინსტიის ფურცელი გადასცა. ეს მათ თავისუფალ მოქალაქეებად, ესე იგი, „კომპეტენტური“ მოწმეებად ხდიდა. ორი სხვა პატიმარი ჯერ კიდევ პარ-

ველი სასამართლოს შემდეგ გაათავისუფლეს ამგვარი ამნისტიით.

ერთი ამ მოწმეთაგანი ნამდვილად დანაშაულის ადგილიდან საკმაოდ მოშორებით იდგა და თითქმის სიტყვასიტყვითაც კი იმეორებდა იმ დიალოგს, რომელიც ეითომდა ტერნერსა და სტრაუდს შორის გაიმართა. მეორე მოწმე ამტკიცებდა, სტრაუდი „იტყვი“ იყო. მესამე იძახდა, სტრაუდს „ძალიან“ წითელი, გაპროტესტული სახე“ ჰქონდაო.

სამივე ნერვულად ატრიალებდა ხელში ამნისტიის ფურცელს და ზუსტად იმეორებდა თავის შეთხზულ ვერსიას, ხოლო დაცვა ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა.

მეორე ამოცანა, პროკურორის წინაშე რომ იდგა, მდგომარეობდა შემდეგში: როგორმე უნდა შეერქმინა ყოველგვარი ცდა, რათა ვერ დაესაბუთებინათ, თითქოს სტრაუდი შემლილი იყო და ამიტომ პასუხს არ აგებდა დანაშაულზე. ანდა სულით ავადმყოფობა არ დაემტკიცებინათ, რადგან სულიერად შერყეული პატიმარი შეიძლება გაემართლებინათ. ფსიქიურად ავადმყოფ ადამიანს მსაჯულებმა, მოსამართლეებმა, სასიკვდილო განაჩენი არ გამოუტანონ, ხოლო ყველა განაჩენი, გარდა სასიკვდილო განაჩენისა, ამ შემთხვევაში ბრალდების დამარცხებას ნიშნავდა.

მეორე სასამართლო პროცესის ოქმები სახეს იყო ფსიქიატრთა ერთმანეთის გამოირიცხველი დასკვნებით. ექიმების დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრების საფუძველზე სტრაუდი იყო: ნორმალური, არანორმალური, გონებაჩლუნგი, ფსიქოპათი, ფსიქიურად არასრულყოფილი, გაუთავებელი პალუცინაციების მსხვერპლი, გონებრივად სრულყოფილი, არაკონტაქტური და ა. შ. დაუსრულებლად.

დაცვის მოწმეები ამტკიცებდნენ, სტრაუდს დედის მხრიდან საკმაოდ ბევრი ფსიქიურად დაავადებული ნათესავი ჰყავსო. პროკურორმა რომ მოისმინა ყველა ეს ჩვენება, წინადადება წამოაყენა, დაეზუსტებინათ, აპრამ ლინკოლნის ოჯახში რამდენი არანორმალური ადამიანი იყო, ამდენი თუ უფრო მეტი!

1917 წლის 28 მაისს საქმე განსახილველად გადაეცა ნაფიც მსაჯულებს. შეიდი საათის თაბითრის შემდეგ მათ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს: „ჩვენ დავადგინეთ, რომ ბრალდებული რობერტ ფ. სტრაუდი მისადმი წაყენებულ ბრალდებაში დამანაშავეა, ოღონდ ეს დანაშაული არ ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას“. — წაიკითხა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის თავმჯდომარემ პაროლდ შორტმა.

პროკურორი რობერტსონი მსაჯულებს გაოცებული მიაშტერდა, — იგი საკუთარ ყურს არ უჯერებდა. ციხის ადმინისტრატორთა სახეებზეც გააფთრება გამოიხატა.

ადვოკატები ერთმანეთს ხელს ართმევდნენ. ელიზაბეტი შვილს გადაესვია. სტრაუდი კი გამშვებული იდგა, — უკან დარჩა რვა წელი საერთო საკანში, ხოლო წელიწადი და სამი თვე კარცერში ჯდომა.

მოსამართლე გუდრაფმა სასწრაფოდ მიუსაჯა სტრაუდს სამუდამო პატიმრობა.

მოსამართლენი იძლეოდნენ. სასამართლოს ბეჭედი ქაულმა მცველებს სტრაუდის გაყვანის ნიშანი შინცა, მაგრამ სტრაუდი, თითქოს მისი ბრძანება არც გაუგონიაო, თავის ადვოკატს მიუბრუნდა:

- მათ ხომ იციან, ჩემთვის კვტი რომ არ დაერტყა, მხოლოდ იმიტომ მოვკალი ტერნერი. მიუსხვავად ამისა, მთელი სიცოცხლე ციხეში უნდა გავატარო და უნდა დავემორჩილო ყველა არაშადას. რასაკვირველია, სიკვდილი არავის არ სურს, მაგრამ... ადვოკატ კიმბრელს ღმილი შეაცივდა:
- იქნებ ვინდათ საკასაციოდ გადასცეთ საქმე?
- დიას, სწორედ ამას ვაპირებ.
- ადვოკატმა მხრები აიჭრეს:
- მე ვფიქრობ, სასამართლომ სიცოცხლე მეგინარჩუნათ.

— მერედა, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს სამართლიანი სასამართლო იყო?

— საერთოდ, რასაკვირველია, არა, რადგან, როგორც დავწმუნდი, სასამართლომ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო შეცდომა დაუშვა. საპაფეროდ, სტრაუდი, ცოცხალი დატოვათ.

— ამას თუ სიცოცხლე ჰქვია, მისტერ კიმბრელ, მაშინ!...

— სხვა სასამართლო პროცესი შესაძლოა ისევე დამთავრდეს, როგორც პირველი.

— მაშასადამე, შეუძლიათ ჩამოხრჩობა მომისაჯონ, არა?

— რა თქმა უნდა, შეუძლიათ...

— თუ ასეა, მინდა ყველაფერი განვიცადო... მინდა ან გამამართლონ, ან ჩამომხრჩონ.

ადვოკატს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, რაკი ბრალდებულმა მოითხოვა და... საქმე საკასაციოდ გადასცა.

პროკურორმა რობერტსონმა ეს ამბავი რომ გაიგო, ჯერ გაიცდა, მერე ცას ეწია სისხარულით — ჯიუტი პატიმრის სახრბოვლაზე აყვანის ახალი შესაძლებლობა გაჩნდა, ამიტომაც უწყყნაოდ დათანხმდა პროტესტს. საკასაციოდ საქმის გადაცემა არც გენერალურ პროკურორს გაუპროტესტებია.

1917 წლის აგვისტოში სტრაუდის ადვოკატმა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასამართლოში წარადგინეს პროცესის დროს დაშვებული შეცდომების სია.

ადვოკატები მოითხოვდნენ, კონსტიტუციის მეოცე შესწორების საფუძველზე, რაც კრძალავდა დაუსაბუთებელ ჩხრეკასა და ჩამორთმევას, დაებრუნებინათ და საქმიდან ამოეღოთ სტრაუდის ის წერილები, რომელიც ტერნერის სიკვდილის შემდეგ დაწერა ციხეში.

ადვოკატებს მხედველობაში ჰქონდათ ციხის უფროსის მიერ ჩამორთმეული წერილები, რომელშიაც სტრაუდი თავს ესხმოდა ციხის ხელისუფალთ.

თომას ჯაღინი
ალკატრაში პატიმარი

გენერალურმა პროკურორმა ჯონ დევისმა აღიარა, სასამართლოზე შეცდომები ნამდვილად იქნა დაშვებული. უმაღლესმა სასამართლომ მოკლე დროში განაჩენი შეცვალა და ახალი სასამართლო პროცესი დაიწყო, წერილებზე კი არავითარი გადაწყვეტილებმა არ გამოუტანიათ. ეს უკვე 1918 წლის თებერვალში მოხდა.

ელიზაბეტის გარდა, თითქმის ყველა კმაყოფილი იყო. მან, რათა უზრუნველყო სტრანდის დაცვა, თავისი და მეორე ვაჟის მთელი ქონება დასარჯა. ელიზაბეტის წინ იდგა რთული ამოცანა — როგორ ემოვნა ფული?

დრო კი გადიოდა. 1918 წლის მაისში სტრანდი ლივენვორტის ციხის კარცერიდან ფედერალურ სასამართლოში მიიყვანეს. ბორკილებდადებული სტრანდი ხარბად ისუნთქავდა ჯანსაღ, სუფთა ჰაერს. იგი მხნედ გამოიყურებოდა. ერთიდაიგივე დანაშაულისათვის მას უკვე მესამეჯერ ასამართლებდნენ.

ყველა ადგილობრივმა ფედერალურმა მოსამართლემ თავის კანდიდატურას აცილება მისცა. სასამართლო შესდგა დენვერტში (კოლორადოს შტატი), რომელსაც ამჯერადაც რობერტ ლუისი თავმჯდომარეობდა.

ივლისის. დასასრულს, ერთ დახუთულ დილას, სასამართლო ბოლოს და ბოლოს დაიწყო. ყველა მის მონაწილეს, გარდა ბრალდებულისა, ნერვები დაჭიმული ჰქონდათ. სტრანდს ახარებდა კარცერიდან თავის დადწყვის ნებისმიერი შესაძლებლობა, თუნდაც ეს სასამართლო ყოფილიყო, სადაც მისი სიცოცხლის ბედი წყდებოდა.

სტრანდის ნორმალურობის დასადგენად რობერტ-სონის ხელქვეით ექვსი ექიმი იმყოფებოდა, მაგრამ

ისინი არც გამოუძახებიათ. ხოლო დაცვას იმის საზღვრებიც კი არ გააჩნდა, რომ სტრანდის სასამართლოდ სამედიცინო ექსპერტი მოეწვია.

დაცვა დაბეჯითებით მოითხოვდა საქმიდან ამოღებით ის წერილები, სტრანდმა რომ დაწერა ტერნერის მოკელის შემდეგ. მაგრამ ეს შუამდგომლობა უარყოფილ იქნა.

მსაჯულებს სტრანდის წერილები ხმამაღლა წაკითხეს. მარტო ის, რაც ამ წერილებში ეწერა, საკმარისი იყო იმისათვის, რათა სტრანდი სახრწიულაზე ასულიყო.

სტრანდი თავის წერილებში თათხავდა ციხის უფროსს, ამ „ცრუ ქრისტიანს“, რომელმაც უყოყმანოდ მოუხსრო სტრანდის ძმას იმ შემზარავ ბოროტმოქმედებაზე, რომერტმა რომ ჩაიღინა. რობერტი წერდა: საკუთარი პაპა — მოსამართლე, საზოგადოების ერთ-ერთი ბურჯი, ჩვენი ციხის უფროსი ვით ფარისეველი და მლიქვნელი იყო, რომ თვითონ რობერტს ციხეში კეთილ და მოწყალე ადამიანად თვლიან და, რომ საკუთარ სინდისს სავსებით ამართლებს ამგვარი საქციელის ჩადენისათვის, — რაკი ციხის პირობებში სხვანაირად ვერც მოვიქცეოდით.

დაბოლოს სტრანდი ასკვნის: რომ არ მეზრძოლა ამხანაგებისა და ჩემი სიცოცხლის დასაცავად, ნამდვილი არამზადა ვიქნებოდით.

ახლა გასარკვევი იყო ერთი რამ — მთავარი და აუცილებელი: ჩათვლიდნენ თუ არა მსაჯულები ამ წერილების ავტორს ნორმალურად თუ გონებაჩლუნგ, გონებადასშულ ადამიანად გამოაცხადებენ ციხეში ამდენი ხნის ყოფნის მიზეზით?

თარგმანა ნინა დინასიძემ

გაგრძელება მომდევნო ნომერში



წიგნაკის საყუჩოა



თამაზ ჩხენკელი

სვანეთის გვიური მითოსი

ქართული მრავალბმიანი სიმღერის მსგავსად, შინაგანი ერთობისა და გარეგანი მრავალსახეობის განუყვეთელი ერთიანობის პრინციპზეა დამყარებული როგორც ქართველი ტომების ფიზიკური და სულიერი არსობა, ისე მათი ეთნოგეოგრაფიკული, კერძოდ, ფოლკლორი. ქართველი ტომების ზემოხსენებული, ხეცეციფიკური ელფერის მიუხედავად, მითითური წარმოდგენებისა და სოფლებდის ერთიან სტრუქტურას ამჟღავნებენ, რაც თვალნათლივ გამოსკვივის დავით წერეთლის მიერ ამასწინათ გამოცემულ წიგნში „ირიზილი“. ეს წიგნი სვანური ხალხური ლექსების პირველი მაცნეა, რომელშიაც მხატვრული ექსპრესიის მაღალ დონეზეა რეპროდუცირებული წინარე უხსოვარ ხანაში „განთავითებული“ უძველესი ქართული ტომის პირველქმენი, ცეცხლოვანი სილამაზით აღბეჭდილი მითოსური პოეზია.

ამ ხალხურ ლექსებსა და რიტუალურ საგალობლებს განსაკუთრებულ მომხიბვლელობასა და სიძვირფასეს ის ანიჭებს, რომ მათში წმინდად არის დაცული უძველესი მითოსის დოკუმენტები, რომ ისინი უძველესი არქაიკის სურნელებს გამოსცემენ (ვ. კოტეშვილი). წიგნის ავტორი აღნიშნავს: „გარეშე გავლენების კვალი სვანურ ფოლკლორში სრულიად უმნიშვნელოა... ამიტომ ბევრი რამ, რაც ბარის ზემოხსენებულში გამქრალა ან მკრთალად შემონახულა, სვანურში ხელახლებლად არის დაცული“. ამ აზრით, ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის ეს წიგნი შეუნიაცვლებელ ღირებულებას წარმოადგენს, თუ იმასაც გაგითვისებინებთ, რომ დავით წერეთლის პოეტურ-

რი წვდომითა და პროფესიული ოსტატობითა აქვს შესრულებული თითქმის ყველა საგალობელი თუ ლექსი. ოსტატობაში მართო სიტყვის ზუსტად და გემოვნებით მოხმარება არ იგულისხმება. სვანური ლექსების გაკვეთილი ნაწილი ერთმანეთთან მეტნაკლებად დაკავშირებული ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. ზოგჯერ საჭირო იყო მათი ურთიერთმისადაგება, შეჯერება, ერთიან პოეტურ კონტექსტში გამოყვანა. ამავე დროს, აუცილებლობა მოითხოვდა — უძველესი, არქაული წარმოდგენების თანადროული, რთული და მრავალფერად დახვეწილი პოეტური მიტყველების სფეროში შემოყვანისას, მათ შორის სიტყვიერ-ინტონაციური პრობორციების წონასწორობა არ დარღვეულიყო. დავით წერეთლისა შესძლო ამის გაკეთება და მისი გამარჯვების გული აქ არის...

ბოი, სიხარულო: თამარ დედოფალო,
ყველაზე ლამაზო თამარ დედოფალო,
კბილი მარგალიტი, თვალწარბი გიშერი,
შავი დალაღები აბრეშუმისა.
თავზე მუზარადი, წელზე ჭავარდენი,
ატლასის კაბაზე რკინის აბჯარი.
ცხენი ქვიშისფერი, ლაგამი ოქროსი,
ლაგამი ოქროსი, ტახტა ვერცხლისა.
ეცერს მობრძანდები, თამარ დედოფალო,
თამარ დედოფალო, თამარადი.
ყველგან წვიმა და ყველგან თოვლია,
ეცერს ვაყეზე მზე დგას ცხრათვალა.

თ ა მ ა რ ი ს — იმპერიული საქართველოს
„ღვისა სწორი“ მეფის კულტი გასაკვირლო

არ არის სვანეთში, იმ კუთხეში, სადაც საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა ხატი ამგვარი ზედაწერილით: „ღმერთო, აღიდეგ მეღვინე ბაგრატიონიანი და ერთობილი საქართველო“ (ლატალი). მოსალოდნელი იყო აგრეთვე, რომ სვანეთში თამარი მითიური ქალღმერთის ატრიბუტებით იქნებოდა აღჭურვილი ისევე, როგორც ფსავში, სადაც ის პირიმიზე და ქართველეთში „ღამაში სვდა“ (ყვავა). მაგრამ აღსანიშნავია ისა, რომ სვანურ სოფლებში თამარ მეფე მემომარი ღვთაების მამრული ატრიბუტებითაც არის აღჭურვილი. კასლედლის ქალღვარსკვლავის სიტყვით მის საქმროს: „ტანთ აბჯარი უნდა ეცვას, ზმალი ერთკაი — ბასრას კინა, თავს ეხურის მუზარადი, ქვიშისფერი ცხენი ჰყავდეს“. ცხადია, რომ თამარისა და ცისკრის ვარსკვლავის („ცისკრის თეთრი ვარსკვლავი ვარ, კასლედლის ცაზე ვბრწყინავ“) ღვთაებრივი საქმროს მეომრული ატრიბუტები იდენტურია.

კასლედლის ეს თეთრი ქალი საქმროდ „სამი დიდი ლაშქრის სარდალი, სამი დიდი ციხის ბატონს ეძებს“, — ეს სამი ციხე სამყაროს სამი სენელია, — რაკი თვითონაც ზესენელ-ქვესენელის ბინადარია: კასლედლის ცაზეც ბრწყინავს და ამავე დროს, ქარის სამოსით მღვრივ გზებზე დაგვლავს მოფრივლე ეშრის დიდალით: „ფეშერს“ და „მღვრივ“ ფერი ქვესენელის შავი ფერის ნაირგვარობა ისევე, როგორც სითეთრე ასტრალურ სამყაროს მიმანიშნებელია (თეთრი ციხე, თეთრი ქალი, თეთრი შუბლი, თეთრი შუნი და სხვ). ფერხელში ჩამდგარს ამიტომ ეუბნებიან ქალები: „ქალი ხარ და თოვა თოვლის“ და ამიტომვე ეძვას ლექსში „ნათელ-მარისად“ სახელდებულნი, — „თოვლივით თეთრი ძუძუებით ლატფარიდან ნათელს აფენს“. ქარი, თოვლი და ზამთარი (ქართლური თქმულებით, ცისკარი ანუ შუქურვარსკვლავი „ზამთარ-ზაფხულის გამიენია“, „ზამთარი შუქურვარსკვლავის ძალით მოდიოდა“) მისი სითეთრისა და მზისგან უნახველობის მიმანიშნებელია, ხოლო „მზეთუნახავი იმიტომ ეწოდებოდა, რომ იშთარ-ვარსკვლავით ის მზეს საერთოდ ვერასოდეს ხედავს. მზის ჩასვლის შემდეგ ამოდის და მწუხრის ვარსკვლავი ეწოდება, მზის ამოსვლის წინ ჩადას და ცისკრის ვარსკვლავი ეწოდება, რითაც ის მართლაც მზის უნახავი მთებია“ (დ. შენგელია).

შესაძლოა, ეს ქალღმერთი ადსათი იყოს, ქართველი ტომებისათვის არტემიდა-აფროდიტის განმასახიერებელი, რომელსაც პლუტარქემ „ფაზანელი ვენერას“ სახელით იხსენიებს. დემნა შენგელია მის სახელს ფასის მთას, ფაზისს, ხოლო აქედან იმ ფას-კუჩქის ანუ ვარსკვლავს უკავშირებს (ფას-კური, მას-კულავი, ვარსკვლავი) ამირანი რომ ამოჰყავდა ქვესენელიდან სამზეოში. ამ ტერიზში კასლედლის ნა-

თლისმფენელი ციხე იგივე ამირანიანის ბრალის კოშკია, ხოლო კასლედლის საქმროს დრუბელთ ბატონის თეუმას ძეობრივი იმოსტასით ვაცხადებული ამირანი („ამირან შავა დრუბელსა, საწვიმრად გამზადებულსა“) ... უნდა აღინიშნოს, რომ კრებულის სხვა ლექსებში ნახსენებია — „მღვრივ ფერის“ მგელზე გადამჯდარი მურზაბეგი (ისლამდიურ მითში ზუმბერაზი ხიურაქინი მგელზეა ამხედრებული), შავი მანგური „ქვიდან ქვაზე, კლდიდან კლდეზე შავ ეშმასავით რომ დახტის“ (ცხადია, „ეშმა“ გვიანდელი კორექტივია), შავი ბატუ და „მგლისფერი და მგელი ქვირივ“ ამირანიანის უსლუ-ვიშნის მოგონებასაც აღძრავენ და ამავე დროს, ფსავ-ხევისტურეთის სვილიფერ დემონებ-სა და მეომარ ზატებსაც მოგვაგონებენ.

კასლედლის მზეთუნახავის საქმროს ქვიშისფერი ცხენი უნდა ჰყავდეს, რადგან „ქვიშისფერი“ ხტონურ წყლებს უკავშირდება. ერთ ზეესტურულ ლექსში ქაჯების მიერ ასხმული ჯაჭვი ჰალაზე ქვიშით იხეხება, ხოლო სხვა ლექსში წყალივით მიცურავს. ქვიშისფერი ცხენი იგივე ლურჯა, შავი რაში, „ნისლისფერაა“, რომელიც ზესენელშიც აიჭრებოდა ხოლმე და ამიტომ „ფაფარომასკვლავიანიც“ იყო. შავი რაში ღრუბელთ ბატონის ატრიბუტია, რის გამოც იგი, ერთი მხრივ, ხტონურ წყლებთან არის დაკავშირებული, მეორე მხრივ, კი ასტრალურ სამყაროსთან, როგორც თავის სამყოფელთან. ამიტომ არიან პოსეიდონის — ზღვათა ღმერთის ცხენები ოქროსფაფარიანი და, ცხადია, კასლედლის შუბლთეთრი საღარიც — ქართული ზღაპრების მზეშუბლიანი ცხენებით (გაიხსენით „აულუა ქეთელაურიდან“ — „ირემს ჰავ მინდის წითლი შუბლითა მთვარიანითა“) ზესენელ-ქვესენელის დამაკავშირებელი არიან. შუბლთეთრი საღარი მზეთუნახავის მამისაა. ეს კაცი მწყემსია ბერძნების ჰელიოსით:

დილით აყრის თავის ნახირს,
იფნის შოლტით მისდევს უკან,
გადაიქვანს უთურ-მთაზე,
შეპას ასმევს უთურ-მთისა,

იალაზე რემას ვაშლის,
იალაზე — შხარის ახლო.

ამ ნაწყვეტში ნათლად ჩანს, როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი იტყვოდა — „უდიდესი მითოსი მზის ამოსვლისა“. და იგი თავისი მხატვრული ღირსებით, მე ვფიქრობ, აღემატება კიდევ „ქალი ზვარამზეს“. მზე ამოდის და მისი ნათელი იალაღებზე წითელი ცხენების რემასავით ან ნახირობით იფინება. „ეცენის დათვში“ ეს სურათი კიდევ უფრო გამაძფერებელია და თითქოს თანადროული დინამიზმით გაიცოცხლებულ სახეებს ბადებს:

გადავიღე და წვრილი ვნახე,
 ყველა მხრიდან ქარი ქროდა.
 წვრიმელები ველზე იყვნენ,
 მოხსნომოდნენ ქარის ცხენებს —
 უსუნაგირ-უსუნაგო —
 უაფანდო-უაფანარო:
 დაფარა მთელი წვრიმი
 ულაყების ძუა-ფაფარს...

ქალღმერთის სახესთან შერწყმულ ამ მზექალს
 ასე ევედრება მლოცველთა გუნდი:



ჩვენთან დარჩი, ნათელ-მარეხო,
 მთაში მაისი მოზრძანდება.
 ველზე გაშლილი ყვავილი ხარ,
 თითარი ღერო ხარ კანაფისა.
 თვლებით საესეა შენი უბე —
 ლალითა და იავუნდითა,
 ოქროსფერი დაღალ-კავები
 ოქროს ხევაღ მხრებზე გაყრია.
 ნურსად წახვალ ნათელ-მარეხო,
 თითრად მოგვირთე გახაფხული,
 შენი თოვლივით ძუძუები
 ლატფარიდან ნათელს გვაფენდა.

ქარი—სკენელთა დამაკავშირებელი სტიქიონია. კასლედლის მზეთუნახავი „ქარის საშოსით“ დაველავს ზესკენელ-ქვესკენელში. ქარი რომ ქვესკენელთან ან ქვესკენელის შესასვლელთან არის ასოცირებული, ამირანის ერთი ცნობილი ლექსის ნევესტრული ვარიანტიდანაც ჩანს: „აიქ ჩავიდეთ ამირან, გუშინ რომ ქარი ხვიოდა“; იქ ჩავიდეთო სადაც — „ქორწილ ზქონიყვა დე-ვებსა, სიმურ ეჩქვიდა წყალიო“, ე. ი. ხტონურ წყლებთან ანუ ქვესკენელში. ასე რომ „ქარის ცხენებო“, შეიძლება ითქვას, უბრწყინვალესა მხატვრული აბსტრაქციით გადმოგვეცემს მზის ამოსვლის გრანდიოზულსა და ამავე დროს დინამიკურ სურათს.

ასტრალურ სამყაროსთან, მზითური და ლამე-ული ღის სილამაზესთან არის დაკავშირებული აგრეთვე ოქროს ირემი და თეთრი შუნი. „ბარბოლ-დოლაშის“ საგალობლის — „წვეთავს ირმის საესე ძუძუ, თეთრად რჩება ირმის კვალი“, — უძველესია, „ირმის ნახტომს“ ირმის „დასპულის“ ანუ რმის გზას გულისხმობდა და „სვანი მონადირე ბეთქილი დალის თეთრ შუნს ამ გზით დაედევნება“ (დ. შენგელაია). ეს ირემები ძოვნი „ლილეს“ ზეციური სასახლის ოქროს ვალავანთან. ეს ირემები მუშაობენ „კასლედლის“ თეთრი ციხის მახლობლად: „ფურ-ირმები ყანას მკიან, ხარი-ირმები კალოს ლეწენ“ (32), ამ ირემთ-კალოზე „დაარსდება“ ხევისური ღვთისმშვილი კოპალა. ეს ირემებია გამოსახული უძველეს თრიალეთურ ბალოებზე და სწორედ მათ გამო გვესაუბრება სიმონ ჩიქოვანი თავის ერთ ლექსში:

კოლმეურნის კალო ირემებს ვაღწევი,
 რქებს მივაკარ ყვავილები ჭრელი.
 ავერზე შევხტი, ჩამავალ მზეს დავეწვი,
 ბარჩხალა მზეს რქაში ვტაცე ხელი.

მზე ირემებზე დავკვიდე და დავხრიალებ,
 ხოხბისფერი პატარძალი მშველის,
 პატარძალი, შენს სიყვარულს მაზიარე,
 რძე შემახვი ირმისა და შველდის...

ეს პატარძალი იგივე მზის ქალღმერთი ბარბოლია — ვაღვიძებული ბუნების, ნაყოფიერებისა და სიყვარულის მზექალი, ჯიბიერში მიმავალს, გზაზე მწვანე ტოტებს რომ უყრის ხალხი. სხვა საგალობელში, ცისკრის ვარსკვლავ-

ბარბოლის უძველები წლის ბოლოს აღინიშნებოდა. „ხალხის ძველი შეხედულებით 4 დეკემბრიდან სამი დღის განმავლობაში მზე არ იქვროდა, ხოლო ამის შემდეგ დღე თანდათან მატულობდა“ (ვ. ბარდაველიძე). „ბარბაღისა“ და შობის კვირებში ეცერლები ხარს არ აბამდნენ უღელში. რატომ? იმიტომ, რომ მზებუდობა, მზის უძრავობა, შესვენება იყო, ხოლო ხარი მზის ზომიერულ განსახიერებას წარმოადგენდა: „შენს საღმრთო ხარტეს, მეუფეო, რქები ადგათ, რქები ოქროსი“, „მზე შემოაქვთ რქებით ხარებს, მზე შენია, ბარბოლ-დოლაშ“ (გაიხსენით ეგვიპტის მითური ხარი აპისა, რქებშუა მთავარი).

საბას მიხედვით, მზის უკიდურეს სამხრეთ წერტილს, რომელსაც ზამთრის მზებუდობისას „ვერ ვასცილებდა“ მზე, — დეკანა ჰქვია. გურიაში დეკელს ეძახიან დეკნას, ხოლო დეკელის წლის ფურს ნიშნავს. წელიწდი დასრულდა; მზე წლის ფურია ან ფურისაგან უნდა იშვას და დეკნას ამიტომ მიეწურა (ხევისურეთში მ ზოცე ვ არა დეთავბრივი ფურის სახელია, მეგრულში ბეა მზესაც აღინიშნავს და რძესაც, სვანურ მითში ახლადშობილ „მზის მსგავს“ ამირანს რძეში ბანენ და დეკელის ფაშეში ინახავენ მოსაშუშებლად), — შესაძლოა, ასეთი იყოს ამ ასტროლოგიური ტერმინის მნიშვნელობა... ვერა ბარდაველიძე გვიუწყებს, რომ სწორედ ამ დროს იცოდნენ სვანეთში მატყლისა და კანაფის დართვა, მაგრამ რატომ? როგორცა ჩანს, იმიტომ, რომ რთვა დროს დასაწყისს, ახალი წლის დაწყებას, დღის მატებას ანუ მზის გაძლიერებას განასახიერებდა. ისლანდიურ მითებში დრო თითისტარივი ტრიალებს. ქართული ზღაპრის მიხედვით, დოლაბ-თითისტარიანი დევი „ქართული კრონოსია“. სვანურ მითში ამ დევის მუცლიდან გამოდის მზე-ამირანი, რადგან „ამირანი მზეკაბუ-

თავაზ ჩხენაძელი
 სვანეთის მკითხველი მიმოიღი

კია, აფხაზურად მას აბრსკილი ჰქვია, რაც მზის შვილს, მამასადამე, თვითონ მზეს აღნიშნავს“ (მ. ჩიქოვანი).

ამრიგად, მზე იყო დროის, ზეცის, ბუნებისა და ადამიანის დამაკავშირებელი უზუნაესი არსი. ადამიანი მზის ღმერთის შვილი, ღვთისშვილი, მზის წელი ანუ წილი იყო და ეს ასახული იყო ენაში. მზის ემბლემის — ბურთის სახელი ქალღმერთი ბარბარის სახელიდანაა წარმომდგარი, ხოლო ხეგესური მისტების ენაზე ვაეს ოქროს ბურთი ეწოდებოდა და სამზეოში ყოველ კაცს საკუთარი მზე ან მზის წილი ამიტომა აქვს მითვლილი. მზისქვეშეთი ანუ სამზეო, ჩვენი წინაპრების მსოფლგანცდაში „განკაცებული ქვეყანა“, „ადამიანური თანგეყოფინით“ გარდაქმნილი სამყარო იყო და მასში მზე და ადამიანი ურთიერთშემავსებელ პოლუსებს განასახიერებდნენ. — ზეციერსა და ქვეყნიერს...

ლილეგოა, დიდება შენდა,
დიდება შენდა, ზეციერო.

ოქროსი გიდავს სრა-სახახლე.
გარს აკრავს ოქროს გალავანი,
გალავნის ძირას ირმეხა,
ქიმ-ქონგურებზე შევარდნები.
შენს საღმრთო ხარებს, მეუფეო,
რქები ადგათ, რქები ოქროსი,
იალაღებზე ბულრაობენ,
ირუევიან დიდი ქედები.
ნებიერი შენი ვერძები
რქებით ერთმანეთს აწყუდებიაან...
შათა იმხვრევა ხერხემალი,
ქანაობენ მძიმე ბურკვები...

ლილეგოა, დიდება შენდა,
დიდება შენდა, ზეციერო.

გალაკტიონი მოხიბლული იყო ამ საგალოზლით და მას მარადიული ღირებულების ძეგლად თვლიდა: „მრავალი რამე შეიძლება ამ ქვეყნად გაქრეს, — ვერვინ გააქრობს ამღერების ციხესიმაგრეს“... სიცოცხლით აღტკინებული, მითოსური ცეცხლითა და ძლევამოსილი რწმენით აღბეჭდილი ამ საგალოზლის მაგნეტურმა ძლიერებამ პირველივე შეხებით მოწუსდა ვლადიმირ სოლოვიოვი. ამ დიდ მოაზროვნეს მკითხველთა ფართო წრე უპირატესად, ბლოკის „სკვითების“ ეპიგრაფით იცნობს. უბრალოდ კია ვიცოდეთ, როგორ შეიყვარა ვ. სოლოვიოვმა „ლილე“...

Помню случай, когда Владимир Сергеевич серьезно увлекся одним напевом и затвердил его наизусть. Он встретил у меня за обедом молодого грузинского композитора и собирателя народных песен М. А. Балачивадзе, только-что вернувшегося тогда из

сванетских гор и привезшего много старинных напевов, глубоко интересных в отношении музыки и текста. От них веяло полужыческим, восторженным и наивным мистицизмом. Владимир Сергеевич пришел в особенное восхищение от гимна «Лиле»...

Напев торжественный, с своеобразною гармонизацией, порывистыми аккордами, интересными переходами из тона в тон. Владимир Сергеевич заставил несколько раз повторить его, записал сванетские слова; потом, бывало, едва заговорим с ним о прекрасной Грузии, к которой он издали чувствовал стихийную симпатию, Владимир Соловьев встает, принимает торжественную позу и, подняв руку, напевает неведомые ему слова:

Исквами! Дилеба!
Бингоя! Шинеда!
Лиле! О Лиле!.. (В. Л. Величко.
1902. 191—2).

თანადროულობის დიდ ფილოსოფიურ და სპირიტუალურ პრობლემებს შეჭიდებული მოაზროვნის ამ შედეგით აღტაცება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. „მივალწიეთ რა XX საუკუნის შუა წლებს, ჩვენ ხელის ფათურით ვეშვებით იმ ზღურბლამდე, სადაც ყველა დროის უდიდესი გამოვლინებანი ისახებოდნენ. ხელოვნების ნაწარმოებში ჩვენ უპირველეს ყოვლისა სუბიექტური ცდა, ფსიქოლოგია, სინამდვილისმიერი ექსპერიმენტი კი აღარ გვაინტერესებს, არამედ თავდაპირველ ელემენტებთან უშუალო და ცინცხალი შეხება, — ყოფიერების წმინდა რიტმი“ (ბლოკერ). ამ ნიშნით მოზღვავდა XX საუკუნეში მითოსური. მითოსი თითქოს „წმინდა არსებობის“ სურათს ირეკლავს, სურათს, რომელიც თავისუფალია ყველაფრისაგან, რაც სოციალურად და ისტორიულად დასაზღვრულია. მისი მისწრაფების საგანია ამოსავალი სქემები, თავდაპირველი სახეები, წარუდინებელი და სიდრმეში დაეანებული, რაკი დიდი ხელოვნანის ამოცანა ის არის და ის იყო მუდამ, რომ იმგვარი სახეები და სიტუაციები შეექმნა, რომლებიც გადალახავდნენ თანადროულობის ენობრივ სივრცეს და მარადისობას გასწვრივდებოდნენ. სარტრის აზრით, „სპეციფიკური გზის მქონე ზოგიერთი ქვეყნისათვის (მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, სადაც ატეკების, ინკებისა ანდა მიაის მეტაფორული ლეგენდები დღემდე ცოცხალი შემადგენელი ნაწილია ნაციონალური კულტურებისა) მითი არ მომკვდარა. იგი ასაზღვრევებს მოწინავე ეროვნულ ლიტერატურას, ფერწერასა და თეატრს“. სარტრის ეს შეხედულება მთლიანად და საყენებით ესადაგება ქართული კულტურის შინაარსს, კერძოდ, ქართულ ლიტერატურას,

რომლის ფესვები იმთავითვე მითოსური ხილ-
ვებით იყო გაპოხიერებული. სხვაზე რომ არა-
ფერი ითქვას, საქართველოს მითოსურმა ქვეყ-
ნულმა ამოსტყორცნა ვაჟა, — ბუმბერაზი, ვისი
შინაგანი ძალისხმევით რომელიც ვინდა ერი
დაიწყებდა ათასწლოვანი არსებობის წელთა-
დრიცხვასა და სულიერ აღორძინებას. ქართუ-
ლი პოეზიისათვის ყოველთვის ნიშნული იყო
და დღესაც ნიშნულია ეს. XX საუკუნის ჩვე-
ნი პოეტები მეტყობენ დოხოთ, სხვადასხვა
ასპექტითა და მიზანდასახულებით იყენებენ
ფოლკლორისათვის ნიშანდობლივ წარმოდგე-
ნებს, ფრაზეოლოგიასა და ლექსიკას, რიტმულ
და ინტონაციურ მოდულაციებს.

სვანური ფოლკლორის პირველი რომარი
ჩვენს პოეზიაში რევაზ მარგვიანის სახელგანთ-
ქმული „მიზანგულა“ იყო. ამ ლექსმა მოიტანა
პირველად მომხსენებელი, თუმცა ტრავიკული
სიუჟეტებით გამართული სვანური ხალხური
ბალადების სურნელება. სვანური ფოლკლორით
განსაკუთრებულ დანიტრეკებსაც იჩენდა გა-
ლაკტიონ ტაბიძე. ამ წიგნში „ბილუბას“ სათა-
ური აღნიშნულია ლექსი, რომლის ვარიაციაც
მას გასაოცარი ლექსი აქვს დაწერილი. „ამბავ
მოხდა გასაკვირველი“, — გვაუწყებს „ბილუ-
ბას“ პირველი სტრიქონი. შემდეგ კი, სტრი-
ქონგამოშვებით მოდუნებული მხიარული შე-
ძახილით „ამაზე უფრო საკვირველს ვხედა-
ვო“, — იშლება ფანტასტიკური, იუმორით სავ-
სე, ხალხური ცნობიერებისათვის განზრახვარ-
მოუდგენელი, დაუშვებელი, სამირისპირთ წი-
ნუკობით წარმოსახული სიტუაციების ჩამოთ-
ვლა: „დიდი ხეები უფროს ფერხილ... დასე-
ირნობენ თევზები მინდვრად... მივხვარებოდ
დამდგარან მგლები... ეჭიდებიან თევზები დათ-
ვებს... მზე დასაუღეთით ამოდის ცაზე“, და
ა. შ. ვალაკტიონთან: „მესტიის ხიდი, მესტიის
ხიდი, ცის მშვიდი რიდე ედება უშბას, ცეკვის
აღრისტი, უუკვდავესით, ხენი თავისთვის აბა-
მენ შუშპარს“... აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ
800 წლის წინ, დავით აღმაშენებლის ძის —
დემეტრე მეფის (1125-1154) მიერ დაწერილი
იამბიკო, რომელსაც ხალხური მსოფლმეგობრე-
ბის აშკარა გავლენის ბეჭედი აზის, გასაკვირ-
ველი სიტუაციების“ ასეთსავე — იუმორული
მიგნების — პრინციპზეა აგებული:

ცასა ბეწვითა ეციდა — ვანჯე კაცი,
და მასვე კაცსა შუბის წვერს ედგნეს
დარბაზნი.
მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდევდა
ქურციკთა,
და ზღვასა ზედა მოარბევდა ცხენითა,
და ესრეთ დადადებდა: დმერით, შენ
კურთხეულ ხარ...

უკანასკნელ ხანს თავისებურად გამოიყენეს
ფოლკლორული მასალა ჩანსულ ჩარკვიანმა და

ანზორ სალუქვაძემ. პირველმა მეგრული და
რაკა-ლენხუმური ფოლკლორის ცალკეული ფრა-
ზები და მეტაფორული სახეებ-შემოიტანა, და
სემში, ხილო მეორემ — ხალხური ლექსის ან-
ტიფონიური კომპოზიცია.

ფოლკლორული მასალა დიდი ცთუნებაა პო-
ეტებისათვის, თუმცა შეუძლებელია მასალა და-
ერქვას ამ წიგნში წარმოდგენილ ხალხური პო-
ეზიის შედევრებს, რომლებსაც ძლიერი და შე-
კუმშული სიუჟეტები, გამკვირვალ მითითური
ალეგორიებით სავსე ხილვები და მოქნილი კომ-
პოზიცია გააჩნიათ. თვით ისეთ ბალადური ხა-
სიათის უბრწყინვალეს ლექსებში, როგორცაა
„ასლან-მურზა“ და „სოზარ და ციოყ“ აშკარად
გამოსჭვივის მითითური სიმბოლოები. ეგვევ სიმ-
ბოლოები აშკარაა „დერესა“ და „ცენის დათ-
ვში“ და თვით „თავი, თავუნაშიც“. ეს უკა-
ნასკნელი „არწყითან და ჭიანჭველასთან“ და
„თხამ შექამა ვენახთან“ ერთად უთუოდ დაამ-
შენებდა ჩვენი ბავშვების სახელმძღვანელოებს.

ლორკას ეკუთვნის ბრწყინვალე სტრიქონი:
„მინარე აიკილდა ვარსკვლავებით დაჭრილ ხა-
რებით“, და ამ სტრიქონის ველური თილამაზე
ჩვენ გვალელებს მიუხედავად იმისა, რომ ასე-
თი მეტაფორა თითქოს მოულოდნელიც არ უნ-
და იყოს მისგან. მაგრამ როცა ხალხურ ლექ-
სში ვკითხულობთ: „ეფეხის ზომარება სასიკ-
ვდილო-მინარეს ჰგავდა ადიდებულს“ (109).
ეს თავბრუს გვახვევს, მით უმეტეს, რომ სილა-
მაზითა და სტიქიონური მძინვარებით პირველს
თუ არ სჯობნის, არც ჩამოუვარდება.

შეუძლებელია მკითხველმა ყურადღება არ
მიამციოს ფანტასტიკურ „დუდსა“, რომლიც
თითქოსდა ყოფითი ხასიათის დიალოგში უზარ-
მაზარი, კომპოგონიური მნიშვნელობის მითო-
სური სიმბოლოებია ნაწულისხმევი. ან არ შე-
ნიშნოს „ეფეხისა და მოყმის“ საოცარ სვანურ
ორკულში (თამბი, 108). რეალური, სიუჟეტური
პლანის მიღმა მიმალული რაღაცნაირი ასტრა-
ლური შინაარსის მქონე მისტერია. არადა, ვა-
უგებარია თამბის მიერ ეფეხის ასეთნაირი და-
ტრირება (გუეიხსენოთ, რომ ხეთების თილშპას
ატრიბუტე დიონისური ვეფხია): „ნეტავი შენ
არ მომეკალი, — მამაჩემი შემომკვდომოდა.
ნეტავი შენ არ მომეკალი, — ალლი მმა შე-
მომკვდომოდა. ნეტავი შენ არ მომეკალი, —
ლდილი შეილი შემომკვდომოდა, ნეტავი შენ
არ მომეკალი, — თავი მომეკლა — და — ტია-
ლი“.

ამ სინკრეტულ საგალობლებში, რომელთა-
ვან ბევრი დღემდე სრულდებოდა და დღესაც
სრულდება როგორც საფერხულო სიმღერა
(„მშვენიერ ქალთა ხორუმელთა როკავდა და-
სი“, — გ. ტ.) განუყოფელ მთლიანობად არის

თამაზ ჩხენკელი

სვანეთის მკვირი მითოსი

წერწყმული სიტყვა, სიმღერა და პლასტიკა, მოკლე წინასიტყვაში დავით წერედიანს წერს: „სევანური ლექსი და სიმღერა ერთ განუყოფელ შემოქმედებით ერთეულს შეადგენს და ძნელი თქმა, ლექსი წარმართავს სასიმღერო პანჯს თუ პირიქით, მუსიკალური ელემენტები იმორჩილებენ სიტყვიერ ტექსტს“. მკითხველი მიხვდება თუ რა ძნელი იქნებოდა ბუნებრივი სინკრეტიზმისაგან გამარცხელი ტექსტების კვლავ გამთლიანება სიტყვიერი ხელოვნების სულ სხვა — ერთგანზომილებიან — გარემოში, სადაც მთლიანობიდან აბსტრაქტიზმულ ნაწილებს, მეჩხეებზე გარჩენილი ხომალდებივით გამოეცლებოდა. ექსპრესიული ძალმოსილების ზღვა. დავით წერედიანმა კვლავ პოეზიის ღრმა წყლებს დაუბრუნა ისინი. მაგრამ სწორედ ამის გამო, ცოცხალ, სინკრეტულ დედანთან შედარებით, წერედიანისეული სიტყვა ზოგჯერ რაფინირებული და ნაკლებმაგიერია, მიუხედავად იმისა, რომ ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სიტყვიერი ფაქტურა შესატყვისი ორგანულობით ვაღმოაქვს ყოველთვის. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ავტორის სტილი ამ თვალსაზრისით უადრესად ზუსტი და უნაკლოა. მას დიდი ტაქტით შემოაქვს ლექსში დიალექტური „ჩივის“ (63) და ამგვარივე ელფერის „გამოსკვინი მალე გვირგვინს“ (37) და მით ნაცნობი ხალხური სიმღერების რემინისცენციას იწვევს. არსებობს სიტყვისა თუ ფრაზის ისეთი ღრმად ინტიმური, ბავშვობიდანვე გაინაგნებული მიმოქცევა, რომლებიც სამუდამოდაა შესული ქართველი კაცის ცნობიერებასა და ყოველდღიურ ყოფაში, როგორც მკვიდრი და მშობლიური და ამიტომ მკითხველისადმი უნდობლობად ჩანს ბუნება ქველას „ძია ქაქუჩელათი“ შეცვლა. რუსთაველის „გაშმაგი და გაავნობდის“ (82) დაკარგული აქვს თავდაპირველი კონტექსტის კონკრეტულობა, რაკი უნაშთოდ ერწყმის

სტროფის ძირითად ინტონაციას. და აბსურდი იქნებოდა ეს სტრიქონი მხოლოდ იმეტივე მოეშველებინა ოსტატს, რომ ის რუსთაველს ეკუთვნის. ერთი ძირიდან წარმოშობის მიუხედავად ზუსტი არ არის სევანური ფიგურის (წერილფება ნადირი) „ფიორით“ (24) შენაცვლება, რაც მცირეს, ერთი ბეწოს კინიშნავს, მაგრამ ნადირს არა: „ერთი ფიორის გულისთვის... შეიღს ბედს დაუქარავადით?“ (დკლდიაშვილი), „ნიჭარას ეკრა ფერფლის ფიორი“ (ს. ჩიქოვანი).

დავით წერედიანს განმარტებული აქვს ზოგიერთი სპეციფიკური სიტყვა და კარგი იქნებოდა ესენი განვმარტა: სეინჩი (29), სააღბო (31), ბილუბა (41), დომეცი (58), სარაგი (61), ტაბაგი (62), ხახბერის თვე (77), ჯვარუჯულმა ჯვარზე მკდომელი (79), რანგი (81), ხანგარი (82). მინდა შევნიშნო აგრეთვე, რომ წიგნს სათაურად „ლილე“, „ქასლედილის ვარსკვლავი“ და ათასი სხვა რამ უფრო მოუხდებოდა, ვიდრე არაფრისმთქმელი „ირინოლა“. და კიდევ: ხომ არ ჯობს „კანანუს“ („ველზე გაშლილი ყვავილი ხარ, თეთრი ღერო ხარ კანანუს“, (89), საბასეული „ექსუნჯი“, რომელიც — ჩემი აზრით — ფონეტიკური სტრუქტურითაც კი ესადაგება სევანურ გარემოს.

ამ წიგნმა ახალი სოფლხატით გაამდიდრა ჩვენი შინაგანი მზერა. მან გავციფაროვა წარმოდგენა ქართულ მითოსზე და ერთხელ კიდევ გვაგრიბობინა მისი წარუვალი სიმშვენიერე და სიღრმე. მე მგონი, მკითხველი საზოგადოების სურვილსაც გამოეხატავ, თუ ვიტყვი, რომ საკვიროა დავით წერედიანმა შემდგომში, სევანური პოეზიის შევსებული, ვრცელი წინასიტყვიითა და საფუძვლიანი შენიშვნებით გასრულებული წიგნი გამოსცეს, რომელსაც მისდამი გამოვლენილი ინტერესის შესაბამისი ტირაჟი ექნება, შესაფერ ქალღღმე იქნება დაბეჭდილი და შესატყვისად იქნება გაფორმებული.



„ეკისკოლათა ნიგნი“

(მნიშვნელოვანი სომხური პირველწყარო საქართველოს ისტორიისათვის)

ქართველ ერს, ისევე როგორც ყოველი ძველი კულტურის მქონე ხალხს, მეტად მღაღარშინაარსიანი ისტორიოგრაფია გააჩნია. საუკუნეთა სიღრმიდან ახსოვს მის საკუთარი თავგადასავალი. იბერიელებს თავისი პოლიტიკური წარსულის ცოდნა მწყობრად გამართული თხრობის სახით ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაშივე მოეპოვებოდათ. ქართულმა საისტორიო მწერლობამ შექმნა: „ყოველი დარგის ნაწარმოები უმარტივეს, ლიტონად აღწერილ თხზულებათაგან მოყოლებული, რომლებშიაც მხოლოდ ამბავია მოთხრობილი, ისეთ ურთულეს და უწარჩინებულეს საისტორიო ნაწარმოებათამდე, როგორც არის გიორგი მერხულის, ბასილ ზარზმელის, გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ხუცესმონაზონის, ეფრემ მცირეს, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა და ვახუშტი ბატონიშვილის ქმნილებანი“¹. აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის ხანის ქართული ისტორიოგრაფია თავისი დროის მსოფლიო ისტორიოგრაფიის მოწინავეთა რიგში იდგა. „საზოგადოებრივი ცხოვრების აურაცხელი საკითხებით დატვირთული ქართული ისტორიოგრაფია ფეოდალური ხანისა წარმატებით ახერხებს საზოგადოებას მიაწოდოს მშობლიური ისტორიის აქტიური ცოდნა“².

ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების გარდა, საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოურ წყაროებში შემონახულ ცნობებს. საქართველოს ისტორიის შესახებ საინტერესო პირველწყაროები მოგვეპოვება ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, სპარსულ, სომხურ და სხვა ენებზე. განსაკუთრებით საყურადღებო მასალას გვაწვდის შუა საუკუნეების საქართველოს წარსულის შესასწავლად ძველი სომხური საისტორიო მწერლობა (V-XVIII ს.ს.).

სომხურმა საისტორიო მწერლობამ იმთავითვე მიიპყრო ქართველ და უცხოელ მკვლევართა ყურადღება. ინტერესს სომხური საისტორიო მწერლობის მიმართ აძლიერებდა ის გარემოება, რომ სომხური ისტორიოგრაფიის მნიშვნელობა არ ამოიწურება მარტოოდენ ეროვნული ისტორიის გადმოცემით. სომხურ საისტორიო ძეგლებში უხვი ცნობებია დაცული აგრეთვე მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების — არაბეთის, სპარსეთის, თურქეთისა და სხვათა — პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მთელი რიგი საკითხების დასამუშავებლად და შესასწავლად. სწორედ ზემოაღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ის ამბავი, რომ მრავალი სომხური საისტორიო ძეგლი თარგმნილია არა მარტო რუსულ, არამედ დასავლეთ ევროპის რამოდენიმე ენაზე.

სომხურ საისტორიო თხზულებათა ფურცლებზე აღბეჭდილია საქართველოს ისტორიის არა ერთი საყურადღებო მოვლენა და მნიშვნელოვანი ფაქტი. საქართველოში განვითარებულ

¹ ივ. ჯავახიშვილი — ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII ს.), თბილისი, 1945, გვ. 14.

² ნ. ბერძენიშვილი — საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1966, გვ. 294.

ლი მოვლენები მუდამ იყო სომეხ ისტორიკოსთა თვალსაჩინოში. სავანებოდ არის ხაზგასმული ის გარემოება, რომ სომეხი ისტორიკოსები მარტო მწიგნობრული გზით არ ეცნობოდნენ საქართველოს ისტორიის ფაქტებს; საქართველოში მომხდარი მოვლენების აღწერისას ისინი გვაწვდიან ორიგინალური ხასიათის ცნობებს, ხშირ შემთხვევაში სომეხი ისტორიკოსები აღწერილი მოვლენების „თანდაზნებულნი“ ან „თვითმხილველნი“ იყვნენ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ V-XVIII სს. ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი ერთდროულად მოკვითობდა არა მარტო სომხეთის ისტორიას, არამედ საქართველოს ისტორიასაც.

ამ თვალსაზრისით, აღნიშნული ხანის მრავალი სომეხური საისტორიო თხზულება არ შეიძლება არ მივიჩნიოთ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან პირველწყაროდ. და აი, სწორედ, ერთ-ერთ ასეთ უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს საქართველოსა და სომხეთის ისტორიულ ურთიერთობის შესასწავლად, წარმოადგენს სრმხური „ეპისტოლეთა წიგნი“, რომელიც ახლახან გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიამ, ზაზა ალექსიძის ქართული თარგმანით, გამოკლებითა და კომენტარებით (რედაქტორი ლ. ჯანაშია).

„ეპისტოლეთა წიგნი“ (Liber epistolarum) ეპისტოლოგრაფიული, დოგმატიკურ-პოლემიკური და კანონიკური ხასიათის ერთ-ერთი იმ კრებულთაგანია, რომელიც აღმოცენდნენ სომხეთში VII და VIII საუკუნის დასაწყისში, მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის შორის წარმოებული შეუპოვარი ბრძოლის პროცესში. იგი წარმოადგენს რელიგიის საკითხებზე სომხეთის ეკლესიის მოღვაწეთა მიმოწერას ბერძენთა, სირიისა და ქართველთა ეკლესიების მეთაურებთან V-XIII საუკუნეების მანძილზე. კრებული შეიცავს სხვადასხვა ქრონოლოგიურ დანაშრევებს. იგი შედგება დოკუმენტთა სამი ჯგუფისაგან, რომელთაგან პირველი (ყველაზე უძველესი) განეკუთვნება V-VII საუკუნეებს, მეორე — VIII-XI სს., ხოლო მესამე კი XI-XIII საუკუნეებს. კრებულმა ჩვენამდე მოაღწია იმ უნიკალური ხელნაწერის სახით, რომელიც ოდესღაც ინახებოდა კონსტანტინეპოლის ანტონიანთა მძიმის წიგნთსაცავში. ამ ხელნაწერის მიხედვით იგი გამოცემულ იქნა 1901 წელს თბილისში. ამ გამოცემაში „ეპისტოლეთა წიგნი“ შეიცავს სულ 98 ნაწარმოებს. ამჟამად „ეპისტოლეთა წიგნის“ აღნიშნული ხელნაწერი ლიზბონში ზღუმაზარის მონასტერშია დაცული.

„ეპისტოლეთა წიგნის“ პირვანდელი რედაქციის საკითხის შესახებ სავანებოდ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ნ. აკინიანი „ეპისტოლეთა წიგნის“ პირველი ნაწილის შემდგენლად მოსე ტურტავეის ეპისკოპოსის თვლის (VII საუკუნის დასაწყისი). მ. ორმანიანი

ნის აზრით, იგი იოანე ოძენელს (717-728 წწ.) უნდა შეედგინა, ხოლო ნ. ადონცი კეტიქოსის თვალდაპირველ რედაქციას მიაწერს კომიტას კათალიკოსს (615-628 წწ.) ამ უკანასკნელ შეხედულებას იზიარებდა აგრეთვე ლ. მელიქსეთბეგი.

სამწუხაროდ, „ეპისტოლეთა წიგნმა“ ჩვენამდე მოაღწია ერთადერთი უნიკალური ხელნაწერის სახით, რომელიც ადგილ-ადგილ დაზიანებულია, შეიცავს მრავალ ხარვეზს, მასში რამოდენიმე ფურცელი სრულიად ამოხველია. ზოგიერთი ხარვეზი, რომელიც 1901 წლის თბილისის გამოცემას გააჩნდა, მომდევნო ხანებში შესაძლებელია გახდა ნაწილობრივ შეხებულ-იყო. კერძოდ, 1902 წელს, ეურხანალ „არარატში“ გიულხანდანიანმა გამოაქვეყნა „ეპისტოლეთა წიგნი“ გამოჩინილი ზოგიერთი საბუთი, რომლებიც ეჩმიადინის მუზეუმის ხელნაწერებში აღმოჩნდა. „ეპისტოლეთა წიგნი“ შესული ზოგიერთი დოკუმენტის ნაწილობრივ ექსტრაპტები შემოინახა აგრეთვე ძველი სომეხური მწერლობის ისეთმა ძეგლმა, როგორც არის „სარწმუნოების ბეჭედი“. აღნიშნული ნაწარმოები აღმოჩენილ იქნა 1909 წელს, ჩრდილოეთ სპანეთში მდებარე დარაშამბის მონასტერში და 1914 წელს ეჩმიადინში იგი გამოსცა კ. ტერი-მკრტიანი. დასასრულ, 1941 წელს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სომხურ ხელნაწერთა ფონდში, ლ. მელიქსეთ-ბეგმა მიაკვლია 1316 წლით დათარიღებულ იშვიათ ნაბუნკარბეტს, რომელშიც, სხვათა შორის, სავსებით უნაკლოდ იყო დაცული „ეპისტოლეთა წიგნი“ შემავალი ორი ვრცელი ტრაქტატი მონოფიზიტობის შესახებ სომხეთსა და პალესტინაში. ეს სწორედ ის საბუთებია, რომლებიც „ეპისტოლეთა წიგნი“ დეფექტურად არის წარმოდგენილი. ამ ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე ლ. მელიქსეთ-ბეგმა დაადგინა, რომ „ეპისტოლეთა წიგნი“ უნდა შედგებოდეს არა 98, არამედ 100 საბუთისაგან.

„ეპისტოლეთა წიგნმა“ გამოსვლისთანავე მიიპყრო სამეცნიერო წრეების ყურადღება.

სათანადოდ შეფასა იგი თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა. ცნობილია, რომ ივ. ჯავახიშვილმა თავის შრომებში საკმაოდ ვრცლად განიხილა VII საუკუნის დამდეგს მომხდარი ქართველ-სომეხთა სიეკლესიო განხეთქილების ისტორია. ამასთან დაკავშირებით, მან სავანებოდ გაარკვია „ეპისტოლეთა წიგნის“, როგორც პირველხარისხიანი ისტორიული წყაროს მნიშვნელობა აღნიშნული საკითხის შესასწავლად. ივ. ჯავახიშვილს „ეპისტოლეთა წიგნი“ მიაჩნდა ტენდენციურად შედგენილ კრებულად. აი, რას

1 ლ. მელიქსეთ-ბეგი — სომხური „ეპისტოლეთა წიგნის“ ახალი ვარიანტი და პეტრე იბერიელის მოწაფე იოანე მაიუმელი — საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, 1941, XI-B

წერდა იგი მის შესახებ ჯერ კიდევ 1908 წელს: საესეხით გასაგებია, რომ „ეპისტოლეთა წიგნი“ — დაცულ მიმოწერას არ შეეძლო შემოენახა ყველას ის მასალა, რომელიც კი მოცემულ საკითხს შეეხება (იგულისხმება ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილება VII საუკუნის დამდეგს — თ. პ.). ეპისტოლეთა წიგნი წარმოადგენს ერთგვარ გამამართლებელ დოკუმენტს სომეხის ეკლესიისათვის: ამის გამო, ეპისტოლეთა მასში შერჩეულ უნდა ყოფილიყო გამსაზღვრელი ტენდენციით, ყველა ის მასალა, რომელიც ასე თუ ისე არ გამოდგებოდა სომეხური ეკლესიის სასარგებლოდ, ცხადია, ვერ მოხვდებოდა კრებულში. და მართლაც, „ეპისტოლეთა წიგნი“ არ არის შესული ქართველთა ყველა ეპისტოლეთებში, ასე მაგალითად, მასში გამოტოვებულია პასუხები კიროს კათალიკოსისა და ქართველი მთავრების სომეხთა კათალიკოსის მოადგილე ერთანესისადმი; არ არის მასში აგრეთვე ქართველი სამღვდელთების პასუხი სომეხთა კათალიკოსის აბრაამის საყოველთაო ეპისტოლეზე, რომლის მიხედვითაც მორწმუნე სომეხებს ეკრძალებოდათ ქართველებთან ურთიერთობა. შეუძლებელია, რომ სომეხთა კათალიკოსის ასეთი განკარგულება უბასუხოდ დარჩენილიყო მოწინააღმდეგეთა მხრიდან. ამრიგად, „ეპისტოლეთა წიგნი“ ჩვენ საქმე გვაქვს მასალის ცალმხრივ შერჩევასთან¹.

1913 წელს, ნ. აღონცი ეხებოდა რა „ეპისტოლეთა წიგნის“ 1901 წლის თბილისის გამოცემას, აღნიშნავდა: მართალია „ეპისტოლეთა წიგნი“ თავისი შინაარსით თითქმის არაფერს ახალს არ წარმოადგენს, რამდენადაც მასში შეტანილი საბუთები მცირე გამოცალკისით უკვე სხვა კრებულებიდან იყვნენ ცნობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი, „ეპისტოლეთა წიგნი“, მნიშვნელოვანია როგორც შეკრებული (შენაწერი) ნაშრომი: „აქ ჩვენ ვხედავთ, თუ რომელი დოკუმენტები, თხზულებები ითვლებოდა სომეხთა შორის მეტად ავტორიტეტულ და გადამწყვეტ ნაშრომებად საეკლესიო დოგმატიკის რთული საკითხების განმარტების დროს“².

ქართველ სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს „ეპისტოლეთა წიგნის“ ის ნაწილი, რომელიც ქართლისა და სომეხეთის ურთიერთობის საკითხებს ეხება (ზ. ალექსიძის მიერ გამოცემულია „ეპისტოლეთა წიგნის“ სწორედ ეს ნაწილი). „ეპისტოლეთა წიგნის“ წყაროთმოდენობითი ღირებულება საგრძნობლად

იზრდება მკვლევარის თვალში, თუ გავითვალისწინებთ რომ ქართული ნარატიული წყაროები განსაკუთრებით ნაკლებია VII საუკუნის პირველი ნახევრისთვის. „მოქცევა ქართლისადს“ მატთან და ჯუანშერის თხზულება მეტად სიტყვაძეუნწი არიან აღნიშნული ხანის მოვლენების შესახებ. არ მოგვეპოვება ამ პერიოდის არც ერთი ავთოგრაფიული ნაწარმოები. მცირეა უცხო წყაროთა ცნობებიც. ქართულ წყაროებში მეტად მკრთალად არის ასახული ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია, ხოლო საეკლესიო განხეთქილება კი, როგორც ამას საესეხით სამართლიანად აღნიშნავს ზ. ალექსიძე, „პირველ რიგში არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი, საგარეო ორბიტაციის გამოხატულება“ (გვ. 05).

„ეპისტოლეთა წიგნი“ დღემდე თარგმნილი არ არის არც ერთ ენაზე. მკვლევარნი, რომელნიც ძველ სომეხურ ენას არ ფლობდნენ, იძულებული იყვნენ ესარგებლათ იმ ექსცერპტებით, რომლებშიც მოცემულია ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, კ. კეკელიძის, გ. ჩუბინაშვილის, ს. კაკაბაძის და სხვათა შრომებში. ბუნებრივია, ამის გამო მეტად ძნელი ხდებოდა სრული წარმოდგენის შემუშავება თვით კრებულზე. არსებობდა სხვა სახის სიმეცემა: „ეპისტოლეთა წიგნის“ 1901 წლის გამოცემა ვერ აკმაყოფილებდა მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის მოთხოვნებს, იგი აღსავსეა მრავალი დეფექტით აღვილებით, მცდარი წაკითხვით და, რაც მთავარია, სომეხური ტექსტი არ იყო შედარებულად და შეკრებული X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უტანესის ნაწარმოებში („ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“) დაცულ რედაქციასთან. ყოველივე ეს ძალიან აძნელებდა ამ საინტერესო ძეგლის გაგებას და თვისებას. აი, რას წერდა ივ. ჯავახიშვილი „ეპისტოლეთა წიგნის“ 1901 წლის გამოცემის შესახებ: „1901 წელს თბილისში გამოიცა „*Книга Писем*“ — „ეპისტოლეთა წიგნი“, სწორედ იმ წყარო, რომელსაც უტანესი იყარებოდა. ამიერიდან მკვლევარს სომეხთა და ქართველთა მმართველ წრეებს შორის ატეხილი თოქანმოებასა და მიწურ-მოწერის შესწავლა უშუალოდ შეეძლო, რადგან იქ ამ ამბავთან დაკავშირებული ეპისტოლეთა მითავსებული, სამუხტაროდ, ეს ძეგლი კრიტიკულად გამოცემული არ არის, უტანესის ნაშრომისა და „ეპისტოლეთა წიგნის“ შედარება კი ცხადყოფს, რომ მიწურ-მოწერის ტექსტი ამ კრებულში სრულად არ ყოფილა დაცული და სერთოდ, მეტადრე კი ზოგიერთის აღსადგენად ჯერ კიდევ წინასწარი მუშაობაა საჭირო, რომელიც აქამდე არავის გაუწევია“... „პირადად ასეთი შრომა დამზადებული მქონდა, მაგრამ 1918 წ. მთელ ჩემ პე-

¹ И. Джавахов — История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века. Известия Имп. Академии наук, VI, 1908, гл. 440—441.

² И. Адонц — Ампельни, епископ Херсонский (К критике армянской «Книги посланий»). Христианский Восток, т. II, 1913, гл. 175.

თენგივ კაკაბაძისილი
„ეპისტოლეთა წიგნი“

ტრატუგადან მომავალ წიგნსაცავთან ერთად დამკარგა. ამ მიწერ-მოწერის კრიტიკული აღდგენა აუცილებელი, მორიგე საკითხია.¹

ივ. ჭავჭავიძის მიერ დასახული გეგმის შესრულება ზ. ალექსიძეს მიენდო. შეიძლება სავსებით დარწმუნებით ითქვას, რომ ზ. ალექსიძემ უდავო გამარჯვება მოიპოვა ისლენ ძნელად შესამართავ საქმეში. დღეს უკვე ჩვენს ხელთ არის „ეპისტოლეთა წიგნის“ კრიტიკული, აკადემიური, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, გამოცემა. სომხური ტექსტის კრიტიკული დადგენა დამყარებულია X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის თხზულებაში დაცულ რედაქციასთან შედარების საფუძველზე და ფილოლოგიური მეცნიერების ყველა მოთხოვნის დაცვას ითვალისწინებს; ამით მეცნიერული შესწავლა ამ ძეგლისა შესამჩნევად გადავიტეხა. სომხურ ტექსტს დართული აქვს ქართული თარგმანი, რაც სომხურის არმცოდნეს დიდად უადვილებს „ეპისტოლეთა წიგნის“ გაცნობას; დახასიათვს, გამოცემას დართული აქვს ვრცელი კვლევები ნაწილი და კომენტარები, რომლებშიაც ავტორს ტექსტოლოგიური საკითხების გვერდით შესწავლილი აქვს VII საუკუნის I ნახევრის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და იდეოლოგიური მოვლენები.

არ გადავპარებთ თუ ვიტყვი, რომ ზ. ალექსიძის წიგნი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, რომელშიაც მეტნაკლები სისრულით გამოცემილია „ეპისტოლეთა წიგნი“, როგორც ისტორიული წყარო (თავისი დიდებით და უარყოფითი მხარებით), ჭეორონალ შესწავლილი და შეფასებულია მისი ღირებულება და მნიშვნელობა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, სავსებით გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომლითაც შეეგება სამეცნიერო საზოგადოებრიობა ზ. ალექსიძის ახალ გამოცემას.

ნაშრომის პირველი ნაწილის (ქართულ და სომეხ მოღვაწეთა მიმოწერა VII საუკუნის დამდეგს) დასაწყისში ზ. ალექსიძე იხილავს მის მიერ გამოცემული ძეგლის ტექსტოლოგიურ საკითხებს. ავტორს უღირესად დიდი მუშაობა ჩაუტარებია „ეპისტოლეთა წიგნის“ შემცველი ხელნაწერების, რედაქციების, გამოცემების შესწავლისა და მათი ერთმანეთთან შეკერებისათვის. სომხური ტექსტის გამართვა-დასადგენად ავტორი ითვალისწინებს და უყურადღებოდ არ ტოვებს მათ ჩვენებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზ. ალექსიძის დამოკიდებულება X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის მიერ „ეპისტოლეთა წიგნში“ დამატებული ორი ეპისტოლესადმი (მოსე სომეხთა კათალიკოსის და კირიონ ქართლის კათალიკოსის მიმოწერა). რო-

გორც ცნობილია, ივ. ჭავჭავიძე უნდობლივ მოეციდა უხტანესის ამ ეპისტოლეებს და ტენდენციურად შეთხზულად ჩათვალა მისი წიგნი ზ. ალექსიძის დამახსურებლად უნდა ჩაითვალოს, რომ მან კრიტიკულად შეისწავლა აღნიშნული ეპისტოლეები, გაარკვია მათი მნიშვნელობა და დაასაბუთა მათი სანდობა. ავტორის აზრით, „უხტანესმა შემოგვიანა ნამდვილად მოსე კათალიკოსისა და კირიონის მიმოწერის ძვირფასი ნიმუშები“ (გვ. 025). ზ. ალექსიძემ ეს წერილები დამატების სახით დაურთო „ეპისტოლეთა წიგნს“ და შიგ არ შეუტანია იმის გამო, რომ მისი ვარუდით, „ამ წერილების სომხური ვარიანტიები ადრევე იყო დაკარგული და უძველეს რედაქციაში არ იშვოლია“ (გვ. 025).

პარაკრაფში — „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის კრიტიკისათვის — ავტორის მიერ შეფასებულია „ეპისტოლეთა წიგნი“, როგორც ტენდენციურად შედგენილი კრებული და ვარკვეულია შემდგენელთა მიზნები. უხტანესის „ისტორია განყოფილა ქართულია სომეხთაგან“ საშუალებას აძლევს ზ. ალექსიძეს რამდენადმე ნათლად წარმოგვიდგინოს „ეპისტოლეთა წიგნის“ X საუკუნემდელი რედაქცია და მისი შედგენილობა.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის კრიტიკასთან დაკავშირებით ზ. ალექსიძე თავის ნაშრომში იხილავს ისეთ მნიშვნელოვან კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენას, როგორც არის ქართული დამწერლობის წარმოშობა. ცნობილია, რომ ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ ორი ლეგენდა არსებობს. ერთია ქართული, რომელიც ამ მოვლენას უკავშირებს პირველ (ტრადიციით) ქართველ მეფეს ფარნავაზს, რომელიც მეფობდა III საუკუნის დამდეგს ძვ. წ. მეორე ვერსია კი ქართველ ანბანის გამოგონებას მიაწერს V საუკუნის დამდეგის ცნობილ სომეხ საეკლესიო მოღვაწეს მმეტრეს (მესრობს). აღნიშნული პრაბლემია ერთ-ერთი საკვანძო პრაბლემია ქართული მეცნიერებისა და მის კვლევის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამჯერად ზ. ალექსიძე ცდილობს აჩვენოს ღირებულება „ეპისტოლეთა წიგნის“ ჩვენების, რომელიც მხარს უჭერს ქართული დამწერლობის წარმოშობის სომხურ ვერსიას. ცნობა მამეტრეის მიერ ქართული და სომხური ანბანის გამოგონების შესახებ დაცულია „ეპისტოლეთა წიგნში“ მოთავსებულ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის კირიონ ქართლის კათალიკოსისადმი მიმართულ წიგნამე ეპისტოლეში. ამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ აღნიშნული ცნობა გადაულახავი დარჩა ივ. ჭავჭავიძელთან. ამ ცნობის სანდობის გასარკვევად ზ. ალექსიძე ახდენს ყველა არსებული ნუსხის (ანტონიანთა ძმობის ნუს-

¹ ივ. ჭავჭავიძე — ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 378-379.

² И. Джавахов — История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, гв. 440—444.

ზა, „სარწმუნოების ბეჭედი“ და უხტანეს ეპისკოპოსის ხელიდან გამოსულ „ეპისტოლითა წიგნის“ რედაქცია) ურთიერთ შედარებას და მიღის იმ მეტად მნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ „ეპისტოლითა წიგნის“ ძველ რედაქციებში (X საუკუნემდე) არ ყოფილა ცნება მამუტოცის მიერ ქართული და სომხური დამწერლობის გამოგონების შესახებ და იგი გვიანდელი ინტერპოლაცია“ (გვ. 041). საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ შედეგები იმ კვლევები-ებითი მუშაობისა, რომელიც აწარმოა ზ. ალექსიძემ აღნიშნული პრობლემის გარშემო, მრავალმხრივ საყურადღებოა. მას არაიშვიათად შეაქვს მნიშვნელოვანი კორექტივი, სიზუსტე და გარკვეულობა თავისი წინამორბედების შრომებში. ასე მაგალითად, ავტორის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად დადასტურდა და კიდევ უფრო განმტკიცდა ივ. ჯავახიშვილის დებულება იმის შესახებ, რომ ქართული ანბანის წარმოშობის სომხური ვერსია ლეგენდაა (გვ. 046). ორიგინალური, მეცნიერულად დამაჯერებელი და ძირითადად სწორია ზ. ალექსიძის შემდეგი დასკვნები: 1) ცნობა მამუტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ „ეპისტოლითა წიგნში“ შეტანილია X საუკუნის შემდეგ; 2) არა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ლეგენდა შექმნილია VI საუკუნის დამლევს (როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა) ან VI საუკუნის დამდეგს (ს. ჭანაშვიას მოსაზრება); 3) სომხური ლეგენდა მამუტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ ცნობილი არ ყოფილა ჯერ კიდევ VIII საუკუნის დასაწყისში. უხტანესის „ისტორია ვანყოფისა სომეხთა ქართველთაგან“ გვაფიქრებინებს, რომ იგი პოპულარული არ ყოფილა X საუკუნეშიც (გვ. 046).

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ზ. ალექსიძის ნაშრომში ქართული და სომხური ეკლესიების იერარქიული დამოკიდებულებების საკითხის განხილვას. ქართული ეკლესიის უფლებრივი დამოკიდებულების საკითხი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი საკიბრითრითი საკითხია. დღემდე საცილობელია, თუ რომელ პატრიარქს ემორჩილებოდა ქართული ეკლესია იერარქიულად VII საუკუნის დამდეგამდე — კონსტანტინოპოლის, ანტიოქიისა თუ სომხეთისას. აღნიშნული საკითხის კვლევის ისტორიას სათავეები შორეულ წარსულში უდევს. ამ საკითხს დასტრიალებდნენ და იკვლევდნენ: ეფრემ მცირე, ჭლანშერი, გიორგი მთაწმინდელი, ვახუშტი ბაგრატიონი. ანტიერესებდათ იგი XIX საუკუნის მეკლევართაც. კიდევ უფრო მრავალი მეკლევარი გამოუჩნდა მას XX საუკუნეში: ნ. მარი, ნ. აკინიანი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე და სხვები. მაგრამ მთელი სიგრძე-სიგანით და სიმწვავეთ აღნიშნული პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში მისინ

ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა და არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი უძღვნა მას. დღეს კი, იმ მიმართულებით მუშაობამ ნამდვილი გავრცელება მიიღო. ზ. ალექსიძე, როგორც „ეპისტოლითა წიგნის“ დამოკიდებელი, კონკრეტულად მხოლოდ ქართული ეკლესიის სომხურზე დამოკიდებულების თეორიას იხილავს. ეს საესკიბით ბუნებრივი და გასაგებია, რადგან სომხური თეორიის მომხრეთა ძირითადი არაოპოტენაციის სიმძიმე ჩვეულებრივ „ეპისტოლითა წიგნის“ და მასზე დამოკიდებული წყაროების ცნობებზე მოდის. და აი, „ეპისტოლითა წიგნში“ დაცული სომხეთის კათალიკოსის მოადგილის ვრთანეს ქერდოლის მიერ ქართლის კათალიკოსის კიორიონისადმი ვაგზავნილი ეპისტოლეს და აგრეთვე სომეხთა კათალიკოსის უფალ აბრაამისა და კირიონ ქართლის კათალიკოსის მიმორწერის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ავტორი მიღის იმ დასკვნამდე, რომ „ქართული ეკლესია VII საუკუნის I ნახევარში არაფრით არ არის სომხურზე დამოკიდებული“ (გვ. 059), „ქართული ეკლესია სრულიად დამოუკიდებელი იყო სომხურისაგან“ (გვ. 063) და რომ, „VII საუკუნის დამდეგს, სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებამდე ქართული ეკლესია ავტოკეფალური იყო“ (გვ. 066). ზ. ალექსიძის აზრით, „ეპისტოლითა წიგნის“ ცნობები სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა (გვ. 066).

ზ. ალექსიძის მიერ შესრულებული „ეპისტოლითა წიგნის“ ქართული თარგმანი პირველიცაა აღნიშნული ძეგლის უცხო ენაზე თარგმნისა. მთარგმნელს კარგად გაუთვალისწინებია „ეპისტოლითა წიგნის“ როგორც საისტორიო პირველწყაროს თავისებურება (იგი ხომ დოკუმენტების კრებულია!) და ცდილა სომხური ტექსტის გვერდით რაც შეიძლება ადეკვატური ქართული თარგმანი მოეცა. თარგმანის მართმეცირე შენიშვნა მინც ვაგვანია. სომხურ ტექსტს ავტორი უმთავრესად ძველი ქართული თარგმნის, ეს კი ჩვენი აზრით, ბოჰავს მას და იმდენად გასაქანს არ აძლევს, ყოველ შემთხვევაში ლექსიკური მხრით. ამით აიხსნება, რუმ თარგმანში ჩვენ გვაქვს ნარევი ძველი და ახალი ქართული, ვფიქრობთ უკეთესი იქნებოდა — ავტორს ეს თარგმანი მოეცა მთლიანად ახალი, თანამედროვე ქართულით, ეს მას საშუალებას მისცემდა. უფრო ზუსტად გადმოეცა სომხური დედანი და ქართული ტექსტიც მკითხველისათვის უფრო ნათელი და ადვილად ასაფიხიებელი გახდებოდა.

ნაშრომს დართული აქვს ვრცელი კომენტარები, რომლებშიც განხილულია „ეპისტოლითა წიგნის“ ტექსტის კრიტიკასთან დაკავშირებული საკითხები.

თენგიზ ბაჰაშვილი
„ეპისტოლითა წიგნი“



რებულ უმთავრესი საკითხები. აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი კომპეტარი საგრძობლად სცილდება თავის დანიშნულების ფარგლებს და იგი შეიძლება ჩიითვალოს მცირე ზომის მეცნიერულ ნარკვევად. ასეთებია, მაგალითად, კომპეტარი სომხური სოციალური ტერმინი *հայր* (ლავექ)-ის შესახებ, ცურტაეის ეპისკოპოსის აფთეის შესახებ, საკითხი ე. წ. „სამეფო სახლის“ ეპისკოპოსის შესახებ, აბრამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლეში დაცული ქართლის საეპისკოპოსოების სიის შესახებ და მრავალი სხვა.

ნაშრომის მეორე ნაწილი მიძღვნილია კირონ ქართლის კათალიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისადმი. ზ. ალექსიძის დიდ დამსახურებდად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მან ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა კირონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შედარებით სრულყოფილი სურათი. მიუხედავად უაღრესად ძუნწი ცნობებისა, მან მაინც შესძლო არსებული პირველწყაროებისა და ლიტერატურის მოსაწონი სიარულით ამტკიცება და სათანადო სინათლის შეტანა კირონის ბიოგრაფიის მთელ რიგ შეუსწავლელ მოვლენათა გარკვევაში. კირონის მოღვაწეობის საკითხი მას ფართოდ აქვს დასმული. იგი მას განიხილავს VII საუკუნის I ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ-იდეოლოგიური ვითარების საერთო ფონზე.

იმ მრავალ საკითხთა შორის, რომლებიც განხილულია ნაშრომის მეორე ნაწილში, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს VII საუკუნის დამდეგს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის საკითხი. ქართულ და სომხურ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე ზ. ალექსიძემ კიდევ უფრო გააღრმავა და დაასაბუთა ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრევე გამოთქმული მოსაზრება (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია) VII საუკუნის დამდეგს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ. მან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სომხურ საისტორიო წყაროებში (იოანე დრასხანაკერტელი) და აგრეთვე ქართულ საისტორიო წრეებში ყოფილა ზემოთი თუ წერილობითი ტრადიცია, რომლითაც VII საუკუნეში ქართული ეკლესია მთლიანად, აღმოსავლეთ-დასავლეთის მომცველად იყო წარმოდგენილი და ეს ტრადიცია ერთიანობას უკავშირდება სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების აქტიურ მონაწილეს, ცნობილ ქართველ მოღვაწე კირონ ქართლის კათალიკოსს (გვ. 168, 175). ზ. ალექსიძე თავის შრომაში იძლევა აგრეთვე მცხეთისა და ფაზი-

სის ეკლესიების ერთიანობის დათარიღების ცდასაც. მისი აზრით, აღნიშნულ ერთიანობას ადგილი უნდა ჰქონოდა VII საუკუნის პირველ ათეულში, როდესაც „ქართლი ძლიერი სახელმწიფოა და მასზე ხელი არ მიუწვდება არც ბიზანტიას და არც სპარსეთს. გასაგებია, რომ ეს პერიოდი შეიძლება ხელსაყრელ ხანად ჩაითვალოს ქართლის ეკლესიის მიერ ეგრისის ეკლესიის შესაერთებლად“ (გვ. 195).

ის სრულიად ახალი და ორიგინალური რაც ზ. ალექსიძემ შემოიტანა კირონის ბიოგრაფიაში, მდგომარეობს შემდეგში: VII საუკუნის I ნახევრის სამი მოღვაწე — ქართლის კათალიკოსი კირონ მცხეთელი, ეგრისის არქიეპისკოპოსი ანუ ლაზიკის მიტროპოლიტი კიროს ფაზისელი (ალექსანდრიელი) და ეგვიპტის ფინანსთა გამგებელი (კეისრის ნაცვალი) ალ-მუჰაკვასი — ერთი და იგივე პიროვნებაა (გვ. 268). აღნიშნული იდენტურობის საფუძველზე ავტორი წარმოგიდგენს კირონის ბიოგრაფიას, რომელშიაც მოთხრობილია, როგორც მისი წარმოშობისა და განათლების, ასევე მისი რელიგიური პლატფორმისა და მოღვაწეობის ვასშტაბების შესახებ. კირონის ბიოგრაფიის გამწვანო ჩატარებული კვლევის შედეგები ზ. ალექსიძის ჩამოყალიბებული აქვს 21 დასკვნის სახით (გვ. 266-268). ამათგან თითქმის ყოველი დებულება ახალი სიტყვის ცდაა კირონის ბიოგრაფიაში. შეიძლება დეტალურად შესწორდეს და დაზუსტდეს ავტორის ეს დებულებანი, ზოგიერთი კი შეიძლება სრულიადაც არ გამართლდეს, მაგრამ ამით მაინც არ შემცირდება ზ. ალექსიძის მიერ ჩატარებული სამუშაოს მეცნიერული ღირებულება. ეს დებულებები გარკვეულ სამსახურს გაუწევენ კირონის ბიოგრაფიის მომავალ ღრმა კვლევას. ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე კი ზ. ალექსიძემ საგრძობლად წინ წასწია კირონის მოღვაწეობის შესწავლა და მისი ცხოვრების მრავალ ბგელით მოცულ საკითხს ნათელი შუქი მოაძვინა. ზ. ალექსიძემ თამამად გაკავა გზა კირონის შესწავლისაკენ, შეგვიყვანა მის ეპოქაში, გვიჩვენა მთელი მისი გარემო და აღადგინა VII საუკუნის I ნახევრის ერთი ყველაზე უფრო დიდი და რთული პიროვნების ბიოგრაფია.

ასეთია მოკლე წრე იმ პრობლემებისა, რომლებიც აღძრული და გადაჭრილია ზ. ალექსიძის წიგნში, და ყოველ მკითხველს, რომელიც გაეცნობა ამ წიგნს, შეუძლია თქვას, რომ იგი ქართული ისტორიოგრაფიის ძვირფასი შენაძენია.



პირთი სახელმძღვანელოს თარგმანის გამო

ბოლო დროს ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა. ამ დიდი ამოცანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ბიოლოგიის დარგების სწავლების მაღალ დონეზე დაყენება როგორც უმაღლეს, ისე საშუალო სკოლაში. ამ საქმეს დღემდე დიდად აფერხებს სათანადო სახელმძღვანელოების უქონლობა. ამიტომაც ბიოლოგიის ყველა დარგში მაღალხარისხოვანი, თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის შექმნა, უთუოდ, პირველი რიგის საქმედ უნდა ჩიათვალოს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ი. პოლიანსკის და სხვა ავტორების წიგნის „ზოგადი ბიოლოგიის“ გამოქვეყნება.

ეს წიგნი თანამედროვე ბიოლოგიის ძირითადი დებულებების საშუალო სკოლისათვის მიწოდების პირველი ცდაა. უდავო ღირსებებთან ერთად, ამ წიგნს ბევრი ნაკლი აქვს. მთავარი ღირსება ისაა, რომ მასში ბიოლოგიის დარგები თანამედროვე მეცნიერების დონეზეა განხილული. წიგნის ნაკლი მისი დიდი მოცულობა და სირთულეა.

გამომცემლობა „განათლებამ“ 1967 წელს გამოაქვეყნა „ზოგადი ბიოლოგიის“ ქართული თარგმანი. მიმდინარე წელს თარგმანი ხელახლა გამოიცა. რამდენადაც ქართველმა მოსწავლემ ახალგაზრდობამ თანამედროვე ბიოლოგიის საფუძვლებში ამ თარგმანით უნდა გაიცნოს, მისი გამოქვეყნება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის (და არა მარტო ასეთი ლიტერატურის) ქართულად თარგმნისას, ჩვეულებრივ, მაქსიმალურა სიზუსტის მიღწევის მიზნით, წინადადებებს სიტყვა-სიტყვით თარგმნიან; ამას მოჰყვება გაუხეხარი ადგილების დახვევა წიგნში, რაც წიგნს, განსაკუთრებით სახელმძღვანელოს, თავის დანიშნულებას უკარგავს. მთარგმნელებს

სათარგმნი საგანი კარგად უნდა ესმოდეთ, და თანაც შეგნებულ უნდა ჰქონდეთ თარგმნის წესი: სათარგმნი წინადადების შინაარსი არა მარტო უნდა დაიწეროს ქართული სიტყვებით, არამედ ქართული წინადადებით უნდა გამოიხატოს. უხერხულიც კია იმის შეხსენება, რომ მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს ის ენა, რომლიდანაც თარგმნის და ისიც, რომელზედაც თარგმნის. ამ მხრივ განსაკუთრებით სათუთ და სერიოზულ მოპყრობას სასკოლო სახელმძღვანელოები მოითხოვს. ყოველი მცირედი შეცდომა, რომელსაც სხვა სახის წიგნში არსებითი მნიშვნელობა შეიძლება არც ექნეს, სასკოლო სახელმძღვანელოებში სრულიად მოუთმენელია.

დაეუბრუნდეთ „ზოგადი ბიოლოგიის“ თარგმანს. სამწუხაროდ, ზერეუე დათვლიერებაც კი თვალნათლევ მოწმობს, რომ იგი ძალიან ცუდადაა შესრულებული. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თარგმანის ნაკლოვანებანი სიჩქარით იყო გამოწვეული და რომ პირველსა და მეორე გამოცემას შორის გამოცემლობას საქმავო დრო ექნებოდა მათი გამოსწორებისათვის. სამწუხაროდ, მცირეოდენი ვამოწყობის გარდა, ახალ, 1968 წლის გამოცემაში საქმე უკეთესად არ არის. ქვემოთ სწორეთ ამ გამოცემას განვიხილავთ და შევადარებთ მას 1967 წლის რუსულ გამოცემას¹).

თარგმანში ბევრია ადგილი, სადაც შინაარსს არაფერია აქვს საერთო ორიგინალთან. მოვიყვანთ რამდენიმე ასეთ ადგილს.

ქართული წიგნის 24-ე გვერდზე ვკითხულობთ: „დაათვლიერეთ დიაგრამა, რომელზედაც აღნიშნულია ორი უჯრედიდან წარმოშობი-

¹ Ю. И. Полянский и др. «Общая биология». Москва; 1967.

² ხაზი აქ და ყველგან ჩვენია — ლ. ნ., გ. პ.

ლი 5 ქათმის ტანის სხვადასხვა ნაწილის ცვალებადობა. ისინი აურჩევლად არიან გამოყოფილი თერთი ლეგორნის ქათმების დიდი ჯგუფიდან. ამ სრულიად უხარო წინადადებას რუსულ ტექსტში შეესაბამება: «**Рассмотрите диаграмму изменчивости различных частей тела у пяти кур-двухлеток, взятых без выбора из большого стада породы белый леггорн**» (გვ. 21). სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთარგმნელებს სიტყვა «**ДВУХ-ЛЕТОК**» (ორი წლის ასაკის) «**ДВУХ КЛЕТОК**» პგონებითა! თანაც, საიდან გაჩნდა თარგმანში „წარმოშობილი“?

93-ე გვერდზე მთარგმნელები ურჩევენ მოსწავლეს: „ისარგებლეთ 51-ე სურათით, აღნიშნეთ ქვეწარმავლების ნიშნები და ფრინველ არქეოპტერიქსის ნიშნები“. რუსული ტექსტისა (გვ. 79) და საქმის ნევემენტარული ცოდნის მიხედვით, ეს რჩევა ასეთი უნდა ყოფილიყო: — „51-ე სურათის დახმარებით აღნიშნეთ არქეოპტერიქსის ქვეწარმავლური და ფრინველური ნიშნები“, არქეოპტერიქსის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მას აქვს როგორც ქვეწარმავლის, ისე ფრინველის თვისებები.

საინტერესოა, გოლჯის აპარატზე რა წარმოდგენა შეიძლება შეექმნას მოსწავლეს ასეთი აღწერილობის წაყითხვის შემდეგ: „აღმოჩნდა, რომ ეს ორგანოიდი შედგება მრავალრიცხოვანი ღრუებისაგან, რომლებიც გარშემოჭრილი არიან მსხვილი ვაკუოლებისა და წვრილი ბუშტუკების ორშრიანი მემბრანით“ (გვ. 141). სინამდვილეში ეს ორგანოიდი შედგება მრავალრიცხოვანი ღრუებისაგან, რომლებიც გარემოცულია ორშრიანი მემბრანით, ღირდონი ვაკუოლებისა და პატარა-პატარა ბუშტუკებისაგან (იხ. დედნის გვ. 119).

ან კიდევ: „კვერცხურად, ყვითრის გარსის გარდა, დაფარულია კიდევ სხვა დამატებითი გარსებით, რომლებიც იცავენ მას და ამ დროს ემბრიონი ვითარდება“ (გვ. 205), რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ყვითრის გარსის გარდა კვერცხურადეს კიდევ სხვა, დამატებითი გარსები აქვს, რომლებიც განვითარების დროს ემბრიონს იცავენ (შეადარეთ დედნის გვ. 175).

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ადგილების სწორ თარგმანს, სადაც თავისთავად რთული და ძნელად გასაგები პროცესებია აღწერილი. მაგალითად, წიგნის ერთ-ერთ უძველეს თავში, სადაც ცილების წარმოქმნის პროცესებია მოთხრობილი, ვკითხულობთ: „სატრანსპორტო რნმ-ს მეორე ბოლო, ჩამოკიდებული ამინომჟავებით, გაივლის იმ ადგილას, სადაც რიბოსომაში ცილები გროვდება“ (გვ. 179). რუსულად იგი შემოდგენილად იკითხება — «**Другой конец транспортной РНК с навешанной аминокислотой проходит в том месте, где в рибосоме идет «сборка» белка**» (გვ. 152), ჯერ ერთი, აქ არსებითი შე-

ცდომაა: ყოველ სატრანსპორტო რნმ-სთან დაკავშირებულია მხოლოდ ერთი ამინომჟავა; თანაც რნმ სპეციფიკურია, ე. ი. ყოველი სხვა ამინომჟავისათვის საგანგებო სატრანსპორტო რნმ არის განკუთვნილი; თარგმანის მიხედვით კი სატრანსპორტო რნმ-ზე „ამინომჟავებია ჩამოკიდებული“. ამასთან «сборка» белка ნათარგმნია, როგორც „ცილების დაგროვება“. საჭირო იყო ისევე, როგორც რუსულში, ფიგურალურად ეხმარათ სიტყვა „აწყობა“ (ბრკელებით), რომლიმე შექმნილია აწყობის მიმდევრებით. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სხვა ადგილას იგივე პროცესი სულ სხვა ტერმინითაა აღნიშნული: «**сборочный конвейер**» (გვ. 120) ნათარგმანია „შემკრებ კონვეიერად“ (გვ. 142).

რა წარმოდგენა უნდა მისცეს მოსწავლეს დეზოქსირიბოზულების მცვეის აღნაგობაზე ასეთმა განმარტებამ: „სხვაგვარად რომ ვთქვათ, დნმ-ს ჯაჭვზე, სივრცით შეიძლება ერთიმეორეზე დალაგდეს ათობით და ზოგჯერ ასობით ცილის მოლეკულა“ (გვ. 176). რუსულშია — «**Иначе говоря, по длине цепочки ДНК можно было бы уложить одну за другой десятки, а то и сотни молекул белка**» (გვ. 149). აქ ავტორები ხაზს უსვამენ დნმ ძაქვის უაღრესად დიდ სიგრძეს და ამბობენ, რომ მის გასწვრივ შეიძლება ათობით და ასობით ცილის მოლეკულების განლაგება (ერთიმეორის უკან მიყოლება და არა ერთიმეორეზე დალაგება).

სრულიად შეუსაბამო და გაუგებარია ასეთი ადგილი — „დნმ-ს ერთ-ერთი ჯაჭვის თვითეული ნუკლეოტიდის პირდაპირ დამატებით ადგილს იკავებს ინფორმაციული რნმ-ს ნუკლეოტიდი“ (გვ. 177). მას რუსულში შეესაბამება — «**Против каждого нуклеотида одной из цепей ДНК встает дополнительный к нему нуклеотид информационной РНК**» (გვ. 151). თავისთავად ეს ძნელად გასაგები პროცესია და განსაკუთრებით ფაქიზად უნდა თარგმნილიყო: „დეზოქსირიბოზულების მუცის ერთ-ერთი ძაქვის თვითეულ (ან ყოველ) ნუკლეოტიდს დაუპირისპირდება საინფორმაციო (ან ინფორმაციული) რიბონუკლეინის მუცის ის ნუკლეოტიდი, რომელიც მისთვისაა დამატებითი“.

„ორიგინალურადაა“ გაგებული ასეთი წინადადება: «**Частично солнечная энергия накапливалась в земной коре в остатках живших миллионы лет назад растений, в каменном угле, нефти, сапропеле и теперь накапливается в торфе**» (გვ. 279). ქართულ თარგმანში მას შემდეგნაირი „მეტამორფოზა“ განუცდია — „ნაწილობრივ მზის ენერგია გროვდება დედამიწის ქერქში, იმ მყენარების ნარჩენებში, რომლებიც ცხოვრობდნენ მილიონობით წლის წინათ, ქვანახშირში, ნავთობში, საპროპელეში, ტორფში“ (გვ. 329).

თარგმანი ვკითხულობთ: „წეს პროდუქტების შედგენილება გაურკვეველია ცვალებადია. მისი ცვლილება დამოკიდებულია როგორც დამჟანგავი ნივთიერებისა და ჟანგბადის თანაფარდობაზე, ისე ტემპერატურასა და სხვა პირობებზე“ (გვ. 171). ეს სრულიად უპრობლემაა: დამჟანგავი ხომ სწორედ ჟანგბადია!.. რუსულში ნათქვამია — «от соотнесенной окисляемого вещества и кислорода» (გვ. 146). ეს უკვე უცოდინარობაა საგნისა და რუსული ენისა! იმავე წინადადების თარგმნისას (ქართულში იგი ორ წინადადებადაა გადმოღებული) კიდევ არის არსებითი შეცდომა: «Состав продуктов горения неопределенный и нестойкий» (იქვე) თარგმნილია ასე: „წვის პროდუქტების შედგენილება გაურკვეველი და ცვალებადია“. უნდა იყოს: „წვის პროდუქტების შედგენილება არ არის განსაზღვრული და მუდმივი“ (მათი შედგენილობის „გარკვევა“ დიდ სიმწელს, ცხადია, არ წარმოადგენს).

ასევე, დედნის წინადადება «Митоз обеспечивает точное распределение хромосом и ДНК между обеими дочерними клетками» (გვ. 159) ნათარგმნია ასე: „მიტოზი უზრუნველყოფს ქრომოსომებისა და დნ-ს ზუსტად თანაბარ განლაგებას ორ შვილულ უჯრედს შორის“ (გვ. 187). საქმარისია ჩაიხედოთ ნებისმიერად აღებულ ლექსიკონში, რომ «распределение» „განაწილება“ თარგმნით. ცხადია, უნდა ითქვას, რომ უჯრედის მიტოზური გაყოფისას ქრომოსომები და დეზოქსირიბონუკლეინის მკევა ზუსტად თანაბრად გაუნაწილება ორ შვილულ უჯრედს.

ზოგჯერ, როგორც ჩანს, მთარგმნელებს დედნის „გასწორება“ მოუწოდებიათ. მაგალითად წინადადებაში «Ультрафиолетовые лучи с длиной волны менее 290 нм губительны для всего живого» (გვ. 240), „რაცე“ უთარგმნიათ „არანაკლებ“ (გვ. 283): მაინც არ სცოდნიათ ულტრაიისფერი სხივების ბუნება, შეუძლებლად მიუჩნეიათ, რომ უფრო მოკლეტალღიან სხივებს უფრო ძლიერი მოქმედება ჰქონდეთ!

თარგმანის 312-ე გვერდზე ვიკებთ, რომ „გაზაფხულის ბოლოს მრავალი ეფემერის მიწისხედა ორგანოები იყინება, ხოლო მიწისქვეშა ორგანოები მოსვენების მდგომარეობაში რჩება მომავალ გაზაფხულამდე“. ხომ საკვირველია, რომ მცენარის მიწისხედა ორგანოები იყინებიან გაზაფხულის ბოლოს, როცა მეტი სითბოა თურმე დედანში ნათქვამია „отмирают“ (გვ. 265).

საგნის უცოდინარობის გამო მთარგმნელები ხშირად რუსული სიტყვის რამდენიმე ქართული შესატყვისიდან სრულიად შეუფერებელს ირჩევენ. მაგ. ორიგინალში: «В эту эру про-

изошло разделение окутывающей Земли плотной оболочкой из горячих паров воды и газов на гидросферу и атмосферу, вначале бескислородную» (გვ. 59). ქართულად «плотная оболочка» ნათარგმნია „მაგარ გარსად“ (გვ. 71). ცხადია, „მკვრივი“ უნდა იყოს (წარმოიდგინეთ ორთქლისა და გაზების „სიმარგე“!).

მთარგმნელებს ცოტა მაინც რომ ესმოდეო, რასაც თარგმნიან, მიხედვებოდნენ, რომ დედნის საკმაოდ უხეირო ფრაზა — «В конце протерозойской эры появился подтип бесчерепных типа хордовых животных» (გვ. 61) იმას ნიშნავს, რომ პროტეროზოული ერის ბოლოს ქორდიანი ცხოველების ტიპში გაჩნდა უქალღმირი ქვეტიბი და არ მიაწვდიდნენ მოსწავლეებს კალს, როგორცაა „პროტეროზოული ერის დამლევს გაჩნდა ქორდიანი ცხოველების ტიპის უთავისქალო ქვეტიბი“ (გვ. 73).

სიტყვის არასწორად გაგებისა და საგნის არის არცოდნის გამო სრულიად დამახინჯებულია შემდეგი ადგილი — «Большие изменения претерпели конечности пресмыкающихся по сравнению с конечностями кистеперых рыб и стегоцефалов, эти изменения происходили в связи со способом передвижения, в направлении которого шел отбор: прыганья, лазанья, бега, плавания, полета» (გვ. 77-78). აქ ლაპარაკია იმ დიდ გარდაქმნაზე, რომელიც განიცადა ქვეწარმავლების კიდურებმა იმ კიდურებთან შედარებით, რომლებიც პროსოპტერიგიებსა და სტეგოცეფალებს ჰქონდათ. ქართულში კი «изменения» ნათარგმნია „ცვალებადობად“ და აზრიც შემდეგნაირადაა შეცვლილი: „ქვეწარმავლების კიდურებმა დიდი ცვალებადობა განიცადეს მტევანფარფლიანი თევზებისა და სტეგოცეფალების კიდურებთან შედარებით; ეს ცვალებადობანი ხდებოდა გადაადგილების ხერხთან (ხტევა, ხტევა ძრომა, სირბილი, ცურვა, ფრენა) დაკავშირებით, რის მიხედვითაც მიმდინარებდა გადარჩევა“ (გვ. 92). ამასვე ვხედავთ მუტაციების განხილვის დროს: «Существуют мутации, обусловленные изменением видимой структуры хромосом, их перестройки» (გვ. 207) ქართულად ასეა ნათარგმნი — „არსებობს მუტაციები, რომლებიც გაპრობებული არიან ქრომოსომების ხილული სტრუქტურის ცვალებადობით“... (გვ. 243). ისევე «изменения» სიტყვის უმართებულად თარგმნა სრულიად ცვლის აზრს: ცვლილება ქრომოსომების აგებულებაში და ქრომოსომის ცვალებადობა ხომ სულ სხვადასხვაა.

სელექციის საფუძვლების გაცნობისას თარგ-

ლევან ნათაძე, ვივი პავიძე

ერთი სახელმძღვანელოს თარგმანის გამო

მანში ცვათხლობთ კუროზულ დარიგებას: „თუ ამოვარჩევთ მწარმოებელ-ხარის ჯიშის გასაუმჯობესებლად რძის ცხიმინათბის წინშით, უნდა განვაზღვროთ დღის ხაზით მისი წინაპრების რძეში ცხიმის შემცველობა“ (გვ. 269). წარმოდგინეთ: როგორ მოხერხდება ხარის დღის წინაპრების რძის ცხიმინათბის განსაზღვრა? რუსული წიგნის ავტორები კი (გვ. 228) მხოლოდ ამბობენ, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს (нужно учитывать) თავის დროზე განსაზღვრული ცხიმინათბა სავიშე ხარის წინაპრების რძეში.

თარგმანში არის ასეთი წინადადება: „ტყეების განეხვის შედეგად სსრ კავშირშიაც ვანიცდის ნიადაგი ეროზიას, ჩამორეცხვას, ამობურცვას და სასუქების ნაკლებობას“ (გვ. 341). მის რუსულში შეესაბამება: «И в СССР вследствие вырубки лесов, почвы страдают от эрозии, смыва, сдувания, а также и от недостаточного внесения удобрений» (გვ. 288). მთარგმნელებს «сдувание» (ქარის მოქმედებით ნიადაგის დაშლა, გამოქარება) ვერ გაუგიათ, აურევიათ იგი «ВЗДУВАНИЕ» სიტყვასთან და ეხ უკანასკნელი «ამობურცვად» უთარგმნიათ!

«Тончайшие срезы клеток...» (გვ. 114) ქართულში ნათარგმნია „...უჯრედების უწყრილეს ანათლებად“ (გვ. 135). მართალია, «ТОНКИЙ» წვრილიცაა და თხელიც, მაგრამ ანათელი რომ თხელია (ან სქელი) და არა წვრილი (ან მსხვილი), ხომ ქართულის დიდ ცოდნას არ მოითხოვს! კიდევ ერთი ასეთი ადგილი: «прочно скрепляет клетки между собой» (გვ. 124) ქართულად ნათარგმნია ასეთნაირად: „მაგრად ამაგრებს ცალკეულ უჯრედის კედლებს ერთმანეთთან“ (გვ. 146). სტილის რომ თავი დაეანებოთ («მაგრად ამაგრებს»), აქ აზრიც გაუგებარი გამხდარა (ლაპარაკია ნივთიერებაზე, რომელიც უჯრედების გარსებს მკვიდრად აკავშირებს ერთიმეორეს). ასევე გაუკუღმართებულია შინაარსი იმით, რომ «основная группа» (ფ. ი. ფუტის ჯგუფი, ან ფუტე ჯგუფი) ნათარგმნია, როგორც «ძირითადი ჯგუფი» (გვ. 349, შეად. რუს. გვ. 295).

სპერმატოზოიდის წარმოქმნის პროცესში ზედმეტი ციტოპლაზმა სცილდება უჯრედს («излишек цитоплазмы отбрасывается», გვ. 170), რასაც მთარგმნელები ასეთი სახით აწვდიან მოსწავლეს — «цитоплазмის ნაჰარბი კი იყრება» (გვ. 200).

რუსულის დიდ ცოდნას ვერ მოწმობს ასეთი თარგმანი: «Это указывает на общность происхождения клеток» (გვ. 125); ქართულად — «ეს უჯრედის ერთგვაროვანი წარმოშობის მაჩვენებელია» (გვ. 147). ცხადია, აქ უნდა ყოფილიყო — «ეს მოწმობს, რომ უჯრედებს

საერთო წარმოშობა აქვთ», («საერთო» — «ერთი» და არა «ერთგვაროვანი»).

დიდადა შეცვლილი აზრი შემდეგ წინადადებაშიც: «Поэтому, что при длительной работе содержание АТФ в клетке существенно не изменяется» (გვ. 141). რომელიც ქართულში იკითხება ასე — «ამიტომ ვასაგებია, რომ ხანგრძლივი მუშაობისას უჯრედში შემავალი ატფ-ს არსებობა ძირითადად უცვლელი რჩება» (გვ. 166). აქ, ცხადია, ატფ-ს რაოდენობაზეა ლაპარაკი.

განვითარების თანამიმდევრულ სურათს ამახინჯებს ასეთი თარგმანი: „... გადაღის განვითარების სხვა სტადიაში — გასტრულაში“ (გვ. 203), რაც შეესაბამება რუსულის შემდეგ ადგილს «...превращается в следующую стадию развития — гастралу» (გვ. 173). უთუოდ უნდა ითქვას, რომ გასტრულა „მომდევნო“ სტადიაა და არა „სხვა“.

სრულიად მარტივი ადგილი «Поэтому эти органы названы осевым комплексом органов» (გვ. 174) თარგმნილია, როგორც «...მთავარი ორგანოების კომპლექსი» (გვ. 204). აქ მთარგმნელებს ამ წინადადების წინა ნაწილის შინაარსი არ გაუთვალისწინებიათ, თანაც «осевые» (ღერძითი, ღერძული), როგორც ჩანს, უცებ «основные»-დ (ძირითადი, მთავარი) მოჩვენებით და ასეც უთარგმნიათ. რანაირი ქართულითაა დაწერილი ან რა აზრი აქვს ასეთ წინადადებას: „მათ შორის რთული ურთიერთობა შენარჩუნებულია ერთმანეთთან სახეობათა და არაოცობალ ბუნებასთან სხვადასხვაგვარი შეგუებების გამო“ (გვ. 303)? რუსულად იგი ასე იკითხება «Сложные взаимоотношения в них поддерживаются благодаря разнообразней приспособленности видов друг к другу и к окружающим условиям неживой среды» (გვ. 257).

ძნელია ითქვას, თუ რით ახსენება შემდეგნაირად „ნათარგმნი“ სიტყვები: «прикрепленный» (გვ. 44) — „შეგუებითი“ (გვ. 52); «о з е р а» (გვ. 66) — „ტყეები“ (გვ. 78); «различия» (გვ. 197) — „სახეობები“ (გვ. 231); «строгая зависимость» (გვ. 135) — „მკვეთრი დამოკიდებულება“ (გვ. 159); «снаружи» (გვ. 298) — „შეგნიდან“ (გვ. 355) და სხვა.

„ილბლიანი“ არც საილუსტრაციო მასალა აღმოჩნდა: 96-ე სურათის წარწერაში «сетчатка» ნათარგმნია „ბადურის გარსად“: ბადურა თვითონაა გარსი «сетчатка» უნდა ითარგმნოს ან პირდაპირ „ბადურად“ ან „ბადისებრ გარსად“).

ძნელია ითქვას, დაუდევრობის თუ უმეცრების შედეგია ის, რომ მენ-100 სურათის წარწერა «Рисунок с электронномикроскопической фотографии участков клеточной мембраны двух нервных клеток. Увеличено в

100 000 რაზ. Видно строение **наружной мембраны**» თარგმნილია შემდეგნაირად: «**ორი მეზობელი უჯრედის** მემბრანის უბნების ელექტრონულ-მიკროსკოპული ფოტოსურათი. ვადიდებულია 100 000-ჯერ. ჩანს ყოველი მემბრანის აგებულება». რატომღაც განმარტება «ნერვული» გამოტოვებულია, საიდანღაც გაჩნდა სიტყვა «მეზობელი» და თანაც «გარეთა მემბრანა» — «ყოველ მემბრანად» იქცა, რაც აზრს სრულიად ცვლის!

121-ე სურათის წარწერა იკითხება ასე «დნმ-ს ჭინის ახლად წარმოქმნილი მაკრომოლეკულა», თურმე ეს არის თარგმანი შემდეგი წარწერისა: «**Вновь образованная двухтяжевая макромолекула ДНК!**» როგორც ჩანს, საჭიროა, მთარგმნელს განეშარტოს, რომ აქ გამოსახულია თვით დეზოქსირიბონუკლეინის მკვირს ორბადოვანი მოლეკულა. სიტყვა «**ТЯЖ**»-ის თარგმანი არ ვედავებები მთარგმნელს, მაგრამ «**ДВУХ**» — რაღა იქნა? ერთ-ერთი სურათი (139-ე) გვამცნობს, რომ აქ გამოსახულია „შეჯავრება და დათიშვის მსგევლობა ზღვის გოჭების ორი გვარის ორ თათბაში“. მთარგმნელებს (უკიდურეს შემთხვევაში) ნებისმიერ ლექსიკონში შეეძლოთ გეგოთ, რომ «**порода**» (შუად. ორიგ. გვ. 190) ქართულად „ჯიშია“!

ერთგან მთარგმნელები მცენარეებს ფოთლების აქტიურად ჩამოყრის (თუ „გადმოყრის“) უნარს მიაწერენ: «**не сбрасывают листьев**» (ე. ი. „მათ ფოთლები არ სცივიათ“) ნათარგმანია „არ ყრიათ ფოთლებს“ (177-ე სურათის წარწერა).

187-ე სურათზე არის რამდენიმე შეცდომა: გამოტოვებულია წარწერა „წაბლა წყალმცენარეების ქვედა საზღვარი“ («**Нижний предел бурых водорослей**»); «**Отдельные находки водорослей**» თარგმნილია როგორც „წყალმცენარეების ცალკეული ნარჩენები“ (აქ ნარჩენები კი არაა — იშვიათად გვხვდება ცალკეული წყალმცენარეები); «**длительности гави-рительности адегилы**» («**Область распространения губок**») გულგებობას გამოიწვევს (მოსწავლეს უსათოდ «**облако**» გვგონება).

ცხრილში, რომელიც გვაცნობს უჯრედის ქიმიურ შედგენილობას (გვ. 148), სამი ნივთიერება (1. გოგირდი — 0,15 — 0,2; 2) ფოსფორი — 0,20 — 1,00, 3. ქლორი — 0,05 — 0,10) გამოტოვებულია (შუად. ორიგინალის გვ. 125). მეორე ცხრილში (გვ. 149) ტირეს მძიმით შეცვლის გამო ნივთიერებათა პროცენტული შემცველობის მერყეობის ფარგლების ნაცლად ათწილადები მივიღეთ: წყალი 75,85 (უნდა იყოს 75-85), ცოლები 10,20 (უნდა იყოს 10-20), ცხიმები 1,5 (უნდა იყოს 1—5)!! (შუადარეთ დედნის გვ. 126).

არც თუ იშვიათად მთარგმნელებს, როცა ტექსტის გავება ვასპირებოთ, ცალკეული

სიტყვებისა და ზოგჯერ სიტყვების ჯგუფების გამოტოვებისათვის მიუძღროთ, რითაც სრულიად დაუბახინებიათ შინაარსი.

ადამიანის წარმოშობის გავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამართულად, ე. ი. ორ ფეხზე სიარულის დაწყების შემდეგ წინა ფეხები (ხელები) აღარ იხმარებოდა სხეულის დასაყრდენად და, ამ ფუნქციისაგან განთავისუფლების გამო, შრომითი პროცესების შემსრულებლად იქცა. მთარგმნელებს კი დედნის «...освободилась от необходимости поддерживать тело». (გვ. 102) სრულიად გამოუტოვებიათ (გვ. 120).

დედანში (გვ. 187) წერია: «**Понятно, что генотип (или, иначе, наследственная основа) определяет формирование признаков развивающегося из оплодотворенного яйца организма**». ამას ქართულში შეესატყვისება სრულიად აბსურდული წინადადება «**ცხადია, გენოტიპი (ან, სხვაგვარად, მემკვიდრული საფუძველი) განსაზღვრავს ორგანიზმის განაყოფიერებული კვერცხიდან განვითარებადი ორგანიზმის ნიშნების ფორმირებას**» (გვ. 219).

დედანშია — «**Яйцеклетка может быть оплодотворена спермием с X- или Y-хромосомой**» (გვ. 198). თარგმანია — «**კვერცხუჯრედი შესაძლებელია განაყოფიერდეს X-ქრომოსომით ან Y-ქრომოსომით**» (გვ. 232). მოსწავლე, ცხადია, იფიქრებს, რომ კვერცხუჯრდს ქრომოსომები ანაყოფიერებენ და არა სპერმატოზოიდები. ან კიდევ იქ, სადაც დედანში ნათქვამია, რომ ცხოველურ ნარჩენებს ანადგურებენ მძორის ბუზების მატლები (**личинки падающих мух**; გვ. 267), ქართულში თვით მძორის ბუზებია მოხსენებული (გვ. 315).

შეითხველმა თვითონ განსაჯოს, რამდენად სწორია შემდეგი ადგილის თარგმანი: «**Наряду с фотосинтезом зеленых растений происходит почти равное ему по масштабу окисление органических веществ в процессах дыхания, горения, брожения и гниения с выделением тепла, H₂O и CO₂**» (გვ. 279) — «**მწვანე მცენარეების ფოტოსინთეზთან ერთად სუნთქვის, წვის, დუღილისა და ლბობის პროცესში ხდება ორგანული ნივთიერებების დაჟანგვა, სითბოს, H₂O-სა და CO₂-ის გამოყოფით**» (გვ. 329). აქ აზრიც არეულია და, თანაც გამოტოვებულია თითქმის მთელი წინადადება. ასევე, დედანშია «**Источником энергии для них служат химические реакции органических и неорганических соединений**» (გვ. 282), ქართულში — «**მათთვის ენერჯის წყაროა არაორ-**

ლმანს ნათამა, ვივი ჰაიკიპ
მართი სხანლმმღვანელოს თარგმანის გამო

განული ნაერთების ქიმიური რეაქციები» (გვ. 533).

სრულიად მცდარი წარმოდგენა შეექმნება მოსწავლეს პლანქტონსა და, საერთოდ, ცხოველთა კვებაზე, როცა იგი წაიკითხავს, რომ „პლანქტონის უპირატესი მნიშვნელობა აქვს საწყაროს ცხოველთა კვებისათვის“ (გვ. 336). თუ ჩაიხედავთ დედანში, ყველაფერი გასაგები გახდება—«Планктон имеет преимущественное значение в питании животного мира океана» (გვ. 284).

ცალკეული სიტყვები გამოტოვებულია ბევრ-მა. მაგ., „ენერგია“ (გვ. 338, შუად. დედნის გვ. 285), „უელდანი“ (გვ. 98, შუად. გვ. 83), „ხარისხი“ (გვ. 182, შუად. გვ. 154), „არსებობა“ (იქვე) და სხვა. მკითხველს თვითონ შეუძლია ამ დღილების შედარებით დინახოს, თუ რამდენად ცვლის ეს „გამარტივება“ აზრს.

სამწუხაროდ, ქართული ბიოლოგიური ტერმინოლოგია ჯერ არაა საბოლოოდ დადგენილი და ზოგი დამკვიდრებული ტერმინი არც თუ დიდად მარჯვედა შერჩეულა, მაგრამ სათარგმნი მასალის ელემენტარული ცოდნა და ქართული ბიოლოგიური ლიტერატურის ელემენტარული ვაცობაზე მთარგმნელზე ააცდენდა ზოგიერთ ტერმინოლოგიურ კუროზს, რომელთაც წიგნში ვხვდებით.

«Половые клетки» (გვ. 168) ე. ი. სასქესო უჯრედები, ნათარგმნი „სასქესო ორგანოებად“ (გვ. 197), «Яйцевые клетки» (გვ. 115) ე. ი. კვერცხი, კვერცხურედი ნათარგმნი „საკვერცხე უჯრეებად“ (გვ. 136), «женские половые клетки» (გვ. 299) ე. ი. მდედრობითი სასქესო უჯრედები — ქალის სასქესო ორგანოებად“ (გვ. 354)! აქ უკვე უკიდურესი დაუღვერობაცაა, რადგანაც მთარგმნელმა იქვე ფრჩხილებში არჩენინაღ მიუწერიათ განმარტება («კვერცხურედი»). მსგავსებზე ამავეა სპერმატოგენეზის განმარტებაში: «мужские половые клетки» (გვ. 299) ე. ი. მამრობითი სასქესო უჯრედები ნათარგმნი „მამაკაცთა სასქესო უჯრეებად“ (გვ. 355). განსაკუთრებით სავალალოა, რომ ეს უხეში შეცდომები ისეთი მნიშვნელოვანი პროცესების განმარტებაშია, როგორცაა ოვოგენეზი და სპერმატოგენეზი.

ასევე, სრულიად ამახინჯებს მეთიზის განმარტებას შემდეგი ადგილი: „მეიოზი — ჩანასახის უჯრედთა ბირთვების ორმაგი გაყოფის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც იწყებს ქრომოსომების რიცხვის რედუქციას“ (გვ. 353). „ჩანასახის უჯრედები“ მიღებული ტერმინოლოგიით იქნება «клетки зародыша» ე. ი. ემბრიონის სხეულის უჯრედები. მეიოზი კი სწორედ ამ უჯრედებისგან განსხვავებით, მხოლოდ სასქესო ან საჩანასახე ან, როგორც ხმარობენ, ჩანასახოვან უჯრედებს ახასიათებს (დედანშია «зародышевые клетки» გვ. 298).

„ჩანასახის უჯრედების“ და „ჩანასახოვანი

უჯრედების“ ერთმანეთისაგან განსხვავება თუ სავსის რადაც ელემენტარულ ცოდნას, მაგნიტურ მოითხოვს, არასპეციალისტიანთის ცხელა და იყოს, რომ სხვადასხვა რუსული ტერმინი ერთი ქართული სიტყვით არ შეიძლება ითარგმნოს. წიგნში კი ასეთი რამ გვხვდება. მაგალითად, «Весь этот комплекс зачатков определяет главную ось зародыша, делищую тело его на правую и левую половины» (გვ. 174) ქართულად „უდერს“ ასე: „ჩანასახთა მთელი ეს კომპლექსი განსაზღვრავს ჩანასახის მთავარ ღერძს, რომელიც მის სხეულს ჰყოფს მარჯვენა და მარცხენა ნახევრებად“ (გვ. 204). აქ და სხვაგანაც მთარგმნელები ხმარობენ სიტყვას „ჩანასახი“, რუსული «зародыш»-ის (ე. ი. მთელი ემბრიონის) შესატყვისად, როგორც ეს მიღებულია სპეციალურ ლიტერატურაში და, ამავე დროს, «зачаток»-ის შესატყვისად (ამ შემთხვევაშიც ან „ნასახი“ უნდა ყოფილიყო, ან „ნერვი“). ამავე მიზეზით წინადადება — «Влияние хордомезодермного зачатка на эктодерму представляет собой процесс индукции» (გვ. 174) თარგმანში სრულიად უზარო გახდა: „ქორდომეზოდერმული ჩანასახის გავლენა ექტოდერმაზე ინდუქციის პროცესია“ (გვ. 204).

სავსის აბსოლუტური უტოლინარობის გამოა ნათარგმნი «генные мутации» (გვ. 207) „გენის მუტაციებად“ (გვ. 243) და «хромосомные мутации» — ქრომოსომების მუტაციებად“ (იქვე): აქ ლაპარაკია არა გენების, ან ქრომოსომების მუტაციებზე, არამედ გენურ (გენისმიერ, გენისეულ) და ქრომოსომულ მუტაციებზე. ასევეა «самоудвоение»-ს თარგმანი „თვითგაორგებად“ (გვ. 160), როცა ლაპარაკია დეზოქსირიბონუკლეინის მყავის მოლეკულის თვითგაორმაგებაზე.

სრულიად უვარგისი ტერმინებია ნახმარი ზოგი უმნიშვნელოვანესი ცნებების აღსანიშნავად. მაგ., «набор хромосом» (გვ. 161) „ქრომოსომების ჯგუფადაა“ თარგმნილი (გვ. 189), სხვაგან კი «парный набор хромосом» (იქვე) როგორც „ქრომოსომების დაწყვილებული გროვა“ (გვ. 190). ვინც ელემენტარული ციტოლოგია ან გენეტიკა იცის, მიხვდება, რომ აქ არც გროვაა და არც ჯგუფი: ყოველი მცენარის და ცხოველის უჯრედში ქრომოსომების წყვილების გარკვეული რაოდენობაა, რასაც «хромосомный набор» სჭეია. ქართულად სრულიად შესაფერისი იქნებოდა „ქრომოსომების კრებული“ გვეხმარა.

ორი ერთი ტიპის ტერმინი «транспортная РНК» და «информационная РНК» განსხვავებულადაა ნათარგმნი: „სატრანსპორტო რნმ“-დ (გვ. 178), და „ინფორმაციული რნმ“-დ (იქვე); აუცილებელია ტერმინის ერთნაირად წარმოება: ან „სატრანსპორტო“ და „საინფორ-



მაიცოა, ან „ტრანსპორტული“ და „ინფორმაციული“. ასევე, ერთი და იგივე რუსული ტერმინი ორი სხვადასხვა სიტყვითაა აღნიშნული სხვაგანაც: «нервная трубка» (გვ. 174) ხან «ნერვული მილია» (გვ. 204), ხან «ნერვული მილაკი» (გვ. 205).

მთარგმნელებს არ ესმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვის მცირე ცვლილებაც კი არსებითად ცვლის აზრს. მაგალითად, «деление клетки» თითქმის ყველგან ნათარგმნია «უჯრედის დაყოფად» (გვ. 187, 190, 277, 353). საქმე ისაა, რომ სიტყვა „დაყოფა“ რამდენიმე ნაწილად გაყოფას ნიშნავს, აქ კი უსათუოდ **ორად გაყოფა** უნდა იყოს ხაზგასმული.

არაფრად არ ვარგა «неделяющаяся клетка» (გვ. 159) „გაუყოფად უჯრედად“ (გვ. 188), რომ ითარგმნოს: «неделяющаяся клетка» — ის უჯრედი, რომელიც ამჟამად, დაკვირვებისას არ იყოფა, მოსვენებულია, „გაუყოფადი“ კი გაყოფის უნარის უქონლობას ნიშნავს. არც «хемосинтезирующие бактерии» (გვ. 282) შეიძლება ითარგმნოს „ქემოსინთეზურ ბაქტერიებად“ (გვ. 333) — უნდა იყოს „მოქემოსინთეზე ბაქტერიები“: «трубчатые кости» (გვ. 106) ქართულ ანატომიურ ტერმინოლოგიაში ტრადიციულად „ლულისებრ ძვლებად“ იწოდებოდა და არა „მილისებრ ძვლებად“ (გვ. 125); «способность синтезировать» (გვ. 149) ან „სინთეზირების უნარი“ უნდა იყოს ან „სინთეზის უნარი“: „სინთეზების უნარი“ (გვ. 175) არ ვარგა.

ყურობული თარგმანის ნიმუშად გამოდგება შემდეგი მაგალითი: ქართული წიგნის 142-ე გვერდზე ნათქვამია, რომ ლიზოსომების წყენა „აქქს უნარი გადაამუშაოს უჯრედში შესული **საქმელი**“; «пища» (იხ. გვ. 121), ცხადია, „საკვება“!

მთარგმნელები ზოგჯერ დიდ ოსტატობას იჩენენ ახალი ტერმინების შექმნაში: იქ, სადაც საჭირო იყო ეთქვათ, რომ აღამაინის ჩანასახის გული აღრეულ სტადიებში წარმოადგენს მილს, რომლის კედელი პულსირებს («...представляет собою трубку с пульсирующими стенками», გვ. 95) მათ უხმარიბათ სიტყვა „მომპლასირეკედლებიანი“ (გვ. 113)!!

არ ვარგა, აგრეთვე, „კვლავკომბინირება“ (გვ. 231) რუსული «перекombинация»-ს შესატყვისად (რეგორც ჩანს, პოლიტეკონომიის „კვლავწარმოების“ გავლენით).

მთარგმნელებს და რედაქტორებს, ^(იხ. გვ. 113) ჩანს, წარბოდეგნაც არა აქვთ იმაზე, ^(იხ. გვ. 113) რომ უკვე მთერ ტერმინებში ერთი ასოს შეცვლა სულ სხვა ნიუთიერებას იძლევა და არხეინად წერენ ადენინოვანის ნაცვლად ადენილოვანს (გვ. 349), გუანინოვანის ნაცვლად გუანილოვანს (გვ. 351), და სხვა. (რატომღაც, სწორედ „ნ“ არ მოსვლიათ თვალში!).

ერთი მხრივ ტექსტში სწორადაა დაწერილი ამინომჟავის სახელწოდება „თიონინი“, მაგრამ მეორე მხრით — სქემატური აღნიშვნის დროს ამავე სიტყვის პირველი ასო უკვე „ი“-დ ქცეულა (გვ. 176, 177).

Sepienti sat! აღარ ღირს ლაპარაკი იმაზე, რომ თარგმანში ბევრია არსებითი სახელების რიცხვის შეცვლა, დაბოლოების დამახინჯება, ტერმინების უმართებულო ხმარება, კორექტორული შეცდომები და სხვა მრავალი წყრილმანი და არა წყრილმანი.

შეიძლება ეს მოკლე რეცენზია ბევრმა შეფუძრებული ტონით დაწერილად მიიჩნიოს. საქმე რომ სხვა წიგნს ეხებოდეს, მართლაც ანე ექნებოდა. მაგრამ ეს წიგნი სასკოლო სახელმძღვანელოდაა განუფუთვნილი. მოსწავლეებისათვის მეცნიერების რომელიმე დარგის დამახინჯებულად მიწოდება კი მიუტყვებელია. რეცენზიის მიზანი მხოლოდ ისაა, რომ მომავალში სკოლამ გასწორებული და შეცდომებისაგან განთავისუფლებული სახელმძღვანელო მიიღოს.

მთარგმნელებს (ლ. თევზაძე და თ. ედიშერაშვილი) და რედაქტორებს (ლიდი მუშაობა კპართებთ თარგმანის სერიოზული გადაკეთებისათვის. მცდარად ნათარგმნი ადგილების გასწორებასთან ერთად, აუცილებელია ტერმინების დახუსტება, მთელი ტექსტის დედანთან შედარება, სტილისტური გადამუშავება, რთული წინადადებების გამარტივება და დახვეწა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ისეთ ადგილებს უნდა მიექცეს, სადაც თავისთავად რთული მოვლენები და პროცესებია აღწერილი.

1) 1967 წლის გამოცემაში, გამომცემლობის რედაქტორ ვ. კობიაშვილთან ერთად, აღნიშნული იყო თვით თარგმანის რედაქტორი ვ. კაპანაძე. ახალ გამოცემაში ეს პირი, რომელსაც მთავარი პასუხისმგებლობა აკისრია თარგმანის ღირსებაზე, რატომღაც მითითებული აღარ არის.



ულტრაინტიმური ინტერვიუ

ჩვენი კორესპონდენტი საახალწლოვს საკუთარი ფეხით, საკუთარ ბინაზე ეწვია გრაფომან მწერალ გენიოსა დიდებაშიღს და მისცა რამდენიმე შეკითხვა, რომლის პასუხებსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

კითხვა: ხომ კარგად გიკითხოთ, პატივცემულო გენიოსა?

პასუხი: კითხვა არ უნდა.

კითხვა: როგორც აღბათ თქვენც გაიგებდით, დადგა ახალი წელი. რით შეხვდით მას?

პასუხი: სწორედ ამ წუთში დავამთავრე პატარა ლირიკული, ასე ვთქვათ, ათმარცვლიანი ლექსი, დავიწყე დიდი დრამატული პოემა, მოვიფიქრე ტრაგიკული პიესის სიუჟეტი, ვაგრძელებ რეალისტურ სცენარზე მუშაობას, პარალელურად ვწერ პროზულ რომანს, ვამთავრებ კრიტიკულ-დითირამულ ეტიუდებს, ვთარგმნი ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, იტალიურ, ინგლისურ ნაწარმოებებს, პუნქტუაციურად ვხვეწ მშვენიერ საბავშო მოთხრობებს, ვათვლიერებ აღტაცებულ მკითხველთა წერილებს, ვეწვევი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას...

კითხვა: თქვენს გარდა, კიდევ რომელი მწერალი მოგწონთ?

პასუხი: ჩემს გარდა, ვარკვეულ პატივს ვცემ ზანტენსა და ფლასკს. გამოგიტყდებით და, წერის მათი სენსუალურ-ქოლერიკული მანერა ხანდახან,

პირადად მე, ფორს-მაჟორადაც კი მესახება. ერთდროულად ვადევნებ თვალყურს პარაგვაელი პერსონა გრატა სანტა როსა ერგასა და ახალწელანდელი კოს სიურრეალისტურ შემოქმედებას, თუმცა აქვე უნდა დავძინო, რომ ვერ ვეგუები მათს გადამეტებულ ფანტასმაგორიასა და სტილის ხელალებით პროფანაციას, რაც აშკარა პედონიზმში გადადის.

კითხვა: რას უფრო ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის — ნიჭს თუ ჯანმრთელობას?

პასუხი: ჯანმრთელობა ნიჭია ერთგვარი. გულდასმით თუ გადავხედავთ ჩვენი ლიტერატურის ისტორიას, მაშინვე დავრწმუნდებით, რომ უწინდელი მწერლები უჩიოდნენ ჯანმრთელობას. ხშირი იყო ავადმყოფობის შემთხვევები. გამოირიცხული არ იყო სიკვდილიც. დღეს ყოველგვარი სულიერ-მატერიალური პირობები არსებობს, რათა მწერალი, განურჩევლად ნიჭისა და თანამდებობისა, ჯანმრთელი იყოს. ამ საქმეს კარგად ვრთმევს თავს ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. მოკლედ გეტყვი: ვადამწყვეტი მნიშვნელობა მწერლისთვის მაინც ჯანმრთელობას აქვს.

კითხვა: თქვენ ხშირად გიწყობენ შეხვედრებს. რომელმა შეხვედრამ დასტოვა თქვენზე, ასე ვთქვათ, წარუშლელი შთაბეჭდილება?

პასუხი: ჯერ არ მახსოვს, შეხვედრა ჩამშლოდეს. გარკვეულ შთაბეჭდილებას ჩემზე თუმცა ყველა შეხვედრა ახდენდა, მაგრამ განსაკუთრებულ ფავორსა და აპოგეაში მიგვრძნია თავი ყრუ-მუნჯებსა და უსინათლოებთან შემოქმედებითი შეხვედრების კამს.

კითხვა: რა აზრისა ხართ მხატვრობაზე?

პასუხი: მხატვრობას აქვს თავისი საკუთარი სპეციფიკა, რომლის კრიტიკრიუმში პოტენცურად მქდავანდება გარკვეულ სიტუაციებში.

კითხვა: ცოლ-შვილი თუ გყავთ და, დავუმატებდი: თუ გიყვართ?

პასუხი: გამოგიტყდები და მყავს მეორე ცოლი და ერთი ბიჭი პირველი ცოლისგან. გაგიმხელ მეორე საიდუმლოსაც: ჩემი ბიჭიც წერს, მაგრამ ჯერჯერობით მე ვერ მჯობია. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, ცოლ-შვილი თუ გიყვართო, ამაზე დღებით პასუხს გაძღვეთ.

კითხვა: რა მაგის პასუხია და, თუ ნადირობთ?

პასუხი: ახალგაზრდობაში დღე და დამე ვნადირობდი. ახლა იმდენი დრო სავსე მაქვს, მაგრამ ორ კურდღელს ყოველთვის წარმატებით ვიჭერ.

კითხვა: რა განსხვავებას ხედავთ მწერალსა და კრიტიკოსს შორის?

პასუხი: თავი რომ დავანებოთ ფიზიკურ განსხვავებას, არის მეორე მხარეც: მწერლის სტიქია წერაა, კრიტიკოსის სტიქია კი წერა იმდენად არაა, რამდენადაც სხვისი დაწერილის წაკითხვა და მერე დაწერა იმისა, წეროს თუ არ წეროს აღნიშნულმა მწერალმა. ერთი სიტყვით, ფანფარონი მწერლის ფიასკო კრიტიკოსმა უნდა დააჩქაროს.

კითხვა: ამ ბოლო დროს თქვენ ბევრს მოგზაურობთ საზღვარგარეთ. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?

პასუხი: შთაბეჭდილებები არაა მაინცდამაინც საგანგაშო. ასე ვთქვათ, დამაკმაყოფილებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე კაბიტა-

ლისტურ ქვეყანას. რა დაგიმალოდა, ზოგიერთი მიკროკეფალ კაბიტალისტი არ მიყურებდა კარგად, მაგრამ ვერაფერი ვერ დამაკლო. მინდა, ჩემს საზღვარგარეთულ შთაბეჭდილებებს მხატვრული ქსოვილი მოვუქებნი და ცალკე წიგნად გამოვცე, რათა ყველამ წაიკითხოს.

კითხვა: მაპატიეთ, სიზმრები თუ გიწიზმრებთ?

პასუხი: ცხადია.

კითხვა: სპორტს როგორ უყურებთ?

პასუხი: სპორტით არ მიდგას ჭული?

კითხვა: ნუ დამიმაღავთ: პაპიროსს თუ ეწვეით?

პასუხი: რაც შეეხება პაპიროსს, იგივე თამბაქოს, რომელსაც ჩვენი მამა-პაპები სიყვარულით თუთუნს ეძახდნენ, ნამდვილად არ დაგიმაღავ და გადაჭრით უნდა ვითხრა, რომ არ ვეწვეი. ისე მაქვს, თუ გინდა, მოგაწვეინებ.

კითხვა: როგორ ვესმით სამშობლოს სიყვარული?

პასუხი: ახლავ: სამშობლოს სიყვარული მე მესმის, როგორც პატრიოტიზმი, ოღონდ, ნურას უკაცრავად და, არა — ურა. პატრიოტულ მოტივს სპეციალური ლექსიც კი მივუძღვენი და ყველგან იმას ვკითხულობ. მოკლედ, სამშობლო არ მიყვარსო, მაგას ვერ გეტყვი. მიყვარს ჩემი ქვეყნის პატრიოტიზმი.

კითხვა: რას იტყვით ჩვენს ახალგაზრდა მწერლებზე?

პასუხი: გამოყოფით, ჯერჯერობით, ვერავის ვერ გამოვყოფ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეგვცვალოს ვინმემ? ასე არ არის?

კითხვა: თეატრსა და კინოში თუ დაღიხართ?

პასუხი: თეატრი და კინო, თავისთავად, არ არის ცუდი. ხანდახან დავღივარ კიდევ. აბა, სულ წერას ხომ არ გადავყვები? „ნასენტეს მორიურ“ — „დაბადებიდანვე ვკვდებით“, როგორც ამბობდნენ ძველი ლათინები.

ბათუ მელია

ულტრანიმბიოზური ინტერვიუ

კითხვა: როგორც ვიცით, 6 წლის შემდეგ, თქვენ დაბადების 60 და მხატვრული აზროვნების 43 წლის-თავი გისრულდებათ. როგორ ხვდებით ამ თარიღს?

პასუხი: მე ერთი წუთითაც კი არ მეპარება ეჭვი, რომ მაღლიერი მკითხველი ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს ჩემს იუბილეს. უკვე დავწერე საიუბილეო საღამოზე წარმოსათქმელი ვრცელი სიტყა და ახლა ზეპირად ვსწავლობ. ცოტა ძნელი საქმე კია, მაგრამ რა ვქნა?

კითხვა: ამ გახსენებაზე: თმი თუ იქნება?

პასუხი: მე ბუნებით ფილანთროპი ვარ, აქედან გამომდინარე — ანტიმიწანთროპი და კიდევ აქედან გამომდინარე — ანტიმილიტარისტი. ომს მოაქვს პერტურბაცია, აჩქარებს კატაკლიზმებს და კატალეფსიაში ავდებს პროგრესულ კაცობრიობას, ამიტომ

ყოველნაირად ვცდილობ, თმი არ დავდეს, რაც მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. ყველა უნდა დავირაზმოს, ყველა!

კითხვა: რას უსურვებდით თქვენს მკითხველებს?

პასუხი: ვუსურვებდი, იკითხონ არა მარტო ჩემი, არამედ ზოგჯერ ჩემი კოლეგების ნაწარმოებებიც. მკითხველები რომ არ გვეყავდეს, მაშინ ეს მძიმე მოვალეობა ჩვენ, მწერლებს, დაგვაწევბოდა მხრებზე და ვინ გაუძლებდა ამას? ამიტომ, მკითხველები კარგად უნდა იყვნენ. ჯანმრთელობის მხრივაც და საერთოდაც.

კორესპონდენტი: დიდად გმადლობთ! მაპატიეთ, რომ თქვენთვის ესოდენ ძვირფასი დრო წაგართვით.

გ. დიდებაშვილი: მკითხეთ კიდევ, მე არსად არ მეჩქარება, დღეს საქმეც არაფერი მაქვს. მკითხეთ!..

ჩაწერა ბათუ მილიამ



მხიარული რემინისცენები

ვინ როგორ დაწერდა შოთა რუსთაველის იგავს:

„ემამან უთხრა: „ეგე საქმე ამა! ჰგავსო, არა სხვასა:
ორნი კაცნი მოდიოდეს სადაურნი სადმე გზასა,
უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა,
ზედ მიადგა, ჩაჰყოდა, ტირს, იმასის ვაგლას-ვასა.“

„ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იუავ მანდა მომიცდიდე,
წავალ თოკთა მოსასმელად, მწადსო, თუცა ამოგზიდე;“
მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუკვირდა მეტად კიდე,
ამოჰვიღლა: „არ გელოდე, სად გაგეძვე, სად წავიდე?“

ნიკოლოზ ბარათაშვილი

„რა ხელ-პყრის პატივს ნაზი ბულბული,
ვალიაშია დატყვევებული...“

საყვარელო დაო, მაიკო!
ეს შესამე თვეა, რაც სუღაირასპრა-
ვაში ვიმყოფები. არ დაიჯერებ, მაიკო,
ისეთი ამბავი მოიტანა კარანტინმა გუ-
შინ თავრიზიდან, გზაზე თურმე ორი
კაცი მიდიოდა. ერთი შტატსკი ყოფი-
ლა, ხოლო მეორე ინვალიდის კომანდის
აფიცერი. ის აფიცერი თურმე ცოტა
გადაკრულში იყო და სიარულში ფრან-
ციცულის ღრამატიკას სწავლობდა. შუა
გზაზე ორმო ყოფილა. საცოდავ აფი-
ცერს მაშინ შეუმჩნევია იგი, როცა შიგ
ჩავარდნილა და ამოსვლის იმედი დაუ-
კარგავს. შტატსკი სოვეტნიკი ორმოს-
თან რომ მისულა, უნახავს, რომ აფი-
ცერი ისე არხეინად ღლინებეს, თითქოს


მყუდროების სადგური ებოვოს. წარ-
მოგიდგენია, მაიკო! დამორჩილება თა-
ვის მკაცრს ბედსა. შტატსკი შემობრუ-
ნებულა და თავისი გზით წასულა. სა-
ცოდავი აფიცერი კი თურმე ახლაც იქა
ზის. სასაცილოა, მაიკო, ჯერ ვინც ზე-
ვით არის, იმის სიამოვნება რა არის ამ
საძაგელს ქვეყანაში და ჭაში მჯდომი-
სა რა უნდა იყოს.

P. S. ტასოს დღეობა იყო და ელენეს
სახლში გადაიხადეს.

თუ გლუხარიჩი ნახო, გამიგე, ბუმაფ-
ნიკი და ქუდი მოუვიდა თუ არა.

მომიკითხე ძია გრიგოლი. Я хотел
писать к нему, но побоялся, ხომ იცი,
ღიდი კაცია.

შენი ნიკო ბარათაშვილი.



სტანიციდამ გამოსულს ჩემმა თანამგზავრმა ორმოზე მიმითითა, ემანდ ფრთხილად გაიარე, თორემ შეიძლება ჩავარდე კიდეცაო. მე, როგორც ქართველს კაცსა, წუმპეში ჩავარდნა არ მეჭაშნიკება და ამაზე ფრიალ საფუძვლიანი საბუთიც მაქვს: პირველი, იმიტომ არ მომწონს, რომ წუმპეში ჯდომა დიდი ბედენა არ არი, მეორე, იმიტომ რომ წუმპეში ჩავარდნა ბედენა სრულებითაც არ არი, მესამე: იმიტომ, რომ წუმპეში ყოფნა ვერაფერი ბედენაა.

ორმოს ფრთხილად ავუარე გვერდი და უეცრად ძირს მოლაგებული ფიქრები მალლა მომექცნენ, მალლა დალაგებულნი — ძირსა. წუმპეში ნგუანგუელი უეპოლეტო პაპუასი ზის და თავისის ძროხის თვალებით პირუტყველად მიყურებს.

— ძალიანა ჰგევხართ განათლებულს კაცსა, — ვკითხე მე მდაბიურის ენითა. მან თავი მეცნიერულად დამიქნია.

— ჰოდა, რაკი განათლებული ბრძანებულხართ, წუმპეში ჩასვლაც კარგი გეცოდინებათ და ამოსვლაცა, — მივუგე მე გულალტკინებულმან და დავადექ სტეფანწმინდის გზასა.

ეჰ, ჩემო უეპოლეტო პაპუასო, გულის მოსაფხანნი სიტყვები ბევრი გითხარ, მაგრამ შენმა განათლებულმან გონებამ წუმპიდამ ამოსვლა რომ მოვთხოვოს, მაშინ რასა იქმ?

მოვდიოდი და ვფიქრობდი, რომ ცოლთა კაცი, რომელიც განათლებულის ქვეყნიდამ არი, მაგრამ წუმპეში ზის და თავის ამინდი ჰგონია.

მართლაც რომ ცოლთა. მაგრამ სხვა ვინ არ არი ცოლო ამ უთავბოლო ქვეყანაზედა?

ბრიგოლ ჩიქოვანი

- კარი გამიღე, ძღაბი!
- ყურსალი ხომ არა ხარ, ბოში?
- არა, ჭყიში ვარ, ძღაბი.
- აბრაგი ხომ არა ხარ, ჩემი მოტაცება ხომ არ გინდა, ბოში?
- არა, მიქამგარიოსი ვარ, ცოლად უნდა წავიყვანო, ძღაბი.
- მერე, აქამდე სად იყავი, ბოში?
- მალეიძარა გამიფუჭდა, ძლივს გავიღვიძე, ძღაბი.
- მზად ვარ, წავიღეთ, ბოში.
- წავიღეთ, ძღაბი.
- რომ არ წამოგყვე, ბოში?
- როგორც შენ გავგხარდება, ძღაბი.
- ვიშო, ბოში!
- აშო, ძღაბი!
- ჩემს გათხოვებას რომ გაიგებს, ბაბა გადირევა, ბოში.

- ბაბას მაგარი ნერვები აქვს, ძღაბი.
- წავიღეთ, ბოში.
- შეყვარებულები ჭყანტობში შეჭყაპუნდნენ.

ე პ ი ლ ო ვ ი

- არიქა, ნანა!
- ქიშერთი ვალურია!
- რა მოხდა, პატენი?!
- მანჩას გოგო მოუტაცნიათ აბრაგებს!
- ლოგინიდან აუგლეჯიათ უბედური!
- პირში ბალახი ჩაუტენიათ და თავზე ტომარა ჩამოუცვამთ!
- მანჩას ვერაფერი გაუგია.
- ვაი შენს ბაბას, ტრასი!
- მამუთუუ!!!



„პატივცემული ავტორი კი მაინც გაკადნიერდება და ქველფერს იტყვის, თუნდაც ამისათვის თეთრი ხიდიდან გადავდება დაუპირონ“.

„ჩემი მეგობარი ნოდარი“

„ქველა, მარცხენა ნახატზე თავდგირიძე ცხენს წვედა, მარჯვენა ნახატზე — იწვა და ვულზე საბარგო მანქანა აღვა“.

„ჩემი მეგობარი ნოდარი“

„ეს მეტად მოკლე შესავალი, თუ გინდათ პოლოგი, ბევრი ვერაფერი შეიღია, მაგრამ იქნებ ესეც საჭირო იყოს“.

„ჩემი მეგობარი ნოდარი“

მწერალი თეთრ ხილზე მიდიოდა. აი-აში სხვა ხიდიც არის; ჯაჭვის ხიდი, ახალი ხიდი, წითელი ხიდი, — მაგრამ მწერალი რატომღაც თეთრ ხილზე მიდიოდა. ნაპირთან ერთმანეთს გადაკერებული კრამტიანი სახლები ჩანდნენ. ქვევით, რიყზე, თეთრი სპილოებივით იწვნენ უშველებელი ქვები.

მწერალი თეთრ ხილზე მიდიოდა. ხილის ბოლოში ნოდარ პირველი, ალიოშა გუბელაძე, ნონიკო რიკრიკაშვილი, ოლიგოფრენი რაფო, ტიტე ვაჩაძე და თავდგირიძე იდგნენ. მილიციელი ჩიტიანი არსად ჩანდა.

თავდგირიძემ კბილებიდან 32 კგ-იანი ვირო ჩამოიხსნა და მწერალს გზა გადაუჭრა.

— რას შობი ანლა? — უთხრა თავდგირიძემ.

— შენი საგლახაო ვარ, ბიძია, მეე? — შეუღრინა ტიტე ვაჩაძემ.

— შენ ხვარაფერი გატყუებს, დავე-

ნაცკლე? — ჩაისისინა რიკრიკაშვილმა.

— ოსტრი ხარ, ოსტრი? გაგაოსტრებ მე შენ! — შეუყეფა ნოდარ პირველმა.

ნოდარ პირველს ისე გაეხარდა მწერლის დანახვა, თითქოს თავისი საკუთარი ძვლისტარიანი კით ათიანი ჩაეგდოს ბილიარდის გარდვეულ ბაღეში.

— გადაშენდით იქით, მე მწერალი ვარ, — თქვა მწერალმა.

— მე ამ ცხოვრების რა ვთქვი, რასი მწერალი ხარ, ბიძია, შენ? — თქვა ალიოშა გუბელაძემ (ალიოშა გუბელაძეს დროებითი რემისია დადგომოდა).

მწერლის სურვილის საწინააღმდეგოდ თავდგირიძემ იგი მსუბუქად ასწია და თეთრი ხიდიდან ჭინჭებიანად გადაავლო.



ეს მეტად მოკლე დასასრული, თუ გინდათ ეპილოგი, ბევრი ვერაფერი შეიღია, მაგრამ იქნებ ასე იყოს საჭირო.

მთარ ჩხეიკე

ღიალოგი აღმართხადა

რ მ მ ა ნ ი

ორი კაცი მიდიოდა გზაზედა. ორი კაცი, ორი სულდგმული, ორი ადამიანი, ორი არსება, ორი ორფენი, ორი მოაზროვნე ცხოველი მიდიოდა გზაზედა. პო, მიდიოდნენ, მიიჩქაროდნენ, მიილალოდნენ, მიმასლაათობდნენ, მიიბრუნდნენ, მიიბრუნდნენ, მიიჩრდილავე-

ნენ, მიეშურებოდნენ გზაზედა. მიჰყვებოდა მეორე პირველსა უნდილადა, უნდილობლადა, უდიმილოდა, უთქმელადა, უსმელადა, უჭმელადა, უდილინოდა. მოჰხვდა, მოჰხვლთა, მოუბრუნდა, მოუვანა, მოახსენა პირველმა მეორესა:

— „ემფატიკურ „ა“-ს რად ხმარობო



ასე ჭარბადა, ხარბადა, გულსაკლავადა? რად ამხინჯებო სიტყვათწყობას ასე უსულოდა, უგულოდა, უღმერთოდა, უმადურადა, ულამაზოდა, ულაზათოდა? საუკუნეები დაეხარჯეთ, დავლიეთ, დავანელეთ, დავანანშირეთ ქართულის დისახვეწადა, შესანახადა, გასალამაზებლადა, გასამართავადა, დასაქართვევადა, გასამდიდრებლადა, გასადიდებლადა. ერთი სიტყვის მიგვირ, შე კაი კაცო, რად აწუხებ ხეთ სიტყვასა?

გაჰხელა მეორემ პირველს უმადუ-

რად, უგემურადა, უნდოთა, სიჯიუტი-თა, სიკერპითა, სიბრალუღითა:

— რა გინდა სთქვა მიგითა? ჩემს სტილს ხომ ვერ დავანგრევე, დავაქცევე, დავანაცარებ ენის გულითვინა? ვანაყველამ უნდა ილაპარაკოს ერთნაირადა, ერთ თარგზედა, ერთ პანგზედა, ერთ ნოტაზედა?“

...მიდიოდა და სტიროდა პირველი. სწყევლიდა პირველი სიჯიუტესა, სიკერპესა, გაჯიქებასა, ოჩნობასა, „ა“-სა (ემფატიკურსა) და „სამი შტილის თეორიასა“.

დავწყვიტე უპრნალისტი

განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობოდა იმ დღეს მებამბეთა კლუბში. მშრომელთა და თანამშრომელთა გულები რაღაც უჩვეულო მოლოდინს გაეთბო და გაეხალისებინა. მარჯვენადლოცვილთა სიხარული მშესაც ვადანდებოდა. მზეც კი უფრო ენერგიულად ანათებდა მწვანედ აქოჩრილ ბალახებს და ხეებს.

ამხანაგმა ზ. ხოხობაძემ დამსწრეთა ტაშის ვრიალში მეღალი „წყალწაღებულთა და დამხვრჩალთა გადარჩენისათვის“ მეგრდზე მიაბნია ნარკვეთელ მეურნეს ზაქრო ვერძაძეს. რით დაიშახურა ზაქრომ ეს უმადლესი და საპატით ჯილდო?

...ოთხშაბათ საღამო იყო. დღიური შრომით დაღლილი ზაქრო საკოლმეურნეო მინდვრიდან შინ ბრუნდებოდა. უეცრად მას მეუბნებელი ორმოდან კაცის წკმუტუნ და ვინებისმსგავსი ამოოხვრა მოესმა. ზაქრო არ დაბნეულა, თვალისდახამხამებაში მიიჭრა ორმოსთან და რაკი დარწმუნდა, რომ შივ სხვა

ვინმე კი არა, მისი დვიდლი ძმა შაქრო იყო მოთავსებული, დაზარალბულ ძმას მაშინვე გაუწოდა დანხარების მეგობრული ხელი.

ამჟამად შაქრო რაიონის საავადმყოფოშია. ორმოცი გრადუსი სიცხე აქვს, იატაკს და ჭერს ძლივს ანსხვავებს ერთმანეთისაგან და თავს შესანიშნავად გრძნობს. ექიმები გარკვეულ იმედებს იძლევიან.

ასე გადაარჩინა ნარკვეთელმა სრულიად უბრალო კოლმეურნემ ორმოში ჩავარდნილი თავისი საკუთარი ძმა.

და ვანა მარტო ერთხელ უსახელებია თავი ზაქრო ვერძაძეს? ამასწინათ მან შუკაში ვიღაცის ბოქლომი იბოვა, რაში გამომადგებოთ იფიქრა და კანტორაში მიიტანა, ხოლო უფრო ამასწინათ, მან ბენზინის ავზთან მისვლისას პაპიროსი ჩააქრო და ამით სახალხო დოვლათი აფეთქებას გადაარჩინა.

ასეთები არიან ძლიერი სულის, უშიშარი და კეთილი ადამიანები.

სად არ შეხვდებით მათ.

პანხელარიის მოხელე

ა/წ 31 თებერვალს მოქალაქე მურმან თათავოზის ძე მიქიაშვილი, (როგორც თვითონ ამბობს) 32 წლის, არსად არ

მუშაობს, მცხოვრები ზედნაშენის ქ. № 9, მიდიოდა სახლის მიმართულებით და მევორე მოქალაქემ ბიძინა მინას ძე

შეფარდიე ხელი ჰკრა სიტყვებით „ის კარგი იყო, მე რომ გადამაგდეო?“ მოქ. შეფარდიე ჩაწერილი არსად არ არის, ჩამოსულია სპეციალურად, ეწევა საეჭვო მოქმედებას.

ამ ამბავს შეესწრნენ მორიგე ოპერ-რწმუნებულები, უბნის უფროსი და სახალხო რაზმეულის ზემოთხსენებული წევრები. დამნაშავე შეფარდიე, რომელმაც ხელი ჰკრა მიქიაშვილის სიტყვებით „ის კარგი იყო, მე რომ გადამაგდეო?“ მაშინვე მიიმაღა, ხოლო ორმოში მყოფი მოქალაქე მურმან თათაეოზის ძე

მიქიაშვილი (როგორც თვითონ ამბობს), 32 წლის, არსად არ მუშაობდა ადგილზევე იქნა დაკავებული.

აღნიშნულ მოქმედებას ქუჩაში მყოფთა განერვიულება და ტრანსპორტის შეჩერება არ გამოუწვევია.

მიქიაშვილის ორმოს ზევით მოთავსების მდგომარეობა მალე იქნა მიღწეული ოპერრწმუნებულების მიერ. დაზარალებულს სხეულის მძიმე კატეგორიის დამწვრობა არ მიუღია და არც თვალები აქვს დათხრილი.

აბითურიენტი

(ნაწყვეტი წართმეული შპარგალკიდან)

დიდმა გენიოს ადამიანია ვარსკვლავებად რომ გამოანათა და მთასავით. არავის არ მოუპოვებია. მან ყველაფერი თავისი ცოდნით და ნიჭით და დანმარებით კი არა. გენიოსი ჰესიოდე რომ არის მაგას აქვს „ჰომალდში არ ჩაალაგო ყველაფერი რაც გაქვს“. და როგორც ყველას მაშინ თუ გამიმართლდა მეც მინდა გამოვიღე ისეთი ადამიანი და ბეურია. პირობას ვიძლევი სრულ ხუთებზე თუ არა დაინახავთ წინა პარტაზე ვიქნები და არც ერთ ლექციას არ გამოვტოვებ რადგანაც კანტმა ერთხელ თავის დღიურში ჩასწერა: „ტრანსცენდენტალური თვით სამყაროს ექსიტენციონალისტურ არსებაშია“.

მაშინ ბეური ორმო და სიბნელე წარსულ დროში იყო და აწმყო დროში ყველა ორმო ამოვსებულია და სიბნელე არსათ არ არის. რომე მაგამ უთხრა მომიცადეო და ცაზე მხოლოდ ერთი ვარსკვლავი არის და მიწაზე მეორე ვარსკვლავი. რკოს მიეუტან ღორსა, ღორი მომცემს ბაწარსა, დავერეხ თოქსა ჯაგარსა, ჩაუვადებ და ამოვიყვან ჩემ ძნობილ (ჭიანჭ.) ადამიანსა.

ასეთია მოკლეთ მოქმედი პირების დახასიათება და შავად მერე გადათეთრება რადგანაც მაშინ როცა არისტოტელე იყო მაგამ თქვა: სიმართლე ჩემი მასწავლებელია მაგრამ პლატონი მაინც ყველაზე მაღლა დგას.

უბრწყ...



«ცისკრის» პრემიები

შურნალმა „ცისკარმა“ წლის განმავლობაში დაბეჭდილი საუკეთესო მოთხრობისათვის, კობეზური ნაწარმოებისათვის, მიმდინარე ლიტერატურულ კონკურსებში დაწერილი კრიტიკული წერილისათვის დააწესა სამი პრემია, თითოეულს მათგანს ოდენობით.

1968 წელს, შურნალის სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, შურნალში გამომცემეზეული საუკეთესო ნაწარმოებისათვის „ცისკრის“ პრემიები მიენიჭათ:

რეზა ინანიშვილს — მოთხრობების ციკლისათვის „სალამოხანის ჩანაწერები“. („ცისკარი“, 1968 წ. № 4, № 12).

გივი გეგეჭკორს — კომედიისათვის „მეთუთუბები პალატა“ („ცისკარი“, 1968 წ. № 1).

აკაკი ბაქრაძეს — კრიტიკული წერილისათვის „სანაპარღო“, ანუ უნაყოფობის ტრაგედია („ცისკარი“, 1968 წ. № 3).

—

სსრკ-ის პარტიის გაზეთი

პასაჟები

ვინას გონია ძმირად უღირს

მიმდინარე წლის ზაფხულში მადრიდის პრესა იტუობინებოდა, გამოჩენილი ესპანელი მხატვრის, ფრანსისკო გოიას ცნობილი ნახატი „თაფლანსხმა დილიჟანსზე“ მოკლე ხანში საჭარო ვაჭრობით გაიყიდებოა.

გოიას მიერ ნახატი შესრულებული იყო 1757 წელს, პერსოაგების ოჯახის დაკვეთით. ამჟამად იგი ბარონ ლარდიესების ოჯახის მფლობელობაშია. 1968 წლის ზაფხულში ლარდიესების ოჯახმა თხოვნით მიმართა „ისტორიული მნიშვნელობის მქონე ხელოვნების საუკეთესო ნამუშევრების შემფასებელ და სახელმწიფოდან შექსპორტებულ ხუნტას“ ნებათვისათვის, ნახატის საერთაშორისო აუქციონზე გაყიდვის შესახებ.

ესპანეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელფონების ნატიფ ნამუშევართა გენერალურმა სამმართველომ გადაწყვიტა მადრიდში დაეინხნა წინასწარ, დია აუქციონი, რომლის შესახებაც უნდა გამოეცხადებინა არა მარტო მადრიდის, არამედ პარიზის, ლონდონის, რომსა და ბრიუსელის პრესაშიც. გენერალური სამმართველო იტუობინებოდა ავრეთვე, რომ აუქციონზე სურათის საწყისი ფასი იქნებოდა 3 მილიონი პესეტა. აუქციონის ყველა მონაწილეს წინასწარ უნდა შეეტანა 300 ათასი პესეტა, ხოლო იმ პირს, ვინც სურათის

მფლობელი გახდებოდა, უფლება ეძლეოდა ათი წლის განმავლობაში დაეფარა მისი ღირებულება. პრესა იტუობინებოდა აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს.

დადგა აუქციონის დღე. დამსწრეთა დიდი გაცემა გამოიწვია, როდესაც შეიტყვეს, რომ მხოლოდ ერთადერთ პიროვნებას, ვინმე თვოდორ ფლორეს რომლეს სურვილი აქვს, შეიძინოს ნახატი და შეტანილი აქვს სათანადო თანხა. რასაკვირველია, აუქციონი არ შედგა და სურათი კვლავ ლარდიესების ოჯახს დაუბრუნდა.

სურათის ბედი ჭრჭერობით გადაწყვეტილი არ არის. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მისცემენ თუ არა ლარდიესების ოჯახს სურათის სახელვარგაერთ გაყიდვის უფლებას. ეს კი ესპანეთის ხელისუფალთ უნდა გადაწყვიტონ.

ინგლისი

ჰენრი მურას საიუბილეო გამოფენა

ცნობილ ინგლისელ მოქანდაკეს ჰენრი მურას 70 წელი შეუსრულდა. ლონდონის „ტიტ გალერიში“ გაიხსნა მისი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა. ვალერიაში თავმოყრილია მოქანდაკის 217 ნამუშევარი. მათ შორისაა როგორც 1922 წლით დათარიღებული ადრეული პერიოდის მოდელები და ბარელიეფები, ასევე ორმოცამდე წლებისა და უახლოესი პერიოდის ნამუშევრებიც.

გაზეთ „მორინგ სტარში“ როი უოტკინსონი წერდა: „ჰენრი მურას სტუდიაში ათეული წლობით უქმად ეწყო მოქანდაკის მიერ თაბაშირში შესრულებული ფრაგმენტები და მოდელები. დღეს, მოქანდაკის მიერ ბრინჯაოს და მარმარილოში შესრულებული იგივე ნამუშევრები მნახველს აოცებს თავიანთი მონუმენტურობითა და სიძლიერით. 1948 წელს, ვენეციის ერთ-ერთ გამოფენაზე, ჰენრი მურას ტალანტი საკვეყნოდ იქნა აღიარებული. მას შემდეგ მოქანდაკემ თავი ანება თაბაშირს და თითქმის ყველა ნამუშევარი ბრინჯაოსა და მარმარილოში გადაიტანა.

საზრანგეთი

გველეშობა პორტ-მ-პრანსში

1961 წლის აპრილში უგუო-უკლოდ დაიკარგა ცნობილი გაიტელი რომანისტი, ექიმი ჟაკ სტეფან ბლექსისი. მისმა ტრაგიკულმა ზღმა მთელი პროგრესული საზოგადოებრობის ყურადღება მიიქცია. 1961 წლის ზაფხულზე აღექსისი უკანასკნელად ნახეს გაიტის ერთ-ერთ პატარა ქალაქ პორ-დე-პეში. ექვცი არავის ეპარება იმაში, რომ ჟაკ სტეფანის მკვლელობაში დიდი წვლილი მიუძღვის გაიტულ ქალათს — პრეზიდენტ დიუვალიეს. შედარებით მოგვიანებით, საფრანგეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა ალექსისის მკვლელობის შესახებ. სადა და როდის, ამაზე არაფერი თქმულა.

აი, რას იგონებს ალექსისის შესახებ მისი თანამემამულე, უან ბრიერი.

— 1946 წელს გაიტელ პატრონობებთან ერთად გავიცანი ეს ალექსისი. ერთად ვეწეოდით იატაკქვეშა მუშაობას. თავის ნაწარმოებებში ალექსისი სასტიკად ილაშქრებდა დიუვალივს ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ, იბრძოდა გაიტის თავისუფლები-სათვის.

— 1950 წელს, — ამბობს ბრიერი, — მე დამაპატიმრეს. ერთი წლის შემდეგ კვლავ შევხვდი ალექსისს. ორი საღამო იგი მიკითხავდა ნაწყვეტებს თავისი ახალი რომანიდან. ვსაუბრობდით, როგორ გვებრძოლა გაიტის თავისუფლებისათვის. შემდეგ ალექსისი ევროპაში გაემგზავრა. უკან კუბაზე გავლით ბრუნდებოდა. იგი და მისი მეგობრები კატარლი ზღვაში შევიდნენ. იქ მათ მეტევხეების ნავი ელოდებოდათ. ზღვაში დაქარგეს კურსი გაიტისაკენ და იძულებული იყვნენ ქალაქ პორტ-დე-პეს მახლობლად მდებარე უკაცრიელი ადგილისათვის შეეფარებინათ თავი. იმ ადგილებს ცუდად იცნობდნენ. ალექსისმა კარგად იცოდა, რომ მას დიუვალივს აგენტები ეძებდნენ. საჭირო იყო საჭმლის შეკვანა. გზად მიმავალ უკაც შეხვდა ვიღაც კაცი, რომელსაც სთხო-

ვა უახლოეს დუქანში მისთვის 100 გურდის ღირებულების ბანკნოტა დაეხურადევი-ნა. დუქნის მფლობელმა როგორც კი დაინახა ასეთი დიდი თანხის ბანკნოტა, იმწამს პოლიციას შეატყობინა. ალექსისი და მისი მეგობრები დააპატიმრეს. გაიყვანეს მოედანზე და ქვები დაუშინეს. ალექსისს თვალი ამოუგდეს. შემდეგ წაიყვანეს ქალაქ პორტ-პრენსში და მიწისქვეშა საწამებელ კამერაში ჩააგდეს. გაუკრეს ხელ-ფეხი, ჩამოკიდეს ჭერზე და სასტიკად სცემეს. სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ალექსისი გმირულად იტანდა ტანჯვას.

— ჩვენი პარტია და გაიტე-ლი ხალხი, — ამბობს უან ბრიერი, — ყოველთვის იამაყებს ეს სტიფან ალექსისის გმირობით. ჩვენი ხალხი შეუპოვრად იბრძვის ნათელი მომავლისათვის და ამ ბრძოლაში ალექსისი ყოველთვის ჩვენი-

ნაკომენი

„სანტა-მარია“:

ამას წინათ, ფრანგულ გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც იუწყებოდა, რომ არქეოლოგმა ფრედ დიკსონმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ცურვაში, ადოლფ კეფერმა, გაიტის კუნძულს ადმოსავლეთ სანაპიროს გა-

მოკვლევისას, კარიბის ზღვის ფსკერზე აღმოაჩინეს ოდნულაც იქ ჩაძირული ხომალდის ნაშხვრეები.

მიუხედავად იმისა, რომ კარიბის ზღვის ფსკერზე შტორმისა და ბრძოლების შედეგად მრავალი ხომალდი ჩაძირულა, ფრედ დიკსონი და ადოლფ კეფერი მაინც ირწმუნებან, რომ ეს უნდა იყოს ქრისტე-ფორე კოლუმბის ფლამანდური ხომალდი, „სანტა-მარია“. ემყარებიან რა ხომალდის შესახებ არსებულ გადმოცემას, ფრედ დიკსონმა და ადოლფ კეფერმა იციან რომ...

1492 წლის 25 დეკემბერს გაიტიდან რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით, ხომალდს, რომელიც კუბიდან ბრუნდებოდა, ხიფათი შეეპოხვა — მაგრად ჩაჭდა მეჩჩში. გაიტელების დახმარებით ტყვიამურქვევები და ტვირთი გემიდან ნაპირზე გადაწოდეს. გემი თანდათან სილაში იძირებოდა და მალე წარწერა „სანტა-მარია“ სრულებით ვაქრა. დიკსონისა და კეფერის მიერ აღმოჩენილი ხომალდის მდებარეობა ზუსტად ემთხვევა იმ ადამიანების გადმოცემებს, რომლებიც თვითონ იყვნენ მისი დაღუპვის მომწმრენი. აღმოჩენის დასამტკიცებლად კი საჭიროა ხომალდის ნაშხვრეების ზღვის ფსკერიდან ნაპირზე ამოტანა.

გარეკანის მეორე გვერდზე ნახ. ზ. ფორჩხიძის

ურჩნალი ვააფორმა დ. ზარაფიშვილი.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლგნაოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-86.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XII-68 წ., ქალაქის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 4132. უე 02606. ტირ 22.000.

საქ. კვ ცვ-ის გამოქვეყნების პოლიგრაფკომბინატ. თბილისი, ლენინის 14.

შეცდომის გახწორება

ჩვენი ჟურნალის მე-12 ნომერში 39-ე გვერ-
დის პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:
„საოცრად მეუცხოვა ყველა ის სიკვდილი, რო-
მელსაც აქამდე შეეხვედრივარ!“...

3560 60 353.

638/16



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236